მანანა
კაკაბაძე

მამაჩემი ჰოლიკარპე კაკაბაძე

ყვარყვარე თუთაბერის ავტორი

მანანა კაკაბაძე

მამაჩემი პოლიკარპე კაკაბაძე – „ყვარყვარე თუთაბერის“ ავტორი

2023

UDC(უაკ)821.353.1-94
კ-171

წინამდებარე მოგონებები ეძღვნება დიდი ქართველი დრამატურგისა და მამულიშვილის, პოლიკარპე კაკაბაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას. მისი ავტორი გახლავთ მწერლის ქალიშვილი, ქალბატონი მანანა კაკაბაძე. პოლიკარპე კაკაბაძეს ქართველი საზოგადოება ძალიან კარგად იცნობს, თუმცა, ამ წიგნში ბევრ ისეთ ფაქტსა და მოვლენას აეხდება ფარდა, რაც დღემდე უცნობი იყო ბევრისთვის.

მწერლის ბიოგრაფიასთან ერთად ნაშრომში წარმოდგენილია აგრეთვე მისი წინაპრების, მშობლების, ახლობლების, ოჯახის წევრებისა და მეგობართა ცხოვრების ამსახველი სურათები.

ვიმედოვნებ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება ეს მოგონებები.

წიგნი ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

რედაქტორი: **მაია გურაბანიძე**, ისტორიის დოქტორი
ყდის დიზაინერი, ილუსტრატორი: **მარი გირკელიძე**

© მანანა კაკაბაძე
© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ISBN 978-9941-9867-5-8

წინათქმა

პოლიკარპე კაკაბაძის არქივი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მშვენებაა. ის მისმა ქალიშვილმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, ქალბატონმა მანანა კაკაბაძემ შემოგვწირა. მე ხშირად დავდიოდი მასთან, ბევრი საინტერესო რამ შემხვედრია იქ.

მწერლის არქივის ჩაბარების შემდეგ, ქალბატონ მანანასთან ერთ-ერთი ჩემი სტუმრობის დროს, მასპინძელმა სთხოვა თავის ქალიშვილს – დიზაინერ მარი გირკელიძეს, რომ გადმოეცა ჩემთვის მისი მიერ დაწერილი მოგონებები მამაზე, რაც არანაკლებ სასიხარულო იყო. სასწრაფოდ დავიწყეთ ამ მოგონებების გამოცემისათვის მზადება – ტექსტის აკრეფა, რედაქტირება ქალბატონ მანანასთან და ქალბატონ მაია გურაბანიძესთან ერთად. ეს არ იყო ჩვეულებრივი რედაქტირების პროცესი, ეს იყო მოგონებების გავრცობა, დამატება, უნიკალური სურათების მოძიება კაკაბაძეების განჯინიდან და სხვა ბევრი ამგვარი სამუშაო.

მოგონებები მზად არის. მასში ზოგიერთი რამ, რა თქმა უნდა, ავტორის მიერ სუბიექტური თვალითაა დანახული, ბევრიც ახალი და უცნობია, მაგრამ, რაც მთავარია, ის ძალზე საინტერესოა არა მარტო ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის, არამედ, ზოგადად, იმ პერიოდის უკეთ წარმოჩენისათვის, რა დროსაც უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა დიდ ქართველ დრამატურგს. მან შეძლო ამ სასტიკი პერიოდის დაძლევა, იბრძოლა, იღვაწა, გადარჩა და გაიმარჯვა.

ლევან თაქთაქიშვილი

წიგნი ეძღვნება ჩემი მეუღლის,
სიმონ (სიკო) გირკელიძის ხსოვნას,
რომელსაც ძალიან უნდოდა, რომ დამეწერა ეს წიგნი

უკვე ავადმყოფიც კი, ჩემი მეუღლე, ზოგჯერ, ისევ ჩაიხედავდა ხოლმე ჩემს ნაწერში და მეტყოდა: დაწერე, მანანა, აუცილებლად დაწერე!.. იგი მამხნევებდა, მოსწონდა ჩემი ნაწერები.

და მეც დავწერე, რაღაცა დონეზე მოვათავე წერა, თუმცა საქმელი ბევრი დამრჩა...

ჩემს წერილებში, მამაჩემის შემოქმედებას რომ მივუძღვენი, ნაწილობრივ განვიხილე ზოგი ისეთი საკითხი და ისეთი თემა, მხოლოდ ჩემთვის რომ იყო ცნობილი, როგორც შვილისთვის, მაგრამ რამდენი რამ ვერ ვთქვი, და დარჩება იგი საიდუმლოდ ადამიანთათვის და მხოლოდ ღმერთის წინაშე გაიხსნება მთელი სიცხადით.

ჩემს მეუღლეს ძალიან გაუხარდებოდა ამ წიგნის ხილვა, და თუ ვინმე მას შეაფასებდა პირუთვნელად, იქნებოდა იგი, რადგან ყოველთვის ძალიან კარგად და შეუცდომლად აფასებდა ნაწერს ისევე, როგორც ხელოვნების ნიმუშს.

დავწერე, რაც შევძელი.

ღმერთმა მაპატიოს, რაც ვერ შევძელი...

მანანა
3.02.2021.

შესავალი

დიდი ადამიანის შვილობა მაღირსა შემოქმედმა, ეს იყო წყალობა განგებისაგან.

რა ბედნიერებაა დაიბადო დიდი ადამიანის შვილად, მომავალიც და აწმყოც შენ შემოგნატრის.

სიყვარული ბედნიერებაა, მაგრამ თან მოაქვს ტანჯვაც. ასევეა დიდი ადამიანის შვილობაც. ეს უდიდესი ბედნიერებაა, მაგრამ მას ახლავს ტკივილი, რომელიც მთელი ცხოვრება არ გტოვებს.

დიდი შემოქმედი მუდამ იტანჯება, ყველა დროში და ყველა ხალხში. რაც უფრო დიდია შემოქმედი, მით უფრო ძლიერია მასში მწუხარება – ქვეყნის, სამშობლოს, ადამიანთა მოდგმის გამო, და შენ, უახლოესი ადამიანი ამ დიდი შემოქმედისა, მასთან ერთად ეძლევი ტანჯვას...

ძნელი იყო ეს ხვედრი!

საზოგადოება არასოდეს გაპატიებს, რომ შენ, გენიოსის შვილი, ჩვეულებრივი ადამიანი ხარ და დაუმსახურებლად გერგო ეს ჯილდო!

ზოგჯერ, როცა მამაჩემზე, ან თუნდაც სხვა საკითხზე გამოვაქვეყნებ რაიმე წერილს, რომელიც საზოგადოებაზე შთაბეჭდილებას მოახდენს, მეტყვიან ხოლმე საქებარ სიტყვას და ამავე დროს, მამაჩემის შვილობას გამიხსენებენ, მისი ნაპერწკალი მოეჩვენებათ ჩემში.

– არა! – ვპასუხობ მე, – მე ხომ „ყვარყვარე თუთაბერი“ არ დამიწერია, და ვერც ვერასოდეს დავწერდი მსგავსს.

მე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ.

გენიოსები მარტონი იბადებიან, ისინი არ მეორდებიან!

***

ხშირად მეკითხებიან, როგორი იყო მამაჩემი ოჯახში, როგორი მამა იყო – ყველაზე კარგი, ყველაზე კეთილი, ყველაზე მოსიყვარულე და თავგანწირული ოჯახისათვის, არავის შეეძლო ასეთი ძალით საკუთარი ოჯახის სიყვარული!

ყველა მამა და დედა საყვარელია შვილისათვის, ყველა განუმეორებელია, ყველაზე უკეთესია. ასეთია მამაშვილობის და დედაშვილობის გრძნობა.

ადამიანები, რომლებიც ციხეებში აწამებდნენ ტუსაღებს, ან აბეზღებდნენ უდანაშაულო ადამიანებს, ხშირად სანიმუშო მამები იყვნენ, ზრუნავდნენ ოჯახისათვის და მათი შვილებიც გეტყვიან, რომ ყველაზე კარგი და საყვარელი იყო მისი მშობელი. მაგრამ როგორი იყო ის საზოგადოებისათვის და რა სულიერი მემკვიდრეობა დაუტოვა მას?

– ჩვენ ვზრუნავდით ჩვენი შვილებისათვის, ამიტომ ჩავიდინეთ ცოდვა, ვზრუნავდით ლუკმისათვის და შიშის გამო გავყიდეთ სინდისი, გავყიდეთ სამშობლო და უდანაშაულო კაცის დასჯაზე ხელი მოვაწერეთ, – გეტყვიან ცოდვის მონაწილენი.

ყველა ცოდვას თავისი გამართლება აქვს. ცოდვა-მადლის სასწორი კი მხოლოდ ღმერთთან არის. სინანული, ცოდვის ტოლფასი, ყველაფერს გამოისყიდისო, – ამბობენ წმინდა მამები.

მაგრამ არის კი სინანული ცოდვის ტოლფასი? როგორ შეინანა კაცმა, ან როგორ დაიტანჯა თავისი ცოდვისათვის? უარყო კი ცოდვის ნაყოფი და მისით მიღებულ სარგებელზე თქვა კი უარი?

ყველა ეს საკითხი ჩვენს მძიმე დროში ისევ გამწვავდა, რადგან მილიონობით ადამიანთა დასჯის მომსწრე ვიყავით, და იმ წამებულთა უკან იდგნენ ცოდვაში ჩაძირული ადამიანები, რომელთა შვილები, ძალაუნებურად, მამების მძიმე ცოდვას მხრებით ატარებენ, თუმცა ჭამენ ტკბილ ნაყოფს, ამ ცოდვით მიღებულს!

უდანაშაულო დამნაშავენი! – ეს მათი ხვედრია, და თუ როდის, რომელ დგმაში ინებებს ღმერთი ამ ცოდვის საფასურის აღებას, ეს მხოლოდ თვით უფალმა იცის.

პოლიკარპე კაკაბაძემ კი შთამომავლობას დაუტოვა უმაღლესი მორალის განცდა და ეს იყო ყველაზე დიდი საჩუქარი.

აბრაამი გავიხსენოთ, ყველაზე საყვარელი, მხოლოდშობილი ძე რომ მიუძღვნა უფალს. ღმერთმა მოსთხოვა, შემომწირე შენი ძე, ისააკი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვარს ამქვეყნად, რომლისთვისაც თავს დადებ და გასწირავ საკუთარ სიცოცხლეს. მე, შენს ღმერთს, მსხვერპლად შემწირე იგი, მსხვერპლად შემწირე, რაც შენთვის სიცოცხლეზე უძვირფასესია!

აბრაამმა მიუძღვნა თავისი ერთადერთი, უსაყვარლესი, სიცოცხლეზე უფრო ტკბილი ძე ღმერთს, რადგან ღმერთის სიყვარული შვილის სიყვარულზე უფრო ძლიერი იყო მასში!

ნუ გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვი, რომ მამაჩემი წმინდანი იყო, წმინდანი იყო თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით. დაე ღმერთმა განმსაჯოს, თუ ვბედავ ამის თქმას, რადგან ასეთი უფლება მხოლოდ ეკლესიას გააჩნია. მაგრამ თუ ეკლესიის დიდი მოღვაწენი ოდესმე გულდასმით წაიკითხავენ მის გამოუქვეყნებელ და გამოქვეყნებულ ნაწერებს, მის თეოსოფიური ხასიათის „თქმებს“, ალბათ, იგივე აზრი დაებადებათ და აღარ გაუკვირდებათ ჩემი სითამამე და გაბედულება...

* * *

ღმერთი სიყვარულია! – იტყვიან შემდგომში უფალი იესო და იოანე მახარებელი.

უფალმა იესომ, აბრაამის დარად, კაცობრიობას დაუტოვა ანდერძი, რომ ღმერთია უპირველესი სიყვარული და მხოლოდ შემდეგ – ადამიანი, სიცოცხლე და ადამიანის შვილი, თუნდაც საკუთარი ძე იყოს იგი...

შემოქმედმა თავისი ძე მოუვლინა კაცობრიობას მხსნელად და შესწირა მის ღვთიურ რწმენას და მომავალს.

ღმერთისადმი სიყვარულს უერთდება სამშობლოსადმი გრძნობა და ორივე ერთად ადამიანის უპირველესი სალოცავია. ამ გრძნობას ადამიანი მსხვერპლად მოუტანს საკუთარ სიცოცხლეს და ყველაზე საყვარელ არსებათა, საკუთარ შვილთა კეთილდღეობას და თუ საჭიროება მოითხოვს, თვით მათ სიცოცხლესაც კი.

როგორი იყო „ყვარყვარე თუთაბერის“ ავტორის დამოკიდებულება ღმერთისადმი, სამშობლოსადმი, ოჯახის კეთილდღეობისადმი?

სწორედ ისეთი, აბრაამს რომ გააჩნდა ღვთისადმი.

ღმერთს, მის ღვთიურ ნებას და ტანჯული სამშობლოს ინტერესებს იგი სწირავდა თავისი ოჯახის კეთილდღეობას.

– თუ გინდა, შენი ოჯახი უზრუნველად ცხოვრობდეს, ჰქონდეს სახლ-კარი, საზრდო და შემოსავალი, უკან დაიხიე, ცოტა მაინც დათმე!

– სულ ცოტა რომ დამეთმო, ჩვენ სხვანაირად ვიცხოვრებდითო, – უთქვამს მამაჩემს არაერთხელ.

ცოტა დათმობა ბრძოლის ველზე წაგებას ნიშნავს...

ვერ ემონები ერთდროულად ღმერთსაც და მამონასაც.

პოლიკარპე კაკაბაძე ღმერთის მონა იყო და აბრაამივით ასრულებდა ღვთის მოწოდებას.

ღმერთს და სამშობლოს ინტერესებს ის სწირავდა ყველაფერს. მას თავი გადადებული ჰქონდა და იბრძოდა სიცოცხლის ბოლომდე ღვთის ნების აღსრულებისათვის, სამშობლოს და მის შვილთა სულიერი ამაღლებისათვის.

* * *

პოლიკარპე კაკაბაძის ოჯახი ცხოვრობდა მოკრძალებულად. ჩვენ გამოგვიცდია მთავრობისა და ხელისუფლებისაგან მუდმივი დევნა და შევიწროება, გაჭირვება, უბინაობა, ხელმოკლეობა. მამასთან ერთად მისი ოჯახი იტანდა მრავალგვარ განსაცდელს, მაგრამ არასოდეს, არც ერთ ოჯახის წევრს აზრადაც არ მოსვლია, რაიმე საყვედური ან უკმაყოფილება გამოეთქვა მშობლების მიმართ, – რატომ არ გვაქვს ეს ან ის, სხვებივით. სამაგიეროდ, გაჭირვებული ადამიანებისა და ნათესავებისათვის ჩვენი ოჯახის კარი მუდამ ღია იყო. სიამოვნებით და სიხარულით ვუყოფდით უკანასკნელ ლუკმას ხელმოკლეებს.

ჩვენი მუდმივი დამხმარე იყო მამაჩემის ვაჟკაცი ძმა, ჭიჭიკო ბიძია, კეთილი და პატიოსანი ადამიანი, წმინდა გულის პატრონი კაცი. ის რომ არა, ჩვენ, ალბათ, ამოდენა გასაჭირს ვერ გავუძლებდით, ვერ გადავიტანდით და დავიხოცებოდით.

მძიმე წლებში და მძიმე დღეებში ის იყო ჩვენი ერთადერთი გადამრჩენელი, მშველელი და მოჭირნახულე.

ეკონომიკური რეპრესია ერთგვარი ხერხი იყო ადამიანის დასჯისა, და ურჩ ადამიანებს სასჯელის ასეთი ფორმაც მოელოდათ. ჩვენმა ოჯახმა სრულად განიცადა რეპრესიის ეს ფორმაც.

მამაჩემი ამბობდა, კარგი ცხოვრება რომ მომეწყო, მქონოდა ფართო ბინა, ტელეფონი და სხვა სიკეთენი, ვერაფრით ვეღარ გადავრჩებოდი, აუცილებლად დამხვრეტდნენო.

– „ყვარყვარეც“ გინდა დაწერო და თან ადამიანურად იცხოვრო? – ამას უკვე აღარ გაპატიებდნენ.

– იმითაც გადავრჩი, რომ არ მოვითხოვდი პატივს, დიდებას და ქებასო, – უთქვამს არაერთხელ.

ღვთიური სიტყვა როცა ითქმება, იგი მარად ცოცხალია, უკვდავია და მას ვეღარაფერი გააქრობს.

ხორციელ კაცს ადვილად გააქრობ და მოკლავ, ის თვითონაც მალე მოკვდება მძიმე ცხოვრებით, გაჭირვებით, შიმშილით, სიცივით, სიღატაკით, უბინაობით, მისი სახელის მიჩქმალვით, დამცირებით. მაგრამ ჭეშმარიტი შემოქმედისაგან ნათქვამი მართალი სიტყვა არასოდეს მოკვდება, რაც უნდა ჩქმალო და დაამცირო.

თითქმის მნიშვნელობაც აღარა აქვს, ცოცხალია თუ არა ეს ღვთიური ნიჭით ცხებული შემოქმედი, ის ხომ სიცოცხლეშიაც მუდმივ წამებაშია, ის ჩაგრულთა შორისაა და მოკლებულია ამქვეყნიურ სიხარულს.

მაგრამ „ყვარყვარეს“ დამწერს ჰქონდა უდიდესი სიხარული და შინაგანი კმაყოფილება თავისი შემოქმედებითი პროცესის წყალობით.

სულის ზეიმია ყოველი ახალი შემოქმედებითი გამარჯვება მწერლისათვის და ამ სიხარულს ვერ შეედრება ვერავითარი სხვა ბედნიერება – ვერც ქება, ვერც მატერიალური უზრუნველყოფა, სიმდიდრე და ფუფუნება, რადგან ყველაფერი წარმავალია და სულს თან მიჰყვება ღმერთთან სულ სხვა, მარადიული სიხარული. ეს არის შემოქმედებითი გამარჯვებით მოტანილი ბედნიერების განცდა.

დღეს მოკლავდნენ „ყვარყვარეს“ ავტორს, თუ ხვალ ამოხდებოდა სული უკიდურესი გაჭირვების გამო, თითქოს აღარც იყო ისეთი მნიშვნელოვანი – სიტყვებს ხომ ვერ მოკლავდი, სიტყვა უკვდავია!

იმდენად ცოცხალი იყო პოლიკარპე კაკაბაძის სიტყვები და ისე იზიდავდა ადამიანის გულსა და გრძნობას, რომ თვითონ მკვლელები და მოძალადეები, ზოგჯერ, გულის მოსაოხებლად, თავს ვერ იკავებდნენ და ერთმანეთს ყვარყვარეს უწოდებდნენ. ისინი თავიანთ მტრებსაც ყვარყვარეს ძახილით აცილებდნენ. თვითონ დამნაშავეებსა და მკვლელებსაც კი, მართალი სიტყვების მოსმენისას, სურვილი ებადებოდათ სიკეთესთან ზიარებისა!

ისევე, როგორც უდიდესი დამნაშავენი ზოგჯერ შედიან ტაძარში და პირჯვარს იწერენ, ასე შედიოდნენ თეატრში ეს ბობოლა კომუნისტები და ისმენდნენ სცენიდან თავიანთი ნამოქმედარის მხილებას. მათ იცოდნენ, რომ თვითონ იყვნენ ყვარყვარეები და ქოსატყუილები. ისინი სიცრუეში ცხოვრობდნენ, მაგრამ ამ მხილებით თითქოს ნაწილობრივ იბრუნებდნენ დაკარგული სიკეთის და სიმართლის გრძნობას.

ისინი ამ დროს ჰგავდნენ იმ დამნაშავე ადამიანებს, რომლებიც ზოგჯერ შედიან ტაძარში და ღვთის ვედრებით ცდილობენ რამდენადმე განიწმინდონ ცოდვილი სული!

ეს იყო მათი მონანიება!

არ მოკლეს მამა, მაგრამ სულ მოველოდით მის დახვრეტას და გასამართლებას, მაგრამ მას თითქოს რაღაცა ღვთიური ძალა იცავდა და უკვე გამზადებული საქმე „ყვარყვარეს“ ავტორის განანადგურებლად, უეცრად ძალას კარგავდა, იფუშებოდა. ეს მისი ბედი იყო, ღმერთი იფარავდა.

შემდგომში მოგახსენებთ რამდენიმე ასეთი შემთხვევის შესახებ, რომლებიც მე ვიცი გადმოცემით მამაჩემისაგან, ან რომელთა მომსწრე თვითონაც ვიყავი.

ღმერთი იფარავდა, რომ თავისი მისია შეესრულებინა, ახალი შედევრები შეექმნა, ჩაფიქრებული განეხორციელებინა. ამიტომ იცოცხლა მრავალი წელი.

იგი სამოცდაცხრამეტი წლისა წავიდა ამ სოფლიდან...

მამაჩემი და დედაჩემი

მათი შეხვედრა

მათ გაიცნეს ერთმანეთი აღდგომა დღეს. იდგა აპრილი, 1917 წელი. დედაჩემი ამ დროს 14 წლისა იყო, მამაჩემს კი 23 თებერვალს მხოლოდ 25 წელი შეუსრულდა.

დედაჩემი ყვებოდა: – სააღდგომოდ ხონში ჩავედი სტუმრად, ჩემი მასწავლებლის, სერგო კაკაბაძის ოჯახში, სერგოს ძმის ცოლმა, მარომ წამიყვანა. იქ გავიცანი მამაშენიო.

სერგო კაკაბაძე (სერგეი მიხაილოვიჩი, როგორც მას ყველა ეძახდა), იყო მამას ახლო ნათესავი, საზღვარგარეთ განათლებამიღებული, ნიჭიერი პედაგოგი.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული იდგა.

მამაჩემს აღდგომა ყველა დღეზე მეტად უყვარდა. ის ძალიან ბედნიერი იყო ყოველთვის ამ დღეს და ისეთი გრძნობა ჰქონდა მუდამ, თითქოს პირადად იყო მონაწილე იმ დიდი სასწაულისა, რაც ორი ათასი წლის წინ მოხდა, და მუდამ ისე ცხოვლად გრძნობდა ამ სასწაულს, თითქოს ყველაფერი ახლა, მის თვალწინ ხდებოდა. აღდგომა რომ დგებოდა, მამას თვალები უბრწყინავდა აღფრთოვანებით, რაღაც არაამქვეყნიური შუქით და საზეიმოდ, მაღალი და მჟღერი ხმით დაიძახებდა ხოლმე: „ქრისტე აღსდგა!“

არასოდეს არ მიგრძვნია არც ერთ ადამიანში ესოდენი რწმენა და სულის ზეიმი, ესოდენი აღფრთოვანება აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულით, მამაჩემის სულში რომ ხდებოდა ამ დროს.

1972 წლის 15 ოქტომბერს, მამაჩემი როცა ტოვებდა სიცოცხლეს, მისი ბოლო სიტყვები იყო: „ქრისტე აღსდგა!“ ეს იყო მისი ყველაზე სათაყვანებელი, ყველაზე საყვარელი სიტყვები.

პოლიკარპე კაკაბაძეს უყვარდა აღდგომა ყველა დღეზე მეტად გულის მთელი მხურვალებით, და ამ დღეს გაიცნო მან თავისი საბედოც, თავისი მომავალი მეუღლე, ულამაზესი მილა მიხაილიდი, ბერძნული წარმოშობის ქართველი ქალიშვილი, ობოლი მარგალიტივით რომ ბრწყინავდა მშვენიერ ქალთა შორის.

დედაჩემი მიამბობდა: – სერგო კაკაბაძის ეზო სამოთხის ბაღს ჰგავდა იმ აღდგომა დღეს. ყველაფერი ყვაოდა, თეთრი ყვავილე-

ბის ზღვა ღელავდა, მათრობელი სურნელი იფრქვეოდა ირგვლივ. მზის სხივებით განათებულ გარემოში, ყვავილების ამ ზღაპრულ სამყაროში, მე ვიდექი სახლის წინ. ჭიშკარი გაიღო და შემოვიდა პოლიკარპე, მე რომ დამინახა, გაოცებული კარებში შედგა, სუნთქვა შეეკრა...

ამ დროს დედა იყო ღვთისმშობლის ასაკში, 14 წლის.

მას ჰქონდა ულამაზესი თვალ-წარბი და მუხლამდე დაფენილი გრძელი ნაწნავები. სახეზე ეხატებოდა ფიქრი, ოდნავი ღიმილი და სევდა. ულამაზესი, მომშვილდური წარბები მაღლა აეყარა, ჭიშკარში შემოსულ ახალგაზრდა კაცს ისიც თვალს ვერ აშორებდა, თითქოს მონუსხული იყო.

დედას ჰქონდა ოდნავ ფერმკრთალი, ქართული სახის ფერი და განსაკუთრებული, ოდნავ სევდიანი, ნაზი გამომეტყველება, რაც ყველა ქალისაგან გამოარჩევდა.

– „არც შავია, არც თეთრი!“ – დაწერს შემდგომში პოლიკარპე კაკაბაძე ზღაპრული მზეთუნახავის აღწერისას ფილოსოფიურ კომედიაში „კახაბერის ხმალი“.

მამას წაბლისფერი, ხუჭუჭა თმა ჰქონდა, ლამაზი ქოჩორი, რომელიც ბოლომდე შერჩა, ასაკში რომ შევიდა, შეევერცხლილი; შუბლი – მაღალი, თითქოს ნათალი ქვით ნაქანდაკარი, მკვრივი და უზადო; პატარა, ლამაზი თავი, მეტყველი, თხელი სახე, მოთეთრო ფერის, ფერმკრთალი და ენერგიული. რაღაც განსაკუთრებულ სხივს აფრქვევდა მთლიანად მისი პირისახე და ნათელი თვალები. მის სახეზე და თვალებში აისახებოდა ღრმა ფიქრები და სევდა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა გაიგებდა რაიმე სამწუხარო ამბავს, ან ვინმეს განსაცდელს, ნაცნობის თუ უცნობის, მახლობლის თუ შორეულის, მტრის თუ მოყვარის.

საოცარი მიმტევებლობა იცოდა, მტრისაც კი. როცა განსაცდელში ჩავარდნილს დაინახავდა ადამიანს, რომლისგანაც მტრობა და გაწირვა ახსოვდა, საშინლად ეცოდებოდა, განიცდიდა მის ბედს. არაფრად აღარ მიაჩნდა, რომ ამ კაცმა იგი დასაღუპად გაიმეტა, ყველაფერს პატიობდა. „გიყვარდეს მტერი შენი!“ – ეს ღვთიური მოწოდება პოლიკარპე კაკაბაძის სულში მისი არსებობის ნაწილად იქცა. ასეთი იყო მისი ბუნება, მისი გული. მას მტერიც კი უყვარდა.

მამა მომცრო ტანისა იყო, მაგრამ კარგად აღნაგი, სპორტული და ძლიერი, მოქნილი და მკვირცხლი მოძრაობა ჰქონდა, ვაჟკაცური იერი. ბიჭობაში ტოლს არავის დაუდებდა ჩხუბში და მუშტიკრივში, შესანიშნავი მოცურავე და მოხალისე მთამსვლელიც იყო. საუკეთესოდ ისროდა მიზანში, თუმცა კაცისათვის არასოდეს უსვრია, არც სანადიროდ დადიოდა. ვფიქრობ, ტყვიას ვერც ფრინველსა და ცხოველს დაუმიზნებდა ვერასოდეს. ასეთი იყო მისი ბუნება.

მამას საოცარი თვალები ჰქონდა, ისინი თითქოს სადღაც იყურებოდნენ, შორეთში და თან შენ გხედავდნენ. მათში იყო რაღაც მიუღწეველი და საიდუმლო. ეს მზერა არ გეკუთვნოდა მხოლოდ შენ, ის სავსე იყო სხვა, შენთვის ამოუცნობი ფიქრებით. პოლიკარპე კაკაბაძე მუდმივად იყო თავის ფიქრებში, თავის მიერ შექმნილ და წარმოსახულ გმირებთან. იგი ცხოვრობდა მათთან ერთად, მაშინაც კი, როცა შენთან იყო. ის ფიქრობდა შენზე, განიცდიდა და ცხოვრობდა შენთან, შენ გესაუბრებოდა, მაგრამ ამავე დროს იყო მათთან, თავის იდეალებთან და თავის შექმნილ სამყაროსთან, და ეს აისახებოდა მის თვალებში.

თაფლისფერი, მომწვანო და მონაცისფრო ტონები ერთდროულად აშუქებდნენ მისი უცნაური, ენერგიული, ცეცხლოვანი თვალებიდან. მზერა მეგობრული, ალერსიანი და თბილი ჰქონდა, თითქოს გეფერება და ღრმად, სულში გიყურებსო და შენი საიდუმლო ფიქრები იცისო. ამ დროს შენ გრცხვენია და გერიდება მისი სამსჯავროსი, მაგრამ ეს თვალები ალერსიანია, სიყვარულს გთავაზობენ და უკვდავებისაკენ გახედებენ. ეს მომნუსხველი მზერა გიპყრობს და თავისკენ გიზიდავს, ის შენზე უფლობს.

ასეთი იყო მამაჩემის მზერა ალბათ მაშინაც, როცა პირველად შეხვდა თავის საბედოს.

ქალი ყოველთვის გრძნობს განსაკუთრებულ მამაკაცს და მზად არის სული დასდოს მისთვის. მეტად ძლიერია ეს გრძნობა ჩვეულებრივ ქალებშიაც კი, თავისი სილამაზით და სიკეკლუცით რომ არიან უფრო ცნობილნი, ვიდრე გონებრივი და სულიერი ღირსებებით.

საინტერესო და ნიჭიერი მამაკაცი უცებ იპყრობს მათ გულებს. ასეთი მამაკაცები დიდი უპირატესობით სარგებლობენ ქალის

გრძნობებში. ქალს არაფერი არ ხიბლავს მამაკაცში ისე, როგორც ნიჭიერება. ვაჟკაცობა, სილამაზე, სიმდიდრე – ყველაფერი ეს სასურველია და საოცნებო ქალისათვის, მაგრამ იგი ყოველთვის, ან უმეტესწილად მაინც, უპირატესობას ანიჭებს ნიჭიერ, საინტერესო მამაკაცს, ისეთ მამაკაცს, რომელზედაც არ ოცნებობდა. მაგრამ როცა შეხვდება, გაიცნობს, მისთვის დათმობს თავის ოცნებებს სიმდიდრით, სილამაზითა და ძალ-ღონით სავსე ვაჟკაცებზე. ქალის გული ეკუთვნის ამ განსხვავებულ, ცეცხლოვანი ნიჭით ცხებულ ადამიანს.

ნიჭიერება უმთავრესია იმ ხიბლთა შორის, ქალის გულსა და სულს რომ მოიზიდავს.

განსაკუთრებული სულის ადამიანები ზოგჯერ ხვდებიან ერთმანეთს. ეს ბედია, ეს ღვთის ნებაა.

ორი გენიოსი სული შეხვდა ერთმანეთს, – მითხრა მამაჩემმა რომეო და ჯულიეტას შესახებ, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, მისი ამქვეყნიური ცხოვრების ბოლო დღეები რომ იწურებოდა.

მან იცოდა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო და როცა ყველა გრძნობა ილეოდა და ქრებოდა, სიყვარულზე ფიქრი რჩებოდა. ეს გრძნობა ერთადერთი, თან უნდა წაეღო ღმერთთან.

ღმერთი არს სიყვარული!

* * *

დედაჩემი ყვებოდა: – კარგა ხანს მიყურებდა ასე, კარებში მდგომი. მერე ნელა წამოვიდა ჩემკენ... მე ვიგრძენი ის, რაც მანამდე არასოდეს განმიცდიაო.

ამ თოთხმეტი წლის მზეთუნახავმა სიყვარულის შესახებ აქამდე მხოლოდ წიგნებიდან იცოდა და ვერ აეხსნა სახელი იმ გრძნობისა, ახლა რომ დაეუფლა.

იმ დღეს, გვიან ღამემდე დარჩა მამა სერგო კაკაბაძის ოჯახში, ეძნელებოდა განშორება, სულ ერთად ყოფნა უნდოდათ. ორივემ იგრძნო, რომ ვეღარასოდეს დაშორდებოდნენ ერთმანეთს.

ხალხი შეიკრიბა, წვეულება გაიმართა, ნადიმი, მხიარულება, შემდეგ ფანტი ითამაშეს ახალგაზრდებმა და ჰოი საკვირველებავ, ფანტში კოცნა ამოუვიდათ!

იმავე საღამოს გაკოცე! – უთხრა ერთხელ ხუმრობით მამამ. დედა, უკვე ასაკში შესული, გაწითლდა, ახლაც არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ეს შემთხვევით არ მოხდა.

პირველი შეხვედრისთანავე, პირველი ნახვისთანავე, მათ იგრძნეს ერთმანეთი. უცებ აფეთქდა მათში გრძნობა უძლიერესი და უღრმესი, რაც მთელი ცხოვრება გაჰყვათ.

შემდეგ წმინდა ნინოს სასწავლებელთან ხშირად მიდიოდა შეყვარებული ჭაბუკი, ხვდებოდა თავის რჩეულს, ესაუბრებოდა, სახლამდე მიაცილებდა, ხან ეტლში ჩასვამდა და გაისეირნებდნენ ქუთაისის შემოგარენში. განსაკუთრებით ბაგრატის ტაძართან გასეირნება უყვარდათ თურმე.

მამას ოჯახი ბათუმში ცხოვრობდა. იგი ბათუმს, თბილისსა და ქუთაისს შორის მოგზაურობდა, ყველგან მნიშვნელოვანი საქმეები ჰქონდა: ლიტერატურული ცხოვრება – თბილისში, ოჯახი – ბათუმში, სატრფო – ქუთაისში.

ერთხელ კარგა ხანს დააგვიანა სატრფოს მოკითხვა, გოგონა კი სულ მასზე ფიქრობდა, ღელავდა.

საქმე ის იყო, რომ პოლიკარპე ტიფით გახდა ავად, მეტად მძიმედ იყო, მამამისმა საღვთო გადაუხადა. ეს ლოცვის ფორმაა, რომელიც განსაკუთრებული ექსტაზით სრულდება.

მამაჩემი ყვებოდა ამ საღვთოს შესახებ, მამამისმა, მალხაზმა რომ გადაუხადა ვაჟიშვილს. ეს იყოო საოცარი რიტუალი: მუხლის ჩოქვით უვლიდა ირგვლივ ჩემს საწოლს და ხელებაპყრობილი შეჰღაღადებდა ღმერთს, წარმოსთქვამდა საოცარ ლოცვის და ვედრების სიტყვებს ისეთი სულიერი მღელვარებით, რწმენით და ენერგიით, რომლის მსგავსი არაფერი არასოდეს მინახავსო. გაჭრა მამის ვედრებამ – ავადმყოფმა მოიხედა, ლოცვამ განკურნა.

ხოლო მეორე დღეს პოლიკარპეს დიდი სიხარული ელოდა – მას წერილი მოუვიდა სატრფოსაგან. წერილი იწყებოდა ასეთი სიტყვებით: „სალამი მეგობარო!..“

„წერილი ბალიშის ქვეშ შევინახე და ძალიან ბედნიერი ვიყავიო... მაშინ უწამლოდ მოვრჩიო“, – იგონებდა მამაჩემი.

გავიდა დრო. მილამ, ფრიადოსანმა და საამაყო მოსწავლემ, დაამთავრა წმინდა ნინოს სასწავლებელი და თბილისში გამოე-

შურა უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად. სამედიცინო ფაკულტეტზე შეიტანა საბუთები, მაგრამ პოლიკარპემ ფილოლოგიურზე გადაატანინა, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე.

მილა თბილისში ცხოვრობდა უკვე, ლამის ნათესავებად ქცეულ ერმილე და მაროს ოჯახში, ვაკეში, სტუდქალაქის ტერიტორიაზე. იქ აკითხავდა პოლიკარპე. იგი თვითონ ცხოვრობდა ახლანდელ გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე. ახლაც დგას იქ ის სახლი, დიდი, თაღიანი შესასვლელით ეზოში (N10). აქ, მასთან ერთად, პოლიკარპეს მიერ დაქირავებულ ბინაში, იმ პერიოდში, 1919 წლის ბოლოდან 1921 წლის დასაწყისამდე, ცხოვრობდა გალაკტიონ ტაბიძე.

დედაჩემი ყვებოდა, ხშირად ერთად მოსულან ჩემთან ეტლით პოლიკარპე და გალაკტიონიო. იმ დროს პოლიკარპე უკვე სახელოვანი მწერალი იყო, რადგან მან უკვე 1919 წელს დააარსა და გამოსცა მეტად მნიშვნელოვანი სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი „მშვიდი მნათობი“.

* * *

„შვიდი მნათობი“ საბჭოთა პერიოდში, ფაქტობრივად, აკრძალულ ლიტერატურად ითვლებოდა, საჯარო ბიბლიოთეკაში იგი მხოლოდ დახურულ ფონდში იყო, ხოლო ჟურნალისტიკის ისტორიის ანალიზისას, სახელმძღვანელოებში მას საერთოდ არ ახსენებდნენ. მსჯელობა იყო ოცგვერდიან ჟურნალებზე და ოთხასგვერდიანი ჟურნალის არსებობას მალავდნენ (ორი ნომერი გამოვიდა ამ ჟურნალის).

ჟურნალის ყდაზე გამოსახული იყო დამოუკიდებელი საქართველოს გერბი წმინდა გიორგისთან ერთად და შვიდი მნათობი, რაც, მამაჩემის თქმით, განათლების, კულტურის და მეცნიერების სიმბოლო იყო. სწორედ ამიტომ დაარქვა პოლიკარპე კაკაბაძემ თავის ჟურნალს „შვიდი მნათობი“.

„შვიდ მნათობს“, მხატვრული ლიტერატურის განყოფილების გარდა, ჰქონდა მეტად საინტერესო სამეცნიერო, პოლიტიკური და კრიტიკული განყოფილებები. ამ კრიტიკულ განყოფილებაში იყო იმ პერიოდის როგორც ლიტერატურული ცხოვრების, ასევე

პოლიტიკური სიტუაციების მიმოხილვაც, რომლის ავტორი, უმეტესწილად, იყო თვითონ ჟურნალის დამაარსებელი და რედაქტორი პოლიკარპე კაკაბაძე. იგი სტატიებს ხელს აწერდა სხვადასხვა ფსევდონიმებით. ერთი მათგანი იყო „ლიკსუსი“.

ჟურნალში გაკრიტიკებული იყო ლენინისა და რევოლუციური რუსეთის პოლიტიკა, ალბათ, ესეც იყო მისი ჟურნალის აკრძალვის მიზეზი. იქ დაბეჭდილი პოლიტიკური ხასიათის სტატიები საბჭოთა ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო.

* * *

პოლიკარპე კაკაბაძის და მისი საცოლის ურთიერთობა თბილისში გრძელდებოდა სიყვარულის და ურთიერთგაგების ჰარმონიულ ატმოსფეროში, სანამ არ დადგა მშფოთვარე ოცდაერთი წლის თებერვალი.

ბოლშევიკები აწვებოდნენ თბილისს, წითელი გველეშაპი დანთქმით ემუქრებოდა საქართველოს. უნიათო ხელისუფლება, თვითონაც სოციალისტებისაგან შემდგარი და მერყევი, სათანადო ზომებს ვერ ღებულობდა და ისღა მოახერხა, რომ თავს უშველა გაქცევით.

თბილისის ირგვლივ უკვე ბრძოლები მიმდინარეობდა, დედაქალაქი პანიკამ მოიცვა, ხალხი ქალაქიდან გარბოდა.

პოლიკარპე კაკაბაძემ ხელი მოჰკიდა თავის ნაზ და სათნო საცოლეს, ჩასვა მატარებელში და მშობლიური ქალაქისაკენ, ქუთაისისაკენ გააქანა, ჩაიყვანა და ჩააბარა დედამისს. სასიდედრო მკვახედ შეხვდა სასიძოს, უთხრა, შენ ჩემი ქალიშვილი არ გამოგადგება, რა დროს მაგის გათხოვებაა, ჯერ სახლის საქმეც არ იცისო. სწორედ მაგისთანა მინდაო, – ღიმილით უთქვამს სასიძოს.

შეყვარებულები შეთანხმდნენ მომავლის გეგმებზე.

პოლიკარპე ბათუმისაკენ გაეშურა, რათა ოჯახისათვის მიეხედა და საქორწინოდ მომზადებულიყვნენ. იქიდან გამოაგზავნა თავისი ძმა, ჭიჭიკო, მილას წამოსაყვანად.

ჭიჭიკო კარზე მიადგა მიხაილოვების ოჯახს, მილა იკითხა, სარძლო შინ არ დახვდა. გამჭრიახი სონა მაშინვე მიხვდა, სასიძოს ძმა რისთვის მოვიდა: ძმა გამოაგზავნა, რადგან იცოდა, მას

ქალს რომ არ გავატანდიო, – გაიფიქრა, მაგრამ იგრძნო, რომ საქმეს ვეღარ დაშლიდა და ალბათ, არც ისე ცუდი სასიძო იყო, სონას თვალში, მდიდარი ხე-ტყის მრეწველის, მალხაზ კაკაბაძის ვაჟი.

მაგრამ სონა ყოველთვის იმადლებოდა, რომ მისი ქალიშვილი ასე გათხოვდა.

სონას თავისი მზეთუნახავი, ჭკვიანი და ფრიადოსანი ქალიშვილი არავისთვის ემეტებოდა, და მაინც, ქალის წასაყვანად მოსულ სასიძოს ძმას არ დაუმალა, სად იყო მილა და მისამართიც მისცა.

მილა დეიდამისთან, ვაროსთან იყო სტუმრად. იქ მიადგა საქმროს ძმა და დეიდის სახლიდან წაიყვანა სარძლო.

ჩასხდნენ მატარებელში. რევოლუცია იყო, ყველგან ბოლშევიკების რაზმები დათარეშობდნენ, ბრძოლები, რკინიგზაზე მოძრაობა არეული იყო. ასე რომ, მატარებელი, რომელშიაც ჩასხდნენ ბათუმში გასამგზავრებლად, რომელიღაც სადგურზე გაჩერდა გაურკვეველი დროით. ჭიჭიკო ჩავიდა სადგურზე ამბის გასაგებად. ამასობაში მატარებელი წავიდა, შეშფოთებული ჭიჭიკო მეორე მატარებელს გამოჰყვა და ამ მეორე მატარებელმა ჩაასწრო ბათუმში პირველს. ასე რომ, ხელცარიელი ჩავიდა ძმასთან, და ამ გულის ხეთქებაში რომ იყვნენ, მშვენიერი, გრძელნაწნავებიანი მილა მიადგა საქმროს სახლს. გაიმართა ქორწილი. უსაზღვრო ბედნიერებამ დაისადგურა მათ გულებში.

* * *

ასეთი იყო მამაჩემისა და დედაჩემის სიყვარულისა და ქორწინების ამბავი. 1921 წლის 7 მარტი იყო მათი დაქორწინების დღე.

შემდეგ, მათ ეყოლათ ოთხი შვილი, მოესწრნენ შვილიშვილებს, დიდხანს იცოცხლეს, ბევრი იღვაწეს და წავიდნენ ამქვეყნიდან ვალმოხდილნი.

მაგრამ როგორი იყო მათი ცხოვრება, ტანჯვა და სიხარული, მწუხარება და ბრძოლები? რა პირობებში იქმნებოდა ის გენიალური ნაწარმოებები, რომლებიც ასე ხიბლავენ ადამიანთა თაობებს?

მამას სხვა სასიყვარულო გატაცებანი

ის სიცილის მეფე იყო, კომედიის მეფე, მაგრამ ქალი მისთვის პოეზია იყო, მისი გრძნობები ქალისადმი იყო უაღრესად ფაქიზი, ამაღლებული, არაამქვეყნიური.

მამა ოცდარვა წლის იყო, როცა დედაჩემზე დაქორწინდა, ხოლო მანამდე რამდენიმე გატაცება ჰქონდა. ერთი მათგანი იყო ნატალი მიქაძე, ულამაზესი და უსათნოესი ქალი.

„იმდენად მიყვარდა, რომ არ წარმომედგინა, შევხებოდიო, – მითხრა ერთხელ, – თუმცა ვიცოდი, მასაც ვუყვარდი და ქორწინებაზე უარს არ მეტყოდაო. მაგრამ ისეთი ანგელოზური, ისეთი ფაქიზი იყო, ვერ წარმომედგინა მასთან სიახლოვეო. – უდიდესი პატივისცემით, თაყვანისცემით იგონებდა მამა ამ ქალს. – შემდეგ გათხოვდა კეთილშობილ ადამიანზე, წესიერი ოჯახი შექმნაო“, – დაუმატა.

მაგრამ ეს მოხდა, რამდენადაც ვიცი, მას შემდეგ, რაც მამაჩემი და დედაჩემი დაქორწინდნენ.

სიკვდილის წინ, რამდენიმე დღით ადრე, მამამ ეს ქალი სიზმარში ნახა. როცა ამ ამბავს მიამბობდა, მას სახე განათებული ჰქონდა რაღაც განსაკუთრებული, არაამქვეყნიური სხივით.

ამ ქალის შესახებ როცა ლაპარაკობდა, მამა მის სახელს არასოდეს წარმოთქვამდა. თუ ვკითხავდი, რა ერქვა-მეთქი, გაჩუმდებოდა და ოდნავ თავს გააქნევდა, მას ასე სჩვეოდა განსაკუთრებული მღელვარების დროს. მხოლოდ ერთხელ, ოდნავ გასაგონი ხმით წარმოსთქვა მისი სახელი – ნატალი.

სიზმარს რომ მიამბობდა, მითხრა: ისეთივე ახალგაზრდული გრძნობით და მგზნებარებით მიყვარდა სიზმარში, როგორც ოდესღაც ახალგაზრდობაშიო.

ეს ღირსეული ქალი იმხანად კარგა ხნის გარდაცვლილი იყო. ჩანს, ნატალის სული გამოეცხადა ახალგაზრდობის დროინდელ სულიერ მეგობარს, დიდ შემოქმედს, რომელიც მალე ამ ქვეყნიდან უნდა წასულიყო და რომლის შემეცნებაში ამ ქალმა წარუშლელი კვალი დატოვა.

ნატალი იყო დაი პოლიკარპე კაკაბაძის ერთ-ერთი მეგობრისა, რომელიც ახალგაზრდობის ასაკში დაიღუპა. რამდენადაც ვიცი,

დახვრიტეს ბოლშევიკებმა. ნატალი მეგობრობდა მამიდაჩემებთან, ნადიასთან და ლიდასთან. ნატალის და, მარუსია მიქაძე, აგრეთვე, მეტად ლამაზი ქალი იყო. იგი ერთხელ, 60-იან წლებში, ჩვენთან მოიყვანა სტუმრად მამას ახალგაზრდობის მეგობარმა ვალიკო გოგეშვილმა, რომელიც, ასევე, მეგობრობდა მიქაძეების ოჯახთან.

მარუსია მიქაძე არასოდეს გათხოვილა, თუმცა, თავის დროზე, მრავალი ახალგაზრდა კაცი იყო ამ ქალში უიმედოდ შეყვარებული. როცა მე ვნახე იგი, სამოცდაათს გადაცილებული გახლდათ, და გამაოცა ამ ქალის, თავისი ასაკისათვის შემონახულმა უჩვეულო სილამაზემ. თვალში საცემი იყო მისი იდეალური, უზადო სახის მოხაზულობა, პატარა თავი, ულამაზესი სახის ფორმები და ფერი, – თეთრი, ოდნავ მოვარდისფრო, უნაოჭო, ატლასივით ნაზი კანი. საშუალოზე ცოტა მეტი სიმაღლის იქნებოდა. ტანი სწორი, თხელი და კარგად აღნაგი. სარივით გამართული დადიოდა, ცოტა მკაცრი სახის გამომეტყველება ჰქონდა. ყველანაირად ჩანდა, რომ ეს ქალი, ოდესღაც, მრავალთა გულის დამატყვევებელი იქნებოდა.

ნატალი ცოცხალი აღარ იყო ამ დროს. იგი თავის დაზე კიდევ უფრო ლამაზი, უფრო ნაზი და სათუთი ქალბატონი უნდა ყოფილიყო, მაღალზნეობრივი და ღრმა გრძნობების ადამიანი, რომლის გული ერთხელ ძლიერად განცდილს ვერასოდეს დაივიწყებდა. სწორედ ამიტომ მოევლინა სიზმარში ნატალის სული სიკვდილის წინა დღეებში პოლიკარპე კაკაბაძეს. იქნებ იმიტომ, რომ სამარადისო სამყოფელში მიგებებოდა მის უკვდავ სულს.

პოლიკარპე კაკაბაძის პირველი გატაცება იყო ანეტა ქადეიშვილი. მაშინ ანეტა თვრამეტი წლის იყო, პოლიკარპე კაკაბაძე – თექვსმეტის. გატაცებაც, რა თქმა უნდა, შორით ტრფიალი იყო, პლატონური სიყვარული.

სილამაზით განთქმულ ანეტას მრავალი თაყვანისმცემელი ჰყავდა. პოლიკარპე კაკაბაძის სასიყვარული პოეზიის მუზა იყო ანეტა და ლექსებს უძღვნიდა ამ ქალს.

შემდგომ, ეს ახალგაზრდული გატაცება თანდათან გადაიზარდა ღრმა პატივისცემაში და მეგობრულ ურთიერთობაში.

* * *

ანეტა ცოლად გაჰყვა ცნობილ მსახიობს, აკაკი ვასაძეს, რომელთანაც ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდა პოლიკარპე კაკაბაძეს. სამაგალითო მეუღლე იყო ქალბატონი ანეტა და ამის გამო კიდევ უფრო მეტად აფასებდა მას პოლიკარპე კაკაბაძე.

აკაკიმ და ანეტამ დიდებული ოჯახი შექმნეს და მთელი ეს ოჯახი, როგორც ბატონი აკაკი, ასევე მისი ვაჟიშვილი, შვილიშვილი და შთამომავლობა, ყოველთვის ამაყობდა იმით, რომ ოდესღაც, ანეტა პოლიკარპე კაკაბაძის შთაგონების წყარო იყო.

როდესაც ქალბატონი ანეტა გარდაიცვალა, მე და მამა ერთად მივედით აკაკი ვასაძესთან სამძიმარზე. მამა და ბატონი აკაკი გადაეხვივნენ ერთმანეთს და მწარედ აქვითინდნენ: „შენც ხომ იცოდი ჩემი ანეტას ფასი, შენც ხომ გიყვარდა ჩემი ანეტა, ჩემი ერთგული მეგობარიო“, – შესტირა აკაკიმ.

ანეტას ხსოვნა პოეტის ახალგაზრდულმა გრძნობამ სამარადისოდ უკვდავყო ლექსებით. მაგრამ ეს ლექსები დაიკარგა, ისინი დაიწვა პოლიკარპე კაკაბაძის ახალგაზრდობის დროინდელ ხელნაწერებთან ერთად.

პოლიკარპე კაკაბაძე ყმაწვილობაში ლექსებს წერდა. მას ასეთი ჩვეულება ჰქონდა ყმაწვილობიდან: ის მთელი ღამე წერდა და კითხულობდა სანთლის შუქზე. საწოლთან ყოველთვის სკამი ედგა ან დაბალი მაგიდა, რომელზედაც ელაგა წიგნები და ხელნაწერები. მთელი ღამე მუშაობდა სანთლის შუქზე, ყმაწვილობიდან, გიმნაზიის პერიოდიდან ჰქონდა ეს თვისება, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე შერჩა. მახსოვს, მამა, როგორც წესი, მთელი ღამე მუშაობდა, ათენებდა მუშაობაში და მხოლოდ დილით ჩაიძინებდა.

ერთხელ, ახალგაზრდობისას, მუშაობაში, ღამით, ჩაეძინა, სანთელი ჩაიწვა, ხელნაწერებს ცეცხლი მოედო და მთელი მისი ყმაწვილობის დროინდელი ნაწერები დაიწვა. ეს უნდა მომხდარიყო დაახლოებით 1911 წელს. მაშინ თურმე მამამ ძალიან განიცადა ეს ამბავი, მაგრამ ამის შემდეგ, მალევე, იგი გადავიდა შემოქმედების ახალ ფორმაზე, დაიწყო დრამების წერა.

1912 წლით თარიღდება დრამა „გვირაბის სტუმრის“ ადრეული ვარიანტი. ამ პერიოდიდან პოლიკარპე კაკაბაძე დრამატუ-

რგიაში იწყებს მუშაობას: „მე უკვე აღარ ვნანობდი, ლექსები რომ დამეწვაო, – ამბობდა მამაჩემი, – რადგან მივხვდი, რომ სწორედ დრამატურგიაში უნდა მემუშავაო... მე მივაგენი ჩემს ნამდვილ მოწოდებას და წარსულზე აღარ ვდარდობდიო“.

მამა აღარ იხსენებდა ახალგაზრდობის, ყმაწვილობის დროინდელ ლექსებს და აღარ ცდილობდა მეხსიერებით აღედგინა ისინი.

* * *

იყო კიდევ ერთი ძლიერი და მეტად პოეტური გატაცება, რომელმაც განსაკუთრებული დაღი დააჩინა პოლიკარპე კაკაბაძის მგრძნობიარე სულს.

ეს იყო თავადის ქალი, ნელი წერეთელი. ამ გატაცებას პოლიკარპე კაკაბაძე ყოველთვის განსაკუთრებული აღფრთოვანებით იგონებდა. მამა ყვებოდა შემდეგს:

„თბილისიდან მატარებლით მივემგზავრებოდი ქუთაისში. რონოდაში საშინელი სივიწროვე იყო. კუპეებიანი რონოდის გასასვლელი ხალხით იყო გაჭედილი. ამ სივიწროვეში მე ვიდექი გასასვლელში, ფანჯარასთან. უეცრად, ჩემ წინ კუპეს კარი გაიღო და დავინახე ზემოთა თაროზე წამოწოლილი უცნაური სილამაზის ახალგაზრდა ქალი, შემომაშუქა ღრმად სევდიანი, საოცრად დიდი თვალები. მსგავსი სილამაზის თვალები არასოდეს მინახავს. ეს თვალები სრულიად განსხვავებული, არაამქვეყნიური, სულ სხვა, განსაკუთრებული შუქით ანათებდნენ. გამაოცა ამ გამოხედვამ და გაოგნებული შევვარდი პირდაპირ ამ კუპეში, თუმცა არავის მივუწვევივარ.

ქვემოთა თაროზე რამდენიმე მგზავრი იჯდა და მათ შორის ასაკოვანი, მეტად სიმპათიური, ჭაღარაშერეული მამაკაცი, ქალის ბიძა, როგორც შემდეგ გამოირკვა. მოვუბოდიშე შემოჭრისათვის, მათაც მიმიწვიეს და ადგილი მიმიჩინეს თავიანთ შორის. გაიბა საუბარი. ომის დრო იყო. ქალის ძმები, სამხედრო პირები, ომში დაეხოცათ, ოჯახი გლოვის ზარით იყო მოცული. მშვენიერ ნელის, ასე ერქვა ულამაზეს ასულს, ნერვიულობაზე ტუბერკულოზის მწვავე ფორმა განუვითარდა და ახლა მიემგზავრებოდა ბიძასთან ერთად თავის საგვარეულო მამულში. მთელი ღამე საუბარში გაილია. ძილზე აღარავის უფიქრია, არც მშვენიერ ნელის.

მე ნელისაკენ ხანდახან ჩუმად შევაპარებდი თვალს, რომ არ ეგრძნოთ ჩემი გულისნადები და ამით შეურაცხყოფა არ მიმეყენებინა ღირსეული და დამწუხრებული ოჯახისათვის.

ნელის თვალები მთელი ღამე ანათებდნენ უცნაური შუქით და გულში მწვდებოდნენ. იგი ჩუმად თვალს გვადევნებდა და ყურადღებით გვისმენდა, თუმცა ჩვენს საუბარშიც ერეოდა ხანდახან.

დილით მატარებელი დანიშნულების ადგილას ჩავიდა. გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს გულითადი გრძნობით. ამ უცნაური შეხვედრის შემდეგ აღარასოდეს მინახავს ნელი. ორიოდე თვის მერე გავიგე, რომ ნელი გარდაცვლილიყო. საშინლად განვიცადე, წავედი, მოვნახე ბიძამისი და მივუსამძიმრე. გაეხარდა ჩემი ნახვა და თანაგრძნობა.“

ასეთი იყო პოლიკარპე კაკაბაძის მონათხრობი ერთ უმშვენიერეს, სევდიან ასულზე, რომელმაც წამიერად გაიელვა მის ცხოვრებაში, მაგრამ წარუშლელი კვალი დატოვა.

ამ მწუხარე ანგელოზის სადარი ასულის ხატება, მისი სევდიანი თვალების ელვა სამუდამოდ დარჩა პოეტის სულში.

დარწმუნებული ვარ, რომ პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედების, მისი დრამებისა და ტრაგედიების გმირი ქალების, ღვთაებრივი, ანგელოზური სულის, მშვენიერი ასულების სახეები, გარკვეულწილად, ნასაზრდოებია იმ გრძნობებით, პოეტმა რომ განიცადა ნელი წერეთლის, ნატალი მიქაძის და მსგავსი ასულების სახეების შთაგონებით.

ვფიქრობ, პოლიკარპე კაკაბაძის ადრეული დრამის, „გვირაბის სტუმრის“ (1912 წ., შემდგომში „ბაგრატ მეშვიდე, კირიონი და ქეთევანი“ (1912-1968 წწ.)) პერსონაჟის, სნეული და ტრაგიკული ახალგაზრდა ქალის, ქეთევანის სახე, ერთგვარად, ნასაზრდოებია ნელი წერეთლის ხატებითაც.

სხვა გატაცებანი

ჯორჯ ბაირონი, ედგარ პო, დანტე

„ტირზასადმი“

როგორც უკვე ვთქვით, პოლიკარპე კაკაბაძის ყმაწვილობის დროინდელი ლექსები განადგურდა, საბედისწეროდ გაჩენილმა ხანძარმა ისინი იმსხვერპლა. შემდგომში პოლიკარპე კაკაბაძე მათ აღარც იხსენებდა. იგი თვლიდა, რომ მისი შემოქმედება დრამატურგიის გზით უნდა განვითარებულიყო.

მაგრამ რამდენიმე ლექსი მაინც აღსდგა, თითქოს ფერფლიდან. მათ შორისაა პოლიკარპე კაკაბაძის მიერ თარგმნილი ჯორჯ ბაირონის ლექსი ციკლიდან „ტირზასადმი“. მამას უყვარდა ეს ლექსი და ხანდახან წარმოთქვამდა მას ზეპირად. ჩვენ ჩავიწერეთ ეს ზეპირად ნათქვამი ლექსი. მისი სათაური იყო „ბაირონით“. დედანში და რუსულ თარგმანში, რომელსაც პოლიკარპე კაკაბაძე ეყრდნობოდა, ლექსი უსათაუროა.

ბაირონით

გარდაიცვალა გულდამწყვეტი ჰასაკში ისა,
აქ სამარეზე თხელი ლოდი არ დაიდება,
სურნელოვანი ნაზი ბუჩქი გაზაფხულისა
ყელმოღერებულ ყვავილებად გადაიშლება.
აქ სიჩუმეში კვიპაროსი აშრიალდება...
აქ სევდა მოვა თავდახრილი
და მიილულებს რა ამ ცისფერ ნაკადის პირად
სავსე ოცნებას მიეცემა ათრთოლებული
და ჩამოივლის ფეხაკრეფით იდუმალ, წყნარად
და თავის ფიქრში მოკრძალებით ჩაიძირება.
კმარა! ჩვენ ვიცით, ამაოა ცრემლების ფრქვევა,
სიკვდილს უგრძნობელს აღარ ესმის ჩვენი ტირილი,
მაგრამ მით განა გული ნაღველს გადაეჩვევა,

ან მოთმინებას შეისწავლის შეშფოთებული?
შენ მეუბნები – თავი მივცე დავიწყებასა,
მაგრამ თვითონ კი ვერ იკავებ ცრემლთა ზღვევასა,
როგორ გაფითრდი და მიყურებ გაშეშებული!

ვფიქრობ, ბაირონის ეს ერთ-ერთი შედევრი ლექსების ციკლიდან „ტირზასადმი“, პოლიკარპე კაკაბაძემ რომ ააჟღერა ქართულად, შთაგონებული იყო იმ განცდებით, ნელი წერეთლის გარდაცვალებამ რომ დააჩინა პოეტის მგრძნობიარე გულს.

ამ ლექსის თარგმანით პოეტმა გამოხატა ის გრძნობები და ტკივილი, ნელი წერეთლის ტრაგიკულმა ბედმა რომ განაცდევინა.

* * *

ახალგაზრდობაში პოლიკარპე კაკაბაძე გატაცებული იყო ჯორჯ ბაირონით და ბევრი მისი ლექსი ზეპირად იცოდა.

სიკვდილის წინა დღეებში მითხრა: მომიტანე ბაირონის ტომები და ჩემს მაგიდაზე დააწყვეო. მას საწოლთან დაბალი მაგიდები ედგა, ორი მაგიდა, რომლებზედაც სამუშაო ჰქონდა გაშლილი, ეწყო ხელნაწერები და განსაკუთრებით საყვარელი წიგნები, რომელთაც დროდადრო კითხულობდა მუშაობის პროცესშიაც. ასეთ წიგნთა შორის იყო ბიბლია, რომელსაც იგი აუცილებლად კითხულობდა ყოველ დამე. განსაკუთრებით უყვარდა იოანეს სახარება. ძველი აღთქმის წიგნებიდან ხშირად კითხულობდა ესაიას და იერემიას. ვფიქრობთ, ამ წიგნებში აღწერილი დამონებული სამშობლო და მძიმე დრო ჩვენს თანამედროვეობას მოაგონებდა.

სხვა წიგნებიდან მამას მაგიდაზე ყოველთვის ეწყო „ქართლის ცხოვრება“, დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, გოეთეს „ფაუსტი“, „ვეფხისტყაოსანი“. შექსპირი და ანტიკური ტრაგედიები ხან ეწყო მაგიდაზე, ხანაც უახლოეს წიგნის კარადაში ელაგა, რადგან ყველა საყვარელი წიგნი ერთდროულად ვერ მოთავსდებოდა ორ მაგიდაზე. აქვე ეწყო ქრისტეს ცხოვრების შესახებ ცნობილ თეოსოფთა გამოკვლევები, ისტორიული ხასიათის წიგნები და სხვა.

საკვირველია, მაგრამ არასოდეს მინახავს მამაჩემის მაგიდაზე მოლიერის ტომი, თუმცა ეს მწერალი მას ძლიერ უყვარდა. მის

ხსენებაზე თვალები ყოველთვის განსაკუთრებით გაუნათდებოდა და სასიამოვნო ღიმილი გადაჰკრავდა ხოლმე პირისახეზე.

ახლა, სიკვდილის წინ, მას ხელახლა მოენატრა ბაირონი.

მე ავიღე ბაირონის სამტომეული, ბროკჰაუზ-ეფრონის გამოცემა 1905 წლისა, სწორედ ეს იყო მისი საყვარელი გამოცემა, და დავუწყვე მამას მაგიდაზე. მოეფერა ხელით, გადაშალა და ცოტა გადახედა.

მისი ახალგაზრდობის დროინდელი, განსაკუთრებული სიყვარული ამ მწერლებისადმი თითქოს უბრუნდებოდა ახლა, როცა ცხოვრება ერთიანდებოდა წარსულით და აწმყოთი და მარადისობაში გადადიოდა...

იგი თვითონ გადადიოდა მარადისობაში და თან მიჰქონდა ყველა განცდილი სიყვარული.

ბაირონი მისი სიყვარული იყო, ახალგაზრდული სიყვარული, რომელიც სიკვდილის წინ კვლავ მოენატრა.

* * *

სიკვდილის წინა დღეებში იგი იხსენებდა ედგარ პოს „ყორანს“, ზეპირად ამბობდა ადგილებს გრძნობით.

„ყორანი“ პოლიკარპე კაკაბაძის საყვარელი ლექსი იყო და ხშირად უყვარდა მისი ციტირება, რომანტიზმის ერთ უმშვენიერეს მწერვალად მიაჩნდა იგი.

სიკვდილის წინ მას მოენატრა ისევ „ყორანი“...

ედგარ პო დაიბადა 1809 წელს, ხოლო ბაირონი 1809 წელს წავიდა თავის პირველ მოგზაურობაში და დაბრუნდა იქიდან გენიალურ პოეტად, და მან შეძრა მსოფლიო თავისი სევდით.

1812 წლის 10 მარტს, როცა გამოვიდა „ჩაილდ ჰაროლდის“ პირველი სიმღერა, მისი ავტორი ერთ დღეში იქცა ადამიანთა გულთა მპყრობელად, კაცობრიობის უდიდეს პოეტად, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა...

ჯორჯ ბაირონი გარდაიცვალა 36 წლის ასაკში, ტრაგიკულად, საბერძნეთის ცის ქვეშ, სამშობლოდან გაძევებული. ედგარ პომ 36 წლის ასაკში, 1845 წელს, დაწერა „ყორანი“ და ამის შემდეგ იცოცხლა ოთხი ტანჯული წელი.

„ყორანი“ დაიბეჭდა 1845 წლის 29 იანვარს.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა 1842 წელს, 25 წლის ასაკში, დაწერა „მერანი“ და სამი წლის შემდეგ, 1845 წელს, დატოვა სიცოცხლე გადახვეწილმა სამშობლოდან. სწორედ ამ წელს დაიწერა „ყორანი“.

„მერანი“ დაიწერა „ყორანის“ შექმნიდან სამი წლით ადრე, მაგრამ იგი დაიბეჭდა მხოლოდ 1860 წელს, მანამდე ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა.

მაგრამ ამ ქმნილებებზე უფრო ადრე, 1816-1817 წლებში, შეიქმნა ბაირონის ცნობილი დრამატული პოემა „მანფრედი“, რომელიც 1817 წლის 16 ივნისს ცალკე წიგნად გამოვიდა.

ჩვენი გამოკვლევით, „მერანი“ ნათესაობას ამჟღავნებს „მანფრედთან“. ეს საკითხი ჩვენ წამოვჭერით, შემდეგ სხვებმაც გაიმეორეს (იხ. მანანა კაკაბაძე. რომანტიზმის გმირის საკითხი და ნიკოლოზ ბარათაშვილი. ჟურნ. „მნათობი“, 1965, N9; გვ. 106-109; კრებ. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, 1968 წ.).

სიკვდილის გარდუვალობა, სიკვდილის ტრაგედია და მისადმი პროტესტი ანათესავებდა ამ სამ დიდებულ ქმნილებას, სამ შედევრს მსოფლიო ლიტერატურისა, რომელიც რომანტიზმის ეპოქამ შექმნა.

„მანფრედი“, „მერანი“, „ყორანი“ – ეს სამი გენიალური ნაწარმოები იმ მოვლენათა უმნიშვნელოვანეს რიგს განეკუთვნება, რომლებიც რომანტიზმის ეპოქაში შეიქმნა.

ბაირონი, ბარათაშვილი, ედგარ პო – ძლიერი პოეტური სულებით ხვდებიან ერთმანეთს ეპოქებში. XIX საუკუნე – ეს მათი საუკუნეა, რომანტიზმის ეპოქაა.

საპირისპიროა მეოცე საუკუნე.

მეოცე საუკუნის დასაწყისში პოლიკარპე კაკაბაძე ქმნის ლირიკულ დრამებს, რომელთა მწერვალია „სამი ასული“ (1918 წ.) ეს მეცხრამეტე საუკუნის პოეტური სულის გადმოსვლაა მეოცე საუკუნის დასაწყისის ლიტერატურაში, რომელიც მთელ ევროპას მოედო და გადმოვიდა საქართველოშიც, ახალი მიმართულების, სიმბოლიზმის სახით.

ეს მიმართულება, თუმცა რომანტიზმით იკვებება, მაგრამ ახალი, მტკივნეული ეპოქის დაღი ატყვია. ამ მიმართულების ბრწყინვალე ნიმუშია საქართველოში „სამი ასული“.

მაგრამ მეოცე საუკუნის რეალობამ მალე შეცვალა რომანტიკული განწყობილებები ლიტერატურაში.

მეოცე საუკუნე რევოლუციების მკაცრი ხანაა. იგი საპირისპიროა რომანტიზმის ეპოქისა. იგი უღმერთობის ხანაა. მეოცე საუკუნე ყვარყვარიზმის ეპოქაა.

ახალმა რეალობამ მოიტანა ახალი თემები ლიტერატურაში.

ამ საუკუნეში საქართველოში დაიწერა „ყვარყვარე თუთაბერი“ და გამოხატა მთელი ეპოქა, საპირისპირო რომანტიზმისა. მან გამოხატა ახალი რეალობა რევოლუციებით მოტანილი სინამდვილისა.

მან გვიჩვენა ეპოქის ტკივილები კომედიის სახით.

„ყვარყვარიზმი“ გამეფდა უღმერთობით შეძრულ მეოცე საუკუნეში, რომანტიზმი გაჰყვა მეცხრამეტე საუკუნეს.

„ყვარყვარე თუთაბერი“ სხვა საუკუნეა, სხვა ეპოქაა. იგი საპირისპიროა XIX საუკუნის დიდი, რომანტიკული ვნებებისა. იგი მეოცე საუკუნის რევოლუციების გამათრახებაა, მათი ნიღბის ჩამოხსნა და მხილებაა.

„ყვარყვარე თუთაბერი“ უღმერთობის, ცინიზმის და რევოლუციების, ცრუ გმირების წარმომჩენი ნაწარმოებია.

ყვარყვარე ცრუ გმირია, დანახული და აღმოჩენილი გენიოსის თვალით.

მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეში საკაცობრიო ლიტერატურამ აამეტყველა ადამიანური ბუნების ორი მხარე – რომანტიზმის ეპოქაში მან შექმნა დიდი, უმომხიბლავესი, ღვთაებრივი ძალის ქმნილებები, რომელთა შორის არის „მანფრედი“, „მერანი“, „ყორანი“.

ხოლო მეოცე საუკუნეში საქართველოში შეიქმნა XIX საუკუნის საპირისპირო განწყობათა გამომხატველი ნაწარმოები, უკვდავი „ყვარყვარე თუთაბერი“.

საკაცობრიო თემები და ტკივილები ქართულმა ლიტერატურამ სრულად გამოხატა XIX საუკუნეში ბარათაშვილის „მერა-

ნის“ სახით და XX საუკუნეში უკვდავი, საკაცობრიო მნიშვნელობის ქმნილებით, კომედიით „ყვარყვარე თუთაბერი“.

შემდგომში, გასული საუკუნის 90-იან წლებში, ცნობილი თეატრმცოდნე ბორის პაიუროვსკი აღფრთოვანებით იტყვის: „ტარტიუფი – ქართულად ყვარყვარეა“. ეს სტატია დაიბეჭდა რუსეთის მთავარ გაზეთ „იზვესტიაში“ (იხ. Б. Паюровский – «Тартюф по-грузински – Кваркваре». газ. «Известия», №13, 16.01.1991). მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწარმოებს სულ უბრუნდებოდნენ, მისი ეშინოდათ, როგორც მხილებისა საბჭოური ეპოქის წინააღმდეგ, მაგრამ ჭეშმარიტებას ყოველთვის ვერ დამალავ.

პოლიკარპე კაკაბაძემ 1928 წელს, 35 წლის ასაკში დაწერა „ყვარყვარე თუთაბერი“. მან დიდხანს იცოცხლა კაცობრიობის უსასტიკეს, უმძიმეს ეპოქაში, შექმნა მრავალი ნაწარმოები, მაგრამ ჯავრად წაჰყვა, რომ ვერ დაასრულა, ხელისშემშლელ გარემოებათა გამო, ტრაგედია ვახტანგ გორგასალზე. ეს იყო მისი უმძიმესი სულიერი ტკივილი.

დიდი ადამიანები განსაკუთრებული ტკივილით და ტანჯვით მიდიან ამქვეყნიდან. რამდენადაც დიდია მათი სიყვარული კაცობრიობისადმი, იმდენად ძლიერია მათი ტანჯვა და სიმძიმილი.

ამ ტანჯვით ისინი აღემატებიან ყველა ადამიანს და ამ ტანჯვითვე მოიპოვებენ ადამიანთა სულებში უდიდესი სიყვარულის განცდას და თანაგრძნობას. ამ სიყვარულით იწმინდება ადამიანთა სულები და ისინი უახლოვდებიან ღმერთს.

პოლიკარპე კაკაბაძე ქართულ მწერლობაში ყველაზე ახლო ნათესაობას გრძნობდა ბარათაშვილთან. რუსთაველის შემდეგ ყველა ქართველ პოეტზე მაღლა აყენებდა მას. რუსთაველი მიუღწეველ სიმაღლედ მიაჩნდა, თითქმის ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“ და მის ციტირებას ხშირად ახდენდა საუბრის დროსაც.

წამღერებით ამბობდა ხოლმე ადგილებს „ვეფხისტყაოსნიდან“, როცა ფიქრებში წასული ბოლთას სცემდა, განსაკუთრებით, როცა სეირნობდა.

მაგრამ პოლიკარპე კაკაბაძის გულითადი სიყვარული იყო ბარათაშვილი: „ასეთი პოეტი იბადება ათას წელიწადში ერთხელ,

საუკუნეში არ იბადება, არც ორ საუკუნეში“, – თქვა მან ერთ-ერთი ინტერვიუს დროს (იხ. თ. კობალაძე. „ჩემი პირველი მასწავლებელი ხალხი იყო...“ ჟურნ. „კრიტიკა“, 1975, N3, გვ. 121).

მამა ხშირად წაიმღერებდა ხოლმე ბარათაშვილის სტრიქონებს:

„შევიშრობ ცრემლსა, ჭირთ მანელებელს,
გულსა დავიწვავ დასანაცრებელს,
და მისსა ფერფლსა, ვითა საკმეველს,
შევსწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს!“

მამას განსაკუთრებით უყვარდა ლექსები: „არ უკიჟონო, სატრფოო“, „ჩემი ლოცვა“, „მერანი“, „ვპოვე ტაძარი“, რომელსაც მიწერილი აქვს მის ნაქონ ბარათაშვილის ლექსთა ეგზემპლარში – „ბეატრიჩე“.

ბეატრიჩე და დანტე პოლიკარპე კაკაბაძისათვის ღვთიური სახელები იყო. მისი სასიყვარული გატაცებებიც მეტად მაგონებენ იმ იდეალურ სიყვარულს, ბარათაშვილის სტრიქონებიდან რომ შეიგრძნობა და უახლოვდება იმ იდეალს, დანტემ რომ წარმოსახა ბეატრიჩეს სახით.

პოლიკარპე კაკაბაძის იდეალი იყო ბეატრიჩე. მას უყვარდა ეს სახე ყველაზე მეტად, მიაჩნდა იგი სიყვარულის ეტალონად, რომლისკენაც მიილტვის გენიოსთა მიერ შექმნილი ყველაზე სრულყოფილ ქალთა სახეები, მაგრამ მის სიმაღლეს ვერავინ აღწევს. დანტეს თავისი „ღვთაებრივი კომედია“ კაცობრიობის მიერ შექმნილ სიყვარულის წიგნთა მწერვალად მიაჩნდა.

მას უყვარდა ეს წიგნი სულის მთელი გზნებით და ჰპოვებდა იქ ყველაზე მეტ ნავთსაყუდარს თავისი სულისათვის, ბიბლიის შემდეგ.

ბიბლია, წიგნთა წიგნი, პოლიკარპე კაკაბაძეს უყვარდა ყველა წიგნზე მეტად ამქვეყნად და მთელი მისი შემოქმედება შთაგონებული იყო იმ იდეებით და იმ სიბრძნით, რომელსაც ეს წიგნი გვთავაზობს.

ქრისტიანული სულითაა განათებული არა მარტო პოლიკარპე კაკაბაძის დრამები და ტრაგედიები, არამედ, არანაკლებ, მისი

კომედიებიც. ის მორალი და ეთიკა, რომელსაც გვთავაზობს ბიბ-ლია, წარმართავდა პოლიკარპე კაკაბაძის ხატოვან აზროვნებას მთელი ცხოვრების მანძილზე.

„ყვარყვარე თუთაბერის“, „კახაბერის ხმლის“ და სხვა მის შე-დევრთა პოეტური მეტყველება მეტად ახლოა ბიბლიის ენასთან, ახალი აღთქმის სტილთან, მის ზნეობრივ კრედოსთან. აქ ყოველი სიტყვა მხოლოდ სიმართლისათვის არის მოწოდებული. სწორედ ამიტომ არიან პოლიკარპე კაკაბაძის ტიპები უკვდავნი. ისინი ქა-დაგებენ უმაღლეს, ღვთაებრივ მორალს სახეობრივი აზროვნების გზით.

პოლიკარპე კაკაბაძის კომედიის პერსონაჟები წარმოსახავენ, როგორი არის და როგორი არ უნდა იყოს ადამიანი, განსაკუთრე-ბით, როცა ძალა-უფლებას მოიხვეჭს დაუმსახურებლად.

მისი საყრდენი მუშაობისას ყოველთვის იყო ბიბლია, რომელ-საც იგი ყოველდღე და ყოველღამე კითხულობდა, და მეათასეჯერ უბრუნდებოდა, და იქ მუდამ, ისევ და ისევ, ჰპოვებდა ახალ სიღ-რმეებს, სულიერ პურს, რომელიც მას ანიჭებდა მხნეობას და ძა-ლას ბრძოლისათვის და შემოქმედებითი შემართებისათვის.

ის ღმერთთან იყო და ღვთის სამყაროში, როცა ქმნიდა თავის ტრაგედიებს წმინდან მეფეებზე, ანდა კომედიებს, ადამიანთა შეც-დომების ჩვენებით.

იგი იყო სული, ღვთიური ცეცხლით განათებული შემოქმე-დებითი წვის დროს, და მხოლოდ ღვთიური მორალით სჯიდა ადამიანთა უარყოფით თუ დადებით მხარეებს.

ეს ღვთაებრივი მორალი იყო მისი მარადიული საყრდენი ადა-მიანის ქმედებათა შეფასების დროს.

იგი იყო ქრისტეს რაინდი, იგი იბრძოდა ღვთაებრივი სიმა-რთლის დასამკვიდრებლად თავისი შემოქმედებით, და ეწირებო-და ამ ბრძოლას.

* * *

ქალი მისთვის წმინდა ტაძარი იყო.

პოლიკარპე კაკაბაძეს ჰქონდა განსაკუთრებული დამოკიდე-ბულება მშვენიერი ქალბატონების მიმართ. ის მათში ხედავდა

ყველაზე უსათუთეს, უწმინდეს სულიერ თვისებებს, რაც მათ სილამაზეს ჰარმონიულად შეერწყმოდა. იგი არ ეძებდა მშვენიერ არსებაში უარყოფითს, მიწიერს, ან დაკნინებულ თვისებებს.

ასე უცქეროდა იგი არა მხოლოდ იმ მშვენიერ ასულებს, რომლებიც მისი ტრფიალების საგანნი იყვნენ, არამედ, ზოგადად, ლამაზ ქალს. სილამაზე, მშვენიერება – ციურ ნიჭად, უდიდეს ღირსებად და ღვთის საჩუქრად მიაჩნდა ქალისათვის.

მახსოვს მისი დამოკიდებულება თბილისის ულამაზესი ქალბატონებისადმი, ნატო ვაჩნაძისადმი, მედეა ჯაფარიძისადმი, მედეა კუჭუხიძისადმი და სხვათადმი. იგი მათში ხედავდა სულიერი მშვენიერებით აღსავსე ადამიანებს, ღვთისგან შექმნილ საოცრებებს და ყოვლად უბიწოდ უყვარდა ეს ადამიანები. ეს ქალბატონებიც გრძნობდნენ მასში მხოლოდ ღირსეულ დამფასებელს და მეგობარს.

პოლიკარპე კაკაბაძეს ყოველთვის შეეძლო ულამაზესი ქალბატონების გულის მოჯადოება. მრავალი მომხიბლავი მზეთუნახავი, ალბათ, მისი გრძნობის მონაწილე გახდებოდა, რადგან ქალს განსაკუთრებით ატყვევებს მამაკაცში ნიჭიერება. მაგრამ მისი სული სწორედ უბიწოების თაყვანებას მოითხოვდა და არა ხორციელ სიახლოვეს. მშვენიერი ქალი მისთვის ტაძარი იყო.

ასეთი იყო მისი დამოკიდებულება ქალისადმი.

პოლიკარპე კაკაბაძე იყო ის იშვიათი პიროვნება, რომელიც ქორწინების სიწმინდეს ინახავდა, როგორც ღვთიურ აღთქმას.

შეიძლება ითქვას, რომ მისთვის ოჯახი, მეუღლე იყო, როგორც წმინდა ტაძარი. ქრისტეს სიტყვები ცოლქმრულ ურთიერთობაზე, რომ მეუღლეები უნდა იყვნენ ერთმანეთისათვის როგორც ტაძარი, სრულად ხორციელდებოდა პოლიკარპე კაკაბაძის შემეცნებაში და, ასევე, მის ცხოვრებაში.

იგი იყო კაცი, რომელსაც არასოდეს შეუბღალავს ქორწინების სარეცელი.

ქალი მისთვის სილამაზე იყო.

ულამაზო ქალები არ მოსწონდა.

სილამაზესთან ერთად ქალში ხიბლავდა გულწრფელობა, სათნოება. ეშმაკობა და ინტრიგებისადმი მიდრეკილება არ მოსწონდა ქალში და არ პატიობდა ამ თვისებებს ლამაზ ქალსაც კი.

ერთადერთი შემთხვევა მახსოვს, რომ ლამაზ ქალზე, თბილისის ერთ-ერთ აღიარებულ ლამაზმანზე, უსიამოვნო გრძნობით თქვა: „ეშმაკია, ეშმაკი ქალია!“ ეს ქალი ჩემს მშობლებზე ბევრად ახალგაზრდა იყო, სხვა თაობა და არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდა მას ჩვენს ოჯახთან. არც კი ვიცოდი, მამა თუ ამჩნევდა ამ ქალს. გამიკვირდა, ვუთხარი: მამა, ის ხომ ძალიან ლამაზია! – არც ისე ლამაზია! – თქვა ისევ არაკეთილგანწყობილი კილოთი. – ეშმაკია!

არ მოსწონდა ულამაზო და ეშმაკი ქალები.

ერთხელ ვუთხარი: მამა, ულამაზო ქალებსაც ხომ აქვთ გრძნობები, შენ ისინი არ მოგწონს, მათაც ხომ შეიძლება უყვარდეთ, მათაც ხომ გააჩნიათ გრძნობა?!.

ცოტა შეიშმუშნა, შეყოყმანდა და მიპასუხა: კი, შეიძლება, მაგრამ ისინი ეშმაკები არიან, ისინი გულწრფელები არ არიან არც გრძნობებში, არც გრძნობების გამოხატვაში, არც დამოკიდებულებაში ადამიანისადმი.

დედაჩემი ამბობდა, ულამაზო ქალები არ მოსწონს მამაშენსო.

სილამაზე, გულწრფელობა და სათნოება იყო ის თვისებები, პოლიკარპე კაკაბაძეს რომ ხიბლავდა ქალში და ეთაყვანებოდა მათ მთელი გულით და მთელი არსებით.

სილამაზე – სულიერი და ხორციელი ერთიანდებოდა მისთვის მშვენიერ ქალში და ქმნიდა იმ სრულყოფილებას, რომელიც ადამიანს აახლოებს ზეციურ არსებებთან, ანგელოზებთან.

ასეთი იყო მისი დამოკიდებულება ქალისადმი და ასეთი ქალები წარმოსახა მან თავის დრამებში და ტრაგედიებში.

მსოფლიო ლიტერატურაში იდეალური სატრფო ყოველთვის ლამაზია, ყველაზე მშვენიერია. ულამაზო ქალის სიყვარული არაა პოეტთა ქების საგანი და შთაგონების წყარო.

პოლიკარპე კაკაბაძისათვის ქალი პოეზია იყო.

დედაჩემი და მისი ოჯახი

ვინ იყო მილა მიხაილიდი, ასე რომ დაიპყრო პოლიკარპე კაკაბაძის გული? რა წრიდან იყო ეს ქალი, მისი ცხოვრების მეგზურად რომ იქცა?

დედაჩემი, მილა (ლუდმილა) მიხაილიდი ბერძნული წარმოშობის ქართველი იყო. ისინი მიხაილოვებად იწერებოდნენ. გვარების რუსული დაბოლოებით შეცვლა სახელმწიფოს რუსიფიკატორული პოლიტიკის ნაწილი იყო.

დედაჩემი მეოთხე დგმა იყო საბერძნეთიდან გადმოსული შეძლებული, კეთილშობილი და პატიოსანი ბერძენი მოქალაქისა, ფილიპე მიხაილიდისა, რომელიც საქართველოში დაქორწინდა ულამაზეს აზნაურის ქალზე, ციცინო ლორთქიფანიძეზე და, საბოლოოდ, საქართველში დარჩა საცხოვრებლად.

ფილიპეს ვაჟი, ნესტორი და მისი მეუღლე, სოფიო იყვნენ ბაბუა და ბებია მილასი.

ნესტორი და მისი უფროსი ვაჟი, ნიკოლოზი, მილას მამა – იმხანად საქართველოში ახლად გახსნილი რკინიგზის მუშაკები იყვნენ, საუკეთესო მემანქანეები და თავის საზოგადოებაში პატივცემული და დაფასებული ადამიანები.

მილას დედა – სონა (სალომე), ნებიერიძის ქალი იყო, დაბა სურამიდან. იგი მღვდლის ქალიშვილი გახლდათ, გამრჯე, ჭკვიანი და ნებისყოფიანი ქალი, მეზობელ-ნათესავებში გაჭირვების ტალკვესი და საიმედო საყრდენი.

ნესტორ მიხაილიდს სამი ვაჟი ჰყავდა და ერთი ქალი. უფროსი – ნიკოლოზი, მილას მამა იყო, მეორე ვაჟი – ივანე, სამხედრო პირი იყო, ხოლო მესამე – საშა (ალექსანდრე), უცხოეთში, გერმანიასა და ტარტუს უნივერსიტეტებში განათლებამიღებული, საფეიქრო მრეწველობის საუკეთესო სპეციალისტი და თავის საქმეში დაწინაურებული ადამიანი იყო, და ამავე დროს, კეთილშობილი, ტკბილადმოუბარი და მეტად სათნო პიროვნება გახლდათ.

საშა ბიძია მე კარგად მახსოვს თავის მშვენიერ ოჯახთან ერთად. მეუღლე და ორი ლამაზი ქალიშვილი ჰყავდა, რომლებიც

უმემკვიდროდ გადავიდნენ ამ სოფლიდან. მემკვიდრე არ დარჩათ არც ივანეს და არც ნესტორის ასულს, მანიას.

ნიკოლოზის შვილები კი გამრავლდნენ და დღესაც ცხოვრობენ საქართველოშიაც, რუსეთშიაც და უცხოეთშიაც.

ნიკოლოზს და სალომეს (სონას) ოთხი შვილი ჰყავდათ, სამი ვაჟი და ერთი ქალი (ისევე, როგორც ნესტორ მიხაილიდს). მილა დედ-მამის შვილებში უფროსი იყო.

ოჯახი ქუთაისში ცხოვრობდა, ნესტორ მიხაილიდის აშენებულ მყუდრო სახლში, უბანში, რომელსაც დღემდე საღორიას უწოდებენ. ოდესღაც იქ გაუვალი ტყეები ყოფილა, სადაც იმერეთის მეფეები სანადიროდ დადიოდნენ. ამ ქუჩას საბჭოთა პერიოდში ძერჟინსკის ქუჩა ერქვა, ახლა კი, ვგონებ, ცნობილი მათემატიკოსის, ვიქტორ კუპრაძის სახელს ატარებს. ბატონი ვიქტორი ამავე ქუჩაზე ცხოვრობდა და დედაჩემის ძმის, მიხეილის თანაკლასელი და უახლოესი მეგობარი იყო.

ნიკოლოზი და სალომე შვილებს გიმნაზიებში ზრდიდნენ. ბავშვები კარგად სწავლობდნენ, სანაქებო მოწაფეები იყვნენ და მშობლები ოცნებობდნენ, უცხოეთის უმაღლესებში გავზრდითო შვილებს, სანაქებო მოქალაქეებადო. მაგრამ რევოლუციამ მათი გეგმები ჩაშალა და მათ ოცნებებს სამუდამოდ შეაკვეცა ფრთები. სამი ვაჟიდან ერთი, მიხეილი, 1927 წელს ციმბირში გადაასახლეს და მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ დაბრუნდა. მეორე – სერგი (სერიოჟა) ოცდაჩვიდმეტი წლის რეპრესიების დროს დახვრიტეს, ხოლო მესამე, იმედის მომცემი ფეხბურთელი – გუნდის კაპიტანი – ვალენტინი (ვალია), წელში გატეხეს და ყველაფრიდან გარიყეს. მის გუნდში იყვნენ, ოდესღაც, ფეხბურთის ცნობილი ვარსკვლავები – ბორის პაიჭაძე და ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძე.

ოცდაჩვიდმეტის რეპრესიებს შეეწირა ოჯახის მამაც, ნიკოლოზ მიხაილიდი. იგი გადასახლებაში, ომსკში დაიღუპა.

ბოროტმა ეპოქამ თავისი ხელი მიხაილიდების ოჯახსაც შეახო – სამი დიდებული ვაჟკაცი ერთი ოჯახიდან! დედაჩემს მოუშუშებელ ჭრილობად მიჰყვებოდა მთელი ცხოვრება მამისა და ძმების რეპრესიებით გამოწვეული სატანჯველი.

„სადა ხარ, ჩემო კოხტა ოჯახო?!“ – ამბობდა ხელებაპყრობილი ბებია სალომე სიკვდილის სარეცელზე.

მოხდა ისე, რომ მასთან, ამ დროს, ოჯახის წევრებიდან მხოლოდ მე ვიყავი, თოთხმეტი წლის ბავშვი. „ქალებო, ბავშვი არ შემიშინდეს, ქალებო!“ – უთხრა სონა ბებომ მეზობლის ქალებს, როცა იგრძნო, რომ ამ სოფლიდან მიდიოდა.... სიკვდილის წინაც კი მას არ ავიწყდებოდა თავისიანზე ზრუნვა!

ამ ამბის შემდეგ მე მთელი ზაფხული მესიზმრებოდა ბებია სალომე.

იგი გარდაიცვალა 1952 წლის ივნისში და ვერ მოესწრო სტალინის სიკვდილს, რომელსაც სულ ასე სწყევლიდა: „იმ ბოროტ ტვინში ჩაგექცეს სისხლიო!“

ბებიაჩემის წყევლა აუხდა დესპოტს. მართლაც ტვინში ჩაექცა სისხლი. მილიონობით დედების, მამების, შვილებისა და ცოლების წყევლა მოეწია.

ათეული მილიონობით ოჯახი დააქციეს და გააუბედურეს სრულიად არაფრისთვის, რომ ერთ უნიჭო დესპოტს იმპერიის მმართველობა ხელიდან არ გაეშვა! სწორედ უნიჭოებს სჭირდებათ დიდი მსხვერპლი ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, თორემ ნიჭიერი და კარგი მმართველი უამისოდაც გაუძღვება ქვეყანას. ამის მაგალითია, ერთი მხრივ, თამარ მეფე, რომელსაც სიკვდილის განაჩენზე ხელი არ მოუწერია, და მეორე მხრივ – ლენინ-სტალინი და ჰიტლერი – მკვლელები და კაცობრიობის განვითარების უკან დამწევნი.

დედაჩემი, მილა მიხაილიდი 1903 წლის 20 მაისს დაიბადა. იგი რვა წლის იყო, როცა წმინდა ნინოს სასწავლებელში მიაბარეს.

ბავშვების სკოლაში შეყვანამდე, ჭკვიანმა სალომემ მონახა საუკეთესო მასწავლებელი, გერმანიაში და შვეიცარიაში განათლებამიღებული, მრავალმხრივ განვითარებული და ერუდირებული პიროვნება, პედაგოგი სერგო კაკაბაძე და მას მიაბარა თავისი შვილები მოსამზადებლად, მათ გიმნაზიებში შეყვანამდე.

სერგომ ბავშვები შესანიშნავად მოამზადა.

* * *

გიმნაზიის კურსი მაშინ რვაკლასიანი იყო, ხოლო მანამდე, სამი კლასი მოსამზადებლად ითვლებოდა.

რვა წლის პატარა მილა მიიყვანეს, როგორც წესი იყო, მოსამზადებელ კლასში მისაღებად, მაგრამ როცა გამოსცადეს ბავშვი, იმდენად მოეწონათ, ისე კარგად იცოდა მან მთელი პროგრამა, რომ პირდაპირ პირველ კლასში დასვეს, მოსამზადებლის გარეშე. ამიტომ იგი ყველაზე პატარა იყო კლასში, მაგრამ ყველაზე კარგად სწავლობდა.

მილა სანაქებო და ფრიადოსანი მოსწავლე გახლდათ, თანაც, ძალიან ბევრს კითხულობდა. წიგნის კითხვა მისთვის ყველაზე დიდი სიამოვნება იყო. მას ეს თვისება მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა.

არ შეიძლებოდა დედას საღამოს, ძილის წინ მაინც, არ წაეკითხა წიგნი. საწოლთან, სკამზე სულ ელაგა წიგნები და დასაძინებლად რომ დაწვებოდა, აუცილებლად უნდა წაეკითხა რაიმე.

დედა ყველაზე მეტად კლასიკურ ლიტერატურას კითხულობდა, ევროპულს, ქართულს, რუსულს, ანტიკურს, მოკლედ, მსოფლიო ლიტერატურას, აღმოსავლურსაც, იაპონურსა და ჩინურსაც კი. ყველანაირი ლიტერატურა აინტერესებდა, დასავლურიც, აღმოსავლურიც და თანამედროვეც. მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებს მუდამ თვალს ადევნებდა, კითხვა და ლიტერატურაზე საუბარი მისთვის ყველაზე დიდი სიამოვნება იყო.

მაგრამ დედაჩემი გახლდათ, ამავე დროს, შესანიშნავი მეოჯახე და გამრჯე დიასახლისი.

– არასოდეს წარმოიდგენდა მამაშენი, თუ ამდენს ვიშრომებდიო, – იტყოდა ხოლმე დედა. – იგი მამაჩემის საოცნებო ქალი იყო, ულამაზესი, მომხიბლავი, ყველა ქალური თვისებებით შემკული.

დედა და მამა სტუმართმოყვარე ადამიანები იყვნენ, გაჭირვებულების შემბრალე და თანამგრძნობი. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის გვიჭირდა, სახლი მუდამ სავსე იყო სტუმრებით: მოდიოდნენ ხელმოკლე ადამიანები, ნათესავები, მეზობლები, ოჯახის მეგობრები. როცა ჩვენ, ბავშვები, წამოვიზარდეთ, ჩვენი მეგობრებიც აქ გულთბილ შეხვედრას და მასპინძლობას იღებდნენ.

ჩემს მშობლებს უბრალო ადამიანებთან გასაუბრება უყვარდათ. დედაჩემი გაჭირვებულთა შემბრალე და თანამგრძნობი ქალი იყო. უკანასკნელ ლუკმას გაუყოფდა ხელმოკლე ადამიანს, მეზობელს, ნათესავს, უცხოს.

მახსოვს, დედაჩემი ზოგჯერ მათხოვარსაც კი გამოელაპარაკებოდა და ამბავს ჰკითხავდა, გამოუტანდა სახლიდან ტანსაცმელს, საკვებს.

ზამთრობით ჩიტებს საკენკს უყრიდა, შემოჩვეული ჰყავდა ჩვენს აივანზე ჩიტები, განსაკუთრებით ზამთრობით. მოთოვდა თუ არა, სპეციალურად მათთვის დაალბობდა პურს წყალში და ისე გადაუყრიდა თოვლში, ჩიტებს არ მოშივდეთო. ბუნება უყვარდა.

ქვიშხეთში რომ ვცხოვრობდით, მახსოვს, ჩემს მშობლებს ზაფხულობით რამდენიმე სული გაჭირვებული ნათესავი ყოველთვის უნდა ჩამოეყვანათ დასასვენებლად.

ჩვენ ექვსი სული ვიყავით, ერთი ოცმეტრიანი ოთახი და მოზრდილი, ასე, დაახლოებით თექვსმეტმეტრიანი შუშაბანდი გვეკავა. ზაფხულობით ათ სულზე ნაკლები არასოდეს ვიყავით, ზოგჯერ – მეტიც.

თბილისშიც ექვსი სული ვიყავით და სადილად ათნი და თორმეტნი ვსხდებოდით. ჩემი მშობლები გულღიად და სიყვარულით ხვდებოდნენ და უკანასკნელ ლუკმას უყოფდნენ ყველა გაჭირვებულ ადამიანს.

დედა!

ის უნაკლო ადამიანი იყო, მაგრამ ჰქონდა თავისი მუდმივი სევდა, არსებული სინამდვილიდან გამომდინარე. მისი ოჯახიდან ხომ სამი უსაყვარლესი, სამი სანაქებო ვაჟკაცი რეპრესიის მსხვერპლი გახდა, როგორც ვთქვით ზემოთ.

ოცდაშვიდში დააპატიმრეს და გადაასახლეს მიშა, დედაჩემის საამაყო ძმა, ერთ-ერთი ბრწყინვალე მამულიშვილი.

ოცდაჩვიდმეტში გადაასახლეს კოლია ბაბუა, დედაჩემის მამა, ხოლო ოცდათვრამეტი წლის დასაწყისში – სერიოჟა, დედაჩემის უსაყვარლესი ძმა და მეგობარი, დააპატიმრეს და დახვრიტეს.

მამაჩემის გამო ხომ შიში და ძრწოლა ყოველდღიურობად იყო ქცეული.

ამდენმა განსაცდელმა დედაჩემის ნაზ ბუნებაზე იმოქმედა, ის მუდმივ შიშს და ელდას განიცდიდა და თანდათან მიეჩვია ამის გამო კვნესას და შფოთვას. ის რამდენადმე დეპრესიული გახდა, სულ ეგონა, რომ სიკვდილი მასაც ემუქრებოდა.

„ვკვდები!“ – კვნესოდა იგი თითქმის ყოველდღე.

მამა როცა, დღის საქმეებზე სიარულის შემდეგ, სახლში ბრუნდებოდა დაღლილი და ნაბრძოლი, დედა გაუღებდა კარებს და აუცილებლად ხმამაღლა მიაკვნესებდა: „აჰა, ვკვდები!..“

ეს ურთიერთობები თითქოს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, მაგრამ ყველანი განვიცდიდით ოჯახში, განსაკუთრებით მამა და მე: – ნუ გეშინია, დედაშენს არაფერი მოუვა! – მარწმუნებდა ჩვენი ოჯახის ექიმი კოტე მაჭარაშვილი, როცა თვალცრემლიანი შევეგებებოდი მის მოსვლას.

მას შემდეგ, რაც მამა წავიდა ამქვეყნიდან, დედა უკვე ისე ხშირად აღარ იმეორებდა ამ საშინელ სიტყვას – ვკვდები! – ალბათ იმიტომ, რომ მთავარი თანამგრძნობი და მის ტანჯვათა მონაწილე გვერდით აღარ ჰყავდა.

დედამ მამას შემდეგ კიდევ იცხოვრა თოთხმეტი წელი...

* * *

დედაჩემის მამა, ნიკოლოზ მიხაილოვი, როგორც ვთქვით, პირველი კლასის მემანქანე გახლდათ, წესიერი, პატიოსანი, თავდაჭერილი ადამიანი იგი, ამავე დროს, საუკეთესო მონადირეც იყო. სამსახურისაგან თავისუფალ დღეებში სანადიროდ მიდიოდა, ბუნებაში მარტო სიარული უყვარდა. ნადირობა მისთვის დასვენებაც იყო და გართობაც. 60 წლის იყო, როცა გადაასახლეს 1937 წელს. როგორც გვითხრეს, გადასახლებაშიც, ომსკში, მემანქანედ მუშაობდა, ათი წელი შეუსრულებია, მაგრამ არ გამოუშვიათ და ფილტვების ანთებით გარდაცვლილა.

ოჯახში დედაჩემის მომდევნო შვილი იყო სერიოჟა (1904-1938). იგი შესანიშნავი ინტელიგენტი და ნიჭიერი ადამიანი იყო, საუკეთესო ეკონომისტი, ფინანსისტი. სერიოჟა თავისი გონებამახვილობით და ენამახვილობით გამოირჩეოდა, იყო საზოგადოების სული და გული.

სერიოჟა ოცდათვრამეტი წლის დასაწყისში დაიჭირეს. ეს იყო ერთ-ერთი უკანასკნელი ტალღა იმ მასიური რეპრესიებისა, ოცდაჩვიდმეტი წლის სახელით რომ არის ცნობილი. იმისი ვერაფერი გავიგეთ, სად და როდის აღესრულა. სერიოჟას მეუღლე ამბობდა, ის აქვე დახვრიტესო. იმ პერიოდში, როცა სერიოჟა დააკავეს, გადატენილი იყო ციხეები და მასობრივად ხვრეტდნენ ადამიანებს აქვე.

დედაჩემი სიკვდილის წინა დღეებში ყველაზე მეტად იხსენებდა სერიოჟას: „ჩემი ძმა... ჩიტივით ამოხადეს სული“, – ამბობდა ის ტირილით.

დედაჩემის მეორე ძმა, მიხეილი (1906-1990) გამოირჩეოდა განსაკუთრებული ფიზიკური ძალით და ვაჟკაცური შემართებით. იგი გარეგნულად მეტად ჰგავდა დედაჩემს, ულამაზესი ვაჟკაცი იყო.

მიშა 1927 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს ციმბირში. იგი მაშინ 21 წლისა იყო, გეოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი.

მიხეილი პირველად 1924 წელს დააპატიმრეს. მაშინ იგი 18 წლის ჭაბუკი იყო. მიუხედავად ახალგაზრდობისა, მიხეილი აქტიურად მონაწილეობდა ოცდაოთხი წლის შეთქმულებაში. იგი შეთქმულთა ქუთაისის განყოფილებაში თანამშრომლობდა, ფოსტა, ტელეგრაფი და ბანკი უნდა აეღოთ, ასეთი ვალდებულება ჰქონდათ აღებული. მაგრამ ოცდაოთხ წელს მას ვერ დაუმტკიცეს შეთქმულებაში მონაწილეობა და გამოუშვეს ციხიდან.

მიხეილი იყო ფედერალისტთა პარტიის წევრი და მიუხედავად იმისა, რომ ოცდაოთხი წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ პარტიამ ლიკვიდაცია გამოაცხადა და მისი მესვეურნი საზღვარგარეთ წავიდნენ, გარკვეული ჯგუფი იატაკქვეშ განაგრძობდა მუშაობას. მათ შორის იყო მიხეილ მიხაილიდი. იგი დააკავეს 1927 წელს თბილისის რკინიგზის სადგურზე, როცა მიჰქონდა პროკლამაციები და აკრძალული ლიტერატურა.

მიხეილმა ყველაფერი თავის თავზე აიღო, ყველაფერს მარტო მე ვაკეთებდიო, – განაცხადა. მიუხედავად სასტიკი წამებისა, არავინ დაუსახელებია, ვერ გატეხეს.

ციხის სარდაფებში არაადამიანური, საშინელი წამების შემდეგ მიხეილი ლავრენტი ბერიასთან აიყვანეს. ბერიამ ტკბილად მიიღო, გაიკვირვა, უწამებიხართო, მერე დაუყვავა, შესთავაზა თანამშრომლობა და გარიგება: დაგვისახელე შენი თანამზრახველებიო, ვინ არიან ისინიო, და სია უჩვენა, ხელი მოაწერე და კიდეც გაგიშვებთ, მაღალ თანამდებობაზეც დაგნიშნავთ და მწვანე გზა გექნება ყველგანო.

ბერია და მიხეილი ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ მაგიდასთან ამ საუბრის დროს.

მაგიდაზე მარმარილოს დიდი ვაზა იდგა, რომელსაც საფერფლედ იყენებდნენ. უცებ, მიხეილმა ხელი სტაცა ამ ვაზას და ასწია, რომ ჩაერტყა თავში ბერიასათვის და იქვე გაეთავებინა ეს ცბიერი დესპოტი, მაგრამ, თურმე, ისინი რომ საუბრობდნენ, რამდენიმე ჩეკისტი ჩუმად წამოჰპარვია მიხეილს უკნიდან და როგორც კი მან ვაზა ასწია, ეცნენ ხელებში და გააკავეს. ასე გადარჩა მაშინ ბერია სიკვდილს.

შემდგომში მიხეილი სულ ნანობდა, როგორ ვერ ჩავარტყი ის ვაზა თავში. მართალია, მომკლავდნენ, მაგრამ რამდენი ადამიანი გადარჩებოდა წამებას და სიკვდილსო.

* * *

მიხეილმა ციმბირში გაატარა მთელი ახალგაზრდობა, თითქმის 30 წელი, იქვე დაოჯახდა და შეეძინა ოთხი შვილი. იგი სამშობლოში დაბრუნდა მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ.

მიხეილი გამოირჩეოდა არამარტო ვაჟკაცობითა და გამბედაობით, არამედ კეთილშობილებით, უანგარობითა და პატიოსნებით. ამიტომ ძალიან უყვარდათ იქაც, ციმბირის შორეულ მხარეში. – „იგი მზეა, ადამიანი კი არა, ნამდვილი მზეა!“ – ასე ამბობდნენ თურმე მასზე ციმბირელები (ეს მიშას ქალიშვილის, როზას ნაამბობიდან ვიცი).

„იგი მზეა!“ – ამბობდნენ მიშაზე. იმიტომ, რომ როგორც თავისი სილამაზითა და ვაჟკაცობით, ასევე გამბედაობით, ქველმოქმედებითა და პიროვნული თვისებებით აღემატებოდა ირგვლივ სხვა ადამიანებს.

მიხეილი ძალიან კარგი მონადირე იყო, ციმბირის იმ მხარეში მას ბადალი არ ჰყავდა ამ საქმეში და ხშირად, თურმე, მთელ სოფელს უზიარებდა თავის ნანადირევს.

სამაგალითოდ გულუხვი და კეთილი ადამიანი იყო, გაჭირვებულის დამხმარე და თანამგრძნობი. სწორედ ამიტომაც ეძახდნენ მას „მზეს“.

ერთხელ მიხეილმა დათვი მოკლა ნაჯახით. ეს ხდებოდა ტუნდრის ტყეებში.

ეს ამბავი ასე მოხდა:

გაზაფხული იდგა, ციმბირის მდინარეზე ყინული ჯერ კიდევ იმსხვრეოდა, ხოლო წყალზე უკვე ადამიანები მიცურავდნენ ნავებით. ერთ-ერთ ნავში მიშაც იჯდა.

ამ დროს ტყიდან ახლად გამოღვიძებული დათვი გამოვარდა და ნაპირიდან ჩაუხტა ერთ-ერთ ნავში მჯდომარე ადამიანებს. ატყდა საშინელი კივილი. ამ დროს, ელვის სისწრაფით მიშა გადახტა თავისი ნავიდან იმ მეორე ნავში და დათვი უცებ, თვალის დახამხამებაში, მოკლა ნაჯახით.

ასეთი ვაჟკაცი იყო მიშა!

კრასნოიარსკის მხარე, სოფელი კეჟმა – იქ გაატარა ბიძაჩემმა თითქმის ოცდაათი წელი, მთელი ახალგაზრდობა. იმ ტყეებში დადიოდა სანადიროდ, იმ წყალუხვ მდინარეებში სათევზაოდ, რომ გული გადაეყოლებინა, დარდს არ დამორჩილებოდა.

„ბუნებამ გადამარჩინა“, – თქვა ერთხელ საუბარში.

მერე იმ ადგილებში დიდი წყალსაცავი ააშენეს და მთლიანად წყლით დაფარეს ის სოფელიც. – „კეჟმის თეთრი ეკლესია!“ – თქვა გულდაწყვეტით ბიძაჩემმა, როცა გაიგო, რომ სოფელი მთლიანად წყლის ქვეშ მოექცა.

– რას გაიხსენებდი ყველაზე საშიშს, რაც თავს გადაგხდენია იქ ცხოვრების დროს? – ვკითხე ერთხელ ბიძაჩემს, და მიამბო:

„ზამთარი იყო. მეორე სოფლიდან მოვდიოდით მარხილით. ტყე უნდა გაგვევლო. შემოგვაღამდა. მგლების ხროვა დაგვედევნა ყმუილით. მე მარხილზე დავდექი და თოფი მოვიმარჯვე. ამხანაგი მარხილს მართავდა და ცხენებს ერეკებოდა. ვისროდი და ვხოცავდი მგლებს, თან ვუყვიროდი დიდი ხმით, რომ დამეფრთხო. ისინი

საშინლად ყმუოდნენ, თვალები ცეცხლივით ენთოთ. ერთი განსაკუთრებით აქტიური იყო, მათი მეთაური, სულ წინ მიუძღოდა ხროვას. როცა ის მოვკალი, დანარჩენებმა უკან დაიხიეს და მერე თანდათან ჩამოგვშორდნენ, – თქვა მან და ბოლოს დააყოლა: მთავარია, არ უნდა შეგეშინდეს, არ უნდა დანებდე!“

როგორია, არ შეგეშინდეს, მშიერი მგლების ხროვა რომ მოგდევს კბილთა ღრჭენით და ღმუილით?! მიშას გული უნდა გქონდეს, რომ ამას გაუძლო, და მისი მარჯვე მკლავი, რომ მოიგერიო და გადარჩე.

ასე გადარჩა ბიძაჩემი იმ სასტიკ დროს, სასტიკ ქვეყანაში, მშიერი მგლებივით რომ დასდევდნენ ადამიანებს და ანადგურებდნენ. მიშა მიხაილიდი მაინც ჩამოვიდა სამშობლოში და მშობლიურ კერას დაუბრუნდა.

მან მშობლიურ ქალაქში, ქუთაისში, გაატარა ცხოვრების ბოლო წლები.

* * *

რა განწყობილება დახვდა მიხეილს სამშობლოში?

აღარავის ახსოვდა მისი ღვაწლი, მისი ვაჟკაცობა, მისი თავდადება და ბრძოლები სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის. ეს საკითხები მივიწყებული იყო. ფედერალისტთა პარტია საერთოდ აღარავის ახსოვდა, თუ არსებობდა ოდესმე. მხოლოდ ერთი პარტია იყო მთელ თვალუწვდენელ საბჭოთა სივრცეში, მსოფლიოს მეექვსედი რომ ეკავა. ეს იყო კომუნისტური პარტია – სკკპ(ბ)! მისი წევრები გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ და, ფაქტობრივად, მჩაგვრელთა კლასად ჩამოყალიბდნენ. ამ პარტიაში შეძრომა, ცხოვრების მოსაწყობად, მეტად ხელსაყრელი იყო, მაგრამ მოითხოვდა სინდის-ნამუსზე ხელის აღებას, ან გარკვეულ დათმობებს მაინც.

მიშა ციმბირში გადაასახლეს – 21 წლის ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე, ულამაზესი, ლომივით ვაჟკაცი, რომელსაც შეჰხაროდა მთელი საზოგადოება და იმედის თვალით შეჰყურებდა.

როგორც ვთქვი, თითქმის ოცდაათი წელი გაატარა მიხეილმა გადასახლებაში, მისი ენერგია, ძალ-ღონე და ანთებული სულის

მგზნებარება, სამშობლოსათვის თავგანწირვით რომ იყო სავსე, დაილია და დაიშრიტა თვალუწვდენელ ტუნდრებში, ორმოცგრადუსიან ყინვებში, მგლებთან და დათვებთან ბრძოლებში.

იგი დაბრუნდა სამშობლოში თითქმის ორმოცდაათი წლის ასაკში.

ახლა მიხეილი აღარ იყო ის ბრწყინვალე ახალგაზრდა, მთელი ქალაქი რომ შენატროდა. ახლა მიშა ერთი რიგითი, უბრალო, ღარიბი მოქალაქე იყო, გადანასახლები და შერისხული.

აღარც ეროვნული მოძრაობის წინანდელი ძარღვი ფეთქავდა ქვეყნად, ხანგრძლივ, სტალინურ რეპრესიებს ყველაფერი ჩაეხშო...

მიშამ დაიწყო მუშაობა ქუთაისის ბროლის ქარხანაში მთავარ ბუღალტრად. ოდესღაც, ქუთაისის გიმნაზიის თვალს, ფრიადოსან მოსწავლეს და თბილისის უნივერსიტეტის გეოლოგიური ფაკულტეტის თვალსაჩინო სტუდენტს, ციმბრიში, გადასახლებაში, ბუღალტრობა შეესწავლა.

სამოციანი წლები იდგა. ერთხელ, სამსახურში, მიშა მიხაილიდს რაღაც ანკეტა მოუტანეს შესავსებად. ყველა თანამშრომელმა შეავსო ასეთი ანკეტა.

ანკეტაში იყო გრაფა: „პარტიულობა“, რომელსაც სტანდარტულად ასე პასუხობდნენ: „უპარტიო“, ან „სკკპ(ბ) წევრი“, რაც ნიშნავდა – „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წევრი“ – სხვა პარტია, დიდი ხანია, არ არსებობდა რუსეთის მიერ შექმნილ სახელმწიფოში, ყველა სხვა პარტია გააუქმეს და მათი წევრები მწარედ დასაჯეს.

მიშამ გრაფაში: პარტიულობა – ჩაწერა: „ფედერალისტი“.

ანკეტები რომ შეაგროვეს და წაიღეს, ერთი ამბავი ატყდა, ეს რა ჩაუწერია მიშა მიხაილოვსო! (იგი ხომ მიხაილოვად იწერებოდა და არა მიხაილიდად!). თუ ოდესმე არსებობდა პარტია „ფედერალისტი“, მიშას თანამშრომლებმა არც იცოდნენ, არც გაეგონათ.

– მიშას გულისთვის ახლა ჩვენ მიგვცემენ პასუხისგებაშიო, – ამბობდნენ შეშინებულები.

მივიდა მიხეილთან ქარხნის უფროსობა: – რა არის ფედერალისტიო? – ჰკითხეს. – ჩემი პარტიააო, – უპასუხა მიშამ.

შეშინდნენ. უკვე დიდი ხანია კონტრრევოლუციად და დანაშაულად ითვლებოდა ყველა სხვა პარტიის წევრობა, გარდა სკკპ(ბ)-ისა მთელ საბჭოთა რუსეთის იმპერიაში.

– ამოიღე ეს სიტყვა ანკეტიდან, კაცო, ნუ დაგვღუპავო! – უთხრეს ხვეწნა-მუდარით.

მიშა გაჯიუტდა, მშვიდი და წყნარი ვაჟკაცი აღშფოთდა: „როგორ ამოვიღო, მე ხომ ფედერალისტი ვარო!“

ბევრი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, მიშამ ხელი ჩაიქნია: „რაც გინდათ, ის ქენითო!“

და მერე, მის მაგივრად, თვითონ შეავსეს ანკეტა, და გრაფა – „პარტიულობა“, ცარიელი დატოვეს. ამით თავიდან აიცილეს დიდი სკანდალი.

* * *

მიხეილი როცა დააპატიმრეს, მას სამი წლით გადასახლება მიუსაჯეს, რადგან კანონი მაშინ უფრო მეტს არ ითვალისწინებდა. სამი წელი რომ გავიდა, კიდევ სამი დაუმატეს, შემდეგ კიდევ სამი და, ფაქტობრივად, აღარ უშვებდნენ. ის ჰყავდათ თავისუფალ გადასახლებაში მუდმივად.

თავისუფალი გადასახლება ციმბირში, ეს იყო სასჯელის ფორმა, რომელსაც იმ პერიოდში იყენებდნენ, მიშა რომ დააპატიმრეს. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო კანონში შესული ის დახვრეტები და ათწლოვანი დაპატიმრებები, რომლებმაც ოცდაათიანი წლების შუა პერიოდიდან ასეთი მასობრივი და სასტიკი ფორმები მიიღო და ოცდაჩვიდმეტ წელს პიკს რომ მიაღწია.

რამდენადაც ვიცი, ოცდათოთხმეტი წლიდან დაიწყო ეს განსაკუთრებული სიმკაცრის პერიოდი, სტალინური „გულაგების“, ანუ „ბანაკების“ სახელით ცნობილი. იმასაც ამბობენ, ჰიტლერმა სტალინისაგან გადაიღო „ლაგერების“ სისტემაო.

შემდეგში მიხეილი ყვებოდა: „სამი წელი რომ გავიდოდა, დამიბარებდნენ და მეკითხებოდნენ, იმავე პოზიციაზე ხართ, თუ გამოიცვალეთ აზრიო. მეც ვუპასუხებდი, იმავეზე ვრჩებიო და მიგრძელებდნენ გადასახლებას...“

თურმე, მიხეილი არაფრით არ ამბობდა, აზრი გამოვიცვალეო და ფედერალისტი აღარ ვარო. ეს საკუთარი მრწამსის ღალატად მიაჩნდა ბოლომდე.

პირველი სამი წელი რომ გავიდა და არ გამოუშვეს, საცოლეს მისწერა: „ნუღარ დამელოდები, გათხოვდიო“, მაგრამ ლენა შენგელია მხოლოდ მას შემდეგ გათხოვდა, როცა მოვიდა ციმბირიდან ცნობა, მიშამ იქ ცოლი შეირთოო.

ლენას მიშას ოჯახთან ურთიერთობა გათხოვების შემდეგაც არ შეუწყვეტია. ჩანს, ის ვერასოდეს ივიწყებდა თავის პირველ სიყვარულს.

ჩემს ბავშვობაში, ქუთაისში რომ ვცხოვრობდით, ომის პერიოდში, მეც კარგად ვიცნობდი ლენას და მის შვილებთან ვთამაშობდი. ისინი ჩემი უსაყვარლესი დეიდა ვაროს (ბებიაჩემის, სალომეს დის) მეზობლები იყვნენ და კვლავ უყვარდათ ჩვენი ოჯახი.

თავისუფალ გადასახლებაში მყოფმა მიშამ კი ცოლად შეირთო ციმბირელი ქალი, ალექსანდრა ბილხანოვა. მათ იქ ოთხი შვილი შეეძინათ – ერთი ქალი და სამი ვაჟი.

მიშას მეუღლე ქმარზე უფროსი იყო რამდენიმე წლით, განათხოვარი, ჰყავდა, თუ არ ვცდები, უკვე რვა წლის ქალიშვილი. ეს გოგონა მიშამ შეიყვარა, როგორც საკუთარი. გოგონასაც ძლიერ უყვარდა მიშა, დედაზე არანაკლებ, როგორც საკუთარი მამა.

მეუღლემ მიშას მეგობრობა გაუწია გადასახლების მძიმე წლებში და ოჯახი შეუქმნა. ამის გამო მიშა სიცოცხლის ბოლომდე აფასებდა და პატივს სცემდა მას.

* * *

როგორც ვთქვით, მიშა რომ გადაასახლეს, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული „გულაგების“ ის სტალინური სისტემა, გადასახლებულთა ის საშინელი, საწამებელი ბანაკები, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდებოდნენ ფაშისტების შემზარავ საკონცენტრაციო ბანაკებს, სადაც მილიონობით ადამიანები იტანჯებოდნენ და წამებით აღესრულებოდნენ.

ორი ურჩხული, წითელი და ყავისფერი, საბჭოური და ფაშისტური, ერთმანეთისაგან სწავლობდა ადამიანთა დევნას, ჩაგვრას და განადგურებას. მაგრამ განსაკუთრებული ცბიერებით, თვალთმაქცობითა და ცინიზმით ასრულებდა ამ საქმეს წითელი, საბჭოური ურჩხული, რადგან ამბობდა ყოველთვის იმის საპირისპიროს, რასაც აკეთებდა. ამიტომ მისი ბოროტებანი დღემდე სათანადოდ არ არის გაანალიზებული. თერთმეტი მილიონი ადამიანია რეპრესირებული ფაშისტების მიერ, ხოლო საბჭოთა კავშირში – ას თერთმეტი!

ას თერთმეტი მილიონი – მათივე აღიარებით!

რამდენად დიდია კაცობრიობის წინაშე დანაშაული ლენინ-სტალინური რეპრესიებისა!

ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტ წელს, ციმბირშიც, მიშას გადასახლების ადგილებშიც, გამკაცრდა რეპრესიები. ისევ დაჭერა და ციხე ემუქრებოდა თავისუფალ გადასახლებაში მყოფ მიშა მიხაილიდს.

მასიური რეპრესიების დროს, განსაკუთრებით ოცდაჩვიდმეტში, მიზანშეწონილი იყო საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა. თუ გაეცლებოდი იმ გარემოს, სადაც ცხოვრობდი და მოღვაწეობდი, სადაც შენ წინააღმდეგ საქმეს ამზადებდნენ, ან უკვე ბრალდებაც შეთითხნეს, შეიძლებოდა გადარჩენილიყავი კიდეც. საჭირო იყო მიმალვა, გაქცევა.

ბევრმა წინდახედულმა ადამიანმა ასეთი ხერხით შეინარჩუნა სიცოცხლე.

მიშამ ოცდაჩვიდმეტში მოახერხა ცოლშვილიანად სამშობლოში წამოსვლა დროებით.

მაგრამ საქართველოში მას მეტად ცუდი დრო დახვდა, უარესი, ვიდრე ელოდა, უარესი, ვიდრე ციმბირის ტუნდრებში სუფევდა. ჩამოსვლიდან სულ ორიოდ თვეში დაიჭირეს მამამისი.

ოცდაჩვიდმეტი წლის აგვისტოში დააპატიმრეს მიხეილის მამა, ნიკოლოზი. როცა მის წასაყვანად მოვიდნენ, შუაღამისას, მიშაც იკითხეს. ბედად, მიშა სახლში არ დახვდათ, თორემ იმ ღამეს მასაც წაიყვანდნენ. მიშა დეიდასთან დარჩენილიყო. – „სად არისო“, – იკითხეს ჩეკისტებმა. – „არ ვიცითო“, – უპასუხეს.

მეორე დღესვე მიხეილი სასწრაფოდ გააშორეს ქუთაისს ნათესავებმა, უშოვეს ბილეთები და მთელი ოჯახი ციმბირისაკენ გაისტუმრეს.

მაგრამ, სანამ რიონის სადგურიდან თბილისში ჩავიდოდა, სადაც მეორე მატარებელზე უნდა გადამჯდარიყო, რომელიც მოსკოვისკენ აიღებდა გეზს, რომ შემდეგ ციმბირისკენ გაეგრძელებინა გზა, ჩეკისტების მიერ მიგზავნილმა ქურდებმა მიხეილს მოჰპარეს საბუთები, ფული და ბილეთები, რომ ველარ გაეგრძელებინა გზა.

თბილისში მამაჩემმა იმავე დღეს უშოვა მიშას ბილეთებიც, ფულიც და ციმბირისაკენ გაამგზავრა მშვიდობიანად მთელი ოჯახით.

ასე გადარჩა მაშინ მიხეილი ხელახლა დაჭერას.

ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ თავისი ფეხით დაბრუნდა ციმბირში, გადასახლების პირვანდელ ადგილას, რომ უარეს დღეში არ აღმოჩენილიყო.

მოგვიანებით, სამოციან წლებში, უკვე საქართველოში დაბრუნებული მიხეილი, ერთხელ, მილიციაში დაიბარეს, და როცა მივიდა, იქ უჩვენეს მისი საკუთარი პასპორტი, ოცდაჩვიდმეტი წლის აგვისტოში რომ მოჰპარეს.

ასე მუშაობდა ის საშინელი ორგანო – „ჩეკა“, რომელიც, მთავრობის ნებით და მითითებით, მილიონობით ადამიანს იჭერდა, ხვრეტდა და ანადგურებდა. ხოლო თვალთვალი მუდამ სულ გრძელდებოდა ყველა ადამიანზე, განსაკუთრებით კი, პატრიოტულად განწყობილ პიროვნებებზე. ასე იყო საბჭოთა კავშირის მთელი არსებობის მანძილზე.

ყველანი თვალთვალის ქვეშ ვცხოვრობდით...

* * *

ათას ცხრაას ორმოცდათორმეტი წელი – რეპრესიების ახალმა ტალღამ მოიცვა დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმული საბჭოთა იმპერია...

დაბერებული და კიდევ უფრო გამკაცრებული, ეჭვებით შეპყრობილი დესპოტი, „ბელადი“, მეორე, ახალ ოცდაჩვიდმეტ წელს ამზადებდა.

დაჭერები, დახვრეტები და ადამიანთა წამება ისევ გახშირდა, დღითიდღე უარესდებოდა მდგომარეობა. ამ პერიოდში მიშამ კვლავ გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება. ოჯახი წამოსასვლელად ემზადებოდა, რომ მიშა კვლავ დაიჭირეს და საპატიმროში ჩასვეს, მაგრამ ცოლ-შვილსაც იქ აღარ დაედგომებოდა და საქართველოსაკენ გამოეშურნენ. ისინი ჩამოვიდნენ მიშას მშობლიურ ქალაქში, ქუთაისში, ათას ცხრაას ორმოცდათორმეტი წლის აგვისტოში.

ამ ამბავს ვეღარ მოესწრო სონა ბებო, რომელმაც შვილის ლოდინში ორიოდე თვით ადრე სული დალია.

მიშა საქართველოში საბოლოოდ ჩამოვიდა მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ, ათას ცხრაას ორმოცდათხუთმეტ წელს.

* * *

მიშამ ახალგაზრდობისას კარგად იცოდა აჭარის მთებში გზები და ბილიკები, რომლებითაც თურქეთში შეიძლებოდა გადასვლა. ოცდაოთხი წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ მას ამ ბილიკებით ბევრი დევნილი ადამიანი სამშვიდობოს გადაუყვანია და გადაურჩენია. მიხეილი გრძნობდა, რომ მასაც უთვალთვალებდნენ და ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო მისი დაჭერა.

შემდგომში, უკვე ასაკში შესულს, ქალიშვილისთვის, როზასთვის უთქვამს: – „ერთხელ, როცა გადავიყვანე ხელისუფლებისაგან დევნილი ადამიანები თურქეთში და მეც სამშვიდობოს ვიგრძენი თავი, გავიფიქრე, წავალ ემიგრაციაში და თავს გადავირჩენო. მაგრამ გამოვხედე მთებს, გული შემიქანდა. იმ მთებს იქით საქართველოა, თუ წავალ, ვეღარასოდეს ვნახავ საქართველოს და დედაჩემს. გამოვბრუნდი და საქართველოსაკენ გზას დავადექიო.“

ასე დაბრუნდა მიხეილი საქართველოში, უკვე სამშვიდობოს გადასული, მაგრამ ამის შემდეგ მალე დაიჭირეს, გადაასახლეს და ვეღარც საქართველო ნახა ძალიან დიდხანს და ვეღარც დედას მოუსწრო ცოცხალს.

* * *

ვინ იყვნენ ის ფედერალისტები, მიშასთან ერთად რომ მუშაობდნენ იატაკქვეშ, ჩვენ არ ვიცით.

ბიძაჩემს არაერთხელ ვეკითხებოდი, მაინც ვინ იყვნენ შენი ამხანაგები, თანაპარტიელები, რომლებთან ერთადაც ასე იბრძოდი-მეთქი. არ მპასუხობდა. ბოლოს, ძალიან რომ შევაწუხე, მითხრა, არ მახსოვსო. ასე რომ, ვერასოდეს ვერ წამოვაცდენინე ვერც ერთი გვარი და სახელი, რომ ისტორიისათვის შემომენახა მათი ვინაობა და მათი ღვაწლი. მიუხედავად იმისა, რომ სიტუაცია უკვე შეცვლილი იყო, ის მაინც ბოლომდე ერთგული რჩებოდა იმ აღთქმისა, იმ ფიცისა, რომელიც ერთხელ დადო, რომ მეგობრებისა და თანამზრახველების ვინაობა არ უნდა დაესახელებინა. მიშამ ეს საიდუმლო თან წაიღო.

ქალიშვილისთვის, როზასთვის უთქვამს, ზოგიერთები ახლა კარგად არიან (თანაპარტიელები), დაწინაურებულნი, პროფესორები, ცნობილი ხალხიაო, მაგრამ მე მათთან აღარაფერი მაქვს საერთო და ნაცნობობაც შევწყვიტეთ ერთმანეთთანო.

გვარები ყოფილი თანაპარტიელებისა არც როზასთვის უთქვამს. ეს მისი საიდუმლო იყო...

და მაინც ცნობილია, რომ წარსულში ფედერალისტების წევრები იყვნენ ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები, აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე, პროფესორები: ალექსანდრე ბარამიძე, ალექსანდრე წერეთელი. ეს უკანასკნელი პარტიის თავმჯდომარეც იყო, თვითონაც გადანასახლები და ნაწამები. მაგრამ რა კავშირი ჰქონდათ მათ ბიძაჩემთან, როგორი იყო მათი თანამშრომლობა და ურთიერთობანი, ამის შესახებ ჩემთვის ცნობილი არ არის.

ვიცი მხოლოდ, რომ გამოჩენილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე წერეთელი მეგობრულად იყო განწყობილი მამაჩემისადმი, მისი პატივისმცემელი იყო. ასევე მამაჩემი მას ყოველთვის სიყვარულით და პატივისცემით მოიხსენიებდა.

ალექსანდრე წერეთელი ჩემი ძმის, მალხაზის პროფესორიც იყო, ძალიან უყვარდა მალხაზი და ჩემი ძმა ოჯახშიც კი დადიოდა მასთან, იმდენად მახლობლური ურთიერთობა ჰქონდათ.

მაგრამ ეს ყველაფერი რამდენად იყო დაკავშირებული წარსულში მიშა მიხაილიდის საქმიანობასთან ფედერალისტების პარტიაში, ჩვენ არ ვიცით.

პროფესორი ალექსანდრე წერეთელი ხომ პარტიის თავმჯდომარე იყო, ხოლო მიხეილი – მისი მეტად აქტიური წევრი და თავგანწირული მებრძოლი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ამდენად, ბუნებრივია, მათ გარკვეული კავშირი ექნებოდათ ერთმანეთთან, მაგრამ ამის შესახებ ორივე მხარე დუმდა, და არც მამაჩემმა და არც მალხაზმა ამის შესახებ არაფერი იცოდა, თორემ აუცილებლად იტყოდნენ რაიმეს ამ საკითხზე ოჯახში.

მიშას მიმართ ბოლომდე დიდ სიყვარულს და პატივისცემას ამჟღავნებდა მიხეილის ბავშვობის მეგობარი და თანაკლასელი, აკადემიკოსი ვიქტორ კუპრაძე, რომელიც, ბავშვობისას, ქუთაისში, მიხაილოვების მეზობლად ცხოვრობდა.

მიშას ჩამოსვლა რომ გაიგო, უკვე ცნობილმა მათემატიკოსმა და აკადემიკოსმა, დიდი სიყვარულით მოიკითხა იგი და გამოუგზავნა საჩუქრად თავისი ერთ-ერთი საუკეთესო წიგნი, მეტად თბილი წარწერით. ეს იყო ერთადერთი კაცი წარსულიდან, რომელსაც ახსოვდა მიშას ახალგაზრდობა და შემორჩენილი ჰქონდა მის მიმართ ძველებური პატივისცემა და სიყვარული.

საოცარი ვაჟკაცი იყო მიხეილი, სიკვდილიც ისეთივე თავისებური და ვაჟკაცური ჰქონდა, როგორც სიცოცხლე.

– მიშა, მეშინია მარტო წასვლა იმქვეყნად... ერთად წავიდეთ, ერთად მოვკვდეთო! – უთხრა მეუღლემ, როცა სიკვდილის სარეცელზე იწვა.

და როცა ქალმა დახუჭა თვალები, არ გაუცრუა იმედი ცხოვრების მეგობარმა, მეორე დღეს ისიც თან მიჰყვა...

ისინი ერთად დასაფლავდნენ, ორი ხანდაზმული ადამიანი, როგორც ორი ახალგაზრდა შეყვარებული ცოლ-ქმარი.

მიხეილი გარდაიცვალა 1990 წელს, 25 მარტს, 84 წლის ასაკში.

ამ პერიოდში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უკვე დაწყებული იყო და იგი, ავადმყოფი და მოხუცებული, იმედით უყურებდა მომავალს.

– შენი დრო დადგა, მიშა! – უთხრა თურმე ცოლმა, ქუჩებში დროშების ფრიალი რომ დაინახა.

მიხეილი იყო ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი, სამშობლოსათვის თავგანწირული და მისთვის მოამაგე, თუმცა ამის შესახებ დღეს ცოტამ თუ იცის.

იგი მიეკუთვნება უსახელო გმირების იმ რიცხვს, რომელთა სახელები ჰაერში გაქრა და ზეციურ საქართველოს შეუერთდა...

პოეტი ამბობს ასეთ გმირთა შესახებ:

„ჰაერში განქრა მათი სახელი
და არსად ჟამთა მოწამე ძეგლი
არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა;
დუმილნი ჰფარვენ ერთგულთა ძეთა!..
მაგრამ, ჰოდ, გმირნო, ნუ შეშფოთდებით,
თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით:
რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,
საშვილიშვილოდ გარდაეცემის...“

(ნიკოლოზ ბარათაშვილი. „ბედი ქართლისა“).

ასეთი იყო ბიძაჩემი, პოლიკარპე კაკაბაძის ცოლის ძმა, მიხეილ მიხაილიდი.

წინაპრები

პოლიკარპე კაკაბაძის მშობლიური სოფელი კუხი ხონის რაიონს განეკუთვნება. მამამისი, მალხაზ ალექსის ძე კაკაბაძე (1858-1929), შეძლებული კაცი იყო. მათი წინაპრები თავისუფალი გლეხები იყვნენ, დაწინაურებულნი თავიანთ მხარეში. ისინი ვაჭართა წრეს წარმოადგენდნენ.

მალხაზ კაკაბაძე, ვაჟი რომ შეეძინა, იმხანად უკვე განთქმული ხე-ტყის მრეწველი იყო, ჰქონდა ბათუმში შეშის საწყობები, მაღაზიები, ისე რომ, მთელ ბათუმს ამარაგებდა შეშით; ამავე დროს, ძვირფასი ჯიშის ხე-ტყე გაჰქონდა საზღვარგარეთაც: სტამბოლში, ტრაპიზონში, რიზეში, მარსელში, პარიზსა და ლონდონში.

მალხაზი საზოგადოების სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა, არა მარტო იმის გამო, რომ ფული ჰქონდა, არამედ მისი პირადი თვისებების გამოც. იგი იყო უაღრესად მორალური ადამიანი, გაჭირვებულთა დამხმარე, ხელის გამმართავი, პირად ურთიერთობებში დინჯი, სერიოზული, სასიამოვნო, კეთილშობილი და მშვიდი, ღრმად მორწმუნე ადამიანი, სამაგალითო თავისი ზნეობით.

მალხაზ კაკაბაძე იყო სასიამოვნო გარეგნობის, შავგვრემანი, მაღალი, ფიზიკურად ძლიერი, კარგი აღნაგობის ვაჟკაცი, გაბედული და ენერგიული, შრომისმოყვარე, საქმეში გამარჯვებებს მხოლოდ პატიოსანი გზით აღწევდა. ამიტომ ყველას უყვარდა, იყო სამაგალითო მამა და მეუღლე.

ღვთისმოსავი და მართალი ადამიანები იყვნენ პოლიკარპე კაკაბაძის მშობლები.

მწერლის დედა მარიამ (მაიკო) ივანეს ასული ჭეიშვილი (1862-1946) ქუთაისთან ახლომდებარე სოფელ ქვიტირიდან იყო. ისიც შეძლებულ ვაჭართა წრიდან გახლდათ.

მაიკო თეთრი პირისახის ქალი იყო, როგორც ჩვენში იტყვიან, სახეზე ნათელი გადასდიოდა, სილამაზით ბრწყინავდა, სითბო, სათნოება და სიდარბაისლე მის ბუნებრივ თვისებებს შეადგენდა. იგი არასოდეს არ იყო მკაცრი ადამიანებისადმი, ოჯახის წევრებისა თუ შვილებისადმი, მაგრამ მის მიმართ ყველა რიდს,

პატივისცემასა და მოკრძალებას განიცდიდა. მაიკო იყო თბილი, მოსიყვარულე და ღრმა გრძნობების ადამიანი. მამაჩემი ამბობდა, კეთილშობილი, მაღალი წრის ქალბატონების თვისებები ჰქონდა, თავისი წრის ქალებისაგან სრულიად გამოირჩეოდაო.

მაიკო ჭეიშვილის ქალს ნაზი სიყვარულით უყვარდა შვილები, არასოდეს მკაცრად არ დატუქსავდა მათ, რაც არ უნდა ჩაედინათ.

საქართველოში სტუმრად ჩამობრძანებულ რუსეთის იმპერატორს, ალექსანდრე მესამეს, დასავლეთ საქართველოში მისი მოგზაურობისას, თურმე, მიაგებეს მისასალმებლად მთელ იმერეთში გამორჩეული მზეთუნახავი ქალიშვილების გუნდი, რომელთა შორის იყო სილამაზით და სიდარბაისლით განთქმული მაიკო ივანეს ასული ჭეიშვილი, მალხაზ კაკაბაძის მომავალი მეუღლე.

სილამაზით, კეთილშობილებით და სათნო თვისებებით შემკული მაიკო ჭეიშვილი ერთ-ერთ საუკეთესო ქალიშვილად იყო მიჩნეული იმერეთში. ასე რომ, მალხაზ კაკაბაძემ, უკვე დაწინაურებულმა, სახელგანთქმულმა ხე-ტყის მრეწველმა, დიდ პატივად მიიღო, როცა მაიკო ჭეიშვილის ქალის შერთვაზე თანხმობა განუცხადეს. მას ეს აღფრთოვანება და პატივისცემა მეუღლისადმი მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა. ეს იყო ტიპური ქართული კეთილშობილი ოჯახი, სადაც მეუღლეები ერთურთის მიმართ მთელი ცხოვრება ინარჩუნებდნენ უაღრეს ტაქტს, პატივისცემასა და უწმინდეს ერთგულებას. ისინი როცა დაქორწინდნენ, მალხაზი ოცდაათი წლისა იყო, მაიკო კი – ოცდაექვსისა. ეს მოხდა 1888 წელს.

მაიკო მალე დაფეხმძიმდა. დაახლოებით შვიდი თვის ფეხმძიმე რომ იყო, რაღაცა შემთხვევის გამო, უეცრად შეკრთა, ელდა ეცა, შეშინდა და ამ უეცარი შეკრთომის გამო დაეწყო ნაადრევი მშობიარობა. დაიბადა ბიჭი, რომელსაც დიმიტრი დაარქვეს, მაგრამ ბავშვი მეტად სუსტი იყო, დღენაკლული და მხოლოდ ორი თვე (თუ შვიდი თვე?) იცოცხლა. დამწუხრდა ოჯახი, ფიქრობდნენ და ეჭვობდნენ, იქნებ აღარასოდეს გვეღირსოს შვილიერებაო.

მაგრამ უფალმა ისმინა მათი ვედრება და ქორწინებიდან ხუთი წლის შემდეგ მათ შეეძინათ ვაჟი, რომელსაც პოლიკარპე დაარქვეს იმ წმინდანის პატივსაცემად, რომლის ხსენების დღესაც იშვა ყრმა.

შემდეგ მათ ეყოლათ მრავალი შვილი და ოჯახი წავიდა თავისი გზით.

პოლიკარპე კაკაბაძე დაიბადა 1893 წლის 23 თებერვალს (ახალი სტილით 7 მარტს), ქუთაისის მაზრის სოფელ კუხში.

წლისაც არ იყო ყმაწვილი, როცა ოჯახი ბათუმში გადასახლდა საცხოვრებლად. ამის შემდეგ მომავალი მწერლის ბავშვობა, ყრმობა და ყმაწვილკაცობა უკავშირდება ბათუმს, სადაც იგი მშობლებთან ერთად ცხოვრობს, სწავლობს და იზრდება, მაგრამ მშობლიური სოფელი კუხი მისთვის ყოველთვის იყო ყველაზე მეტად სანატრელი და საყვარელი ადგილი, სადაც იგი მიილტვოდა უდიდესი სიხარულით. პოლიკარპე კაკაბაძე მთელი სიცოცხლის მანძილზე განუზომელ სითბოსა და სიყვარულს ატარებდა იმ ადგილის მიმართ, სადაც დაიბადა.

სამშობლოს სიყვარული აქცევს ადამიანს გმირად

ერთი შემთხვევა უნდა გავიხსენო იმ სიყვარულთან დაკავშირებით, მომავალ მწერალს ბავშვობიდან რომ ჰქონდა თავისი სოფლისა და კუთხის მიმართ:

მაშინ პოლიკარპე ცხრა წლისა იყო, ოჯახი საზაფხულოდ მშობლიურ სოფელში წასასვლელად ემზადებოდა. გამგზავრებას საშველი არ დაადგა, სულ მუდამ მოულოდნელი ამბავი ხდებოდა და აბრკოლებდა ამ გამგზავრებას. ბავშვს კი ძალიან ენატრებოდა მშობლიური სოფელი კუხი.

– როდის წავალთ? – ამ შეკითხვით იწყებოდა დღე, მაგრამ დამაბრკოლებელ გარემოებებს ბოლო არ უჩანდა...

და ცხრა წლის ყმაწვილმა პოლიკარპემ გადაწყვიტა მარტო წასულიყო თავის საყვარელ სოფელში. მაგრამ როგორ? ესეც მოიფიქრა: ბათუმიდან მატარებელი სამტრედიაში ჩადიოდა, იქიდან კი ეტლით უნდა გამგზავრებულიყო კუხში. ეს მარშრუტი გონიერ ბავშვს კარგად ახსოვდა.

მშობლიურ სოფელში ტასია ბებია და სამოთხესავით აყვავებული და აბიბინებული ეზო ელოდებოდა. ეზოში იდგა ულამაზესი, ცისფრად შეღებილი წაბლის ხის ოდასახლი, მოჩუქურთმებული

აივნებით. მალხაზმა სპეციალისტ-დეკორატორს გააშენებინა თავისი ბაღი. ყვავილების წალკოტი თვალსა და გულს ახარებდა, უშველებელი ეზო თლილი ქვის მაღალი გალავნით იყო შემოზღუდული, რომელზეც სურო იყო მიშვებული.

რევოლუციის შემდეგ, როცა ოჯახი გაღარიბდა, გაიყიდა ეს სახლიც და ეს ეზოც, და მამაჩემს მთელი ცხოვრება ენატრებოდა თავისი მშობლიური სახლი, რომელიც აღარ არსებობდა...

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ პოლიკარპე კაკაბაძის ბავშვობის წლებს.

ცხრა წლის ბიჭუნამ, რადგან გული ვეღარ ითმენდა, მტკიცედ გადაწყვიტა სოფელში გაპარვა.

ბათუმში მალხაზ კაკაბაძის ოჯახი რკინიგზის სადგურთან ახლოს ცხოვრობდა. ბიჭუნა წინასწარ წავიდა სადგურზე და გაიგო, მატარებელი სამტრედიისაკენ როდის გადიოდა. იგი გამგზავრების წინა დღეს თავის მასწავლებელთან, თოხუმოვის ქალთან წავიდა და უთხრა, ხვალ სოფელში მივდივარო. იფიქრა, რომ გავიპარები, ძებნას დამიწყებენ და თოხუმოვებს მიაკითხავენ. ესენიც ეტყვიან ჩემს დანაბარებს და ნაკლებად შეშინდებიანო.

მართლაც, მეორე დილით, ადრიანად, ცხრა წლის ბიჭუნა გავიდა სახლიდან, ჩაჯდა მატარებელში და გაემგზავრა სამტრედიაში. იქ მეეტლეები ხვდებოდნენ მატარებელს მგზავრების წასაყვანად. ბიჭუნა მივიდა მეეტლეებთან, უთხრა, მე მალხაზ კაკაბაძის შვილი ვარ, ახლა წამიყვანეთ კუხში და მამაჩემი რომ ჩამოვა, ის გადაგიხდით ფულსო. მალხაზ კაკაბაძეს ვინ არ იცნობდა, ყველა პატივს სცემდა. ჩასვეს ბავშვი ეტლში და წააბრძანეს კუხში.

მალხაზმა და მაიკომ, გულგახეთქილებმა, ბავშვი რომ ვერსად აღმოაჩინეს, თოხუმოვებთან მიაკითხეს. იმათაც უთხრეს, გუშინ იყო და ასე გვითხრა, ხვალ სოფელში მივდივარო. მიხვდნენ ბავშვის თამამ საქციელს, სასწრაფოდ შეკრეს ბარგი და მეორე დილითვე, თავისი შვილებით, ძიძებით, მოსამსახურეებით და ბარგი-ბარხანით გასწიეს სოფლისაკენ. შუადღეზე უკვე იქ იყვნენ. მაიკომ გულში ჩაიკრა თავისი გაბედული პატარა ვაჟკაცი და წყენაც დაავიწყდათ.

მშობლიური კუთხის სიყვარულმა პატარა ბიჭი გმირად აქცია!

სამშობლოს სიყვარული აქცევს ადამიანს გმირად და ეს გრძნობა ბავშვობიდან იწყება. იგი მოდის დედის რძესთან ერთად.

* * *

ვწერ იმას, რაც მამაჩემისაგან გამიგონია.

კაკაბაძეთა გვარი წარმოშობით აფხაზეთიდან იყო. მე-11 საუკუნეში უნდა იყვნენ ჩვენი წინაპრები აფხაზეთიდან იმერეთში ჩამოსახლებულებიო, ამბობდა მამაჩემი. მე მისგანვე ვიცოდი, რომ ბევრი გვარი იმერეთში გადმოსულია აფხაზეთიდან, რომ ნამდვილ ქართველ აფხაზთა შთამომავლები ამ მხარეში ბევრი იყო. როცა გვარში „ბა“ ნაწილაკია, ის აფხაზეთიდან წარმომავლობაზე მიუთითებსო (დღევანდელი სამეცნიერო გამოკვლევებით მართლაც მტკიცდება, რომ „ბა“ ნაწილაკის შემცველი გვარები აფხაზური წარმოშობისაა).

კაკაბაძეთა გვარი ილორის წმინდა გიორგის კუთვნილება ყოფილა.

სარგის კაკაბაძეს, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას, გამოუკვლევია თავისი გვარის ისტორია ცხრაასიანი წლების დასაწყისში. მას მიუგნია ერთი დოკუმენტისათვის, რომელშიც ნათქვამია, რომ XVI თუ XVII საუკუნეში იმერეთის მეფე, დადიანისაგან დამარცხებული და უკუქცეული, მდევნელთაგან თავის გადასარჩენად, თავისი ლაშქრით მდინარე ცხენისწყლისაკენ მიემართებოდა. ცხენისწყალს რომ მიადგნენ, მდინარე ადიდებული დახვდათ და დანთქმით ემუქრებოდა მეფეს და მის ჯარს. მაშინ მეფემ დაიჩოქა თურმე და ღმერთს შეევედრა: „ღმერთო და ილორის წმინდა გიორგი, ოღონდ გადამარჩინე და შემოგწირავ ოთხ კარგ გლეხ კაკაბაძესო“ („ოთხსა კარგსა გლეხსა კაკაბაძესა“).

მახსოვს, ამ ისტორიული ფაქტის შესახებ ყვებოდა თვითონ სარგის კაკაბაძე. მას თავისი გამოკვლევა გამოქვეყნებული ჰქონდა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში. საუბრისას, ბატონი სარგისი ამ ტექსტს უკეთებდა საინტერესო კომენტარს. იგი ამბობდა: „გამოთქმას – „კარგსა გლეხსა“, თავისი მნიშვნელობა აქვსო. ეს ნიშნავს, რომ გლეხები ჩვეულებრივები კი არ იყვნენ,

არამედ გამორჩეულები და საუკეთესონიო, ამიტომაც იხმარა მეფემ გამოთქმა – „კარგი“ მათ მიმართო.

მამაჩემი ამბობდა, ჩემს ბავშვობაში, მახსოვს, რომ ყოველ წელიწადს ჩვენს ოჯახში შესაწირავი მზადდებოდა ილორის ხატისთვისო და სალოცავში იგზავნებოდაო. ამ შესაწირავთან ერთად, ტაძარში ბავშვებისა და ოჯახის ყველა წევრის სიგრძე თითო-თითო სანთელიც ინთებოდაო.

ილორის წმინდა გიორგის მფარველობის ქვეშ მყოფ კაკაბაძეთა შტოს ეკუთვნოდნენ პოლიკარპე კაკაბაძე, მხატვარი დავით კაკაბაძე და მისი ძმა, ცნობილი ისტორიკოსი სარგის კაკაბაძე, ასევე, ნოდარ და ზურაბ კაკაბაძეები, გამოჩენილი მეცნიერები და ლიტერატორები და მათი ოჯახები.

უძლეველი ღვთიური მეომარი წმინდა გიორგი, ტყვეთა განმათავისუფლებელი, ღატაკთა და სნეულთა მფარველი, მეფეთა უძლეველი წინამბრძოლი, ამავე დროს მეცნიერების, განათლებისა და პოეზიის მფარველია. ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევით, წმინდა გიორგის, ქრისტიანულ რელიგიაში, სინათლისა და პოეზიის ღმერთის, აპოლონის ფუნქციები ეკისრება.

ილორის წმინდა გიორგის კუთვნილ კაკაბაძეთა შტოში, მართლაც, ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგებში განსაკუთრებული ნიჭი გამობრწყინდა.

პოლიკარპე კაკაბაძის წინაპართ, როგორც მოგახსენეთ, იმ ძველ დროში, თავის ძირითად საქმიანობად საკმაოდ რთული პროფესია, ვაჭრობა აურჩევიათ. XVI-XVII საუკუნეებში ისინი უკვე ეწოდნენ ამ საქმიანობას. ეს ადამიანები იყვნენ საუკეთესო, გაბედული ვაჟკაცები, გონიერი და გამჭრიახი ხალხი.

მამაჩემის თქმით, მამამისს, მალხაზ კაკაბაძეს, თავისი გვარის წინაპართა სახელები, მეთექვსმეტე საუკუნიდან მოყოლებული, ზეპირად სცოდნია. იგი, თურმე, ყოველ კვირა დღეს, ეკლესიაში სალოცავად რომ წავიდოდა, თავის წინაპართა მოსახსენიებლად ფულს მიართმევდა მღვდელს, ჩააწერინებდა მათ სახელებს და შემდეგ, წირვის დროს, ამ სახელებს რომ მოიხსენიებდნენ, თვითონაც ლოცვა-კურთხევას აღუვლენდა მათ სულებს. სახლში დაბრუნებული, ამ ამბით ბედნიერი, იგი განათებული სახით უამბობდა თავისიანებს ეკლესიაში წინაპართა მოხსენიების ამბავს.

სამწუხაროდ, მამაჩემმა არ ჩაიწერა ეს ჩამონათვალი სია წინაპართა სახელებისა: ვაპირებდიო ჩაწერას, მაგრამ, როგორღაც, ყოველთვის გადავდე და ასე მომრჩაო, ამბობდა იგი დანანებით.

იმ წინაპართა შორის ყოფილა ქუჩარა კაკაბაძე, ერთ-ერთი პირველთაგანი გვარში, ჩილინდებით რომ დადიოდა ხონიდან თბილისამდე; ყოფილა მანუჩარი, ჯიბილო, მოგელი და სხვა, რომელთა სახელები მწერალმა შემდეგ გააცოცხლა თავის ქმნილებებში. ასევე, ყოფილან არაერთხელ – ალექსი, ლევანი, მალხაზი და გიორგი.

პოლიკარპე კაკაბაძე არ გახლდათ დიდგვაროვანთა წრიდან, იგი არ ეკუთვნოდა ქართველ მეფეთა სანათესაოს, XIX საუკუნის დიდებულ ქართველ რომანტიკოსთა მსგავსად.

„ყვარყვარე თუთაბერის“ ავტორი, თავისი წარმომავლობით, უფრო შექსპირის ბედს იზიარებს, გლეხთა და ვაჭართა წრიდან რომ იყო გამოსული და მსოფლიო სახელი რომ მოუპოვა მანამდე უმნიშვნელო, პატარა ინგლისურ დასახლებას, სტრადფორდს, ეივონის ტბის ნაპირზე. „ეივონის სევდიანი გედი“ კაცობრიობისათვის ერთ-ერთ ყველაზე სათაყვანებელ პოეტად იქცა.

უძველესი ქართული ქალაქი ხონი გზათა შესაყარზე მდებარეობს, იმერეთში. აქეთ მოდის გზები სამეგრელოდან, რომელიც სულ ახლოსაა ხონთან, გადახვალ ცხენისწყალს და სამეგრელოა; აფხაზეთიდან, სვანეთ-ლეჩხუმიდან, სამხრეთ საქართველოდან, მესხეთიდან და აჭარა-გურიიდან აქეთ მოემართება გზები. ხონიდან იღებდნენ გეზს აღმოსავლეთ საქართველოსაკენ დასავლეთიდან დაძრული მოგზაურები.

ხონის ძველ კულტურულ ცხოვრებაზე მეტყველებს შოთა რუსთაველის უკვდავი სიტყვები: „ამირან დარეჯანის-ძე მოსეს უქია ხონელსა“.

ხონის მოსახლეობა, ძირითადად და მგონი, სულაც, თავისუფალი გლეხები ყოფილან. აქ არ იყო ყმა და აზნაური; სადღაც თავადი წულუკიძე არსებობდა იმ მხარეში, მაგრამ ხონის რომელ სოფლებზე თავადობდა იგი და რა დროიდან, ვერ მოგახსენებთ. მხოლოდ ვიცი, რომ სოფელ კუხში, სადაც პოლიკარპე კაკაბაძე დაიბადა, არც თავადი იყო, არც აზნაური და არც ყმა. აქ ბევრი იყო ჩამოსახლებული აფხაზეთიდან, სვანეთ-ლეჩხუმის მთია-

ნი მხარიდან და სამეგრელოდან. ასეთი გადასახლებები საკმაოდ ხშირი იყო: კაცს შეემთხვეოდა რაღაც გასაჭირი, ომი თუ განსაცდელი, ან ვიღაცის სისხლი დაედებოდა და უნდა დაეტოვებინა თავისი მხარე, ზოგსაც ფეოდალთან განხეთქილება მოუვიდოდა და სხვა ამგვარი. სხვადასხვა მიზეზებით აქეთ დაძრული მოსახლეობა თავისუფალ ადამიანთა მხარეში აფარებდა თავს, იწყებდა ახალ ცხოვრებას. ეთნოსი აქ ყოველთვის სუფთა ქართული იყო.

ხალხი აქ ფხიზელი და გონებამახვილია, ენამახვილი და შრომისმოყვარე. მათში მონური სული არასოდეს მეფობდა, იმიტომ, რომ ყოველთვის თავისუფლები იყვნენ. ამიტომაც პირადი ინიციატივა და მოქმედება მათთვის ბუნებრივი და დამახასიათებელი თვისება იყო. აქ ვაჭრობა ძველთაგანვე მეტად განვითარებული ყოფილა. ძველ საქართველოში დიდი გაბედულება და ვაჟკაცობა უნდოდა შორეულ გზებზე სავაჭროდ მოგზაურობას.

ტყვეთა სყიდვის პერიოდში იმ გვარებს, რომელთაც ილორის წმინდა გიორგი იცავდა, ერიდებოდნენ, მათი მოტაცებისა და გაყიდვისა ეშინოდათ – ხატი გაგვირისხდებაო. ილორის ხატი მეტად ძლიერი იყო, მთელ დასავლეთ საქართველოში განთქმული და იმ ლაზებსა და ქართველებსაც კი, რომლებიც გათურქდნენ, მეტად ეშინოდათ მისი. გათურქებული კი ძალიან ბევრი იყო მთელი შავი ზღვის სანაპიროზე, ტრაპიზონამდე და სტამბოლამდეც. სწორედ ისინი იყვნენ ძირითადად ტყვეებით მოვაჭრენი. მათ კარგად იცოდნენ, ვის იტაცებდნენ. მართალია, მათ დაკარგეს სარწმუნოება, მაგრამ ძველი სალოცავის შიში შემონახული იყო მათში და ილორის ხატის რისხვისა ისევ ძლიერ ეშინოდათ. ამიტომაც ერიდებოდნენ მისი ყმების როგორც გატაცებასა და გაყიდვას, ასევე შესყიდვას. ამ ამბავმაც განაპირობა კაკაბაძეთა გვარის გამრავლება და გაძლიერება.

* * *

მალხაზ კაკაბაძის მშობლები იყვნენ ალექსი და ანასტასია ჯალაღონია. ალექსის მამა, ლევანი, შესანიშნავი ვაჟკაცი, გარდაცვლილა ფილტვების ანთებით, როცა მისი მეუღლე ფეხმძიმედ იყო პირველ და ერთადერთ შვილზე. იგი კოსტავას ქალი ყოფილა, თუ

არ ვცდები, სახელად თამარი რქმევია. ამ ქალის ქება მამაჩემამდე და ჩემამდეც მოვიდა. მთელი სოფელი პატივს სცემდა განსაკუთრებული თვისებების გამო, როგორც სათნო და მაღალზნეობრივ ადამიანს. მას სცოდნია წერა-კითხვა, რაც, იმხანად, გლეხთა შორის, და ისიც ქალებში, იშვიათი გახლდათ. ქალი ნაზი იყო, მას მეტად უყვარდა წიგნების კითხვა და ზეპირგადმოცემათა გარდა, ბევრი რამ სწორედ წიგნებიდან სცოდნია. კოსტავას მშვენიერი და სათუთი ქალი მშობიარობას გადაჰყვა.

დიდ ოჯახში დარჩა ერთადერთი ბავშვი, ალექსი, რომელიც სუსტი დაიბადა. ლევანის ძმა, გოგია კაკაბაძე, უშვილო იყო. მისი კეთილშობილი და დარბაისელი მეუღლე, თამარი, დედობას ვერ ეღირსა. ოჯახი შეძლებული იყო, მას თავისი ტრადიციები ჰქონდა, საუკუნეებს რომ ითვლიდა. შიშით უყურებდნენ პატარა ალექსის, რომელსაც უნდა გაეგრძელებინა ცნობილი ოჯახის დიდი გვარი, რომ არ ამომწყდარიყვნენ. გადაწყვიტეს ადრე დაექორწინებინათ, ჯერ კიდევ ბავშვი.

ალექსი ქერა იყო, ცისფერთვალება, ლამაზი, მაღალი და ნატიფი აღნაგობის. ასეთი ჯიში ჰქონდათ თურმე კაკაბაძეებს, მათ წინაპრებს: ტანწვრილები ყოფილან, მაღლები, ქერები, ლამაზები, გაბედული, თამამი გონების ხალხი, ენერგიულები, მაგრამ ალექსი ჯერ პატარა იყო, უდედოდ გაზრდილი და ნაზი ჯანმრთელობის.

თერთმეტი წლის ალექსის საცოლედ შეურჩიეს ჯანმაგარი და ჯანმრთელი შავგვრემანი ქალი, მასზე ბევრად უფროსი. ეს ქალი, ანასტასია (ტასო) ჯალაღონია, სანდომიანი გარეგნობის, ენერგიული და დიდად მშრომელი ადამიანი იყო. იგი ოცდასამი წლისა ყოფილა, როცა ალექსიზე ჯვარი დასწერეს.

ჯალაღონიათა ოჯახს დიდ პატივად მიუღია, როცა ქალი სთხოვეს კაკაბაძეებმა.

დიდი ქორწილი გადაიხადეს ჯალაღონიებმა და სიხარულით და ზარ-ზეიმით გაატანეს ქალი გოგია კაკაბაძის ოჯახს.

მაგრამ ალექსი ჯერ ბავშვი იყო, ნაზი აღნაგობისა და ცხენზე დამოუკიდებლად ჯდომა და ჭენება არ შეეძლო, ამიტომ დედოფალს შემოუსვეს ცხენზე უკან.

გზაზე, ცხენის ჭენებისას, თურმე, მეფეს ქუდი მოსძვრა და გადაუვარდა. მორიდებულმა ყმაწვილმა ხმა ვერ ამოიღო, მაგრამ დედოფალმა მაღალი და ენერგიული ხმით შესძახა: „მეფეს ქუდი გადაუვარდა!“

მაყრიონი შედგა, მეფეს ქუდი მოართვეს.

ხოლო პატარძლის ენერგიული შეძახილი: „მეფეს ქუდი გადაუვარდა!“ – თაობებში დარჩა, როგორც მხიარული და ღიმილის მომგვრელი გადმოცემა და მოაღწია მამაჩემამდე და ჩემამდეც...

* * *

ტასიას სოფელი სამეგრელოსა და იმერეთის საზღვარზე მდებარეობდა. ეს იყო სოფელი ჩუნეში.

ტასიას მამა ძლიერი, ღონიერი და დაწინაურებული გლეხი იყო, ჰქონდა მამულები, დიდი სახნავ-სათესი, ჰყავდა ბევრი საქონელი; ოჯახი დიდი იყო, ხალხმრავალი, ბევრი შვილი და ასევე ბევრი მოჯამაგირე, რომლებიც მეურნეობაში ეხმარებოდნენ ოჯახს.

მე ეს ოჯახური გადმოცემები მამაჩემისაგან ვიცი, მამაჩემმა კი მისი წინაპრების, მისი გვარის და ასევე ჯალაღონიების ოჯახის ამბები მამამისისაგან, მალხაზისაგან იცოდა.

* * *

პოლიკარპე კაკაბაძის მამას, მალხაზს, ბავშვობისას ძალიან უყვარდა ბაბუასთან სტუმრობა ჩუნეშში.

ჯალაღონიების დიდ ეზოში თვრამეტი სახლი მდგარა, მათ შორის რამდენიმე სასტუმრო სახლი, რომელთა შორის იყო სახლი მოგზაურთათვის, სახლი მლოცველთათვის და ცალკე სახლი გლახაკთათვის. ამ სახლში დროდადრო დასახლდებოდა უპოვარი ვინმე, ბედისწერით საიდანღაც გადმოვარდნილი და დაგლახაკებული, იცხოვრებდა რამდენიმე ხანს, სანამ გული დაუდგებოდა. მას ჰქონდა ოჯახისაგან თავისი ულუფა, აუცილებელი შესამოსი და სითბო. იქნებოდა აქ ერთხანს თავშეფარებული და შემდეგ, როცა სხვაგან გაუწევდა გული, დატოვებდა ამ სტუმართმოყვარე, ღვთისნიერ ოჯახს და გაუდგებოდა გზას.

ხალხმრავალი იყო ჯალაღონიების ოჯახი, როგორც ვთქვით, დიდად მშრომელი ხალხი. აქ ერთნაირად შრომობდნენ ოჯახის

წევრებიც და დაქირავებული მუშებიც. საღამოს, ვახშმად რომ დასხდებოდნენ, ორი კოკა წყალი იხარჯებოდა თურმე მარტო ხელის დასაბანად. ისინი ბევრი იყვნენ: სტუმრები, მასპინძლები და მათი დამხმარე ადამიანები, მოჯამაგირეები, მუშები.

* * *

ალექსი როცა გაიზარდა, კარგი ვაჟკაცი დადგა, მისი წინაპრებივით ქერა, ტანწვრილი, ლამაზი და თანაც საქმიანი. ოჯახური ტრადიციისამებრ შესანიშნავად ააწყო სავაჭრო საქმე.

ქორწინებიდან ხუთი წლის თავზე, ალექსის და ტასიას პირველი შვილი შეეძინათ. ალექსი მაშინ თექვსმეტი წლისა იყო. ვაჟს მალხაზი დაარქვეს. მათ კიდევ შეეძინათ ქალ-ვაჟები, სულ სამი ვაჟი – მალხაზი, ლევანი და სარდიონი და ქალიშვილები – ივლიტა და მელანო.

ალექსი თავის საქმის გამო დადიოდა შორეულ მარშრუტებზე, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, აგრეთვე თურქეთში. მაგრამ ალექსი მამამისივით ახალგაზრდა გარდაიცვალა, ოცდათორმეტი წლისა, გაციებით გამოწვეული ანთებით. მალხაზი, უფროსი ვაჟი, ამ დროს თექვსმეტი წლისა იყო. მან გადაწყვიტა თავისი შრომით შეექმნა საკუთარი მომავალი.

მშობლები

ზაფხულის ერთ მზიან დილას, 16 წლის მალხაზი სახლიდან წავიდა და თან ერთი ცული წაიღო, ქამარში გარჭობილი. იგი წავიდა ტყეში, მთელი ზაფხული შეშა ჭრა, ბლომად დააგროვა, ხოლო შემოდგომაზე ბათუმში წაიღო გასაყიდად. მიღებული ფულით მეორე ზაფხულს მუშები დაიქირავა და ახლა უკვე ბევრად დიდი რაოდენობის დამზადებული შეშა გაყიდა ბათუმში. ასე დაიწყო მალხაზის ხე-ტყით ვაჭრობა.

გიორგი წერეთელს თავის ცნობილ პროზაულ ნაწარმოებში „პირველი ნაბიჯი“ გამოყენებული აქვს მალხაზ კაკაბაძის ბიოგრაფიული დეტალები.

„პირველი ნაბიჯის“ მთავარი პერსონაჟი ბახვა ფულავა თავის ხე-ტყის ბიზნესს სწორედ მალხაზ კაკაბაძისავით იწყებს. ისიც

ხომ მალხაზივით მთელი ზაფხული მარტოკა ჭრის ხეებს ტყეში, შემოდგომაზე კი ჩამოიტანს ზღვისპირა საპორტო ქალაქში გასაყიდად და ასე იწყებს თავის პირველ ბიზნესს.

გიორგი წერეთელი მალხაზ კაკაბაძეს პირადად იცნობდა, მასთან კარგი და თბილი ურთიერთობა ჰქონდა. მათ ერთად ჩამოუყალიბებიათ კომერციული საზოგადოება. ეს იყო ბათუმის პორტის მტვირთავ მუშათა არტელი.

უნდა აღინიშნოს, რომ მალხაზ კაკაბაძე ბათუმის თუ იმერეთის ინტელიგენციის მრავალ სასარგებლო წამოწყებას დახმარებია ფულადი სახსრებით. იგი ქველმოქმედი ადამიანი იყო.

ბათუმი

მეცხრამეტე საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, როდესაც მალხაზ კაკაბაძე ბათუმში სახლდება და მოღვაწეობას იწყებს, ქალაქი განიცდის აღმავლობას. იგი 1878 წელს თურქთა მფლობელობისაგან თავისუფლდება და მის ისტორიაში ახალი ერა იწყება.

მალხაზმა ბათუმში გააკეთა შეშის დიდი საწყობი, რომელიც თითქმის მთელ ქალაქს შეშით ამარაგებდა. იგი გამდიდრდა. მალხაზმა თანდათან გააფართოვა თავისი ბიზნესი და როგორც ზემოთაც აღვნიშნე, დაიწყო ძვირფასი ჯიშის ხის დამზადება, რომელიც გაჰქონდა უცხოეთში – რიზეში, სტამბოლში, მარსელში, პარიზში, ლონდონში და სხვა. ამავე დროს, ბათუმის ცენტრში შესანიშნავი მაღაზიები ააშენა. ასე მიდიოდა მისი საქმიანი ცხოვრება.

მალხაზი თვითონაც იყო ნამყოფი პარიზში. ჩვენს ოჯახში ახლაც ინახება პარიზის რუკა, რომელიც მალხაზმა იმ მოგზაურობიდან ჩამოიტანა.

მამაჩემი ყვებოდა, თუ როგორ მოსწონებია მალხაზს მსოფლიოს ეს ულამაზესი ქალაქი. იგი აღფრთოვანებული ყოფილა არამარტო პარიზის უმშვენიერესი შენობებით, ქუჩებით თუ ბაღებით, არამედ თვით პარიზელი ხალხით და იქაური ურთიერთობებით.

მალხაზი ყვებოდა, თურმე, როგორი პატიოსანია იქ ხალხი, როგორი ღვთისმოსავი, რა წესიერი ოჯახებია, როგორი მორწმუ-

ნეები არიან. იგი შესწრებია სახალხო მსვლელობას, როცა ლოცვით, გალობით და ღაღადებით ხალხი ქუჩებში მიედინებოდა.

მამაჩემი ამბობდა, ჩემი ნაცნობ-მეგობრები, ახალგაზრდები, ჩამოდიოდნენ პარიზიდან და ყვებოდნენ იქაური ღამეული დროსტარების, კაფე-შანტანის ამბებს. მამაჩემმა კი, ამ პატიოსანმა, მორწმუნე, უბრალო ადამიანმა, სულ სხვა რამ დაინახა პარიზში და სულ სხვა ურთიერთობებით აღფრთოვანდაო.

* * *

მალხაზს უნდოდა, რომ მის ნიჭიერ, უფროს ვაჟს, პოლიკარპეს, ბავშვობიდანვე უცხოეთში მიეღო განათლება. ამისათვის იგი მოელაპარაკა და შეუთანხმდა სტამბოლში საუკეთესო ფრანგული კოლეჯისა და პანსიონის ხელმძღვანელობას. ბავშვი გაამზადეს გასამგზავრებლად. მალხაზი თავისი მორიგი კომერციული საქმიანობისათვის სტამბოლში უნდა ჩასულიყო და თან უნდა წაეყვანა თავისი რვა წლის ვაჟი კოლეჯში მისაბარებლად.

უკვე ეტლი კარებთან ელოდებოდათ, დედამ გამოსამშვიდობებლად გულში ჩაიკრა შვილი და მწარედ, ხმამაღლა აქვითინდა. დედის ტირილს ბავშვიც აჰყვა. ორივენი გულამოსკვნით ტიროდნენ და ერთმანეთს ვეღარ შორდებოდნენ.

მალხაზმა, ამ სურათს რომ უყურა, ხელი ჩაიქნია, გატრიალდა, ჩაჯდა ეტლში და მარტო გაემგზავრა სტამბოლისაკენ...

ასე ჩაიშალა მაშინ მომავალი მწერლის განათლების მისაღებად უცხოეთში გამგზავრების ერთადერთი შესაძლებლობა.

* * *

როგორც ვთქვი, მალხაზი მაღალი მორალის ადამიანი იყო, ღვთისმორწმუნე, კეთილშობილი, უყვარდა ადამიანების დახმარება. მას მრავალ საქველმოქმედო საქმეში მიუღია მონაწილეობა. ბათუმში, რკინიგზის ძველი სადგურის მახლობლად, მშვენიერი ეკლესია დგას. მის ასაშენებლად მალხაზს დიდი ფული შეუწირავს. მთელი მისი ოჯახი ამ ეკლესიაში დადიოდა სალოცავად.

მახსოვს, ბათუმში მატარებლით რომ ჩავიდოდით, დილით ადრე, როცა მამა ჩვენთან იყო, აუცილებლად წავიდოდით სად-

გურიდან პირდაპირ იმ ეკლესიაში. მამაჩემი განსაკუთრებული სასოებით გადაიწერდა პირჯვარს და გულმხურვალედ ილოცებდა, ჩვენც ვილოცებდით მამასთან ერთად და მერე გავუდგებოდით გზას. მამას ძალიან უყვარდა ეს ეკლესია.

ღრმად რელიგიური ადამიანი იყო მალხაზ ბაბუაც. როცა მალხაზ კაკაბაძე სასიკვდილო სარეცელზე იწვა, სულს ლევდა, მეტყველებაც წაერთვა და თითქმის ყველა გრძნობამ დატოვა, ბოლო წუთებში, თურმე, პირჯვარს იწერდა და ასე მიაბარა სული უფალს.

* * *

მალხაზის ოჯახი ცნობილი იყო სტუმართმოყვარეობით, ოჯახის წევრებიც ყოვლად უანგაროდ ეხმარებოდნენ ირგვლივ ადამიანებს. მათთან ყოველთვის ცხოვრობდა რამდენიმე ხელმოკლე ნათესავი. ეს თვისება და ეს მოვალეობის გრძნობა, გაჭირვებულისადმი დახმარებისა, მალხაზის შვილებს ბოლომდე შერჩათ. მათ ოჯახებშიც გრძელდებოდა ეს ტრადიცია.

ჩვენთან, მიუხედავად იმისა, რომ სულ გვიჭირდა, თვეობით ცხოვრობდნენ ხოლმე ხან მამაჩემის დისშვილები, ხან დედაჩემის ძმისშვილები, სტუდენტები ან სხვა ნათესავები, თუ არ ცხოვრობდნენ, სადილად მაინც გვეწვეოდნენ ხან ღარიბულ, ხან მდიდრულ სუფრაზე. მათ აქ ყოველთვის სიხარულით და სიყვარულით იღებდნენ და მთელი გულით უმასპინძლდებოდნენ.

მამაჩემისათვის და დედაჩემისათვის მუდამ სასიხარულო იყო დახმარება გაჭირვებულთათვის. ეს მათ სულიერ კმაყოფილებას ანიჭებდათ. რამდენჯერ უკანასკნელი კაპიკი გაუღია მამაჩემს მძიმე მდგომარეობაში მყოფი მეგობრისათვის, ნათესავისა თუ ნაცნობისათვის და მსუბუქი გულით მოსულა შინ, თუმცა სახლში არაფერი ეგულებოდა.

დედაჩემიც უკანასკნელ ლუკმას დიდი სიხარულით გაუნაწილებდა მშიერს და ეს მისთვის ბუნებრივი იყო. თვითონ არ შეჭამდა, ოჯახის წევრებს მოაკლებდა და შემოსწრებულ ადამიანს მიართმევდა. ოჯახში ტრადიციად იყო – ყველაფერი საუკეთესო სტუმრისათვის, შემოსწრებულისათვის, გაჭირვებულისათვის.

ასეთი სტუმართმოყვარეობა ქართული ტრადიცია იყო ძველთაგანვე და ის ჩვენს ოჯახში წმიდათაწმიდა წესად იყო მიღებული.

* * *

პოლიკარპე კაკაბაძის ოჯახი მალევე, მისი დაბადების შემდეგ, სამუდამოდ დასახლდა ბათუმში. ისინი ცხოვრობდნენ რკინიგზის სადგურის მახლობლად. სახლი სამოთახიანი იყო. სამივე ოთახს გასწვრივ შუშაბანდი გასდევდა, რომელიც დატიხრული იყო ოთახებად. ასე რომ, ბინაში ოთხი-ხუთი ოთახი გამოდიოდა.

საცხოვრებელი ბინა მეორე სართულზე იყო, სამზარეულოში კი კიბით ჩადიოდნენ პირველ სართულზე, რომელიც იქვე, ცალკე შენობად იდგა ეზოში. ბინის ქვეშ, პირველ სართულზე, არავინ ცხოვრობდა, მას სათავსოდ იყენებდნენ. ეზო იყო პატარა, ვიწრო, არავითარი ხედით.

ნაუცბათევად ააშენებინა ეს სახლი მალხაზმა, რადგან თვითონ ძალიან დაკავებული იყო კომერციული საქმიანობით და არ ეცალა. ოჯახი სულ ფიქრობდა მათთვის უფრო შესაფერისი, მოზრდილი სახლის შეძენას ზღვასთან ახლოს, მაგრამ არ მოხერხდა.

ბოლოს, საბჭოთა პერიოდის დადგომიდან მალე, როცა მალხაზ კაკაბაძეს მთელი ქონება ჩამოართვეს, ეს სახლიც გაიყიდა და ისინი გადავიდნენ უფრო პატარა, ნაქირავებ, თუ „ატსტუპნოით“ ნაყიდ ბინაში, რომელიც გაუთხოვარი ქალიშვილის, ნადიას, სახელზე იყო. ნადიამ ბათუმური ოჯახის ეს ერთადერთი საყრდენიც გაყიდა და ძმებთან საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში, სადაც ჭიჭიკომ მას, უკვე მოგვიანებით, 50-იან წლებში, უყიდა საკუთარი პატარა ოთახი ბელინსკის ქუჩაზე.

* * *

მამაჩემს უყვარდა ნათესავები და მეტად ხშირად იგონებდა მათ.

მამაჩემის უსაყვარლესი ნათესავი იყო ლიზა ლაღაძე-ხმალაძისა, მაიკო ბებიას დისშვილი.

პოლიკარპე კაკაბაძე როცა დაიბადა, მას აკვანს ურწევდა პატარა, რვა წლის ლიზა. იგი მამით ობოლი იყო, დედა კი მეორედ გა-

თხოვდა ჭარხალაშვილზე. ლიზა დეიდის სახლში იზრდებოდა და მამაჩემისათვის უფროსი დასავით იყო.

ამ ქალს მძიმე და ტრაგიკული ცხოვრება ერგო. მამაჩემი ლიზას თანამგრძნობი იყო მის ჭირსა და ტანჯვაში და ხშირად იხსენებდა მას განსაკუთრებული სითბოთი და დანანებით.

მე ლიზა არ მახსოვს, არ მოვსწრებივარ მას, მაგრამ მიყვარდა მისი ოჯახი და შვილები, რომლებიც ჩვენი ხშირი სტუმრები იყვნენ. ამ ოჯახთან ერთად ჩვენ გვსტუმრობდა აგრეთვე ლიზას ძმისშვილი, თბილი და სასიამოვნო ადამიანი, კარგი ვაჟკაცი და კარგი სპორტსმენი. იგი ადრე დაიღუპა, თუმცა ლიზა ამ დროს უკვე დიდი ხნის წასული იყო ამქვეყნიდან.

ეს ხალხი მამაჩემს ძალიან უყვარდა, ისინი ხომ მისი ლიზას შთამომავლები იყვნენ და ლიზას სითბო ჰქონდათ გამოყოლილი.

ლიზა ღრმა გრძნობების ადამიანი და სპეტაკი პიროვნება გახლდათ, ამიტომ გამორჩევით უყვარდა იგი მამაჩემს მთელ სანათესაოში.

ლიზა ტრაგიკული ბედის ადამიანი იყო. მისი მთავარი უბედურება და სატანჯველი იყო უფროსი ვაჟის, ნიჭიერი, კეთილშობილი და საზოგადოებაში გამორჩეული პიროვნების, ალექსანდრეს ტრაგიკული სიკვდილი. ამის შემდეგ ლიზას სიცოცხლე მხოლოდ დაუსრულებელი ცრემლთა დენა იყო. მამაჩემი ამ ქალის ბედს ყოველთვის მწარედ განიცდიდა, ლიზა ხომ მისი ყველაზე საყვარელი ადამიანი იყო მთელ სანათესაოში.

ლიზას შვილები – შოთა, თამარა და ჩიტო ხმალაძეები ჩვენი ოჯახის უსაყვარლესი ნათესავები და მამაჩემისათვის მეტად სასურველი და ხშირი სტუმრები იყვნენ.

რატომ ვახსენებ ლიზას და მის სატანჯველს, ან მის ოჯახს? მათ ხომ საზოგადოების ცხოვრებაში განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებიათ, არ გამოუჩენიათ თავი რაიმე განსაკუთრებული წარმატებით... მაგრამ ეს ჩვეულებრივი ადამიანები მამაჩემის ცხოვრების ნაწილი იყვნენ ამ დედამიწაზე, სადაც ყველაფერი მიდის და მოდის, მაგრამ სიყვარული კი რჩება, და არაფერი, სიყვარულის გარდა, არ მიჰყვება ადამიანს იქ, მარადიულ სამეუფოში, ღმერთთან...

მამაჩემს განსაკუთრებით უყვარდა ლიზა და ამიტომ ვიხსენებ მას.

პოლიკარპე კაკაბაძის დედ-მამის შვილები

პოლიკარპე კაკაბაძე უფროსი იყო და-ძმებში. მის მშობლებს ცხრა შვილი გაუჩნდათ. პირველი – დიმიტრი, დაიბადა 1889 წელს და ორი თუ შვიდი თვისა გარდაცვლილა. მეორე შვილი მალხაზს და მაიკოს ოთხი წლის შემდეგ გაუჩნდათ.

1893 წლის 23 თებერვალს (ახალი სტილით 7 მარტს) დაიბადა პოლიკარპე კაკაბაძე.

მწერლის მომდევნო და-ძმათა სია ასეთია:

ბაბილინა – დაიბადა 1895 წ., გარდაიცვალა 1913 წელს, 18 წლისა, ბრონქიალური ასთმით. იგი ყოფილა მეტად ნიჭიერი, მაღალი ზნეობისა და ინტელექტის ადამიანი.

ზინა (1897-1969) – გათხოვილი, ქმარშვილიანი, დიასახლისი.

მარუსია (მარიამი) (1898-1900) – გარდაიცვალა ორი წლისა. პოლიკარპე მაშინ შვიდი წლისა იყო და განსაკუთრებით განიცადა პატარა დის სიკვდილი. ის სიმწვავე ტანჯვისა მთელი ცხოვრება ახსოვდა და ასაკში მყოფიც მწარედ იგონებდა პატარა დის სიკვდილს.

ლიდა (1900-1964) – ბიოლოგი, მასწავლებელი, ქმარშვილიანი. მისი მეუღლე იყო ახმედ გრძელიძე, ოცდაჩვიდმეტში დახვრიტეს. ახმედი განსაკუთრებით, გამორჩევით უყვარდა მამაჩემს. ლიდა მამიდა ქმრის შემდეგ მუდამ სევდიანი იყო, მე ის გახარებული არ მინახავს.

ჭიჭიკო (ალექსი) (1901-1968) – პოლიკარპე კაკაბაძის საყვარელი ძმა, მუდამ რომ მხარში ედგა გაჭირვებაში და ხელს უმართავდა მას და მის ოჯახს. გარდაიცვალა უცოლშვილოდ.

ნადია (1902-1974) – მხატვარი, ინტელიგენტი ადამიანი, იყო ლამაზი და მეოცნებე, არასოდეს გათხოვილა.

თამარი (1904-1992) – გათხოვილი, ქმარშვილიანი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, სილამაზით გამორჩეული დებში, იყო კეთილი და განსაკუთრებით შრომისმოყვარე ადამიანი, ოცდათექვსმეტი წლის ვაჟიშვილის დაღუპვის შემდეგ ცრემლგამდინარე დედა და მაინც კეთილი.

ამრიგად, მაიკოს და მალხაზის ცხრა შვილიდან შვიდი გაიზარდა, ორი მცირეწლოვანი დაიღუპა, ხოლო ერთი, ბაბილინა, თვრამეტი წლის ასაკში გარდაიცვალა. დარჩნენ ექვსნი. ამ ექვსმა და-ძმამ მოხუცებულობამდე იცოცხლა.

გიმნაზიის წლები

პოლიკარპე კაკაბაძე გიმნაზიაში შესვლამდე კერძო მასწავლებლებთან სწავლობდა. მისი პირველი მასწავლებელი, რომელმაც გიმნაზიაში შესვლამდე პირველდაწყებითი განათლება მიაღებინა, იყო ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ნიკო აღნიაშვილი. მწერალი მას ყოველთვის დიდი სიყვარულით და პატივისცემით იხსენებდა. გიმნაზიაში პოლიკარპეს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო ალექსანდრე ნათაძე, რომელიც თავიდანვე აღფრთოვანებული იყო ყმაწვილის განსაკუთრებული ნიჭიერებით და ბავშვისათვის უჩვეულო ცოდნით, რაც მას განასხვავებდა ყველა იმ ყმაწვილისაგან, მასთან რომ სწავლობდა, რაც უნდა წარმატებული და ფრიადოსანი მოსწავლეც ყოფილიყო.

მომავალი მწერლის ნიჭიერება მჟღავნდებოდა ლიტერატურისა და ისტორიის ისეთ ღრმა და ორიგინალურ გააზრებაში, რაც ამ საგნების მასწავლებლების გაოცებასა და აღფრთოვანებას იწვევდა.

მომავალი მწერალი, ხუთი-ექვსი წლის ასაკიდან, სწავლობდა, აგრეთვე, პეტერბურგელი გენერლის ქალიშვილთან, მარიამთან, რომელიც ბათუმში იყო გათხოვილი ვინმე თოხუმოვზე და საუკეთესო პედაგოგად ითვლებოდა. მას ოჯახში ჰქონდა რამდენიმე ბავშვისათვის განკუთვნილი პატარა კერძო პანსიონი, სადაც იგი ბათუმის ცნობილი, წარმატებული ოჯახის შვილებს ზრდიდა და ასწავლიდა.

ამ ქალმა ნიჭიერ ბავშვს დიდი ამაგი დასდო. იგი ამეცადინებდა პოლიკარპეს რუსულ, ფრანგულ, გერმანულ ენებში. ამავე დროს, ჯერ კიდევ სრულიად პატარას, შესანიშნავად ასწავლა მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის შედევრები, რომლებიც მომავალმა მწერალმა ბავშვობის ასაკიდან უკვე ზეპირად იცოდა.

თოხუმოვის პანსიონში მომავალი მწერალი რამდენიმე წელი მიბარებული იყო ნახევრად პანსიონის პირობებით, ხშირად მთელ დღეებს იგი თოხუმოვებთან ატარებდა, საღამოს კი, აუცილებლად შინ ბრუნდებოდა.

მამაჩემი თავის ერთ-ერთ პირველ მასწავლებელს, მარიამ თოხუმოვისას, დიდად აფასებდა და პატივს სცემდა.

ამ ქალმა იცოცხლა ღრმა მოხუცებულობამდე. იგი ქალიშვილთან ერთად ბათუმიდან თბილისში გადმოსახლდა და რუსთაველის პროსპექტის მახლობლად ცხოვრობდა. მახსოვს, ჩემს ბავშვობაში რამდენჯერ შეგვხვედრია რუსთაველის პროსპექტზე მარიამ თოხუმოვის ქალიშვილი. მამა აუცილებლად შეიყვანდა ხოლმე ამ ქალს იქვე გასტრონომში, დატვირთავდა საუკეთესო ტკბილეულით, მურაბებით, სხვადასხვა პროდუქტით და ისე გაისტუმრებდა თავის მასწავლებელთან. მახსოვს, მამას არაერთხელ უთქვამს, გავიარე, ვნახე თოხუმოვის ქალი, მივართვი მოსაკითხიო.

* * *

1902 წელს პოლიკარპე კაკაბაძე ბათუმის გიმნაზიაში შევიდა. იგი ბავშვობიდანვე ძალიან ბევრს შრომობდა, მთელი ღამეები გატაცებით კითხულობდა. ჯერ კიდევ გიმნაზიის მოსწავლემ ბრწყინვალედ იცოდა ლიტერატურა და ისტორია. მისი ცოდნა ამ დარგებში არ შეიძლებოდა გაზომილიყო რაიმე სასწავლო პროგრამით. სრულიად პატარა, ჯერ კიდევ ბავშვი, იგი აუარებელ წიგნს შოულობდა ქართულად და რუსულად და კითხულობდა დღე და ღამე. იგი ბავშვობიდანვე მიეჩვია მთელი ღამე კითხვას. ეს ჩვევა, ღამე მუშაობისა, მას სიცოცხლის ბოლომდე შემორჩა. იგი მთელი ღამე მუშაობდა და მხოლოდ გამთენიისას იძინებდა. ასეთი იყო მისი ცხოვრების წესი.

პოლიკარპე კაკაბაძე გიმნაზიაში სწავლისას, როგორც ვთქვით, ყოველთვის პირველი იყო ლიტერატურასა და ისტორიაში. მას ამ საგნების ცოდნაში ვერავინ შეედრებოდა და, ცხადია, ყოველთვის ხუთები ჰქონდა. რაც შეეხება სხვა საგნებს, აქ ნიშნები ასეთი იყო – რაც აინტერესებდა, ისწავლიდა, რაც არ მოეწონებოდა, დროს არ დაკარგავდა.

მაგრამ მას არც ერთი ხუთოსანი ბავშვი ოდნავადაც ვერ ედრებოდა თავისი შრომისუნარიანობითა და შრომისმოყვარეობით. იგი მუშაობდა ისე, როგორც მას მოუწოდებდა მისი ნიჭი და სულიერი ლტოლვა და არა გაკვეთილების ცხრილი.

გიმნაზიაში ლათინურსაც ასწავლიდნენ და მახსოვს, მამაჩემს უყვარდა ციცერონის ცნობილი სიტყვების („კატილინას წინააღმდეგ“) ზეპირად წარმოთქმა.

ბათუმის გიმნაზიაში პოლიკარპე კაკაბაძესთან სწავლობდა და მისი უახლოესი მეგობარი იყო ჰაიდარ აბაშიძე, შემდგომში აჭარის განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ცნობილი მოღვაწე. მამას და ჰაიდარს ყმაწვილობის ასაკიდანვე ჰქონდათ ერთი აზრი საქართველოს განთავისუფლების შესახებ.

შემდგომში, საბჭოთა რეპრესიების წლებში, ჰაიდარ აბაშიძე გადაასახლეს, მაგრამ ცოცხალი გადარჩა და სამშობლოში რომ დაბრუნდა, დაწერა მშვენიერი წიგნი აჭარის განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ. მახსოვს, ბატონი ჰაიდარი მოვიდა ჩვენთან და მამას საჩუქრად თავისი წიგნი მოართვა.

ჰაიდარის გარდაცვალების შემდეგ მამას სულ ჰქონდა ურთიერთობა მის ოჯახთან, სიძესთან და ქალიშვილთან. ისინი ექიმები იყვნენ. ჰაიდარის სიძე, მაღლაკელიძე, იყო ცნობილი ექიმი, რომელიც მუშაობდა კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატზე და საგულისხმო მიღწევებიც ჰქონდა. როცა მამა 1965 წელს, მძიმედ ავადმყოფი, ქალაქის რესპუბლიკურ (მაშინდელ ე. წ. „მიხაილოვის“) საავადმყოფოში იწვა, ისინი ხშირად მოდიოდნენ მასთან სანახავად.

თბილისი

მალხაზ კაკაბაძის ოჯახი შვილის, ბაბილინას ავადმყოფობის გამო, ერთ ხანს ქუთაისში იყო გადასული საცხოვრებლად, ვინაიდან, ბავშვს, ბრონქიალური ასთმით დაავადებულს, ბათუმის ნესტიანი ჰაერი სწყენდა. იქ, ქუთაისში, პოლიკარპე კაკაბაძე ორი წელი სწავლობდა ცნობილი პედაგოგის, კონსტანტინე (კოწია) მკურნალის კერძო გიმნაზიაში.

ქუთაისში მამასთან ერთად ამ სასწავლებელში სწავლობდა ვიქტორ ნოზაძე, შემდგომში უცხოეთში მოღვაწე ცნობილი რუსთველოლოგი. პოლიკარპე კაკაბაძე ყმაწვილობის პერიოდიდან მეგობრობდა მასთან და თავის ჟურნალში „შვიდი მნათობი“

(1919 წ.) გამოაქვეყნა კიდეც მისი კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები.

გიმნაზიის კურსი პოლიკარპე კაკაბაძემ 1912 წელს დაასრულა და ამ პერიოდიდან, უმეტესწილად, იგი ცხოვრობს თბილისში, ემზადება უცხოეთში წასასვლელად და იქ უმაღლესი განათლების მისაღებად.

თბილისში პოლიკარპე კაკაბაძე ერთ ხანს ცხოვრობდა პროფესორ სარგის კაკაბაძესთან, რომელიც ხელმძღვანელობდა მის განათლებას, თვითონაც ამეცადინებდა და ეხმარებოდა ფილოსოფიის, ისტორიისა და ლიტერატურის დარგში საუკეთესო სპეციალისტთა, პროფესორ-მასწავლებელთა შერჩევაში.

1913 წელს პოლიკარპე კაკაბაძე სარგის კაკაბაძესთან ერთად აპირებდა უცხოეთში, გერმანიაში, სასწავლებლად გამგზავრებას. მამამისმა სარგისს ფულიც მისცა, მაგრამ, რაღაც შემთხვევის გამო, მას ეს ფული დასჭირდა, შემოეხარჯა. ასე რომ, სწავლა გადაიდო მომავალი წლისთვის, ხოლო 1914 წელს დაიწყო ომი გერმანიასთან, პირველი მსოფლიო ომი და საბოლოოდ ჩაიფუშა უცხოეთში სასწავლებლად წასვლის შესაძლებლობა.

თბილისში პოლიკარპე კაკაბაძე დიდი ენერგიით ეწაფება თვითგანათლებას, დადის ბიბლიოთეკებში, საუკეთესო კერძო მასწავლებლებთან. ამ პერიოდში თბილისში ხშირი იყო ფილოსოფიისა და ლიტერატურის დარგში ცნობილ პროფესორთა და უცხოეთში განათლებამიღებულ პირთა (გრიგოლ რობაქიძის, სარგის კაკაბაძის, ალექსანდრე წერეთლის, მიხაკო წერეთლის და სხვ.) ლექციები და სემინარები. პოლიკარპე კაკაბაძე მთელი გულისყურით ადევნებდა თვალს და ესწრებოდა ასეთ მეცადინეობებს. იგი გატაცებულია თეოლოგიით, თეოსოფიით, აღმოსავლური და დასავლური ფილოსოფიით, რელიგიის ისტორიით და სხვ.

ამ პერიოდში, 1912 წელს, პოლიკარპე კაკაბაძე წერს თავის პირველ პიესას, დრამას „გვირაბის სტუმარი“ (იგივე „სიკვდილის ანგელოზი“), რომელიც შემდგომში, 60-იან წლებში (1967 წ.), ახლიდან გადაამუშავა და გამოაქვეყნა სახელწოდებით „ბაგრატ მეშვიდე, ქეთევანი და კირიონი“. ამ ნაწარმოებში იგრძნობა აღმოსავლური, ბუდისტური ფილოსოფიითა და პოეზიით გატაცების

კვალი, რომელიც, ამავე დროს, შერწყმულია ქრისტიანულ და დასავლურ ესთეტიკურ იდეალებთან.

1914-15 წლებში პოლიკარპე კაკაბაძე, დაახლოებით ერთი წლის მანძილზე, ცხოვრობდა მდგმურად ახლანდელ ბესიკის ქუჩაზე, მთაწმინდის პანთეონისაკენ ასასვლელ აღმართთან სულ ახლოს, გენერალ ხომენტოვსკის სახლში. ამ ოჯახში იკრიბებოდა თბილისის მაშინდელი საუკეთესო ინტელიგენცია. თვითონ ხომენტოვსკი, მისი მეუღლე და ქალიშვილი წარმოადგენდნენ იმ პერიოდის ინტელიგენციის ნაღებს და დიდად აფასებდნენ ახალგაზრდა ნიჭიერ მწერალს.

პირველი პუბლიკაციები „შვიდი მნათობი“ და „მნათობი“

1915 წელს პოლიკარპე კაკაბაძემ გამოაქვეყნა ორი მინიატურა ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“: „ბრძენი მოქანდაკე“ (N45) და „ალმასი“ (N52). ეს იყო მისი პირველი პუბლიკაციები, რომლებმაც მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს მაშინდელ ქართულ საზოგადოებასა და მწერალთა წრეებზე. ეს მინიატურები გამოაქვეყნა ფსევდონიმით „სურო“.

თბილისში პოლიკარპე კაკაბაძემ რამდენჯერმე გამოიცვალა საცხოვრებელი ადგილი. 1920 წელს იგი ცხოვრობდა ახლანდელ გალაკტიონ ტაბაძის ქუჩაზე, N10-ში. ახლაც არის იქ ეზოში შესასვლელი დიდი თაღი. ამ ეზოში, პირველ სართულზე ნაქირავები ჰქონდა ბინა პოლიკარპე კაკაბაძეს. მასთან ერთად ამ ბინაში გალაკტიონ ტაბიძე დაახლოებით ერთი წელი ცხოვრობდა. გალაკტიონი და მისი მეუღლე ოლია ოკუჯავა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის წლებში, მეგობრობდნენ მამაჩემთან.

1920 წელს, როცა მამაჩემი და გალაკტიონი ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ, დედაჩემი თბილისის ახლად გახსნილი უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, და როგორც დედა ყვებოდა, მას, თურმე, მამაჩემი და გალაკტიონი ხშირად აკითხავდნენ ეტლით.

დაახლოებით 1922 წელს, თუ მის ახლო ხანებში, პოლიკარპე კაკაბაძემ და მისმა ოჯახმა შეიძინეს სახლი თბილისში, ბაიაზეთის ქუჩაზე. ამ ქუჩას შემდეგ ვალერიან გუნიას სახელი დაარქვეს. ის მდებარეობს დავით აღმაშენებლისა და იაკობ გოგებაშვილის ქუჩათა გადაკვეთაზე, მთაწმინდის ძირში. იქ ახლაც დგას ეს ორსართულიანი, შუშაბანდებიანი სახლი.

სახლი მდგმურებით იყო გატენილი და მხოლოდ ერთი ოთახი იყო თავისუფალი, სადაც, დაახლოებით 1923-25 წლებში, პოლიკარპე კაკაბაძე ცოლ-შვილით ცხოვრობდა. შემდეგ ეს სახლი მალევე ჩამოართვეს, ჩალის ფასად გაიყიდა.

1921 წელს პოლიკარპე კაკაბაძე დაქორწინდა, ცოლად შეირთო ლუდმილა ნიკოლოზის ასული მიხაილიდი. 1922 წლის 12 იანვარს მათ შეეძინათ პირველი შვილი, მზია. ამ დროს ისინი

ბათუმში ცხოვრობდნენ, პოლიკარპე კაკაბაძის მშობლებთან, მაგრამ მალე მოაშურეს ისევ თბილისს, რადგან პოლიკარპეს შესთავაზეს, აღედგინა, ახლა უკვე სამთავრობო დონეზე, თავისი ჟურნალი „შვიდი მნათობი“. დაიწყო ჟურნალის აღდგენაზე მუშაობა, მაგრამ ჟურნალს სახელწოდებიდან „შვიდი“ ჩამოაშორეს, რადგან იგი, როგორც ვთქვით, მომდინარეობდა დამოუკიდებელი საქართველოს გერბიდან.

1924 წლის პირველ თებერვალს გამოვიდა ჟურნალ „მნათობის“ პირველი ნომერი, რომელიც აღდგენილი „შვიდი მნათობი“ იყო, მხოლოდ მას ხელს აწერდა არა ჟურნალის ფაქტიური რედაქტორი და დამფუძნებელი, არამედ ლავრენტი ქართველიშვილი, ცეკას მეორე მდივანი, ხოლო ჟურნალის მეორე ნომერს – მიხეილ კახიანი, მაშინდელი მთავრობის პირველი პირი, კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი და ვალერიან (ვალია) ბახტაძე, ფაქტიური რედაქტორი და დამფუძნებელი კი – პოლიკარპე კაკაბაძე გააფორმეს სამხატვრო-სალიტერატურო ნაწილის განყოფილების გამგედ.

ჟურნალში ექვსი განყოფილება იყო: პირველი გახლდათ სამხატვრო-სალიტერატურო განყოფილება, რომელსაც, როგორც ვთქვით, პოლიკარპე კაკაბაძე ხელმძღვანელობდა. ეს იყო მთავარი, დიდი განყოფილება. იგი, ფაქტობრივად, მთელი ჟურნალის ხასიათსა და მიმართულებას განსაზღვრავდა. აქ იყო ლიტერატურა, ისტორია, ხელოვნება და მეცნიერება. ჟურნალში იყო, აგრეთვე, მეორე, უფრო პატარა განყოფილება. ეს იყო პოლიტიკური განყოფილება, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკის ოფიციალური კურსის გამჟღერებელი გახლდათ. ამ პოლიტიკურ განყოფილებას ხელმძღვანელობდა იმ დროისათვის დაწინაურებული კომუნისტი ვალია ბახტაძე. იგი წარსულში პოლიკარპე კაკაბაძის ნაამხანაგარი იყო და ჟურნალშიც თანამშრომლად მამამ მიიყვანა.

იდგა 1924 წელი, საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის მძიმე პერიოდი. ამ დროს სასტიკად გამკაცრდა თვალთვალი და დევნა პატრიოტულად განწყობილი ადამიანებისადმი. სისხლის წვიმების დრო დაუდგა საქართველოს. ოცდაოთხი წლის მეორე ნახევრიდან ვალია ბახტაძემ, ხელისუფლების დავალებით,

ჟურნალში ატეხა სასტიკი ბრძოლები ამ ჟურნალის დამაარსებლის, პოლიკარპე კაკაბაძის წინააღმდეგ და მოითხოვა მისი დაპატიმრება. პოლიკარპე კაკაბაძე იძულებული იყო, დაეტოვებინა მის მიერ დაარსებული ჟურნალი და წასულიყო თბილისიდან თავის გადასარჩენად, დროებით.

ამ ჟურნალის დაარსებისა და შემდგომში იქ პოლიკარპე კაკაბაძის წინააღმდეგ დატრიალებული ინტრიგების შესახებ იხილეთ ჩვენი წერილი: „დამაარსებელი“, ჟურნ. „მნათობი“, 1999, N9-10, გვ. 85-94).

პოლიკარპე კაკაბაძე ყმაწვილობიდან, გიმნაზიაში სწავლის პერიოდიდან, წერდა ლექსებს. იგი თავის წრეში პოპულარული იყო, როგორც პოეტი. მისი ნაცნობ-მეგობრები ზეპირად სწავლობდნენ მის ლექსებს და ამაყობდნენ იმით, რომ მათი მეგობარი ნიჭიერი და საინტერესო პოეტი იყო. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, 1911 წელს პოლიკარპე კაკაბაძეს მთელი მისი ადრეული, ყმაწვილობის დროინდელი ნაწერები დაეწვა, რის შემდეგაც მწერალი აღარ დაბრუნებია ლექსების წერას. იგი გაიტაცა სრულიად ახალმა ჟანრმა, დრამატურგიამ, რომელშიც იპოვა თავისი ნამდვილი მოწოდება.

მამა ამბობდა, მაშინ ძლიერ განვიცადე, რაც მოხდა, მაგრამ შემდგომში აღარ ვნაღვლობდი, ის ლექსები რომ დამეწვა. ამ შემთხვევის გამო მე უფრო კარგად შევძელი დრამატურგიაზე გადასვლაო.

პოლიკარპე კაკაბაძის დრამატული თხზულებანი

პოლიკარპე კაკაბაძის კალამს ეკუთვნის პიესები:

„გზაჯვარედინზე“ (1917 წ.), „გათენების წინ“ (იგივე „სისხლი სინათლემდე“, 1918 წ.), „სამი ასული“ (1918 წ.), „ტყის ქალები“ (იგივე „ძველი დაფები“, 1924 წ.), „ლისაბონის ტუსაღები“ (იგივე „ქარიშხალი“, 1925-1968 წწ.), „ყვარყვარე თუთაბერი“ (1928 წ.), „ბახტრიონი“, ლიბრეტო ოპერისათვის (1934 წ.), „კოლმეურნის ქორწინება“ (იგივე „მერიქიფის ასული“, 1938 წ.), „კახაბერის ხმალი“ (იგივე „დავით მერვე“, 1929-1954 წწ.), „ციცინათელა“ (1953 წ.), „ლოპიანე“ (1958 წ.), „ცხოვრების ჯარა“ (1962-1964 წწ.), „მეფე ვახტანგ პირველი გორგასალი“ (1939-1966 წწ.), „ბაგრატ მეშვიდე, ქეთევანი და კირიონი“ (1912-1968 წწ.), „დემეტრე მეორე“ (1945-1971 წწ.).

თბილისი, ჩვენი სახლი

რა მახსოვს თბილისიდან ყველაზე მეტად?

მახსოვს ჩვენი სახლი მრგვალ ბაღთან, ბარნოვის სამოცდაცამეტ ნომერში, რომელიც ძალიან მიყვარდა, ყველა სახლზე მეტად ამქვეყნად!

დღესაც მესიზმრება ეს სახლი, ჩემი პატარა საწოლი, დედის საწოლთან რომ იყო მიდგმული, გვერდებზე ოთხკუთხედად გაბმული წვრილი თოკებით, საიდანაც ხელს გამოვყოფდი, დედას რომ შევხებოდი. ყველა სხვა საძინებელზე მეტად მიყვარდა ის ჩემი პატარა პირველი ნანა. და როცა ბავშვობისას თბილისს მომაშორეს, სულ ვნატრობდი, როდის დამაბრუნებენ სახლში და ისევ ჩემს ტკბილ პატარა საწოლში როდის ჩამაწვენენ-მეთქი...

მაგრამ ის სახლი გაიყიდა, და როცა დავბრუნდით თბილისში, ჩვენი სახლი უკვე სხვებს ეკუთვნოდა, ხოლო ჩემი პატარა საწოლი სადღაც გაქრა და მე იგი ისევ ამაოდ მენატრებოდა.

ჩვენი ოჯახი ახლა ისევ იმავე ქუჩაზე ცხოვრობდა, ჭიჭიკო ბიძიას ბინაში შეხიზნული, ბარნოვის სამოცდაექვს ნომერში, მაგრამ მე ისევ იმ ჩვენს ძველ ეზოში ყოველდღე მივდიოდი სათამაშოდ, ის სახლი მიყვარდა. გავჩერდებოდი და ვუყურებდი ჩვენს ბინას, რომელშიც ახლა სხვები ცხოვრობდნენ.

ჩვენი სახლის ახალი პატრონი, დეიდა ლუსია, ეს კეთილი ქალი, შემიყვანდა ხოლმე ჩვენს ყოფილ ბინაში, მომეფერებოდა და მეტყოდა ტკბილად: „მოდი, მანანა, აი, შენი სახლი...“ ის გრძნობდა, რომ მიყვარდა და მენატრებოდა ჩემი სახლი, ჩემი ბავშვობის პირველი ბინა, ტკბილი და განუმეორებელი, უსაყვარლესი...

ჩვენი ბინა ბარნოვის ქუჩაზე ოროთახიანი იყო, ერთი ოთახი ქუჩაზე გამოდიოდა, ორი ფანჯარა ჰქონდა. ფანჯრებშუა კედელზე ლამაზი სარკე ეკიდა. მახსოვს, დედაჩემი რომ იხედებოდა ამ სარკეში, ჩემი ლამაზი დედა, გრძელი თმით, ყველა დედაზე ლამაზი ამქვეყნად!

ის სარკე სამუდამოდ დარჩა იმ კედელზე, იმ ბინაში, ჩვენ არ წამოგვიღია იქიდან. და მე ყოველთვის, როცა ვიხსენებდი ჩვენს ყოფილ ბინას, ისევ თვალწინ მედგა დედაჩემი თავისი ლამაზი

თმით, ოდნავ სევდიანი, ფერმკრთალი სახით და უცნაურად გადახაზული წარბებით, იმ სარკეში რომ ირეკლებოდა...

იქვე, სარკის გვერდით იდგა მამაჩემის საწერი მაგიდა, „სეკრეტერი“, მოჩუქურთმებული, ძველებური წიგნის კარადა, გადმოსაშლელი მაგიდით. ის მაგიდაც იყო და წიგნის კარადაც.

თითქოს ახლაც ვხედავ, როგორ ზის მამაჩემი ამ მაგიდასთან და წერს...

ოთხი წლის ვიყავი, მახსოვს, ამ გადმოშლილ „სეკრეტერთან“ იდგა მამა, ხელში დეპეშა ეჭირა. ეს იყო მოწვევა ჯარში წასასვლელად. მახსოვს, გაცეცხლებულმა როგორ ნერვიულად დაანარცხა დეპეშა იატაკზე.

მამაჩემი არ წავიდა ჯარში. იცოდა, რომ წასულიყო, აუცილებლად მოკლავდნენ. ცოცხალს ვინ გამოუშვებდა ჯარიდან „ყვარყვარეს“ დამწერს?! ასეთ ადამიანებს იქ თვითონ უსწორდებოდნენ ხელისუფალთა ნების აღმსრულებელნი.

მახსოვს, მამაჩემის ელვარე თვალები, ენერგიული სახე და ულამაზესი, მუქი წაბლისფერი, ხუჭუჭა ქოჩორი, მისი ხელებისა და მთელი სხეულის მკვეთრი და სწრაფი მოძრაობები, დეპეშა რომ მოისროლა განრისხებით.

მახსოვს, მამაჩემის სიარული, მისი ძლიერი ნაბიჯები, მისი შუბლი, ნათელი რომ გადასდიოდა და ჯიუტი ქოჩორი, შუბლზე ერთ ხვეულს რომ ჩამოაგდებდა ხანდახან.

კიდევ რა მახსოვს ტკბილად და თბილად ჩემს პირველ სახლში? – დიდი ნაძვის ხეები. ვხედავ მამაჩემს, უშველებელი ნაძვის ხე რომ მოაქვს, ყველა ნაძვის ხეზე უფრო დიდი და მშვენიერი. ნაძვის ხის კენწერო ჭერს ებჯინება, თითქმის იხრება კიდეც, ოთახში ძლივს ეტევა. „ყველაზე დიდი ნაძვის ხე ავარჩიე“, – ამბობს მამაჩემი.

მეორე წელიწადს ჩემს საყვარელ ჭიჭიკო ბიძიას მოაქვს ყველაზე დიდი ნაძვის ხე.

მახსოვს, როგორ აწყობენ ნაძვის ხეს ულამაზესი სათამაშოებით და მძივებით დედაჩემი, მამაჩემი და ჭიჭიკო ბიძია...

ვარსკვლავს კენწეროზე არასოდეს უკეთებენ.

მამაჩემს არ უყვარდა წითელი ვარსკვლავი და წითელი ფერი, კომუნისტების გამო. წითელი, ხუთქიმიანი ვარსკვლავი და წითე-

ლი დროშა ხომ მათი ემბლემები იყო, მათი ნიშნები. ამიტომ უარ-ყოფით ემოციას იწვევდნენ მამაჩემში.

ცაზე აციმციმებული ვარსკვლავები უყვარდა, რამდენჯერ ვუყურებდით ერთად ვარსკვლავებს ცაზე. „შვიდი მნათობი“ ხომ მისი ჟურნალის სახელწოდებაც იყო!.. უყვარდა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, მაგრამ ხუთქიმიანი ვარსკვლავი, საბჭოთა ემბლე-მა – არა!

ჩვენც ვარსკვლავს არასოდეს ვუკეთებდით ნაძვის ხეს, სხვა თავსართით ვრთავდით.

* * *

ჩემი უსაყვარლესი ბიძა, ჩემი ჭიჭიკო ბიძია!

„მანანიკა, ტიკ-ტიკა!“ – მეძახდა ხოლმე ბავშვობისას ჩემი ჭი-ჭიკო ბიძია ალერსით, ხელში ამიტაცებდა, მხარზე შემისვამდა და მარბენინებდა. ყოველთვის განსაკუთრებით ვგრძნობდი მის სი-ყვარულს.

ჭიჭიკო ბიძია, მაიკო ბებია და ნადია მამიდა ერთხანს ჩვე-ნთან ცხოვრობდნენ, შემდეგ ჭიჭიკო ბიძიამ ცალკე იყიდა ბინა იქვე, ბარნოვის ქუჩაზე, ჩვენს სახლთან ახლოს, დაახლოებით, ალბათ, ცხრაას ორმოც წელს, თუ ცოტა ადრე და სამივენი იქით გადავიდნენ საცხოვრებლად, მაგრამ მაინც სულ ერთად ვიყავით.

მახსენდება, როგორც ზემოთაც ვთქვი, დიდი ნაძვის ხე რომ მოგვიტანა ჭიჭიკო ბიძიამ, წვერი ჭერს რომ სწვდებოდა და გა-დმოღუნულიც იყო, უამრავი ნაძვის ხის სათამაშოებიც რომ მოა-ყოლა და თავისი ხელით რომ კიდებდა ნაძვის ხეზე...

ჩემი მშობლები და ჭიჭიკო ბიძია ამ ნაძვის ხეს რომ რთავდნენ ბრჭყვიალებით, მძივებით და მაშხალებით, უეცრად ნაძვის ხეს მაშხალებიდან ცეცხლი მოეკიდა, დიდი ალი ავარდა. ბიძაჩემმა სტაცა ხელი ამ უშველებელ ნაძვის ხეს, აიტაცა და ფანჯრიდან თოვლში გადააგდო.

ამის შემდეგ მაშხალებს აღარ ვანთებდით ნაძვის ხეზე, მხო-ლოდ ფერადი ნათურებით ვრთავდით.

შემდეგ გავიდა დრო, მრავალი ახალი წელი გავითენეთ, ყო-ველთვის სიხარულით და ზეიმით ვხვდებოდით ახალ წელს,

სტუმრიანობა იყო ჩვენს ოჯახში, სუფრები იშლებოდა, მაგრამ ბავშვობის ის ნაძვის ხეები, რომლებიც მახსოვს ჩვენს ტკბილ, წინანდელ, ბავშვობის სახლში, ბარნოვის ქუჩაზე, აღარასოდეს მეორდებოდა. ყველაფერი იყო, მაგრამ ნაძვის ხე – არა. თითქოს ნაძვის ხეებით შეგებება ახალი წლისა, იმ სახლთან ერთად გაქრა. შემდეგ, მთელი ბავშვობა და ახალგაზრდობა მენატრებოდა ის ბავშვობის ახალი წლები, ის დიდი ნაძვის ხეები, ჩემი მშობლები და ჭიჭიკო ბიძია რომ რთავდნენ.

მოგვიანებით, მე თვითონ რომ შევქმენი ოჯახი და ბავშვი მეყოლა, დავიწყე ჩემს ოჯახში ნაძვის ხეების დადგმა.

მე ისევ აღვადგინე ახალი წლების მიგებება მორთულ-მოკაზმული ნაძვის ხეებით. და, ნაძვის ხეს როცა ვრთავდი, ყოველთვის მახსენდებოდა, როგორი სიხარულით აწყობდნენ საახალწლო ნაძვის ხეს ჩემი საყვარელი მშობლები და ჭიჭიკო ბიძია, და კვლავ განვიცდიდი იმავე სიხარულს და ბავშვურ აღტაცებას.

და მეც არასოდეს ვაბნევდი ნაძვის ხეზე ვარსკვლავს, სხვა თავსართით ვრთავდი.

ისევ ჩემი ბავშვობის მოგონებები

ჩემი ბავშვობის თბილისიდან რა მახსოვს კიდევ?

მახსოვს დიდი ომი, ომის დაწყების წლები, უფროსების შეშფოთებული ლაპარაკი ომის შესახებ, ფანჯრებზე შავი ფარდები ღამღამობით, ლამფის შუქს რომ არ გაეტანა. თბილისი წყვდიადში იყო ჩაძირული. ეს იყო შენიღბვა, რომ გერმანელების თვითმფრინავებს ლამფის შუქზე ქალაქი არ გამოეცნოთ და არ დაებომბათ.

საკვირველია, ნუთუ გერმანელები დღისით ვერ დაინახავდნენ თბილისს თვითმფრინავებიდან? და თუ უნდოდათ, ბომბებს დღისით ვერ ჩამოყრიდნენ?

მახსოვს უფროსების შეშფოთებული ლაპარაკი გერმანიის თვითმფრინავებზე, მამაჩემის ნათქვამიც მახსოვს: – „დღეს შვიდი თვითმფრინავი გამოჩნდა“.

ერთ საღამოს ორი ქალი მოგვადგა კარზე, მკლავზე წითელი სახვევი ეკეთათ, მორიგეები იყვნენ, ღამღამობით ქუჩებში და-

დიოდნენ, საიდანმე სინათლე რომ არ გამოჩენილიყო. დედაჩემი გააფრთხილეს, ფარდა კარგად ჩამოაფარეთო. „დიახო, – უთხრა დედაჩემმა, – არ მავიწყდება, სულ ვასწორებ ფარდებსო“.

ისიც მახსოვს, ხანდახან, ღამით, საბარგო მანქანა რომ გრუ-ხუნ-გრუხუნით გაივლიდა ქალაქის ქუჩებში და უფროსები ყოველთვის სულს რომ განაბავდნენ, ვინ იცის, ეს მანქანა ვის კარებთან გაჩერდებოდა და რა ბედისწერას უმზადებდა ადამიანებს. მაშინ მე ეს არ ვიცოდი, მხოლოდ ხანდახან მესმოდა უფროსების საუბრიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტად: „წუხელ წაიყვანეს!“ – ვინ წაიყვანეს და რატომ, ან სად? – მე ეს არ ვიცოდი.

სასტიკი დრო იყო. თბილისის თავზე გერმანელების თვითმფრინავები მუქარით ფრენდნენ, ხოლო უფრო სასტიკი იყო ის, რაც ხდებოდა ქვემოთ, ქალაქში.

ორმოცდაორი წლის ზაფხულში ბარგი შევკარით დიდ მაფრაშებში, ჩემოდნებში ჩავაწყვეთ ჩვენი ნივთები და გავემგზავრეთ სურამში.

წინა ორი ზაფხული წყნეთში გავატარეთ. ახლაც მახსოვს, მამაჩემი რომ გამოჩნდებოდა წყნეთის გზაზე, თბილისიდან დატვირთული რომ მოდიოდა, მე სირბილით მივეგებებოდი. უსწრაფესად დავრბოდი, ყველა ბავშვს ვასწრებდი სირბილში და მამაჩემს ეს უხაროდა: „პეპელასავით მოფრინავს“, – ამბობდა ღიმილით.

მამა არ იყო მუდმივად ჩვენთან აგარაკზე, მიდიოდა და მოდიოდა, მუდმივად არასოდეს ჩერდებოდა, აუცილებლად უხდებოდა რამდენჯერმე ჩასვლა თბილისში.

1941 წელსაც, ომი რომ დაიწყო, მთელი ოჯახი წყნეთში ვიყავით. მაშინ არ ვიცოდი, რა ახალი, დიდი უბედურება მოდიოდა ქვეყანაზე. თბილისი თანდათან საშიში გახდა.

ორმოცდაორი წლის ზაფხული რომ დადგა, ხალხის დიდი ნაწილი გაეცალა დედაქალაქს, ვისაც წასასვლელი ჰქონდა სოფელში ან აგარაკზე, ყველა გარბოდა. ჩვენ სურამში წავედით.

ჩავედით დედაჩემის ნათესავებთან, ნებიერიძეებთან. იქ იყო მისი დედულეთი, სონა ბებიას მშობლიური სახლი, მისი ძმა, რძალი, ძმისშვილები და მათი შვილები და შვილიშვილები.

ეს სახლი და ეზო სურამის რკინიგზის სადგურთან გამოდიოდა და ჩვენ სურამის პატარა მატარებლის ჩამოსვლას ხშირად ბაქანზე ვეგებებოდით. ეს იყო გართობისა და სეირნობის ერთგვარი ფორმა.

იქ, სურამში, მოვისმინე პირველად თქმულება სურამის ციხეზე. ვუყურებდი სურამის ციხეს და ცოცხლად წარმოვიდგენდი ზურაბის ამბავს:

„სურამისა ციხეო, სურვილითა გნახეო,
ჩემი შვილი ზურაბი კარგად შემინახეო“...

ეს სევდიანი თქმულება ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა, თანაგრძნობას იწვევდა და მათ ბედზე მაფიქრებდა.

ამ შთამბეჭდავ, სევდიან ამბავს მიყვებოდნენ დედაჩემიც და მამაჩემიც, მე თვითონაც ვიმეორებდი. ხოლო როცა ციხეს ვუცქერდით, ჩვენს შემეცნებაში ამბავი თანდათან ცოცხლდებოდა, ხორცს ისხამდა და თანაგრძნობით აღგვივსებდა გულებს, ბავშვებსაც და უფროსებსაც.

მაშინ, სურამში, ოთხი-ხუთი წლის ასაკში, მოვისმინე, აგრეთვე, პირველად ცნობილი ხალხური ლექსი ვახტანგ გორგასალზე და სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან შემოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა, დიდმა მთებმა იწყეს დრეკა“...

უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა ეს ლექსი ჩემზე, თითქოს ვხედავდი ჩემს ბავშვურ წარმოდგენაში ბუმბერაზ გმირს, დიდ მთაზე ფეხით რომ შედგება. ის კეთილი გმირია, ამიტომ უყვარს ღმერთს.

მე მიყვარდა ეს გმირიც, ეს მთაც – დიდი იალბუზი. ჩემი ძმა, მალხაზი, მეუბნებოდა, იალბუზი მთელ ქვეყანაზე ყველაზე მაღალი მთააო, ყველაზე დიდი მთაააო.

მე ამ ლექსს ვისმენდი დედაჩემისაგანაც და მამაჩემისაგანაც, მათ უყვარდათ ჩვენთან, შვილებთან, ერთად თქმულებებისა და ხალხური ლექსების წარმოთქმა და მათზე საუბარი.

და იმ პერიოდიდან ჩემს შემეცნებაში იალბუზი დარჩა ყველაზე დიდ, ყველაზე მაღალ და ყველაზე დიდებულ მთად მთელ ქვეყანაზე, სადაც ღვთაებრივი გმირების სამყოფელია. იგი ჩემთვის იგივეა, რაც ოლიმპოს მთა ანტიკური პერიოდის ბერძნებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, არსებობენ უფრო მაღალი მთებიც, მაგრამ ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს.

ჩემთვის ღვთაებრივი მთა არის იალბუზი, სადაც ვახტანგ გორგასალმა შედგა ფეხი, წმინდანმა მეფემ, რომელიც ღმერთს უყვარდა, და სადაც მიჯაჭვული იყო ამირანი, რომელიც მე მიყვარდა ბავშვობიდან და მიყვარს დღესაც...

ქუთაისი

მახსოვს, როგორ ჩავედით ქუთაისში, მაშინ პირველად დამამახსოვრდა მატარებელი. ადრინდელი მატარებლით მგზავრობა მე არ მახსოვს.

ვიჯექით რონოდაში, მატარებელი მიჰქროდა და ხეები გარბოდნენ, გარბოდნენ სულ უფრო ჩქარა და ჩქარა. მე, დედა და მამა, ნათო – ჩემი პატარა და, ჩემზე ცოტა უფროსი ძმა, მალხაზი – ჩემთვის უდიდესი ავტორიტეტი, და მზია, უფროსი და. იგი ჩემს თვალში ისეთივე დიდი იყო, როგორც დედა და მამა. ჩვენ ყველანი ფანჯარაში ვიყურებოდით. ხეები გარბოდნენ, გარბოდნენ პატარა სახლები, მინდვრები, გორაკები, ეზოები, გაჩერებული ადამიანები. დიდი დასახლებები, ქალაქები ნელა, ზლაზვნით მიდიოდნენ, მაგრამ ყველაზე ჩქარა გარბოდნენ ხეები, და ვერაფრით ვერ ამეხსნა, როგორ ხდებოდა ყოველივე ეს.

იმ ზაფხულს ხუთი წელი შემისრულდა.

იდგა ათას ცხრაას ორმოცდაორი წელი. მძიმე წელი. ომი მძვინვარებდა და ჩვენ ქუთაისს შევაფარეთ თავი.

* * *

ქუთაისის სახლი, ეზოში ჭა, სონა ბებია, ძაღლი შარიკა – კოლია ბაბუას მონადირე ძაღლი, თუ იმ ძაღლის შთამომავალი, ეზოში ტყემლის ხე. ხის ქვეშ დადგებოდა ჩემი პატარა და, ნათო

და მღეროდა: „დაუბერე, ქარო, ჩამოაგდე ტყემალი“. საკვირველი იყო, მაგრამ ტყემალი ყოველთვის ვარდებოდა. ერთხელ დავინახე, შუშაბანდის ფანჯრიდან სონა ბებია ჩუმად ტყემლებს როგორ გვიყრიდა. იქ გავატარეთ თითქმის სამი წელი.

ქუთაისის ბავშვობის შთაბეჭდილებიდან განსაკუთრებული სიყვარულით მახსენდება დეიდა ვარო და ბიძია იოსები. ისინი ცხოვრობდნენ თეთრი ხიდის იქით, რიონის მეორე ნაპირზე.

დეიდა ვარო სონა ბებიას და იყო, იოსები – მისი მეუღლე. შვილები არ ჰყავდათ და ზრდიდნენ ობოლ დისშვილებს, ნათელა და ირა ჯინორიებს – სონა ბებიასა და ვარო დეიდას გარდაცვლილი დის შვილებს. დეიდა ვაროს დიდ სახლში ცხოვრობდა აგრეთვე მათი მეოთხე და, დეიდა ნინა, ოჯახით. ნინას მეუღლე იყო მექი კანდელაკი, განათლებული პიროვნება, სასულიერო სემინარია თუ აკადემია ჰქონდა დამთავრებული, ქუთაისის ინსტიტუტში რუსულ ენაში ლექციებს კითხულობდა. ამბობდნენ, ქუთაისის ეპისკოპოსობა შესთავაზეს ომის დროსო. განსაკუთრებით მიყვარდა დეიდა ნინას ვაჟი ოთარი, რომელსაც ახლად დამთავრებული ჰქონდა სამედიცინო ინსტიტუტი. ოთარი სულ მეალერსებოდა და მეთამაშებოდა, შემისვამდა მხარზე და მარბენინებდა. „ჩემი გენერალი!“ – ასე ვეძახდი მე მას, რადგან, როცა პირველად ვნახე, სამხედრო ფორმა ეცვა, ჯარში იყო გაწვეული ექიმად და მე ის ნამდვილ გენერლად მივიღე აღფრთოვანებით. ოთარისაგან დაუვიწყარი სითბო და სიყვარული მახსოვს. მე ბავშვობაში მიყვარდა დიდებთან მეგობრობა და მათთან ურთიერთობა.

ძალიან ვუყვარდი დეიდა ვაროს და ბიძია იოსებს. ისინი განსაკუთრებით მანებივრებდნენ. ბიძია იოსები საღამოს რომ ბრუნდებოდა შინ, აუცილებლად მომიტანდა საჩუქარს: „აბა ვნახოთ, ჯიბემ რა მოისხაო,“ – მეტყოდა იგი და ჯიბეში აუცილებლად აღმოჩნდებოდა კამფეტი ან რაიმე ხილი.

დეიდა ვაროსთან ვცხოვრობდი თვეობით და ყოველთვის ბედნიერი ვიყავი ამ სტუმრობით – მეფერებოდნენ, ყველანი უფროსები იყვნენ და მე ყველას მეგობარი ვიყავი. დეიდა ვარო საღამოობით, ხატების წინ დამაჩოქებდა და ლოცვებს მათქმევინებდა. ამ დროს ყველანი შემოიკრიბებოდნენ და მიყურებდნენ, ხოლო როცა ბიძია იოსები გარდაიცვალა, ამის შემდეგ ასე იწყებოდა

ჩემი ლოცვა: „ღმერთო, შენ განანათლე ბიძია იოსების სული!“ და დღესაც, ჩემს ლოცვებში მე მოვიხსენიებ ამ კეთილ ადამიანებს – ბიძია იოსებს, დეიდა ვაროს და ოთარს, ჩემს საყვარელ ბავშვობის გენერალს.

ქუთაისის თეატრი

ქუთაისში პირველად წავედი თეატრში. მამამ წამიყვანა ორჯერ, ორი სპექტაკლი ვნახე – „გააზნაურებული მდაბიო“ და „ყვარყვარე თუთაბერი“. ექვსი თუ, უკვე, შვიდი წლისა ვიყავი.

მაშინ ვნახე პირველად „ყვარყვარე თუთაბერი“.

დირექტორის ლოჟაში შევედით, დარბაზში უკვე ბნელოდა, მოვარდისფრო, თბილი შუქით განათებულ სცენაზე ყვარყვარე იჯდა კერიის წინ და ნაცარში ჯოხით რაღაცებს ხაზავდა. ახლაც ცოცხლად მახსოვს ეს სცენა. ეს იყო კოტე მარჯანიშვილის დადგმა, აღდგენილი დოდო ანთაძის მიერ. ბუხარი თუ შუა ცეცხლი, მართლაც, ცეცხლის შთაბეჭდილებას ახდენდა. ნამდვილი ნაკვერჩხლებივით წითლად ღუოდა სცენაზე წარმოდგენილი ხელოვნური, თეატრალური ნაკვერჩხლები. თითქოს ნამდვილი ცეცხლის სითბო მოდიოდა იქიდან. „ყვარყვარე თუთაბერის“ რამდენი დადგმა ვნახე მას შემდეგ, მაგრამ არსად არ მინახავს ყვარყვარეს კერიის ასეთი გადაწყვეტა. რატომღაც, არასოდეს, არც ერთ დადგმაში ნაცარი და ნაღვერდალი ყვარყვარეს კერიისა, არაფრით არ ჰგავს ცოცხალ ცეცხლს და ნაღვერდალს და ემოციურად არავითარ სითბოს შთაბეჭდილებას არ ტოვებს მაყურებელზე.

ყვარყვარეს სამოსი მუქი მომწვანო ფერისა იყო და რაღაცნაირი, თბილი შუქი მოსდევდა. იგი ყველა სხვა პერსონაჟის სამოსისაგან განსხვავდებოდა და გამოირჩეოდა.

კაკუტა, ქუჩარა და ლირსა ძალიან სასაცილოები და დაკონკილები იყვნენ, საკერებელი საკერებელზე ედო მათ ტანსაცმელს და იმ, ომის პერიოდის მეტად ღარიბ ადამიანებს მოგვაგონებდნენ.

ასევე, შთამბეჭდავი იყო შალებით წელშეხვეული მეწისქვილე და მისი სამოსი. მთლიანად, მთელ სპექტაკლში სითბო ტრია-

ლებდა სცენაზე. თბილი, მოვარდისფრო შუქი და არამკვეთრი სინათლე ხელს უწყობდა ამ განწყობილებას. ეტყობოდა, კოტე მარჯანიშვილის რეჟისურა და დავით კაკაბაძის მხატვრობა ჯერ კიდევ ძალას ინარჩუნებდა.

სოფელი ხანი

1943 წლის ზაფხულში წავედით სოფელ ხანში. ხანი ბაღდადის რაიონში მდებარეობს, ულამაზესი მთიანი მხარეა, აქოჩრილი მთებით. ის კურორტ საირმის ახლოსაა. სოფელში მოჩუხჩუხებს ლამაზი მთის მდინარე, ხანისწყალი. რამდენჯერ ვმდგარვარ მის ნაპირებთან მამაჩემთან ერთად და თვალი მიდევნებია მისი მოლივლივე, პატარა ზვირთებისათვის, ლამაზ კენჭებზე რომ მოთამაშებდა.

ქუთაისიდან ჯერ ზეკარში ჩავედით საბარგო მანქანით, იქიდან კი ფეხით და ურმით გავუდექით გზას სოფელ ხანისაკენ. მე მარჯვე-მარჯვედ მოვდიოდი ჩემი ფეხით, სულ არ ვიღლებოდი, არ ვიცოდი, რა იყო დაღლა. ნათელა მამაჩემს ზურგით მოჰყავდა, მალხაზი კი ბარგთან ერთად ურემზე იჯდა.

სოფელში უკვე შეღამებულზე ჩავედით. მახსოვს, ურმიდან რომ ბარგი გადმოვაწყვეთ, ცაზე ავიხედე და დავინახე უამრავი კაშკაშა ვარსკვლავი, სულ ახლოს ჩემთან. ის ცა დღესაც მახსოვს. ნათო ტიროდა, მე ვკოცნიდი და ცას ვუყურებდი.

ერთ პატიოსან ოჯახში დავბინავდით, მგონი, ტალახაძეები იყვნენ გვარად. მთელი სოფელი პატივისცემით და სიყვარულით გვექცეოდა, და მერეც, დიდხანს იხსენებდნენ ჩვენს იქ სტუმრობას. მამაჩემს გამოუყვეს სოფლის სახნავ-სათესი მიწებიდან პატარა საყანე ნაკვეთი, ყანაც თვითონ დაგვითესეს იქაურებმა; სიმინდის ყანა იყო, თვითონვე უპატრონეს და ქუთაისშიც თვითონ ჩამოგვიტანეს გამზადებული ტომრებით.

მახსოვს, დედასთან და მამასთან ერთად როგორ წავედით ყანის სანახავად ორჯერ. ეს იყო მეტად სასიამოვნო, დაუვიწყარი გასეირნება. ირგვლივ გზად ლამაზი ჭალა და მოლივლივე ნაკადულები იყო, ხოლო მეგზურებად იქაური კეთილი ადამიანები მოგვყვებოდნენ.

კეთილი ხალხი იყო ხანელები, თვითონაც ხელმოკლენი, ომისგან კიდევ უფრო დაღარიბებულნი, სულ ცდილობდნენ პატივი ეცათ ჩვენი ოჯახისათვის, მოგვიკითხავდნენ ხან ხილს, ხან კვახს, ხან ჭყინტ სიმინდს.

მე მთელ სოფელს განსაკუთრებით ვუყვარდი. ექვსი წლის პატარა გოგონა დავდიოდი თავისუფლად მთელ სოფელში, ყველას ვიცნობდი და ყველა მიცნობდა; არ ვიცოდი დიდი და პატარა, ყველა ჩემი მეგობარი იყო – მოხუციც და ახალგაზრდაც, ქალებიც, ვაჟებიც და ბავშვებიც. ყველა მიყვარდა და ყველას ვუყვარდი. ყველას ამბავს ვკითხულობდი, მათთან ერთად დავდიოდი აღმა-დაღმა და როცა ისინი საქმიანობდნენ, მაშინაც არ ვშორდებოდი. მახსოვს, ჩემი უფროსი და მზია იხსენებდა წლების შემდეგ: „გავიხედე მინდორში და მანანა 70 წლის მოხუც ქალთან ერთადაა. ის ქალი ბატებს მწყემსავს, მანანაც გვერდით მიჰყვება და ეტიკეტიკება. დავუძახე: მანანა, მანანა, მანდ რას აკეთებ, ვინ არის ეს ქალი-მეთქი? – ჩემი ამხანაგიაო“, მითხრა მანანამ“, – სიცილით იგონებდა მზია.

იმ პერიოდში, ჩვენ რომ ხანში ვიყავით, ბიძაჩემი ჭიჭიკო აბასთუმანში იყო სამკურნალოდ. იქ ხანელ გლეხებს თაფლი და ხილი ჩაეტანათ გასაყიდად. ბიძაჩემს რომ გაეგო, ხანიდან იყვნენ, უკითხავს: იქ ჩემი ძმაა დასასვენებლად ოჯახითო, თუ იცნობთო. გლეხები უცებ ვერ მიმხვდარან, ვისზე ეკითხებოდნენ. – პატარა გოგონა ჰყავთ, მანანაო, – უთქვამს.

– ო, მანანაო, – გახარებიათ გლეხებს. – მანანას როგორ არ ვიცნობთო, მთელ სოფელს გვიყვარსო. მანანასაც ვიცნობთ და მის ოჯახსაცო.

პატარა მანანას სიყვარულმა გაახსენა კეთილ ადამიანებს უკვდავი ტიპების ავტორი, დიდი კომედიოგრაფი!..

შემდეგაც, დიდხანს ახსოვდათ კეთილ ხანელებს პოლიკარპე კაკაბაძის მათთან სტუმრობა და ამაყობდნენ ამ ფაქტით.

დიდი ხნის შემდეგ, 1986-87 წლებში თბილისში ჩამოსული იყო გერმანელი ლიტერატორი ედი ბრაუნი, რომელმაც „ყვარყვარე თუთაბერი“ თარგმნა გერმანულად. მას ბწკარედს უკეთებდა დალი გამრეკლიძე, გერმანისტი. 1986 წელს მამაჩემის სახლ-მუ-

ზეუმი გახსნეს კუხში. მუზეუმის ეზოში გაიხსნა, აგრეთვე, პოლიკარპე კაკაბაძის ბიუსტი, რომლის ავტორი ჩემი მეუღლე, სიმონ გირკელიძე გახლავთ. ამ გახსნას დაესწრო ედი ბრაუნი და დალი გამრეკლიძეც. მეორე დღეს, დალიმ ქუთაისში თავის ნათესავებთან წაიყვანა ედი ბრაუნი და ჩემი მეუღლე. იქ გამოირკვა, რომ იმ ოჯახში რძალი სოფელ ხანიდან იყო და სიამაყით და აღფრთოვანებით იხსენებდა, რომ მის ყმაწვილქალობაში მათ სოფელში ერთ ზაფხულს ცხოვრობდა „ყვარყვარე თუთაბერის“ ავტორი, პოლიკარპე კაკაბაძე და რომ მას ჰყავდა პატარა გოგონა მანანა, რომელიც ყველას დაამახსოვრდა თავისი გულწრფელი სიყვარულის გამო.

სიყვარული დიდხანს რჩება ადამიანების მეხსიერებაში!..

ისეთი ბედნიერი, მგონი, აღარასოდეს ვყოფილვარ, როგორც ხანში, რადგან წლების მომატებასთან და გაზრდასთან ერთად ჩემში თანდათან იმატებდა ის გრძნობაც, რომ მხოლოდ სიხარული არ არის ცხოვრება. ადრეულ ასაკშივე დამეუფლა ეს გრძნობა და, ჯერ კიდევ ბავშვს, თანდათან ფიქრი და ჭმუნვა მომაწვა.

ადრე მივხვდი, რომ ცხოვრება არ არის მხოლოდ სიხარული...

ქუთაისი იმითაც დამამახსოვრდა, რომ იმ ხანებში მე სულ ვხატავდი და ვხატავდი, მაშინაც, როცა ქუთაისში ვცხოვრობდით და შემდეგაც, როცა ქვიშხეთში გადავედით. ჩემი ყველაზე საყვარელი გასართობი იყო ხატვა, პატარა მხატვარს მეძახდნენ. ეს სახელი კარგა ხანს გამყვა. მე მაშინ ხუთი-შვიდი წლის ბავშვი ვიყავი.

ყველაზე უფრო ის მიხაროდა, ფერად ფანქრებს, საღებავებს და სახატავ რვეულებს რომ მომიტანდნენ. როცა უკვე წამოვიზარდე, წიგნების კითხვა შემიყვარდა, მაგრამ მაინც სულ ვხატავდი და ვხატავდი. ვხატავდი დედოფლებს, მეფის ასულებსა და უფლისწულებს, გმირებს, ჩემი საყვარელი წიგნების პერსონაჟებს.

ქუთაისში ცხოვრების პირველ პერიოდში გატაცებული ვიყავი არსენას ლექსით, სულ ზეპირად ვიცოდი, ის ჩემი გმირი იყო. გულით მეც არსენას ვედრებოდი. მიყვარდა არსენა მისი სანაქებო ვაჟკაცობისა და იმ კეთილი საქმეებისათვის, რასაც ის ჩადიოდა. გული მწყდებოდა, რომ ციხეში ჩასვეს, მიხაროდა, რომ იქიდან გაიქცა, რომ კეთილი იყო და მაინც არ მოკლა ნათლიმამა,

კეთილი იყო და გიორგი კუჭატნელიც ვერ გაიმეტა მოსაკლავად. განვიცდიდი, გული მეწვოდა, რომ ჩემი საყვარელი გმირი მუხანათურად მოკლეს. არსენას საგმირო საქმეებში მონაწილეობა მსურდა, მენატრებოდა და ოცნებებში ჩემი თავი მის გვერდით მესახებოდა.

თანდათან არსენას სახე მეორე გმირთან, ამირანთან, გათანაბრდა, ყველაზე დიდი გმირი, ამირანი, მიუწვდომელი და შეუდარებელი იყო.

აქვე, ქუთაისში, ჯერ სკოლაში არც ვსწავლობდი, რომ „კაკო ყაჩაღი“ წამიკითხა დედამ. კაკო და ზაქრო ჩემთვის არსენას მსგავსი გმირები იყვნენ და ისინიც შემიყვარდა. მაშინ ვისწავლე ზეპირად:

„სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი,
მწუხრის ზეწარი გადაეფარა
და მთვარის შუქზე მთებისა ჩრდილი
ალაზნის ველზე წამოიხარა“...

დედაჩემი მეტად შთამბეჭდავად და გრძნობით გვიკითხავდა ამ სტრიქონებს და მე ისინი ჩამრჩა მეხსიერებაში და გულში. მათი სიყვარული იმ პერიოდიდან გამომყვა.

საგმირო ეპოსი ჩემს შემეცნებაში დიდ ადგილს იკავებდა და ზღაპრული მზეთუნახავების თემას ჩრდილავდა.

ჩემს ბავშვურ მხატვრობაშიც ამ თემას თავისი საპატიო ადგილი ეჭირა.

ქვიშხეთი, საგურამო, ისევ ქვიშხეთი

საგურამოში და ქვიშხეთში ყოფნის პერიოდში, მთელი ოჯახი გატაცებული ვიყავით, რა თქმა უნდა, ბავშვები – მე, ჩემი ძმა და ნათო, „ელინური მითებით“. დედა გვიკითხავდა ხმამაღლა, კითხულობდა ჩემი ძმაც, მალხაზიც.

ოლიმპოს მკვიდრთა ცხოვრება და მათი ურთიერთობა ტროადელ და ელინურ გმირებთან ჩემი ფიქრისა და გატაცების საგანი იყო.

„ელინური მითები“ და, განსაკუთრებით, „ტროადას ომი“ – ბავშვებისათვის პროზაულად გადმოკეთებული „ილიადას“ ეპოსი, ქართულად გამოცემული იყო და ყოველი სტრიქონი ზეპირად ვიცოდით მე და ჩემმა ძმამ, მალხაზმა და ხშირად ვმსჯელობდით იქაური ამბების შესახებ. თანდათან ნათოც ერეოდა ჩვენს საუბრებში, თუმცა ის ჩემზე ორი წლით უმცროსი იყო, მაგრამ სულ ცდილობდა არ ჩამომრჩენოდა. ბეჯითი ბავშვი იყო, სკოლაშიც ადრე შევიდა ჩემი მიბაძვით. პირველ კლასში რომ ვსწავლობდი, ფანჯარას მოადგებოდა და ზოგჯერ მასწავლებელიც შემოუშვებდა ხოლმე. ასე რომ, მეორე წელიწადს ექვსი წლის ნათო, თავისივე ინიციატივით, უკვე სკოლაში შევიდა და ხუთოსანი და სამაგალითო მოსწავლე გახდა, ოქროს მედალიც აიღო და სამედიცინო ინსტიტუტშიც შევიდა, რაც მაშინ საკმაოდ ძნელი საქმე იყო.

ასეთი იყო ნათო. ის მალხაზისაგან და ჩემგან რამდენადმე განსხვავდებოდა, მაგრამ სულ ცდილობდა არაფერში ჩამოგვრჩენოდა, და მე და მალხაზი რომ ოლიმპოს ღმერთებზე ვმსჯელობდით, პატარა, ხუთი-ექვსი წლის ნათოც თავის სიტყვას იტყოდა. იგი პატარაობიდანვე, როცა მე ვლაპარაკობდი, დადგებოდა ჩემს გვერდით და ჩემი ნათქვამი წინადადებიდან ბოლო სიტყვებს იმეორებდა. ალბათ, მთელი წინადადების გამეორება რთული საქმე იყო მისთვის, მაგრამ ბოლო სიტყვების გამეორებას დიდი მონდომებით მაინც ახერხებდა.

მე უკვე რვა წლისა ვიყავი და „ტროადას ომი“ ჩემი საყვარელი წიგნი იყო. მე გატაცებით ვხატავდი მის პერსონაჟებს – ჰექტორისა და აიაქსის შებრძოლებას, ჰექტორსა და აქილევსს, პატროკლესა და ენეასს, ჩემი გმირები იყვნენ და ვხატავდი მათ.

მიყვარდა ჰექტორი, ალბათ, ყველაზე მეტად, მიყვარდა აქილევსი – ყველაზე დიდი გმირი, და ძალიან მიყვარდა პატროკლე, მწვავედ განვიცდიდი მის სიკვდილს, განვიცდიდი მეფე პრიამოსის ტრაგედიას, შვილი რომ მოუკლეს.

ღმერთებიდან განსაკუთრებით მიყვარდა აფროდიტე, იმიტომ, რომ ტროადელებს ეხმარებოდა, მიყვარდა აპოლონიც, იმიტომ, რომ ისიც ტროადელთა მხარეზე იყო. მეც ხომ ტროადელთა მხარეზე ვიყავი და მწვავედ განვიცდიდი მათ თავსდატეხილ უბედურებას. ათენა და ჰერა არ მიყვარდა, იმიტომ, რომ ტროადელებს

ებრძოდნენ. მაინცდამაინც არც ოდისევსი მომწონდა, იმიტომ, რომ ხის ცხენი გააკეთა და ტროა ამით დაღუპა.

მე და ჩემი ძმა ხშირად ვსჯელობდით ამ საკითხებზე. ელინთა ღმერთები და მათი უკვდავი გმირები ჩვენთვის მახლობელნი ხდებოდნენ და უშუალოდ ვმონაწილეობდით იმ ვნებათაღელვაში, რაც იქ ტრიალებდა და რაც, დღესაც, ადამიანთათვის ისევე მახლობელია, როგორც ათეული საუკუნეების წინ.

ისინი არიან მარადიულნი, მახლობელნი და საყვარელნი ადამიანთათვის, ისევე, როგორც მნათობები, როგორც მზე, მთვარე და ვარსკვლავები – ყველას მესაიდუმლენი, ყველას მეგობარნი და ჭირ-ვარამის გამგებნი და გამზიარებელნი, მათი სევდისა და ჭმუნვის თანამგრძნობნი.

ნამდვილი, გულწრფელი გრძნობა, ისევე, როგორც რწმენა, ბავშვობიდანვე ისახება ადამიანის სულში და იგი ბოლომდე ცოცხლობს მასთან ერთად და არ ხუნდება, არ ჭკნება და მხოლოდ იძენს ახალ სიღრმეებს ღმერთთან მისაახლებლად.

„ღმერთი არს სიყვარული!“ – და ეს სიყვარულის გრძნობა სუფევს მუდმივად ადამიანის სულში და ვლინდება მეორე ადამიანისადმი თანაგრძნობაში, მისი ტანჯვის გაზიარებაში.

სიყვარული აახლოვებს ადამიანს ღმერთთან და ეს ბავშვობიდან იწყება.

* * *

დიდი ადამიანის შვილები დიდ ბავშვებად რჩებიან ხშირად.

მე და ჩემი ძმა!

ჩვენ ორივეს გვიყვარდა ნაპოლეონი, ის ჩვენი გმირი იყო, დამარცხებული, ტრაგიკული, მაგრამ ღირსეული და ამაღლებული.

ჯერ წერა-კითხვაც არ ვიცოდი კარგად, ამიტომ მალხაზს მივუტანდი ხოლმე ქართულად თარგმნილ მიხეილ ლერმონტოვის ლექსთა კრებულს, სადაც დაბეჭდილი იყო ნაპოლეონისადმი მიძღვნილი, ლერმონტოვის მიერ თარგმნილი ჰაინრიხ ჰაინეს ცნობილი ლექსი „ჰაეროვანი ხომალდი“. ეს ლექსი ლერმონტოვმა გერმანულიდან რუსულად თარგმნა და მის ლექსთა კრებულში შეტანილი იყო, როგორც რუსი პოეტის ორიგინალური ნაწარმოები.

მე და მალხაზს განსაკუთრებით გვიყვარდა ეს ლექსი, მივუტანდი ხოლმე ჩემს ძმას ლერმონტოვის წიგნს და ვთხოვდი, წაეკითხა ჩემთვის ეს ლექსი. მალხაზი არასოდეს უარს არ მეუბნებოდა და ყოველთვის სიამოვნებით წამიკითხავდა ჩემს საყვარელ ნაწარმოებს გრძნობით და მისთვის ჩვეული დიდებული დიქციით. მე სმენად ვიყავი გადაქცეული და ცრემლები თავისთავად მომდიოდა ღვარად.

მე მიყვარდა ეს გმირი, ჩვენ ორივეს გვიყვარდა ეს ტრაგიკული და ტანჯული გმირი, განვიცდიდით მის ბედს და თანავუგრძნობდით მთელი გულით მის ტრაგედიას. ეს სიყვარული ჩვენ სიცოცხლის ბოლომდე გაგვყვა და იგი ჩაისახა ადრეული ბავშვობიდან ჩვენს ცნობიერებაში.

ჩემი ძმა დიდ ბავშვად დარჩა ბოლომდე!

სულის სისპეტაკე და ადამიანის ტკივილისადმი თანაგრძნობა მისი თანამდევი თვისებები იყო. ამიტომ უყვარდათ იგი ადამიანებს.

„ვატერლოოსთან კაცობრიობამ წააგო ომი“, – ეს ფრთიანი გამოთქმა ჰაინეს ეკუთვნის. მას უყვარდა ნაპოლეონი და ბევრი დიდებული ნაწარმოები უძღვნა ამ ტრაგიკულ თემას. ამ მხრივ იგი დიდ გავლენას ახდენდა რომანტიზმის ეპოქაში აზრის განვითარებაზე. მის გავლენას განიცდიან რუსეთში ალექსანდრ პუშკინი და მიხეილ ლერმონტოვი. ამ გავლენის შედეგია ლერმონტოვის მიერ რუსულად აჟღერებული ჰაინეს ლექსი „ჰაეროვანი ხომალდი“.

მე თვალებგაფართოებული ვუსმენდი, როცა ჩემი ძმა გრძნობით, შთამბეჭდავად კითხულობდა ამ ლექსს და როცა ჰაინეს ნაწარმოებში ტანჯული გმირის აჩრდილი უხმობს საშველად თავის ერთადერთ, საყვარელ შვილს, რომელიც ჟამთა სიავით უკვე მკვდარია. აქ ცრემლები ღაპაღუპით თავისთავად მდიოდა თვალთაგან, პატარა გული უსამართლობას ვერ ურიგდებოდა.

დამარცხებული, ღირსეული გმირი კაცობრიობის სიყვარულისა და თანაგრძნობის საგანი ხდება. იგი თვით მტრების თანაგრძნობასაც კი იწვევს. ამის მაგალითია ნაპოლეონის მხატვრული სახის განცდა რუსულ და ინგლისურ პოეზიაში. ჯორჯ ბაირონიც კი მას მიუძღვნის გრძნობით სავსე უკვდავ სტრიქონებს.

პუშკინისა და ლერმონტოვის პოეზიაშიც ხომ ეს თემა მეტად შთამბეჭდავად აჟღერდა. ნაპოლეონის, როგორც ტრაგიკული გმირის, თემა ქართულ რომანტიზმშიც გამოიხატა ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთ-ერთი შედევრით, ბრწყინვალე ლექსით – „ნაპოლეონ“.

* * *

ჩვენი განვითარების შემდგომი ეტაპი იყო შექსპირი.

ადრე დავიწყე შექსპირის კითხვა, ცხრა წლის ასაკიდან, როცა უკვე ქვიშხეთში ვცხოვრობდით. თერთმეტი წლისას თითქმის ყველა მისი პიესა წაკითხული მქონდა, ბევრი დიალოგი ზეპირად ვიცოდით მე და ჩემმა ძმამ და ხშირად ერთმანეთში ამ დიალოგებით ვსაუბრობდით.

ჩემი ძმა მალხაზი შესანიშნავად კითხულობდა მონოლოგებს „ოტელოდან“, „რიჩარდ მესამედან“, „ანტონიუსი და კლეოპატრადან“. უკვე ქვიშხეთში, მწერალთა სახლში რომ ვცხოვრობდით 1946-49 წლებში, მალხაზი ყველას აოცებდა მხატვრული კითხვით. მას ჰქონდა შესანიშნავი დიქცია და ხმის ტემბრი. მწერლები და მათი ოჯახები შეიკრიბებოდნენ ხოლმე და უსმენდნენ მალხაზს, შექსპირის მონოლოგებს რომ კითხულობდა. მალხაზთან ერთად ხშირად კითხულობდა ამ მონოლოგებს ლეო ანთაძეც, შემდგომში ცნობილი მსახიობი.

მალხაზი და ლეო ერთად კითხულობდნენ შექსპირის ოტელოს ცნობილ მონოლოგს: „ჯერ შეიცადეთ; ვიდრემდე წახვალთ, მათქმევინეთ ეს ორი სიტყვა...“

ისინი ასე წარმოადგენდნენ ამ მონოლოგს: მალხაზი ტექსტს ამბობდა, ხოლო ლეო უკნიდან ამოუდგებოდა მას, იღლიებში გაუყრიდა ხელებს და ტექსტის კითხვის პარალელურად, ხელებით ჟესტიკულაციას აყოლებდა მალხაზის ხმას – „მათქმევინეთ ეს ორი სიტყვა...“ ამ ტექსტის წარმოთქმისას, ლეო ასწევდა მარჯვენა ხელის ორ თითს, საჩვენებელს და შუა თითს და ასეთი მიზანსცენით ავსებდა ოტელოს მონოლოგის დადგმას. ამასთან, ლეო თავსაც გამოყოფდა მალხაზის მხარის ზემოდან და სახეზე სევდიანი გამომეტყველება ეხატებოდა.

ხოლო მალხაზის ხმა მეტად შთამბეჭდავად ჟღერდა.

შექსპირის ასეთი კითხვა მათ ასწავლა მსახიობმა მერაბ გეგეჭკორმა.

შემდეგ, ლეო ანთაძემ, უკვე ასაკში მყოფმა, პიესაც დაწერა ქვიშხეთურ საღამოებზე და იქ ფართოდ წარმოადგინა მისი და მალხაზის ურთიერთობა.

ლეომ ეს პიესა 90-იანი წლების ბოლოს დადგა „თეატრალურ სარდაფში“, რომელიც მდებარეობდა რუსთაველის N42-ში, გამომცემლობა „მერანის“ სარდაფში. მაყურებელმა წარმოდგენა თბილად მიიღო, რადგან მეტად გულწრფელი ოცნება იყო წარსულზე. ლეომ მალხაზის სახე თავის ნაწარმოებში განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით დახატა.

ლეოს სპექტაკლი რომ დაიდგა, მალხაზი ამ დროს ცოცხალი აღარ იყო.

* * *

ქვიშხეთში დიმიტრი ყიფიანის სახლი მწერალთა დასასვენებელ სახლად იყო გადაკეთებული, იქ ზაფხულობით თავს იყრიდნენ მწერლები და მათი ოჯახები. ბავშვები ხშირად ვმართავდით საღამოებს, იყო ლექსების კითხვა, სიმღერა, ცეკვა, მალხაზისა და ლეოს მიერ შექსპირის მონოლოგების წარმოდგენა, რაც ამ ქვიშხეთური საღამოების ყველაზე შთამბეჭდავი და მნიშვნელოვანი ნაწილი იყო.

მალხაზი, ოტელოს მონოლოგის გარდა, მეტად საინტერესოდ კითხულობდა შექსპირის სხვა პერსონაჟების – რიჩარდ მესამის, ანტონიოსისა და კორიოლანოსის მონოლოგებს, რითაც აოცებდა მწერალთა საზოგადოებას, ქვიშხეთში რომ იყრიდა თავს და ასევე აოცებდა შემდეგაც, თბილისში რომ ჩამოვედით, ცნობილ მწერლებს, რეჟისორებსა თუ სხვა ხელოვნების მუშაკებს. მას მნიშვნელოვან და საინტერესო სამსახიობო კარიერას და მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მალხაზის ცხოვრება და მოღვაწეობა სხვა გზით წარიმართა.

მალხაზი გახდა ისტორიკოსი და სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწი-

ფო უნივერსიტეტში შუა საუკუნეების ისტორიის კათედრაზე. იგი კითხულობდა ლექციებს და ატარებდა სემინარებს სტუდენტებთან, სარგებლობდა განსაკუთრებული პატივისცემით პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის. ის გამოირჩეოდა სულიერი სისპეტაკითა და პატიოსნებით, რაც მისთვის ასე დამახასიათებელი იყო.

* * *

მახსოვს, თამრიკო გამსახურდია აკორდეონზე რომ უკრავდა და თავის მეგობრებთან ერთად მღეროდა სხვადასხვა სიმღერებს. ზვიადი აუცილებლად იტყოდა ბარათაშვილის ლექსს – „მორბის არაგვი, არაგვიანი“, მე მოვყვებოდი ბალადას „რობინ ჰუდზე“. მაშინ გატაცებული ვიყავი რობინ ჰუდით და მისი საგმირო საქმეებით.

იმ პერიოდში ვხატავდი რობინ ჰუდს, მის ბრძოლას გაი გისბორნთან. ამავე დროს ვხატავდი შექსპირის პერსონაჟებს, მის ქმნილებებში წარმოდგენილ უმშვენიერეს დედოფლებს, სეფე ქალებს, სახელოვან გმირებს. დედას ხაშურიდან და ბორჯომიდან ჩამოჰქონდა ჩემთვის ფერადი ფანქრები, სახატავი რვეულები. ერთხელ დედა თბილისში წავიდა რაღაც საქმეზე და იქიდან ჩამომიტანა ოცდაათხფერიანი ფანქრების კოლოფი. სიხარულით აღარ ვიყავი! ომის შემდგომი წლები იდგა, გაჭირვება იყო, არაფერი იშოვებოდა, ექვს და თორმეტფერიან ფანქრების კოლოფს თუ მომიტანდა, ესეც დიდი ამბავი იყო. ახლა კი, მთელი 24 ფერი! ისეთი ლამაზები იყო, ყვითლისა და ვარდისფერის სხვადასხვა ტონები... ეს ფერები განსაკუთრებით მიყვარდა. წითელი და მეწამული ყველა ბავშვს უყვარს, ეს მათი ფერებია. ჩემი ფერი კი ბავშვობაში იყო ყვითელი და მისი სხვადასხვა ტონები.

როცა უკვე თბილისში გადმოვედით საცხოვრებლად, ჩემს შემეცნებაში თანდათან, ასე, 12-13 წლის ასაკიდან, პირველი ადგილი დაიკავა წიგნების კითხვისადმი მიდრეკილებამ. ხატვითაც ვხატავდი, განსაკუთრებით, სკოლაში, გაკვეთილებზე. ხან რომელიმე ამხანაგს დავხატავდი, ხან განყენებულ თემებს, ყველაზე ხშირად კი მშვენიერ ქალებს, თუმცა, ზოგჯერ იუმორისტულ

თემებსაც გადავწვდებოდი, წარმოვიდგენდი რაიმე სასაცილო სიუჟეტს და დავხატავდი. ახლა უკვე არა მხოლოდ ლამაზ ქალებს, გოგონებსა და ვაჟებს, არამედ, პირიქით, სასაცილო, კომიკურ ტიპებსაც ვხატავდი. მაგრამ ჩემი სიყვარული მხატვრობისადმი თანდათან უკან იწევდა და გზას უთმობდა წიგნის კითხვისადმი ჩემს სიყვარულს.

შემეძლო მეკითხა დღე და ღამე, და ძალიან ბედნიერი ვიყავი ამ დროს. სკოლაშიც, ჩანთაში სულ მედო საკითხავი წიგნი და ხან შესვენებაზე, ხანაც ჩემთვის ნაკლებ საინტერესო გაკვეთილზე ჩუმად ამოვიღებდი ჩანთიდან წიგნს, ხან მუხლებზე დავიდებდი, ხან პირდაპირ მერხზე და ვკითხულობდი. რამდენჯერ მიმიღია ამისთვის შენიშვნა, თუმცა ფრიადოსანი ვიყავი და სკოლის სიამაყე.

მეორეხარისხოვან ლიტერატურას არ ვკითხულობდი, ასეთი წიგნები არც მომწონდა და არც იყო ჩვენს საოჯახო ბიბლიოთეკაში.

მამას მხოლოდ კლასიკური ლიტერატურა მოჰქონდა სახლში – ბავშვმა მდარე ხარისხის ლიტერატურა არ უნდა წაიკითხოსო, გემოვნება გაუფუჭდებაო, ამბობდა ის.

* * *

ქვიშხეთში პირველად ჩავედით 1945 წლის მაისში, იქ ჯერ სხვა დამსვენებლები არ იყვნენ ჩამოსული.

სამაგიეროდ, დიმიტრი ყიფიანის დიდ სახლში, იმ დროს, ცხოვრობდა ოთხი რუსის სამხედრო ქალი. ისინი ცხოვრობდნენ ერთ ოთახში და ეს იყო მათი შტაბიც, ჰქონდათ ტელეფონები, რომლებიც რაღაც მავთულებით სადღაც ერთდებოდა. მათ ტანთ ეცვათ ხაკისფერი ჯარისკაცის ფორმა, წელზე ეკეთათ ჯარისკაცული დიდი ქამრები, თავზეც, ასევე, ხაკისფერი „პილოტკა“ ქუდები ეხურათ. ამ ოთხიდან ერთ-ერთი იყო უფროსი, როგორც მახსოვს, ლუბა ერქვა, დანარჩენი სამი რიგითები იყვნენ და უფროსს ემორჩილებოდნენ, საუბრისას „ჩესტს“ უღებდნენ.

ეს ქალები დილით ადრე გამოდიოდნენ ეზოში და ჯარისკაცებივით ვარჯიშობდნენ, შემდეგ დადიოდნენ და დარბოდნენ ასევე

ჯარისკაცებივით, უხეში, მამაკაცური ნაბიჯებით. მათი უფროსი, „კამანდირი“, გაამწკრივებდა დანარჩენ სამს, თვითონ წინ დაუდგებოდა, ყველანი ერთმანეთს „ჩესტს“ აუღებდნენ და დაიშლებოდნენ. ამის შემდეგ ერთ-ერთი მათგანი ხელში „ბინოკლს“ დაიჭერდა და ეზოს მომაღლებულ ადგილზე, სადაც სამი ნაძვი იდგა, უფრო სწორად, ორი ფიჭვი და ერთი ნაძვი, „პოსტზე“ დადგებოდა და „ბინოკლით“ ცაში იყურებოდა. რამდენიმე საათის შემდეგ მას მეორე, რიგითი ქალი-ჯარისკაცი შეცვლიდა. მათი უფროსი უფროსობდა და დანარჩენებთან თავი მაღლა ეჭირა. მე სულ მაინტერესებდა, რას უყურებდნენ ცაში. ამ დროს ქვიშხეთის ტერიტორიაზე მტრის რა თვითმფრინავი უნდა აღმოეჩინათ, დღესაც არ ვიცი.

მე მათ ხშირად მივუცუცქდებოდი და ველაპარაკებოდი, ვეამხანაგებოდი. ცნობისმოყვარე ბავშვი ვიყავი და ეს ჩემთვის სიახლე იყო.

ორიოდე თვის შემდეგ ეს ქალი-სამხედროები სადღაც წავიდნენ, გაქრნენ. სამაგიეროდ, ეზო და სახლი თანდათან აივსო დამსვენებლებით, ჩამოვიდნენ მწერლების ოჯახები, მათი ბავშვები. მწერლები ჩამოიყვანდნენ ცოლ-შვილს და თვითონ ხშირად უკანვე, თბილისში ბრუნდებოდნენ, მერე ისევ ჩამოაკითხავდნენ ოჯახს. იშვიათი იყო, რომ რომელიმე მწერალი მთელი ზაფხული სულ ქვიშხეთში ყოფილიყო, ძირითადად, გზაზე იყვნენ გაკრული – ხან თბილისში, ხან ქვიშხეთში. ალბათ, სააგარაკოდ საკმაო ფული არ გააჩნდათ და სულ დასდევდნენ, სად რა დაებეჭდათ, სად ჰონორარი აეღოთ და სხვა. მაგრამ როცა ქვიშხეთში იყვნენ, მწერლები ძირითადად ნარდის თამაშით ერთობოდნენ. ისინი ვაშლის ხეების ჩრდილქვეშ, მწვანე მინდორზე წამოწოლილები, აგორებდნენ და აგორებდნენ კამათელს, რომელიც ხან უმართლებდათ და ხან – არა.

მამაჩემი ნარდის თამაშში არასოდეს ერეოდა, ის მთელ ღამეს მუშაობაში ატარებდა, მხოლოდ დილით ცოტას წაიძინებდა, შემდეგ გაივლიდა ჰაერზე და ისევ სამუშაოს უბრუნდებოდა. ასეთი იყო მისი დღის რეჟიმი.

ზაფხულის ბოლოს ჟრიამული შეწყდებოდა ქვიშხეთში და ყველანი მიემგზავრებოდნენ თბილისში საკუთარ სახლებში, რომ

თავის ჩვეულ ცხოვრებას დაბრუნებოდნენ. ჩვენ კი ვრჩებოდით, რადგან არსად გვქონდა საკუთარი ბინა და მეორე ზაფხულამდე მარტონი ვცხოვრობდით დიმიტრი ყიფიანის დიდ სახლში, სადაც გვეკავა ერთი ოცმეტრიანი ოთახი თავისი თექვსმეტმეტრიანი შუშაბანდით.

ერთადერთი ადამიანი, რომელიც იქაურ საკმაოდ მძიმე ცხოვრებას გვიმსუბუქებდა, იყო ქვიშხეთელი ქალი, დიმიტრი ყიფიანის სახლის დიასახლისი, სპეტაკი და კეთილშობილი ადამიანი, ანეტა ყაზიშვილი.

საგურამო – ილიას სახლი

ქვიშხეთური ცხოვრება – მოგონებებისათვის ტკბილი, თუმცა სიძნელეებით სავსე.

მე იქ შევედი სკოლაში 1945 წლის სექტემბერში, მაგრამ ოქტომბრის ბოლოს უკვე წამოვედით ქვიშხეთიდან თბილისში და მცირე ხანში, დაახლოებით ერთ თვეში, გავემგზავრეთ მთელი ოჯახი საგურამოში და იქ, ილია ჭავჭავაძის სახლში, მთელი ზამთარი ვცხოვრობდით ზაფხულის დადგომამდე. ჩვენ ხომ ბინა არ გვქონდა და სულ სადღაც უნდა შეგვეფარებინა თავი, სადღაც უნდა ვყოფილიყავით.

ილია ჭავჭავაძის სახლი იმ დროს მწერალთა დასასვენებელ სახლად იყო გადაკეთებული. ეს იყო სანატორიუმის ტიპის სახლი მწერალთა კავშირის გამგებლობაში. ზაფხულობით იქ რუსეთიდანაც ჩამოდიოდნენ მწერლები, ზამთრობით კი არავინ იყო, იმ ზამთარს ვიყავით მხოლოდ ჩვენ. იმ წელიწადს მამაჩემს ნება დართეს, ზამთარი იქ გაეტარებინა ოჯახით, მხოლოდ ზაფხულში ბინა უნდა დაგვეცალა სხვა, საგზურით ჩამოსული დამსვენებლებისათვის.

ჩვენ ვცხოვრობდით ილია ჭავჭავაძის ყოფილ სასადილო ოთახში, რომლის აივანი გამოდიოდა ეზოში იმ დიდ, ცნობილ მუხასთან, რომელიც დღესაც დგას და რომელიც ილიას ერთ-ერთი საყვარელი ადგილი იყო. ამ დასასვენებელი სახლის მოსამსახურეებს ჯერ კიდევ ახსოვდათ და მშობლებისგან გაეგონათ ილიასა და ოლღას ამბები, მათი ცხოვრების დეტალები. ახსოვდათ,

აგრეთვე, ილიას მკვლელი, გიგლა ბერბიჭაშვილი, რომელიც იმხანად უკვე დასჯილი იყო. ამ სახლის მოსამსახურეები შთამომავლები იყვნენ ილიასდროინდელი შინამოსამსახურეებისა და ყველა მათგანს განსაკუთრებით უყვარდა ილია და მის ხსოვნას თაყვანს სცემდა.

როგორი იყო საგურამოში გატარებული ზამთარი?

მახსოვს დიდი თოვლი, ღამღამობით მგლების ყმუილი და ტურების კივილი, რომლებიც ზოგჯერ, მეტად ცივ ამინდებში, ტყიდან გამოდიოდნენ და ეზოს სიახლოვეს დაწანწალებდნენ საკვების მოსაპოვებლად. ილიას ეზოს გვერდით საქონლის ფერმა იყო, სადაც, ძირითადად, ცხვრები ჰყავდათ. ცხვრის პატარა ფარა, რამდენიმე სული ცხვარი, ილიას ეზოშიც გაეჩინათ დასასვენებელი სახლის თანამშრომლებს. გაზაფხულზე მათთან თამაშსა და მათ მოფერებას არაფერი სჯობდა. სწორედ ამ ცხვრებს უთვალთვალებდნენ ზამთრობით მშიერი მგლები.

დღისით ჩვენ მამასთან ერთად ვსეირნობდით ილიას დიდ ეზოში. მამაჩემს და, მისი მიბაძვით, მალხაზს, რომელიც იმ დროს თერთმეტი წლისა იყო, სეირნობის დროს ხელში ეჭირათ შინდის დიდი კომბლები, როგორც მალხაზისაგან ვიცოდი, მგლების მოსაგერიებლად. მართლაც, მგლები ძალიან მომრავლებული იყო და საგურამოელი გლეხები იმ არემარეში ხშირად კომბლებით დადიოდნენ.

შინდის კომბლებს და ლამაზ ჯოხებს გვითლიდა იქაური მოსამსახურის, ივლიტას შვილი ოთარი. ოთარს ცალი ფეხი მოჭრილი ჰქონდა და ყავარჯნებით დადიოდა. ძალიან კეთილი ახალგაზრდა ვაჟი იყო, თავაზიანი, გულისხმიერი. მთელი დღე იჯდა თავის ნახევრადსარდაფ ოთახში და თლიდა შინდის ხისაგან კომბლებს, ისეთებს, ზღაპარში კომბლე რომ თლიდა და ჭერში აწყობდა, მხოლოდ ოთარი ამ კომბლებს ჩვენ გვჩუქნიდა. თლიდა ტროსტებს და შემდეგ, რაღაცა მეთოდით, ზედ სხვადასხვა ლამაზ ორნამენტებს ამოწვავდა. მე განსაკუთრებით ვუყვარდი და მანებივრებდა: მიკეთებდა ნაირ-ნაირი ლამაზი ორნამენტებით მოხატულ ტროსტებს, თოჯინებისათვის პატარა, ლამაზ საწოლებს, სკამებს, მაგიდებს. ნაირ-ნაირ სათამაშოებს იგონებდა, რომ მე გავეხარებინე. მეც მთელი გულით მიყვარდა, ვემეგობრებოდი და საათობით ჩავდიო-

დი მათ ღარიბულ, მაგრამ მყუდრო, პატარა ოთახში და ვესაუბრებოდი მათ. რაზე? ყველაფერზე, რაზეც პატარა გოგონა ფიქრობდა და რითაც იყო სავსე მისი ბავშვური გული, წმინდა გული.

გავიდა წლები, ბავშვობა, ახალგაზრდობა და დადგა საღამო, მიმწუხრი ცხოვრებისა, მაგრამ ის სიყვარული და სითბო, რაც იმ უბრალო, კეთილმა ადამიანებმა მაგრძნობინეს, დღესაც მახსოვს და ისევ მითბობს გულს.

სიყვარული არასოდეს კვდება და იკარგება!

* * *

გაზაფხულზე ილიას ეზო სამოთხის ბაღს დაემსგავსა: იები, უთვალავი იები, მინდვრებზე ლურჯად რომ ეფინებოდა, ქორჩიოტები, ფურუსულები და მწვანე, ხასხასა ხავერდოვანი ბალახი გულს სიხარულით ავსებდა. ხეები შეიმოსა თეთრი და ვარდისფერი ნაზი ყვავილებით, სუროში შაშვი ჭახჭახებდა. ილიას მერცხლებიც მოფრინდნენ და გარს შემოევლნენ ჭყივილით სახლს და გარემოს, მხოლოდ ილია მათ იქ აღარ ხვდებოდათ.

ეზოს ბოლოში ილიას დროინდელი ვენახი იყო. გაზაფხულზე, როცა ვაზი ატირდა, მახსოვს, მამაჩემი როგორ ამბობდა გრძნობით ილიას ლექსს:

„ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალი ჭყივის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის“...

აღმოსავლეთის მხრიდან ეზოს ესაზღვრებოდა მეტად ხშირი ტყე, რომელიც ზამთარში მთლად გაძარცვული იყო ფოთლებისაგან, მაგრამ გაზაფხულზე ულამაზესი მწვანე სამოსით შეიმოსა.

ამაზე იყო სწორედ ილიას ლექსში ნათქვამი: „ტყემ მოისხა ფოთოლი“... ილიას ეზოს მერცხალმაც ხალისიანი ხმით რომ შესჭიკჭიკა, ალბათ, იგი იმ მერცხლების შთამომავალი იყო, ილია რომ ახსენებდა ლექსში...

ყველაფერი ისე იყო, როგორც მის უკვდავ პოეზიაში, და მისი სამშობლოს მძიმე, ტრაგიკული აწმყოც სწორედ ისეთივე იყო, როგორც პოეტის სევდიან სტრიქონებშია ნათქვამი:

„მამულო, საყვარელო, შენ როსღა აყვავდები?!“.

თითქოს დარჩა ეს სიტყვები პოეტს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნიდან დღემდე, ოცდამეერთე საუკუნემდე იმავე შეკითხვით გვივსებს გულს: „მამულო, საყვარელო, შენ როსღა აყვავდები?!“..

უყვარდა მამაჩემს გახსენება ილიას ცნობილი „ელეგიისა“:

„მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა
მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა
და თეთრი ზოლი შორის მთებისა
ლაჟვარდ სივრცეში დაინთქმებოდა.
არსაიდამ ხმა, არსით ძახილი!..
მშობელი შობილს არას მეტყოდა,
ზოგჯერ კი ტანჯვით ამოძახილი
ქართვლის გულშია კვნესა ისმოდა!
ვიდექ მარტოკა, და მთების ჩრდილი
კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება.
ო, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ განღვიძება?..“

ძალიან უყვარდა ეს ლექსი მამაჩემს და ხშირად ამბობდა მას მისთვის ჩვეული, განუმეორებელი ხმის ჟღერადობით და წამღერებით, როგორც იცოდნენ ოდესღაც საქართველოში და როგორიც ჩვენს დროში ვერასოდეს მოვისმინე ვერც ერთი დიქტორისა თუ მსახიობის მიერ ლექსის კითხვისას.

მე, პატარა გოგონას, მქონდა ბედნიერება ილიას კაბინეტში შევსულიყავი მამასთან ერთად, ხელი შემეხო მოწიწებით მისი სამელნისა და კალმისათვის, გავსულიყავ მისი კაბინეტიდან აივანზე, რომელიც გადაჰყურებდა მთელ არაგვის ხეობას.

ულამაზესი, ღვთაებრივი სურათი იშლებოდა ჩვენ თვალწინ, განსაკუთრებით მზიან, მოწმენდილ ამინდში. მთების ზემოთ გამოჩნდებოდა ხოლმე მყინვარწვერის თავი, მოვარდისფრო შუქით განათებული, და მაშინ იტყოდა ხოლმე მამაჩემი „განდეგილის“ შესავლის ცნობილ სტრიქონებს, ისევ თავისი განუმეორებელი, პოეტური, მჟღერი ხმით:

„მთებისა ზემოთ აღჩნდა მყინვარი,
ცისა და მიწის შუა დაკიდულ,
იგივ ზვიადი, იგივ მძვინვარი,
იგივ დიდებულ და დადუმებულ...“

კაცის თვალი ვერ ინატრებდა უფრო მშვენიერ სანახაობას, ხოლო გონება ვერ გაიხსენებდა უფრო ღირშესანიშნავ აღწერილობას ამ სურათისა, ილიას პოემაში რომ არის გადმოცემული.

ილიას ეს შესავალი „განდეგილიდან“ მე მომაგონებს გენიალური ინგლისელი პოეტის, ჯორჯ ბაირონის დრამატული პოემის, „მანფრედის“ სტრიქონებს, რომელიც რუსულ თარგმანში ასე ჟღერს:

«Мон-Блан в короне из снегов
Есть царь седых вершин,
Окутан ризой облаков,
Стоит как властелин».

აქვე მინდა მოვიხმო ბაირონის ქმნილების ინგლისური ტექსტი:

„Mont Blanc is the Monarch of mountains;
They crowned him long ago,
On a throne of rocks, in a robe of clouds,
With a diadem of snow“.

ილიას უყვარდა ჯორჯ ბაირონი, ახალგაზრდობაში იგი განსაკუთრებით იყო გატაცებული დიდი ინგლისელის პოეზიით.

ილიას სიცოცხლე ისევე დაიფერფლა სამშობლოს სიყვარულში, როგორც ბაირონის სულსა და გულში აგიზგიზებული დიდი ვნება და ცეცხლი თავისუფლებისა და კაცობრიობის სიყვარულში.

ბაირონი არ მოკლეს ტყვიით, მაგრამ იგი დაიწვა იმ დიდ კოცონში, რომელიც მის სულში ენთო და სიყვარულში, რომელიც მსხვერპლად მოუტანა მთელ კაცობრიობას...

ილია დაიფერფლა და დაიწვა თავისი სამშობლოს სიყვარულში. სამშობლო კი ადამიანისათვის მთელი მსოფლიოა, იგი ერთია,

როგორც ერთია ღმერთი და ისევე, როგორც უფალი, მოითხოვს მისი სიყვარულისთვის თავგანწირვას.

„როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა...“, – ბრძანებს მეორე თავგანწირული პოეტი, რაფიელ ერისთავი.

ამიტომ მოკლეს ილია. ის საქართველოს მტრებმა მოკლეს და ისევ კლავენ მას ყოველდღე, როგორც კლავენ ღმერთს, როცა სულმოკლენი ყიდიან სამშობლოს – ოცდაათი ვერცხლის ფასად!

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მამაჩემს განსაკუთრებით უყვარდა ილია და მეტად მაღალ შეფასებას აძლევდა მის პოეზიას.

მახსოვს, როცა ილიასა და აკაკის პოეზიას შევეხეთ და ვუთხარი, პოეზია ხომ მაინც აკაკის უკეთესი აქვს-მეთქი, მიპასუხა: სხვათა შორის, არაო. ილიას აქვს ისეთი ლექსები, რამდენიმე ისეთი ლექსი, როგორიც არავისო.

პოლიკარპე კაკაბაძე იყო უმკაცრესი და უზუსტესი შემფასებელი მწერლობისა და იგი ილიას არავის ადრიდა არა მარტო როგორც მოღვაწეს, არამედ, აგრეთვე, როგორც დიდ მწერალს, მაღალზნეობრივ პიროვნებასა და დიდ მორწმუნეს.

ვფიქრობ, ილიას პოეზიის შეფასებისას პოლიკარპე კაკაბაძეს მხედველობაში ჰქონდა, აგრეთვე, პოეტის ის სარწმუნოებრივი ხასიათის ლექსებიც, რომლებსაც ჩვენს ათეისტურ ქვეყანაში თითქმის არც ბეჭდავდნენ და პოპულარიზაციას არ უწევდნენ. მათ შორის არის ლექსი „ჩემი ლოცვა“, რომელიც საბჭოთა პერიოდში გამოცემულ პოეტის ლექსთა კრებულებში მეტად იშვიათად იბეჭდებოდა.

* * *

ილიას უტურფესი ეზო დავტოვეთ გაზაფხულის გასვლასთან ერთად და დავუბრუნდით კვლავ თბილისს, რომ იქიდან ისევ ქვიშხეთში გავმგზავრებულიყავით.

თბილისში დიდი საბარგო მანქანით წავედით. გზად, წიწამურთან მანქანა შეაჩერებინა მამაჩემმა და ყველანი გადმოვედით, თაყვანი ვეცით დიდი ადამიანისა და დიდი მამულიშვილის ხსოვნას. მამაჩემი კარგა ხანს იდგა და მდუმარედ გაჰყურებდა გარემოს. იგი ეთხოვებოდა თავის ფიქრებში დიდ წინაპარს, სა-

ქართველოს ერთადერთ იმედს, რომლის გული საქართველოს გული იყო და მის ფეთქვასთან ერთად დიდი ხნით შეწყდა ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ეს იყო 1946 წლის გაზაფხული. ამ პერიოდიდან ილიას სახლს ჩამოერთვა სტატუსი მწერალთა დასასვენებელი სახლისა და იგი, როგორც იქნა, დიდი მწერლის სახლ-მუზეუმად გამოაცხადეს.

ისევ ქვიშხეთი

1946 წლის ზაფხულში ისევ ჩავედით ქვიშხეთში, სადაც 1949 წლის შემოდგომამდე ვცხოვრობდით.

როგორც მოგახსენეთ, ქვიშხეთის მწერალთა დიდ სახლში, რომელიც ოდესღაც დიმიტრი ყიფიანს ეკუთვნოდა, ახლა მწერლები ზაფხულობით ითქვამდნენ სულს, თითო ოჯახს თითო ოთახი ეკავა. სულ თხუთმეტი ოთახი იყო. ყველას ჩამოჰქონდა თავისი ნავთქურა, საბან-ლეიბი და სხვა საჭირო ნივთი. ხან საერთო სამზარეულოში, ხანაც ცალკე, თავისივე ოთახებში დიასახლისები ამზადებდნენ სადილს. ყველა ოჯახი ცდილობდა ყოველ ზაფხულს მისთვის უკვე ჩვეული ერთი და იგივე ოთახი დაეკავებინა.

ჩვენ სულ იქ ვცხოვრობდით, ზამთარ-ზაფხულ და ყოველთვის ერთი და იგივე ოთახი გვეკავა მეორე სართულზე. ჩვენ ქვემოთ კოწია ლორთქიფანიძის ოჯახი ისვენებდა, მის გვერდზე – გამსახურდიები, იქით – კალე ბობოხიძე, სხვაგან – ნინო ნაკაშიძე და ა. შ. თუ რომელიმე დამსვენებელი გვიან ჩამოვიდოდა, ან სულაც გააცდენდა, ბავშვები სათამაშოდ ვიყენებდით იმ ოთახს, ის ჩვენი შტაბი იყო.

ბიჭები და გოგოები ერთად ვთამაშობდით, მაგრამ ცალ-ცალკეც გვქონდა ჩვენი განსაკუთრებული გასართობები.

ხალისიანი ზაფხული ჩქარა გარბოდა, ყველა წავიდოდა, ყველა მიაშურებდა საკუთარ სახლს და კერას თბილისში, მხოლოდ ჩვენ ვრჩებოდით მარტო. დიმიტრი ყიფიანის დიდი ეზო შემოდგომის ფერებით იმოსებოდა, ცოტა მოწყენა ისადგურებდა, მაგრამ

გარემოს სილამაზე და ჩვენი მუდმივი გასართობი, ჩვენი წიგნები, გვიმსუბუქებდნენ მარტოობას.

1946 წელს, როცა ჩვენ ისევ ქვიშხეთს დავუბრუნდით, მე იქ, ქვიშხეთის სკოლაში დავიწყე ისევ სიარული, მეორე კლასში ვიყავი და, როგორც უკვე ვთქვი, ნათოც არ ჩამომრჩა და ექვსი წლისა სკოლაში შეიყვანეს.

სკოლა ცოტა მოშორებით იყო ყიფიანების სახლიდან, ასე, ორი კილომეტრი იქნებოდა. ამის გამო მალხაზი არ შეიყვანეს სკოლაში.

მალხაზს ბავშვობაში, ექვსი წლის ასაკში, გადატანილი ჰქონდა რევმატიზმის მძიმე ფორმა, რომელმაც გულიც დაუზიანა, მაშინ ძლივს გადაარჩინეს. ამიტომ მშობლები სულ ეფეთებოდნენ, სულ ეგონათ, ხელიდან გამოგვეცლებაო.

როცა სკოლაში წასვლის დრო დაუდგა, ჯერ კიდევ ქუთაისში, არ წაიყვანეს სკოლაში, სუსტია და სიარულს ვერ გაუძლებსო, ამეცადინებდნენ სახლში. მალხაზი ძალიან ნიჭიერი იყო, ყველა სხვა ბავშვისაგან გამორჩეული ნიჭით, კეთილშობილებით და სიმართლის მოყვარეობით. ეს თვისებები მას ბოლომდე შერჩა. განსაკუთრებით მართალი, გულუბრყვილო და სიკეთით სავსე ადამიანი იყო, სკოლის პროგრამას სულ ადვილად ითვისებდა, ყველაფერს ყველა ბავშვზე იოლად და სწრაფად სწავლობდა, დედა ამეცადინებდა.

მალხაზი გამოირჩეოდა საოცარი მეხსიერებით.

ცნობილი თეატრმცოდნე, ბატონი ნოდარ გურაბანიძე თავის მოგონებებში პოლიკარპე კაკაბაძის შესახებ მალხაზის ფენომენალურ მეხსიერებასთან დაკავშირებით იხსენებს ერთ ფაქტს: საქმე ის იყო, რომ ჩვენი ოჯახი, თბილისში რომ ცხოვრობდა მრგვალ ბაღთან, ჩვენი ბავშვობის წლებში ბატონი ნოდარ გურაბანიძის ოჯახიც იქვე ცხოვრობდა. თანატოლი ბიჭები, ე. წ. მრგვალი ბაღის ბიჭები, ამხანაგობდნენ ერთმანეთში და მალხაზი (აზიკო, როგორც ჩემს ძმას ბავშვობაში ეძახდნენ) პოპულარული იყო მათ შორის თავისი განსაკუთრებული ნიჭიერებით. იგი თავის მეგობრებთან მრგვალ ბაღში ხშირად თავმომწონედ ზეპირად ყვებოდა ვაჟა-ფშაველას მთელ „სტუმარ-მასპინძელს“,

საუკეთესო გამოთქმით. ამ დროს მას ყველა სულგანაბული უსმენდა.

ბატონი ნოდარ გურაბანიძე იგონებს: „მისი ვაჟიშვილი (იგულისხმება პოლიკარპე კაკაბაძე, მ. კ.) – აზიკო „მრგვალი ბაღის“ ბიჭებს გვაოცებდა ვაჟა-ფშაველას პოემების კითხვით, თუმცა ამბობდა – მფრინავი უნდა გამოვიდეო“ (იხ. ნოდარ გურაბანიძე. „თქვენ კი არ უნდა მომთხოვოთ მე საქმე, მე უნდა მოგკითხოთ“ (მცირე მოგონება). ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1994, N4, გვ. 38).

მალხაზს, ბავშვობის წლებში, როგორც ყველა ბიჭს, ვაჟკაცობასა და გმირობაზე ეჭირა თვალი. ასეთ გმირობად კი მაშინ ითვლებოდა მფრინაობა. „მფრინავი უნდა გამოვიდეო!“ – ამბობდა მალხაზი ადრეულ ბავშვობაში, მაგრამ მისი ცხოვრება სხვაგვარად წარიმართა.

ოჯახი გადადიოდა საცხოვრებლად ერთი ადგილიდან მეორეში, ხან ქალაქში, ხან სოფელში, ვერ დაყავდათ ბავშვი სკოლაში და ასე შემორჩა მალხაზი ბოლომდე სახლში მიღებულ საშუალო სკოლის განათლებას. იგი კითხულობდა ძალიან ბევრს, ჰქონდა შესანიშნავი დიქცია და მხატვრული კითხვის მონაცემები. როცა უკვე 1949 წელს ისევ თბილისში გადმოვედით, მაინც არ შეიყვანეს მალხაზი სკოლაში, სხვა ბავშვებზე დიდია და იუცხოვებენო, ისევ სახლში მეცადინეობდა. ბოლოს, გარკვეულ საგნებში – მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა, ლიტერატურა და სხვა საატესტატო საგნებში, დაუქირავეს მასწავლებლები, მოამზადეს და ექსტერნად აიღო ატესტატი. სად უნდა შესულიყო უმაღლესში?

მალხაზმა განსაკუთრებული ნიჭი გამოამჟღავნა, აგრეთვე, მათემატიკასა და ფიზიკაში, მათემატიკაში საკუთარი ფორმულებიც კი შექმნა. ამიტომ ამ დარგის უნივერსიტეტის პროფესორებს იგი განსაკუთრებით მოეწონათ და ფიზიკაში კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ მალხაზმა, ოჯახის ჩარევითაც, მაინც ჰუმანიტარული დარგი აირჩია. იგი შევიდა ისტორიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა უნივერსიტეტში შუა საუკუნეების ისტორიის კათედრაზე, პროფესორ გივი ჟორდანიასთან. ბატონ გივის მალხაზი ძალიან უყვარდა და

მის ნიჭიერებასა და პატიოსნებას დიდად აფასებდა. მალხაზი უყვარდათ სტუდენტებსაც, მიუხედავად იმისა, რომ მომთხოვნი ლექტორი იყო.

სიკეთე ყოველთვის სიყვარულს ბადებს. მალხაზი უყვარდა ყველას – თანამშრომლებს, ჯგუფის ამხანაგებსა და ნაცნობებს. ამიტომ როცა წავიდა ამქვეყნიდან, მახსოვს, ბიჭებმა ისე დაიტირეს, როგორც ბავშვი, ღაპაღუპით მოსდიოდათ ცრემლები, ხოლო ქალბატონი მარიკა ლორთქიფანიძე მივიდა კუბოსთან, ხელები აღაპყრო და ცრემლების ფრქვევით შეჰღაღადა: ეს ნამდვილი წმინდანი იყოო, – ასე შეაფასა მან მალხაზის პიროვნება.

მოხდა ისე, რომ მალხაზის ამბავი ვერ გავაგებინეთ მისი ბავშვობის მეგობარს, ლეო ანთაძეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ლეო შემხვდა ქუჩაში და მალხაზის ამბავი რომ გაიგო, მწარედ ატირდა და თქვა: სწორედ ამ დღეებში დამესიზმრა მალხაზი, თურმე ამქვეყნიდან მიდიოდაო.

სიზმარში გამოეცხადა მალხაზი ბავშვობის მეგობარს და ასე გამოემშვიდობა. ჩემი საყვარელი, კეთილშობილი ძმა, ჩემი მალხაზი... წმინდა ადამიანი!

სიყვარული და სევდა

ქვიშხეთში, ჩვენი მარტო ცხოვრების ორი წლის შემდეგ, მწერალთა სახლში დაბინავდა მეორე ოჯახიც. ეს იყო მწერალი ბონდო კეშელავა ცოლ-შვილით: დეიდა ნუცა – წითელლოყება, ლამაზი და პუტკუნა ქალი და ორი წითელლოყება, თმახუჭუჭა გოგონა – ხათუნა, ჩემზე ერთი წლით უფროსი და ნათული, ჩემი ნათოს ტოლი.

შედარებით გავმხიარულდით, აღარ ვიყავით მარტო. ზამთრის საღამოობით, როცა დედა რუსულად გვიკითხავდა პუშკინის ზღაპრებს, „ევგენი ონეგინსა“ და სხვა ქმნილებებს, კეშელავას ბავშვებიც შემოცუცქდებოდნენ ხოლმე მაგიდის ირგვლივ და უსმენდნენ.

ვთამაშობდით ერთად, დავდიოდით ტყეში, სადაც ხშირად დაგვყვებოდა ჩვენი ოლიჩკა, უკრაინელი ქალიშვილი, ოლია

ოვრამენკო, რომელიც ჩვენთან შინამოსამსახურედ მუშაობდა. ოლია შესანიშნავად ქარგავდა უკრაინული ნაციონალური ორნამენტებით და თავისებური ქარგვის მანერით, „კრესტიკებით“. დედაჩემს სულ მოჰქონდა მისთვის ხაშურიდან და ბორჯომიდან ფერადი საქარგავი ძაფები და ტილოები, და ჩვენი ოლია სულ ქარგავდა და ქარგავდა. აქამდე გვაქვს შემონახული ოლიას ნაქარგები მამაჩემის ოჯახში.

ოლიამ ჩემთვის შეადგინა სამახსოვრო ალბომი, მოხატა ულამაზესი ფერადი ყვავილებით და მეგობრული და სასიყვარულო ლექსებით აავსო, რაც უკრაინაში იმ დროს, თურმე, მიღებული იყო.

შემდეგ ოლია წავიდა თავის სამშობლოში, რადგან ძალიან ენატრებოდა მშობლიური მხარე და თავისიანები, თუმცა ქვიშხეთში საუკეთესო ვაჟკაცები თხოულობდნენ, მაგრამ არ გაჰყვა, იქ საქმრო მყავსო. მისი საქმრო ჯარში იყო და იქიდან წერილებს სწერდა.

ოლია რომ დაბრუნდა უკრაინაში, იქიდან მოგვდიოდა მისი წერილები, მეც ვპასუხობდი. მერე მოიწერა: „ჩემმა ვალოდკამ ვლადივოსტოკში ცოლი შეირთოო“. თანდათან შეწყვიტა წერა, ალბათ ჩაითრია ცხოვრებამ და აღარ ეცალა ჩვენი მიმოწერისათვის.

ასეთი იყო ოლია, გულწრფელი და კეთილი უკრაინელი ქალიშვილი.

მე და ხათუნა ვმეგობრობდით, ნათი და ნათულიც მეგობრობდნენ.

ანეტა ყაზიშვილი ყველას პატრონი იყო მწერალთა სახლში, და მე ვფიქრობ – ჩვენი განსაკუთრებით, ალბათ იმიტომ, რომ იქ დიდხანს ვცხოვრობდით, მთელი სამი ზამთარი და ხუთი ზაფხული. დეიდა ანეტას ზრუნვა რომ არა, ვერ გავძლებდით, ძალიან გაგვიჭირდებოდა.

უპატიოსნესი, უკეთილშობილესი, გულმართალი და მშრომელი ადამიანი იყო დეიდა ანეტა. მის ხსოვნას ჩვენი ოჯახის ყველა წევრი სათუთად ინახავდა. მას უყვარდა მთელი გულით დიმიტრი ყიფიანის სახლი, ის ოჯახი, ხშირად ახსენებდა „ნინა ილინიჩნას“, დიმიტრი ყიფიანის რძალს, რომელიც ამ დიდი ოჯახის უკანას-

კნელი წარმომადგენელი იყო და ამ სახლში დიდხანს ცხოვრობდა. მას დეიდა ანეტა განუზომლად პატივს სცემდა.

„ანეტა ნამდვილი ანგელოზიაო!“ – თქვა ერთხელ მამაჩემმა.

მართლაც, დეიდა ანეტა მფარველი ანგელოზივით გვევლებოდა თავს იქ ყოფნისას და გვაძლებინებდა ჩვენს საკმაოდ მძიმე ყოფაში.

* * *

ქვიშხეთში, როგორც ვთქვით, ჩვენ გვეკავა ერთი ოთახი შუშაბანდით. ჩვენ, ოჯახის წევრები, ექვსი სული ვიყავით, მეშვიდე იყო ოლია, მაგრამ ზაფხულობით ჩვენს ბინაში ათი-თორმეტი სული გროვდებოდა: მამიდაჩემი ლიდა თავისი ქალიშვილით, ხატულიათი ყოველ ზაფხულს ჩვენთან იყო, დედაჩემის ძმისშვილი – ნუნუ, სერიოჟას ქალიშვილი. ესეც ყოველ ზაფხულს ჩვენთან ატარებდა. ამ გოგონების მამები ოცდაჩვიდმეტი წლის რეპრესიებს ემსხვერპლნენ. ჩვენთან ატარებდა ზაფხულს, აგრეთვე, ლიანა, თამარა მამიდას ქალიშვილი და ნანული, დედაჩემის მეორე ძმის, ყოფილი ფეხბურთელის, ვალიას ქალიშვილი. ესენიც თითო ზაფხული ჩვენთან იყვნენ ქვიშხეთში. ამას დროდადრო ემატებოდნენ მცირე ხნით ჩამოსული ნათესავები. ყველას უჭირდა.

დედაჩემი ყველასათვის ახერხებდა კუთხის მიჩენას ჩვენს ვიწრო ბინაში. ბავშვები ორ-ორი ვწვებოდით ერთად, ზოგი იატაკზე გაიშლიდა ლოგინს. ზაფხულის სიცხეში ბავშვებს იატაკზე წოლა გვეხალისებოდა. ყველასათვის ყოფნიდა დედაჩემს ლეიბ-საბანი. ზამთრობით ჩამოიტანდა ხოლმე ხაშურიდან და ბორჯომიდან ბამბას, ჩითს, ტილოს და თვითონ კერავდა საბნებს: ზაფხულში სტუმრები ჩამოვლენ და დაგვჭირდებაო.

ამდენი ხალხის საჭმლის მოტანა და გაკეთება, – მართალია, ოლია გვყავდა, მაგრამ დედაჩემი იყო ყველაფერი. მას უყვარდა სტუმრები, ნათესავები და ხალისით უმასპინძლდებოდა ყველას, მიუხედავად იმისა, რომ სულ გვიჭირდა და მამაჩემს ამდენი ადამიანის გამოკვებისათვის საჭირო თანხაზე უნდა ეზრუნა. ბიძაჩემი ჭიჭიკო ხშირად გვეხმარებოდა, მაგრამ რამდენს დაგვეხმარებოდა, რას გვეყოფოდა?!

მაგრამ დედაჩემი და მამაჩემი ამის გამო უკმაყოფილებას არასოდეს არ გაივლებდნენ გულში, წუთითაც არასოდეს დაფიქრდებოდნენ, რომ სულის მოსათქმელად ჩამოსული ღარიბი ნათესავები მძიმე ტვირთად აწვათ მათ ოჯახს. ისინი სიხარულით იღებდნენ ამ მსხვერპლს და ამით კმაყოფილები იყვნენ.

კეშელავები კარგი ხალხი იყო, მაგრამ ერთი სიმძიმე აწვა ჩვენს ურთიერთობას: საქმე ის იყო, რომ ბონდო კეშელავა დაავადებული იყო სიგიჟის გარკვეული ფორმით. ახალგაზრდობაში ის ციხეში აწამეს ბოლშევიკებმა და მას შემდეგ დაეწყო ეს დაავადება. ეს დაავადება ბონდო კეშელავას მაშინ მოერეოდა, როცა განსაკუთრებული ნერვიულობა და მძიმე უსიამოვნება შეხვდებოდა. ასეთ დროს ძია ბონდო თბილისში მიჰყავდათ და თვეობით მკურნალობდნენ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ამიტომაც ამ ოჯახის გვერდით ცხოვრება ამ დიდ სახლში გარკვეულ სიძნელეებს გვიქმნიდა.

ამავე დროს, მწერალთა კავშირშიც და ლიტფონდშიც ერთი ამბავი ჰქონდათ ატეხილი – რატომ ცხოვრობს პოლიკარპე კაკაბაძე ოჯახით ქვიშხეთში წლიდან წლამდეო. ჩვენ ეს სახლი უნდა გადავაკეთოთ სანატორიუმის ტიპის დასასვენებელ სახლად, სათანადო საგზურებით და ეს ორი ოჯახიც იქიდან უნდა წავიდესო.

მოკლედ, „ყვარყვარეს“ ავტორს ცოცხალს ვერ იტანდნენ და სულ ცდილობდნენ ახალი მახეები დაეგოთ მისთვის, რაც შეიძლება შეევიწროვებინათ.

დაბოლოს, აუტანელი გახდა იქ ცხოვრება და 1949 წელს, ზაფხული რომ გავიდა, ჩვენც, სხვა ოჯახებთან ერთად, ავიყარეთ ქვიშხეთის ბუდიდან და გამოვემგზავრეთ თბილისში.

მართლაც, ერთი თუ ორი წლის შემდეგ ქვიშხეთის მწერალთა სახლი გადააკეთეს სანატორიუმის ტიპის დასასვენებელ სახლად, ხოლო კეშელავებს, რადგან ვეღარ აგდებდნენ, საკომპენსაციოდ გამოუყვეს თანხა და იმათაც ქვიშხეთში იყიდეს მშვენიერი სახლი და გაიჩინეს საკუთარი ჭერი, რაც ჩვენ კიდევ კარგა ხანს არ გვეღირსა.

* * *

რა მოგველოდა თბილისში? რა ახალი სიძნელეები გველოდა აქ?

მამაჩემს დაჰპირდნენ, რომ მალე ბინას მისცემდნენ. იგი მივიდა ცეკას მაშინდელ პირველ მდივანთან, კანდიდ ჩარკვიანთან. რესპუბლიკის ეს მთავარი კაცი და ხელისუფალი დაჰპირდა, სულ ახლა, რამდენიმე თვეში ახალი სახლი მთავრდება და ბინასაც მოგცემთო.

ჩამოვედით თბილისში, დავბინავდით ბიძაჩემის სახლში, ვითომ დროებით, მთელი ექვსსულიანი ოჯახი. ჭიჭიკო ბიძია უცოლშვილო იყო და მასთან ბინაში, როგორც ვთქვით, ადრიდანვე ცხოვრობდნენ მაიკო ბებია და გაუთხოვარი და, ნადია მამიდა. ბებია 1946 წელს გარდაიცვალა და ახლა იქ იყვნენ ნადია მამიდა და მზია, რომელიც ისევ სწავლობდა უნივერსიტეტში. მამაჩემი როცა თბილისში იყო, ისიც იქ ცხოვრობდა. ახლა ჩვენც დავემატეთ 1949 წლის შემოდგომიდან, სამოთახიან ბინაში, რომელიც დაახლოებით 60 კვ. მეტრი იყო. იქ რვა სული ვცხოვრობდით ჩვენი მიმსვლელ-მომსვლელით და რაიონებიდან ხშირ-ხშირად ჩამოსული ნათესავებით.

ჩვენ, ბავშვები, მზიასთან ერთად დროდადრო დავდიოდით მშენებარე სახლის სანახავად, სადაც ველოდით, რომ, დაპირებისამებრ, ბინას მოგვცემდნენ, მაგრამ დამთავრდა სახლი და ჩვენ ბინა არავინ მოგვცა.

ამასობაში მამაჩემის მიმართ პოლიტიკური დევნა თანდათან უფრო გაძლიერდა. უკვე 50-იანი წლები დადგა და გახშირდა რეპრესიები, იწყებოდა ახალი ოცდაჩვიდმეტი წელი... ყოველდღე ასეულობით უდანაშაულო ადამიანს იჭერდნენ და ციხეებში ყრიდნენ. დაბერებული და კიდევ უფრო გაბოროტებული ბელადი ახალ, სასტიკ „წმენდას“ იწყებდა, რომელსაც ვეღარავინ გადაურჩებოდა. რომ დასცლოდა სტალინს, თავისიანებსაც ერთიანად მიჟუჟვას უპირებდა, მაგრამ, ამბობენ, დაასწრეს და სიცოცხლე მოუსწრაფეს მისმავე მოწაფეებმაო.

ასე გადარჩა კაცობრიობა კიდევ ერთ ახალ ოცდაჩვიდმეტ წელს. ლავრენტი ბერიას დაღუპვის შემდეგ კი, რომელიც სტალი-

ნის კურსის გაგრძელებას აპირებდა, როგორც ამბობდნენ, სიტუაცია ერთბაშად შეიცვალა: შეწყდა ადამიანთა მასიური დაჭერა, დახვრეტა, წამება, დაცარიელდა „კგბ“-ს ჯურღმულები, სადაც ადამიანებს გაუგონარი ტანჯვით ასალმებდნენ სიცოცხლეს.

ჩვენმა ოჯახმაც ამოისუნთქა. ამიერიდან მამაჩემს ვეღარავინ მოჰკიდებდა ხელს, ვეღარ დაიჭერდნენ, ვეღარ დახვრეტდნენ, ვეღარ გადაასახლებდნენ.

ეს ჩემთვის, პატარა, თხუთმეტი წლის გოგონასათვის სრულიად ნათელი გახდა, როცა 1953 წლის 2 მარტს რადიომ გამოაცხადა გაუგონარი და სრულიად მოულოდნელი ამბავი – სტალინი უიმედოდ ავად არისო. – „ესე იგი მოკვდა“, – გავიფიქრე მე. ვინ გაბედავდა და იტყოდა ცოცხალ სტალინზე, კვდებაო, თქვეს – უიმედოდ ავად არისო. ეს ჩემთვის, ჯერ კიდევ ბავშვისათვის, ცხადი იყო. ამ დროს მე უკვე ვიცნობდი იმ სახელმწიფო სისტემას, სადაც სიმართლე არ ითქმებოდა, ყველაფერი ტყუილზე იყო აგებული.

– ესე იგი მამაჩემი გადარჩა, – ეს იყო პირველი აზრი, რომელიც თავში მომივიდა და შვებით ამოვისუნთქე, სულ სხვანაირად დავინახე ცხოვრება.

დიდი განსაცდელი, დიდი ჭირი ადრე აფხიზლებს გონებას და ბავშვის გულსა და ტვინში წარმოშობს არაბავშვურ, მძიმე ფიქრებს.

ძლიერი განსხვავება იყო ჩემს ადრინდელ, ხალისიან ბავშვობასა და 50-იანი წლების ცხოვრებას შორის.

სადღა იყო ის მოჭიკჭიკე პატარა გოგონა, ყველას რომ უმეგობრდებოდა და ყველას სიყვარულს რომ იმსახურებდა თავისი მხიარული, ცნობისმოყვარე ურთიერთობებით?!

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ თანდათან სრულიად შევიცვალე, ხალისიანი და გულღია ბავშვი გადავიქეცი სევდიან, გულჩათხრობილ გოგონად, რომელიც დიდი, გაფართოებული თვალებით უყურებდა ცხოვრებას და ნახულობდა იქ საბაბს დარდისა და სულიერი ტკივილისათვის.

მახსოვს ეს მძიმე, დაძაბული წლები... ყველაფერი მესმოდა, რაც ირგვლივ ხდებოდა, ვგრძნობდი მამაჩემის გარშემო შექმნილ

სიტუაციას. 1950-52 წლიდან 1953 წლის მარტამდე, სტალინის სიკვდილამდე, იყო უმძიმესი ხანა ჩემს, ჯერ კიდევ ბავშვურ ცხოვრებაში, როცა არაბავშვური ტკივილებითა და ტანჯვით ვიყავი შეპყრობილი. ვუყურებდი მამაჩემს, მის არანორმალურად გაფითრებულ სახეს, რომელზეც ტრაგედია იხატებოდა.

მამაჩემის სახე, რატომღაც, მტკიცედ ჩამოქნილ რკინის ქანდაკებას მაგონებდა ყოველთვის. იგი რკინასავით მტკიცე იყო და შეუპოვარი, და ეს მის სახეზე იხატებოდა. მუდამ ფერმკრთალი, ახლა, ამ რეპრესიის წლებში, კიდევ უფრო ფერმკრთალი და ტრაგიკული ჩანდა, – კომედიის მეფეს ტრაგიკული სახე ჰქონდა.

იმ წლებში მამას მიმართ სასტიკად გაძლიერდა დევნა. ყოველდღე ხდებოდა მისი დამუშავება ცეკასა თუ მწერალთა კავშირში, უწუნებდნენ ნაწერებს, პირდაპირ აუკრძალეს ისტორიულ პიესებზე მუშაობა.

იგი „დიმიტრი თავდადებულზე“ 1945 წლიდან მუშაობდა, ხოლო „ვახტანგ გორგასალზე“ – 1939 წლიდან, ხშირად ამ პიესებზე პარალელურადაც მუშაობდა. მამას ხელნაწერები შეუმოწმეს და დაჭერით ემუქრებოდნენ. მახსოვს, ჯერ კიდევ ქვიშხეთში, 1949 წლის მარტში, კაცი გამოგზავნეს ხელნაწერების შესამოწმებლად, რაზე მუშაობსო (ამის შესახებ ჩვენ გამოვაქვეყნეთ მასალა კრებულში – დრამატურგია-89. თბ., გამ. „მერანი“. 1989).

ამ პირობებში, 1945 წელს, კოტე მარჯანიშვილის თეატრში ამზადებდნენ „კახაბერის ხმალს“, მაგრამ სპექტაკლი გენერალური რეპეტიციიდან მოხსნეს, ხოლო მის ავტორს დაჭერითა და დახვრეტით დაემუქრნენ. ასევე, დაემუქრნენ დიმიტრი ბენაშვილსაც, რომელიც ამ დროს მწერალთა კავშირის პარტკომი იყო, დიდი გავლენით სარგებლობდა სამთავრობო სტრუქტურებშიაც და ამ ბრძოლებში ამოღებული ხმალივით იცავდა პოლიკარპე კაკაბაძეს. „კახაბერის ხმალი“ სასტიკად დაამუშავეს, როგორც ანტისაბჭოთა იდეოლოგიის ნაწარმოები.

გადაწყვეტილი იყო ამ ნაწარმოების შექმნისათვის პოლიკარპე კაკაბაძის ხალხის მტრად გამოცხადება!

მაგრამ მამაჩემი ყველა შემოტევას გმირულად იგერიებდა. იგი არნახული შეუპოვრობით ამარცხებდა ბნელ ძალას, რომე-

ლიც მის დანთქმას ლამობდა. მათ ვერასოდეს გატეხეს და დაიმორჩილეს „ყვარყვარესა“ და „კახაბერის ხმლის“ ავტორი. ეს ბრძოლები გრძელდებოდა ათეული წლები და არ ჰქონდა ამას დასასრული და ბოლო. ამ ბრძოლებს მე, შეძლებისდაგვარად, შევეხე პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედების ანალიზისას, რომელსაც რამდენიმე გამოკვლევა და წერილი მივუძღვენი.

იმ საშინელ წლებში ადრე დავფიქრდი ბავშვური ყოფისათვის შეუფერებელ, მძიმე კითხვებზე, ჩემს სულში რომ იბადებოდნენ ირგვლივ გამეფებული მკაცრი სინამდვილის გამო.

მახსოვს, სტალინი რომ მოკვდა, სრულიად შევიცვალე, თვალებში სინათლის სხივი ჩამიდგა, იმედი დამიბრუნდა.

იმ ხანებში სკოლის ერთმა ამხანაგმა, ეთერ სუხიაშვილმა, მითხრა: მანანა, როგორ შეიცვალე, ვეღარ გიყურებდი, ისეთი დაღვრემილი იყავი ყოველთვისო. ეთერის დედ-მამა, ორივე საბჭოთა მინისტრები იყვნენ და ჩემი ტკივილი არ ესმოდა ეთერს, თუმცა ვუყვარდი.

მხოლოდ ჩემს მეორე მეგობარს, მანანა ბულეიშვილს, კარგად ესმოდა ჩემი, რადგან მამამისი რეპრესირებული იყო ლევან გოთუას ჯგუფთან ერთად.

ჩვენ ორივენი მესაიდუმლოენი ვიყავით და ორივემ ამოვისუნთქეთ, სტალინის სიკვდილი რომ გამოაცხადეს. ჩვენ, ბავშვებს, უკვე გვესმოდა, რომ ამ ამბით შეიცვალა დრო. ახლა იმედი მოგვეცა, რომ ცხოვრებაც შეიცვლებოდა და ჩვენი მამებიც გადარჩებოდნენ.

მართლაც შეიცვალა დრო, მოხდა გარკვეული ცვლილებები, მაგრამ ეს ცვლილებები იყო მხოლოდ ნაწილობრივი...

კიდევ დიდხანს იბოგინა საბჭოთა ხელისუფლებამ.

* * *

სტალინის სიკვდილის შემდეგ მძიმე რეპრესიები შეწყდა, თუმცა სახელმწიფო წყობილება იგივე დარჩა, საბჭოური, სიცრუესა და ძალადობაზე დამყარებული რეჟიმი, რომელმაც გასული საუკუნის 90-იან წლებამდე იარსება.

შეიცვალა ჩვენი ოჯახის ცხოვრებაც. ახლა აღარ გვეშინოდა, რომ მამას დაიჭერდნენ და დახვრეტდნენ, თუმცა მის მიმართ ზე-

წოლა, ინტრიგები და დევნა სიცოცხლის ბოლომდე გრძელდებოდა და სიკვდილის შემდეგაც არ შეწყვეტილა, და, რაც კიდევ უფრო სამწუხაროა – საბჭოთა კავშირის დაშლის მერეც. საქართველომ დამოუკიდებლობა აღიარა, მაგრამ ყვარყვარეს ხსენებისა ისევ ეშინოდათ, ისევ ცდილობდნენ მიეჩქმალათ პოლიკარპე კაკაბაძის სახელი. ფიქრობდნენ, ყვარყვარეს ვეღარ დაგვიძახებენ, თუ მისი ავტორის სახელს აღარ ვახსენებთო, მაგრამ შეცდნენ. ყვარყვარე ცოცხალი ტიპია, მარადიული ტიპია, იგი დაინახა მწერალმა და მას უკვდავი სიცოცხლე შთაჰბერა. ყვარყვარე დადის დედამიწაზე მისი შექმნის დღიდან და ამხელს ყველა მედროვეს – არარაობიდან, ნაცრიდან შექმნილ ცრუ გმირებს, ცრუ საზოგადო მოღვაწეებსა და პოლიტიკოსებს.

მთელ დედამიწაზე დადიან ყვარყვარეები და დადიან საქართველოშიც...

თუ არ გნებავთ, დაგიძახონ ყვარყვარე, ნუ დაემსგავსებით მას, სიმართლისა და ღმერთისაკენ იბრუნეთ პირი!

ყალბია თქვენი ლოცვა, როცა ეკლესიაში პირჯვარს იწერთ, რადგან საქმით სიმართლისაკენ არ ხართ!

ღმერთს არ უყვარს სიცრუე და ის სინანულზე ყალბ სიტყვებს არ მიიღებს!

სიმართლის გეშინოდეთ, ყვარყვარიზმის სინდრომით შეპყრობილნო, ძლიერნო ამა ქვეყნისა!

სამწუხაროდ, ყვარყვარიზმი ისევ ზეობს!

მამაჩემის მეგობრები

კორნელი კაკაბაძე

კორნელი კაკაბაძე – მამაჩემის უსაყვარლესი მეგობარი და ახლო ნათესავი!

არავის მეგობართა შორის ისეთი სევდითა და მწუხარებით არ მოიგონებდა ხოლმე მამაჩემი, როგორც კორნელის. კორნელი ალექსანდრე ქუთათელის მეგობარიც იყო და მწერალმა მისი ხსოვნისადმი განსაკუთრებული სიყვარული გამოხატა თავის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებში, რომანში „პირისპირ“. ალექსანდრე ქუთათელი ამბობდა, რომ მისი რომანის მთავარი გმირის პროტოტიპია კორნელი კაკაბაძე.

მაგრამ რომანში კორნელი ბოლშევიკია, სინამდვილეში კი ასე არ იყო!

* * *

ვინ იყო სინამდვილეში კორნელი კაკაბაძე, მამაჩემის უსაყვარლესი ნათესავი და მეგობარი? დამოუკიდებელი საქართველოსათვის მებრძოლი პიროვნება, ოცდაოთხი წლის შეთქმულების მონაწილე თუ ბოლშევიკი, როგორც ალექსანდრე ქუთათელმა გვიჩვენა თავის ნაწარმოებში?

ალექსანდრე ქუთათელმა თავის რომანში ეს კეთილშობილი და სათაყვანო გმირი გამოიყვანა ბოლშევიკების თანამგრძნობად და მათი იდეებისათვის მებრძოლ გმირად, მაგრამ სინამდვილე სულ სხვა იყო: კორნელი კაკაბაძე ბოლშევიკების თანამებრძოლი კი არა, მათი მოწინააღმდეგე გახლდათ. იგი დამოუკიდებელი საქართველოსათვის მებრძოლი პიროვნება იყო. ამიტომაც სწორედ საბჭოთა ხელისუფლებამ, სწორედ ბოლშევიკებმა, იგი 1924 წელს დახვრიტეს. კორნელი ოცდაოთხი წლის შეთქმულების მონაწილე იყო.

მამაჩემის მეგობარი კორნელი კაკაბაძე შეეწირა ოცდაოთხი წლის რეპრესიებს.

* * *

ალექსანდრე ქუთათელის ნაწარმოები რომანია და არა ისტორიული თხზულება, რაც სულ სხვა თავისუფლებას აძლევს მწერალს, მაგრამ მაინც, რატომ დაწერა ალექსანდრე ქუთათელმა ფაქტები შებრუნებით, უკუღმა?

ბატონმა ალექსანდრე ქუთათელმა ფაქტები დაწერა უკუღმა იმიტომ, რომ ასეთი იყო ის სასტიკი და მძიმე დრო, როცა სიმართლის თქმა ადამიანს სიცოცხლის ფასად უჯდებოდა.

მწერალს სინამდვილეში სძულდა კომუნისტები ყველა მათი ქმედების გამო და, ამავე დროს, მას პირადი დიდი ტკივილიც ჰქონდა მათგან მიღებული. ბოლშევიკებმა მწერალს დაუხვრიტეს ორი უსაყვარლესი ძმა და ნათესავები, მაგრამ იგი უძლური იყო ასეთი წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად. ყოველდღიური სიკვდილის შიში აიძულებდა ადამიანს, ელაპარაკა საწინააღმდეგო იმისა, რასაც ფიქრობდა. ასევე იყვნენ ისეთი მწერლებიც, რომლებიც იძულებით წერდნენ სიყალბეს სიკვდილის შიშით. მხოლოდ მცირე მათგანს უდიდესი ტანჯვისა და სიცოცხლის ფასად უჯდებოდა სიმართლის თქმა.

ადამიანი სიკვდილის წინაშე უძლურია და შიში სიკვდილისა აიძულებდა მას, ელაპარაკა საწინააღმდეგო იმისა, რასაც ფიქრობდა და განიცდიდა, მღეროდა, როცა ეტირებოდა. ასე იქმნებოდა სიმღერები ბელადებზე, ხოლო სინამდვილეში ამ ქების შემთხზველთ სძულდათ ის ბელადები, რომელთაც აქებდნენ.

ალექსანდრე ქუთათელს გულით უყვარდა კორნელი კაკაბაძე, აღფრთოვანებული იყო მისი პიროვნული თვისებებით და ამიტომ იგი თავის რომანში დადებით გმირად დახატა, თუმცა, მას მიაწერა ის იდეოლოგიური თვალსაზრისი, რისი მოწინააღმდეგეც იყო კორნელი. ეს გმირი საზოგადოებამ ამ რომანიდან შეიყვარა. ალექსანდრე ქუთათელს სძულდა კომუნისტები, მაგრამ მათ თავის რომანში აქებს.

ალექსანდრე ქუთათელი იყო მეტად განათლებული, ერუდირებული, ბასრი კალმის პატრონი, სახელოვანი მწერალი თავისი დროისა. მას სძულდა კომუნისტები და იძულებით, თავის გადასარჩენად, წერდა იმის საწინააღმდეგოს, რასაც ფიქრობდა.

ასეთი იყო ის მძიმე დრო, როცა თვით ცნობილი მწერლებიც კი, თავის გადასარჩენად იძულებული იყვნენ დითირამბები ემღერათ მათთვის საძულველი პარტიისა და ხელისუფლებისათვის.

ბატონი ალექსანდრე ქუთათელი ახალგაზრდობის დროიდან მამას მეგობარი იყო. ჩემთვის კი იგი ყოველთვის იყო საყვარელი „ძია საშა“, რომელსაც განსაკუთრებით მოსწონდა ჩემი ლიტერატურული გამოკვლევები.

კაენის აქტი

„კაინ, კაინ, სად არის შენი ძმა?!“

არიან სულით მაღალი ადამიანები, რომლებიც მოვლენ ამქვეყნად, მაგრამ წავლენ, როგორც მინდვრის მშვენიერი ყვავილები, და მათი ხსოვნა ადამიანთა მხოლოდ ვიწრო წრეს თუ რჩება და ეს ხსოვნაც თანდათან ნელდება. ამ ადამიანებს არც დიდი ბრძოლები მოუგიათ, არც სახელმწიფოები უმართავთ და არც დიდი ქონება მოუგროვებიათ, რომ ამით სახელი გაეთქვათ და ისტორიას შემორჩენოდნენ. მიუხედავად მათი შესაშური ნიჭიერებისა, არც მათი სულის გამონაჟური დარჩენილა ხელოვნების რომელიმე დარგის, დიდი მხატვრობისა თუ მწერლობის სახით. მაგრამ ისინი ღვთიური ძალის ნაწილნი არიან ქვეყნად და თესავენ განსაკუთრებულ სიყვარულს ადამიანთა შორის და განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ საზოგადოების სულიერ ამაღლებაში.

ისინი საზოგადოების რჩეულნი არიან, ისინი არიან მარილნი სოფლისა!..

ასეთი იყო კორნელი კაკაბაძე, მამას უსაყვარლესი მეგობარი, თავისი დროის ერთ-ერთი საუკეთესო ინტელიგენტი, კეთილშობილი და სათნო სულის ადამიანი, რომელიც განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა იმდროინდელ საზოგადოებაში, როგორც ღირსეული მოქალაქე და ნათელი პიროვნება.

როგორც ვთქვით, კორნელი შეეწირა ოცდაოთხი წლის ტერორს. იგი სასიკვდილოდ გაიმეტა ძმასავით თანაშეზრდილმა,

უახლოესმა მეგობარმა ვალია ბახტაძემ, რომელიც იმ დროისათვის ბოლშევიკების პარტიაში იყო შესული და იქ გადიდკაცებული და დაწინაურებული პირი გახლდათ. მან ჯერ კიდევ 1923 წელს, გადიდკაცებულმა და გონებადაბნელებულმა, მოწამეთას დარბევაშიაც მიიღო მონაწილეობა.

ოდესღაც, კორნელისა და პოლიკარპეს უახლოესი მეგობარი, ახლა უკვე მეტად აღზევებული, ბობოლა ბოლშევიკი ვალია ბახტაძე 1924 წელს ქართველი მამულიშვილების დასახვრეტთა სიებს ადგენდა და მან ამ სიაში შეიტანა თანაშეზრდილი მეგობარი კორნელი კაკაბაძე და დაახვრეტინა.

კაენის ცოდვა დატრიალდა ძმათა შორის!

ეს იყო მამაჩემისათვის საშინელი დარტყმა, სულიერი ტრავმა, რომელიც მთელი სიცოცხლე ახსოვდა და მოურჩენელ ჭრილობასავით ჰქონდა გულში. ეს იყო მისი ერთ-ერთი უმძიმესი მოგონება და ტკივილი.

ასეთი იყო ეს ტრაგიკული დრო, რომელიც ებრძოდა ღმერთს. ბოროტმა ჟამმა ადამიანი მაცდურის გზაზე დააყენა, ძმას ძმა მოაკვლევინა, კაენის ცოდვა ჩაადენინა, სიყვარული სიძულვილად უქცია და უმძიმეს დამნაშავედ გარდაქმნა.

ბოლოს, ცოდვა ადუღდა, ვალია ბახტაძეს, ამ ამბიდან სულ რამდენიმე წელიწადში, უბედურებაზე უბედურება ეწვია: ერთმანეთის მიყოლებით დაეხოცა ოჯახის უახლოესი წევრები და ბოლოს, მოუკვდა ერთადერთი, ნალოლიავები პატარა, უსაყვარლესი ვაჟიშვილიც, ხოლო თვითონ საშინელი ტანჯვით აღესრულა 1930 წელს, მას შემდეგ, რაც შეესწრო თავისი ოჯახის განადგურებასა და ამოწყვეტას.

სიკვდილის წინ, მძიმედ ავადმყოფმა, შემოუთვალა თავის ყოფილ მეგობარს, პოლიკარპე კაკაბაძეს, რომელიც კორნელის დაღუპვის გამო სამკვდრო-სასიცოცხლო განხეთქილებით დაშორდა მას: ვკვდები და მნახეო. ნახა მამაჩემმა, შეებრალა სასიკვდილოდ განწირული, მძიმე ცოდვებში ჩაძირული, მოსისხლე მტრად ქცეული ყოფილი მეგობარი.

უბედური ვალია ბახტაძე სიკვდილის წინ, თურმე, მთელი თვე განუწყვეტლივ ხრიალებდა მის მიერ დახვრეტილი მეგობრის სა-

ხელს: – „კორნელი, კორნელი“... სხვა სიტყვა აღარ ამოსდიოდა პირიდან, მეტყველება თითქმის წაერთვა და დარჩა ერთადერთი სიტყვა – „კორნელი“, რომელიც გამოხატავდა მის სულიერ ტანჯვასა და სინანულს. ასე, ამ სახელის ძახილში ამოხდა ცოდვილი სული...

* * *

მამაჩემმა მძიმედ განიცადა მთელი ეს ტრაგედია. მას ენანებოდა ეს დაღუპული სულიც, რომელიც ახლა ღვთის სამსჯავროს წინაშე უნდა წარმდგარიყო, სასტიკი ცოდვებით დამძიმებული. პოლიკარპე კაკაბაძე ისევე მძიმედ და მტკივნეულად განიცდიდა თავისი მოსისხლე მტრების სიკვდილს, როგორც უახლოესი ადამიანის დაღუპვას. სიკვდილის წინაშე მისთვის ყველა ადამიანი ერთი იყო – მტერი, მოყვარე, დამნაშავე, უდანაშაულო...

– საწყალი! – იტყოდა ხოლმე ტრაგიკული, მწუხარე ხმით და სახეზე გამოუთქმელი ტანჯვა ეხატებოდა.

ასეთი იყო მამაჩემის მიმტევებლური ბუნება ადამიანთა ცოდვებისადმი.

მამაჩემისათვის ეს იყო უდიდესი ტრაგედია, ტკივილი, რომელიც მთელი ცხოვრება გულში ჩარჩენილი ჰქონდა მოურჩენელი ჭრილობასავით.

დიმიტრი ბენაშვილი და მისი ოჯახი

მამაჩემის მეგობართა შორის ჩემს მეხსიერებაში უპირველესი იყო დიმიტრი ბენაშვილი და მასთან ერთად ვიქტორ გაბესკირია. დიმიტრი, როგორც სალი კლდე, გვერდში ედგა მამაჩემს. ასეთივე გახლდათ ვიქტორ გაბესკირიაც. ეს ორი მეგობარი პოლიკარპე კაკაბაძისათვის ავთანდილი და ფრიდონი იყო. მათ არაერთხელ საფრთხეში ჩაუგდიათ თავი მეგობრის გადასარჩენად. მამაჩემსაც ასეთივე თავგანწირვით უყვარდა ისინი და გვერდში ედგა მათ გაჭირვების ჟამს.

დიმიტრი ბენაშვილი და მისი მშვენიერი ოჯახი მინდა გავიხსენო, ადამიანები, რომელთა სიყვარული მამაჩემისადმი და

ჩვენი ოჯახისადმი სრულიად განსაკუთრებული იყო და იგი გაგრძელდა მას შემდეგაც, რაც ჩვენი მამები უკვე აღარ იყვნენ ამქვეყნად.

* * *

ყველაფერი ბავშვობიდან იწყება.

გაჭირვების მიუხედავად, ბავშვობა მაინც ბედნიერებაა და ის სამარადისოდ რჩება ადამიანის გულში.

ჩვენ ბედნიერები ვიყავით, როცა მოდიოდა რომელიმე დიდი დღესასწაული, რადგან ოჯახები ერთმანეთს ვხვდებოდით. მაშინ მოდიოდნენ ჩვენთან ნათესავები და მეგობრები, ხოლო მათ შორის უძვირფასესი სტუმრები იყვნენ ბენაშვილები და გაბესკირიები.

სიყვარული სიყვარულს შობს, სიხარული – ბედნიერებას. ჩვენ ბედნიერები ვიყავით ერთად იმ დღეებში და ის სითბო ახლაც ანათებს და ათბობს ჩვენს გულებს.

* * *

დიმიტრის ვაჟი, გურამ ბენაშვილი, დღეს ცნობილი პროფესორი და ლიტერატურათმცოდნე, გავიცანი მრავალი წლის წინ, მის დაბადების დღეს. მაშინ სულ პატარები ვიყავით.

ერთ დღეს, ძია დიმიტრიმ, ჩვენთან სტუმრობისას, ხელი მოგვკიდა ბავშვებს და რაღაც განსაკუთრებულად, მტკიცედ თქვა: დღეს ჩემთან უნდა წავიყვანო ეს ბავშვებიო. ჩვენ დიდი ხალისით გავემზადეთ და წავედით ყველანი, მამაჩემიც, რა თქმა უნდა.

კარებში შემოგვეგება ხუთი-ექვსი წლის გურამი, ცისფერთვალება, წითელლოყება ბავშვი და წკრიალა ხმით გვითხრა: – „რა მომიტანეთ?“– მახსოვს, მე შევცბი, დაბადების დღე რომ იყო, არ ვიცოდით.

რა ბედნიერები ვიყავით ყველანი იმ დღეს, დიდებიც და პატარებიც. ყველა დეტალი მახსოვს იმდღევანდელი...

დეიდა ვერა – ულამაზესი, ალერსიანი, სითბოსა და სიყვარულს რომ აშუქებდა, ძია დიმიტრი – ვაჟკაცი, ღირსებით სავსე, ნელი – საოცრად ლამაზი თმებით, გურამი – იმდღევანდელი ზეიმის ნამდვილი გმირი, ოჯახის ბურჯი და იმედი, მშობლების კერპი

და სიამაყე, მამაჩემი – მხნე და ხალისიანი თავის უსაყვარლეს ადამიანთა შორის.

ბედნიერები ვიყავით ყველანი იმ დღეს, სტუმრებიც და მასპინძლებიც.

შემდეგ გვახსოვს მრავალი სიხარულით სავსე დღეები და საღამოები: ახალი წლები, აღდგომა, შობა, ზოგჯერ კი თავყრილობები ყოველგვარი დღესასწაულის გარეშე, დღესასწაულად რომ გადაიქცეოდნენ იმ სიყვარულის გამო, ერთურთის მიმართ რომ ვგრძნობდით ყველანი, დიდებიც და პატარებიც. ჩვენ, ბავშვებსაც, ისევე გულმხურვალედ გვიყვარდა ერთმანეთი, როგორც უფროსებს. სიყვარულზე დიდი ბედნიერება ხომ არაფერია ამქვეყნად!.. ჩვენ ამ ბედნიერებას ერთმანეთს ვანიჭებდით და ერთმანეთისაგან ვიღებდით. ჩვენ ყველანი სავსე ვიყავით ამ ურთიერთსიყვარულით და ეს იყო სულის ზეიმი, დღესასწაულად რომ გადააქცევდა ყოველ ერთად გატარებულ დღეს.

ირგვლივ კი, გარეთ ამ ურთიერთობათა, სუფევდა სასტიკი დრო, დრო სიყვარულისა და სიკეთის უარმყოფელი, ცრემლთა მდინარეების მომტანი. ეს დრო ებრძოდა ჩვენს წმინდან მამებს, პოლიკარპე კაკაბაძესა და დიმიტრი ბენაშვილს.

ერთხელ ნელიმ მითხრა, უკვე მას შემდეგ, რაც გავიზარდეთ და ცხოვრებაში შევდგით ფეხი: იმ წლებში მამაჩემს ორჯერ გამოუტანეს საყვედური და სასტიკი გაფრთხილება პირად საქმეში შეტანით, – პოლიკარპე კაკაბაძეს რატომ უჭერ მხარსო (საქმე ეხებოდა „კახაბერის ხმლის“ ირგვლივ ატეხილ ბრძოლებს).

იმ დროის სასტიკ ქარტეხილებში ჩვენი მამები კიდევ უფრო კაჟდებოდნენ სულით, ძლიერდებოდნენ ბრძოლებში, იზრდებოდნენ ნამდვილ, ბუმბერაზ გმირებად.

ბოროტ ძალთა ჭიდილში იბადება გმირული სული, თავგანწირვის გრძნობა კიდევ უფრო ძლიერდება საბედისწერო წამებში. ჩვენი მამები სასტიკ, უკომპრომისო ბრძოლებში მაღლდებოდნენ სულით და უახლოვდებოდნენ ღმერთს, ისევე, როგორც წმინდანები წამების გზით აღწევდნენ ზეადამიანურ სრულყოფილებას.

თავგანწირული იყო მათი ბრძოლა დრო-ჟამის წინააღმდეგ.

ოჯახი ცხოვრობდა მამის ინტერესებით და არა – პირიქით.

ამ ადამიანთა ოჯახებისათვის არასოდეს არ იყო მთავარი კეთილდღეობა. მათ ძლიერი სიყვარულით უყვარდათ თავისი სპეტაკი ოჯახები, მაგრამ მისი კეთილდღეობისათვის არასოდეს დაუშვებდნენ მორალურ დათმობას. მათ იცოდნენ ძლიერი სიყვარული მოყვასისა და ეს მაღალი გრძნობა მეგობრობისა ატანინებდა ყოველგვარ გაჭირვებას, ცხოვრება რომ უმზადებდა მუდამ.

ჩვენმა მამებმა იპოვეს ერთმანეთში მეგობრობის იდეალი. ისინი კედლად ედგნენ და აძლიერებდნენ ერთმანეთს და ამაღლებდნენ შეუპოვარ, უკომპრომისო ბრძოლებში, ყოფნა-არყოფნის ზღვარზე.

* * *

მახსოვს, იდგა 1946 წელი. ჩვენ იმ ზაფხულს ქვიშხეთში ვატარებდით, დიმიტრი ყიფიანის სახლში. იმ დღეს, მშვენიერ ეზო-გარემოში, სადაც, ოდესღაც, წმინდა დიმიტრი ყიფიანი XIX საუკუნის პატრიოტულად განწყობილ ინტელიგენციას მასპინძლობდა, ახლა, XX საუკუნის, ჩვენი მკაცრი ეპოქის დაჩაგრულ, შეშინებულ და დევნილ მწერალთა ოჯახები ზაფხულობით სულს ითქვამდნენ. იქ, იმ კარ-მიდამოში და იმ წარმტაც ბუნებაში ყოფნა სიხალისესა და იმედს მატებდა ადამიანებს.

ჩვენც, ბავშვები, ზაფხულობით იქ ლაღად ვიზრდებოდით. იმ წელს, ბენაშვილები და ჩვენ ერთად ვატარებდით ზაფხულს ქვიშხეთში.

ჩვენი დიდი გასართობი იყო პეპლების ჭერა. დიმიტრი ბენაშვილის ქალიშვილი ნელი, ჩემსა და ჩემს დაზე, ნათიაზე, ცოტა უფროსი გახლდათ და განუსაზღვრელი ავტორიტეტით სარგებლობდა ჩვენ შორის. ნელი მეხუთე კლასში იყო გადასული, მე კი –მხოლოდ მეორეში.

ნელი ამაყად და მნიშვნელოვნად ამბობდა, რომ იგი ბოტანიკას სწავლობს და ჩემზე ეს დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ჩემთვის გაუგებარი საგნის, ბოტანიკის, ხსენებით ნელი საოცარი პატივისცემით განმაწყობდა მის მიმართ.

მე უკვე ჰომეროსის პერსონაჟებით ვიყავი გატაცებული, აქი-

ლევსი და ჰექტორი ჩემი უსაყვარლესი გმირები იყვნენ, მაგრამ არ ვიცოდი, რა იყო ბოტანიკა.

ნელის დიდი, სქელი რვეული ჰქონდა, სადაც ჩვენ მიერ დაჭერილ პეპლებს ქისძისთავებით ამაგრებდა – როგორც თვითონ ამბობდა, ბოტანიკის მასწავლებლის დავალებით. ეს დიდ, სერიოზულ საქმედ მიგვაჩნდა ყველას. ჩვენ, სამ გოგონას, გვეჭირა ხელში პეპლის საჭერები და მთელ დღეს ლამაზ, მოფარფატე პეპლებს დავდევდით მინდორში.

მაგრამ ჩვენი საქციელი არ მოსწონდა მალხაზს, ჩემს ძმას, რომელიც ჩემზე სამი წლით უფროსი იყო, არც გურამს მოსწონდა, რომლისთვისაც მასზე რამდენიმე წლით უფროსი მალხაზი, აგრეთვე, დიდ ავტორიტეტს წარმოადგენდა.

მალხაზი და გურამი მთელი დღე დაგვდევდნენ და გვარწმუნებდნენ, რომ პეპლები არ უნდა დავიჭიროთ, რომ პეპელა ცოდოა!

ერთ დღეს, სამივე გოგონა ყიფიანის სახლის ერთ განმარტოებულ ოთახში ჩუმად შევედით და ნელის საუცხოო, დიდებულ რვეულში პეპლების ჩაკვრას შევუდექით. ამ საქმეში ნელი მთავარი იყო, ჩვენ – დამხმარე.

უცებ, სად იყო და სად არა, გაჩნდნენ მალხაზი და გურამი. მალხაზმა აღშფოთებული ტონით დაგვიყვირა: ცოდოა პეპელა! – და ნელის ნაწნავში სწვდა, როგორც მთავარ დამნაშავეს. ნელი ატირდა: მეტკინა! – დაიძახა ნელიმ. – მე არ ვარ ცოდო? პეპელა გეცოდება და მე არა?! ხოლო გურამი წკრიალა ხმით იმეორებდა: ცოდოა პეპელა!

არ ვიცი, ახსოვს თუ არა ეს ინციდენტი დღეს ჩემს ძმას, გურამს. თუ ახსოვს, როგორ ეფერებოდა პეპლებს მინდორში, როგორ ეცოდებოდა ისინი და რა გულმოდგინედ იცავდა მათ სამი გოგონას იმგვარი სიყვარულისაგან, პეპელას რომ სიცოცხლეს უმოკლებდა, მაგრამ მის სილამაზეს კი ხანგრძლივ არსებობას უნარჩუნებდა, საერთო რვეულში ჩაკვრით.

– პეპელაც უნდა დაინდო, ისიც ცოდოა, ჩიტიც კი არ უნდა დააფრთხო და დაიჭირო! – ასეთი სისათუთით და მორალით ზრდიდნენ ჩვენს სულებს ჩვენი მამაცი და კეთილშობილი მშობლები. მკაცრ და სასტიკ დროში სიკეთესა და სისათუთეს გვინერგავდნენ უმანკო გულებში.

– ყველა ცოდოა, ყველა გიყვარდეთ, ყველას თანაუგრძნეთ! – ამ ეთიკით და ასე გვამზადებდნენ ცხოვრებისათვის ჩვენი მამები.

სახელმწიფოს კი თავისი აღზრდის მეთოდები ჰქონდა, კომუნისტური მეთოდები, რომლებითაც ზეწოლას ახდენდა საზოგადოებაზე. სკოლებში მშობლის დამსმენის, პავლიკ მოროზოვის რაზმები იქმნებოდა, სადაც უმანკო ბავშვებს პატარა გულებში დაუნდობლობას უნერგავდნენ, პეპლების კი არა, ადამიანების დაჭერას, ერთმანეთის დასმენას, ცბიერებასა და თვალთმაქცობას ასწავლიდნენ. ანგელოზებს მგლებად ამზადებდა ჩეკისტური სახელმწიფო.

მკაცრ და დაუნდობელ ადამიანთა საზოგადოებას ამზადებდა საბჭოთა კავშირი. ეს იყო მისი საყრდენი. პეპელას არ გაიმეტებდა კაცი ისე, ადამიანებს რომ წირავდნენ და იმეტებდნენ. პიონერთა და კომკავშირთა ორგანიზაციების აღზრდის ასეთ ინიციატივას ხშირად დაშინებული, დაგლახებული, მორალდაქვეითებული შინაური ატმოსფეროც ემორჩილებოდა, წინააღმდეგობას ვერ უწევდა.

ასეთ ჯოჯოხეთში დააბიჯებდნენ ჩვენი მშობლები და კაცური კაცის ღირსებით მოღვაწეობდნენ და იბრძოდნენ უსპეტაკესი სულის მთელი მგზნებარებით.

* * *

„არა მარტო ეშმაკებს აქვთ ვნება, უფრო დიდი ვნება აქვთ ანგელოზებს!“ – წერდა მამაჩემი თავის უბის წიგნაკში.

უფრო ძლიერი ვნებით და თავგანწირვით იბრძვიან ანგელოზური სულები და ამით ისინი კაცობრივი მოდგმის წონასწორობას ხრიან სიკეთისაკენ, ღმერთისაკენ.

ნაზი ყვავილები ბრძოლის ველზეც იზრდება. ასე იზრდებოდნენ მკაცრ ქვეყანაში სათნო სულები, რომლებიც ერის ფესვებიდან, მშობლიური წიაღიდან იღებდნენ საზრდოს.

სახელწიფოს ამ საშინელ ზეწოლას საზოგადოების მაღალი მორალის მქონე ნაწილი ჯიუტად ებრძოდა. მრავალი ადამიანი ეწირებოდა ამ ბრძოლას. კეთილისა და ბოროტის ამ საბედისწერო ჭიდილში იბადებოდნენ და იზრდებოდნენ მთელი თაობები.

ადამიანური თანაგრძნობა და სიყვარული იყო პოლიკარპე კაკაბაძის, დიმიტრი ბენაშვილისა და მათი სათნო მეუღლეების

უდიდესი თვისება, რომელსაც ისინი გადასცემდნენ შვილებს.

ჩემს ბავშვურ მეხსიერებას შემორჩა იმ დიდი ომის შემდგომი წლების ქვიშხეთში გატარებული ზაფხულის ამბები.

საერთო გასაჭირი იდგა ყველგან.

მახსენდება დეიდა ვერას თვალზე ცრემლები, როცა გაჭირვებული, ჩვენთვის სრულიად უცხო ადამიანები, უბრალო სოფლელები, თავიანთ სიდუხჭირეზე ყვებოდნენ. მახსოვს, დეიდა ვერამ როგორი მონდომებით გამოუტანა მათ თავისი კაბები და ბავშვების ტანსაცმელი. იმხანად, ომის შემდგომ წლებში, ტანისამოსი მეტად ძვირი იყო, ხალხი ჩაღლეტილი დადიოდა და ასეთი გულუხვობა მეტად იშვიათი რამ გახლდათ. დედაჩემი ხშირად იტყოდა, როგორი გულჩვილია ვერა, ბავშვივით ატირდება ხოლმე, გაჭირვებულს რომ დაინახავსო.

მამაჩემი დიდად აფასებდა ვერა ჩოფიკაშვილის მორალურ თვისებებს, მის სულიერ სისპეტაკეს. ვფიქრობ, დიმიტრი ბენაშვილს ასეთი მეუღლე რომ არ ჰყოლოდა, ალბათ, გაუჭირდებოდა მთავრობისაგან დევნილი მეგობრის მხარში ამოდგომა ასეთი თავგამეტებით. ვინ არ იცოდა, თუ რა საშიშროებას უქადდა ადამიანს და რით შეიძლებოდა ყოველ წამს დამთავრებულიყო ხელისუფლების იდეოლოგიური კურსის აშკარა მოწინააღმდეგის თავგანწირული დაცვა. ცხადია, ეს ოჯახმაც კარგად იცოდა. მაგრამ ვერა ჩოფიკაშვილი მოყვარული და დამფასებელი გახლდათ პოლიკარპე კაკაბაძისა. იგი სიმართლისა და სიკეთისათვის გულაგზნებული პიროვნება იყო და თავის ვაჟკაც მეუღლეს ამ გმირულ ბრძოლებში ყველანაირად ამხნევებდა და თანაუგრძნობდა.

განა ქალი არ არის შთამაგონებელი გმირის კეთილშობილურ, ვაჟკაცურ ქმედებათა?!

ადამიანები მოდიან და მიდიან ამქვეყნიდან, და მათგან არაფერი რჩება, გარდა მდუმარებისა. მათი სახელები დავიწყებას ეძლევა, მაგრამ სიკეთე, მათ მიერ დათესილი, ამქვეყნადაც ამოიყრის ყლორტებს და იმქვეყნადაც გაჰყვება სულის საცხონებლად. ამიტომ ვიხსენებ დღეს ამ კეთილშობილ ადამიანებს, რომლებიც ერის მარადიულ სიცოცხლეს განასახიერებენ. ისინი არიან მარილნი ქვეყნისა. ასეთი ადამიანებით სულდგმულობს ერი.

ასეთები იყვნენ ვერა და დიმიტრი.

დეიდა ვერა

ჩემი საყვარელი დეიდა ვერა!

მან მე თოჯინა მაჩუქა.

რა ბედნიერი ვიყავი, დაუვიწყარი დღე იყო ეს ჩემთვის!

ბავშვს ვერაფრით გაახარებთ იმაზე მეტად, ვიდრე მისთვის საყვარელი და სანატრელი სათამაშოს ჩუქებით.

27 ივნისი იყო, ჩემი დაბადების დღე, და რა მოულოდნელი იყო ასეთი საჩუქარი იმ დღეს!..

ომის შემდგომი წლები იდგა. დიდი ხანია ჩემთვის თოჯინა არავის უჩუქებია.

პატარა რომ ვიყავი, ომის წინა წლებში, დიდი, ლამაზი თოჯინები მოჰქონდათ ჩემთვის საჩუქრად და ძალიან მიხაროდა. მაგრამ დადგა ომის წლები და თოჯინებისათვის აღარავის ეცალა, სევდა და ღრუბელი ჩამოწვა ბავშვის ცხოვრებაშიც.

მე კი ვიზრდებოდი და თოჯინები ისევ ძალიან მიყვარდა და მენატრებოდა. დედა ნაჭრისაგან და ბამბისაგან მიკერავდა თოჯინებს, თუმცა არ იყვნენ ისეთი ლამაზები, როგორებიც ისინი, ადრეული, ნამდვილი თოჯინები. მაგრამ მე მათ კაბებს ვუკერავდი, ვეფერებოდი, ვეთამაშებოდი და ოცნებასაც ვერ ვბედავდი ნამდვილ თოჯინებზე, ისეთებზე, მე რომ მქონდა ოდესღაც. ის დრო თითქოს წარსულს ჩაბარდა.

და აი, უცებ, დეიდა ვერამ ჩემს დაბადების დღეს მაჩუქა ნამდვილი თოჯინა. ეს იყო ნელის თოჯინა, რომელსაც მე სულ ვეთამაშებოდი. ნელი ჩემზე უფროსი იყო სამი წლით და თოჯინაც, ჩანს, უკვე იმდენად აღარ იზიდავდა. მან ის ჩემთვის გაიმეტა.

იმ დღეს მე ცხრა წლის შევსრულდი და თუმცა უკვე ჰომეროსის გმირების ბედიც მაღელვებდა და ხშირად ცრემლებს მაღვრევინებდა, მაგრამ ისევ ძალიან მიყვარდა თოჯინებით თამაში.

დეიდა ვერა იმ დილით შემოვიდა ჩვენთან და მოცინარი, ალერსიანი სახით შემომიტანა თოჯინა. არასოდეს დამავიწყდება ეს სიხარული!

ამ კეთილმა ქალმა იმდენად გაახარა ჩემი გული ამ საჩუქრით, რომ ახლაც მახსოვს და მადლიერი ვარ იმ განცდისათვის.

ნამდვილი სიყვარული ადამიანის სულში სამუდამოდ რჩება!

გულწრფელი, საოცრად მგრძნობიარე ადამიანი გახლდათ ვერა ჩოფიკაშვილი. მისი გულიდან ამომავალი ხმა, ალერსიანი კილო, მისი სათუთი მოფერება მთელი ცხოვრება შემორჩა ჩემს მეხსიერებას.

შესანიშნავი წყვილი იყო ვერა და დიმიტრი, სილამაზით, სულიერებით და ფიზიკური მშვენიერებით სავსე.

როგორც ვთქვი, დიმიტრი ბენაშვილი უპირველესი მეგობარი იყო პოლიკარპე კაკაბაძისა. იგი თავისი სწორუპოვარი მეგობრისათვის თავს სწირავდა, მის დასაცავად იბრძოდა სულის მთელი მგზნებარებით. ხელისუფალნი იცვლებოდნენ, პოლიკარპე კაკაბაძისადმი დამოკიდებულება – არა. იგი ხომ „ყვარყვარე თუთაბერისა“ და „კახაბერის ხმლის“ ავტორი იყო!

ცნობილია, რომ დიმიტრი ბენაშვილის ლექციები პოლიკარპე კაკაბაძის სახელით იწყებოდა და მთავრდებოდა. ამას ადასტურებდნენ მისი მოწაფეები, სტუდენტები და თანამშრომლები.

დიმიტრი ჯერ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობდა, შემდეგ – კათედრის გამგედ ალ. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში (ახლანდელი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი). ყველაზე საყვარელი თემა დიმიტრი ბენაშვილის სამეცნიერო გამოკვლევებისა, მოხსენებებისა და ლექციებისა იყო პოლიკარპე კაკაბაძე და მისი შემოქმედება.

– ზოგადსაკაცობრიო ტიპია ყვარყვარე თუთაბერი, – გრგვინავდა დიმიტრი თავის ლექციებში, მოხსენებებში და წერილებში 30-იანი წლებიდან, როცა ირგვლივ რეპრესიები მძვინვარებდა, როცა ყვარყვარეები ბატონობდნენ ქვეყანაზე და სისხლის წვიმები ავსებდა ქუჩებს, როცა მართალთა კვნესა ცამდე ადიოდა საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე, მსოფლიოს მეექვსედზე, როცა მილიონობით ადამიანი იხვრიტებოდა და საკონცენტრაციო ბანაკებში გმინავდა.

დიმიტრი არ უშინდებოდა მკაცრ დროს და თავის გამოკვლევებში ასაბუთებდა პოლიკარპე კაკაბაძის ქმნილებათა გენიალობას, მის მიერ შექმნილ უკვდავ ტიპთა ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას.

– ზოგადსაკაცობრიო ტიპებს მხოლოდ გენიოსები ქმნიან, ასეთი ტიპები უკვდავნი არიან, მარადიულნი, – ასეთი კვლევებითა და გამოსვლებით იყო ცნობილი დიმიტრი ბენაშვილი. იგი პოლიკარპე კაკაბაძის უერთგულესი მეგობარი იყო.

დიმიტრის ვაჟი, გურამ ბენაშვილი, მამის გზას დაადგა.

დიმიტრი ბენაშვილიც და გურამ ბენაშვილიც ყოველთვის დარჩებიან პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედების მნიშვნელოვან მკვლევარებად, რადგან მათ ბევრი ისეთი საკითხი შეისწავლეს და წამოწიეს წინ, რაც სხვა მკვლევართა შრომებში ვერ აისახებოდა. ისინი ხომ პირადად იცნობდნენ და მეგობრობდნენ ამ დიდ ადამიანთან და იცოდნენ ბევრი ისეთი დეტალი მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, რაც უცნობი იქნება მომავალი მკვლევარებისათვის. ეს მათი შრომების უდავო ღირსებაა!

გავიდა წლები მას შემდეგ, რაც ჩვენი მამები მარადისობაში გადავიდნენ, ხოლო ჩვენ, შვილები, უკვე ასაკში მყოფნი, მრავალჭირგამოვლილნი, სიცოცხლის დაისს შევყურებდით.

გრძნობა სიახლოვისა და ჭეშმარიტი სიყვარულისა განსაცდელის ჟამს უფრო მეტად იღვიძებს ადამიანში.

დიმიტრის ქალიშვილს, ნელის, მძიმე ხვედრი არგუნა ბედმა. ერთ სევდიან დღეს, ნელიმ, უკვე ასაკში მყოფმა, მრავალჭირგამოვლილმა, დამირეკა ტირილით და მითხრა: ძია პოლიკარპე მენატრებაო. მერე დაუმატა: შვილი მიკვდებაო, ჩემი ტატა მოურჩენელი სენით არის ავადო, რა ვქნაო, – ტიროდა და თან იმეორებდა: – ძია პოლიკარპე მენატრება, მამაჩემზე მეტად მენატრებაო...

ტატა გარდაიცვალა ამ ამბიდან რამდენიმე დღეში.

და როცა მისი შვილი სულს ლევდა, ნელის მოენატრა მისი საყვარელი ძია პოლიკარპე განსაკუთრებული ნატვრით!

ნელის ტანჯვას თითქოს პოლიკარპე კაკაბაძე ზეციდან იზიარებდა და მისი უკვდავი სული მეგობრის ტანჯულ ქალიშვილს ნუგეშისათვის თავს დასტრიალებდა.

აქვე უნდა ვთქვა, რომ მამაჩემი ყოველთვის განსაკუთრებული სიმწვავით განიცდიდა ადამიანთა ამქვეყნიდან წასვლას. ძალიან ჯავრიანი ადამიანი იყო. სრულიად უცნობი ადამიანის სიკვდილ-

საც რომ გაიგონებდა, საშინლად განიცდიდა. – საწყალი! – იტყოდა ხოლმე ტრაგიკული ხმით და ტანჯული გამომეტყველებით. რაც უნდა დამნაშავე ყოფილიყო ადამიანი, რაც უნდა ცოდვილი, მის სიკვდილს რომ გაიგებდა, ყველაფერს პატიობდა, ყველა ჩადენილ შეცდომასა თუ ბოროტებას, სულით დაცემულ ადამიანებსაც ისევე გლოვობდა, როგორც კეთილებს, არავინ ემეტებოდა სიკვდილისათვის (ამის შესახებ ჩვენ არაერთხელ უკვე ვთქვით, მაგრამ კვლავაც ვიმეორებ).

თითქოს არ არსებობდა დროის წარმავალობა პოლიკარპე კაკაბაძისათვის. სიყვარული მისთვის იყო ის მარადიული გრძნობა, რომელიც ორივე სამყაროს, ხილულსა და უხილავს, ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურს აერთიანებს. – „იქაც მეყვარებით!“ – თქვა ამქვეყნიდან წასვლამდე რამდენიმე დღით ადრე. მისთვის სიყვარული იყო ერთადერთი ჭეშმარიტება, რომელიც სიცოცხლესთან ერთად არ ქრება. იოანე მახარებლის მიხედვით, სიყვარული ღმერთია. აქვე ვიტყვი, მამაჩემისათვის იოანეს სახარება ყველაზე უსაყვარლესი, ყველა წიგნზე აღმატებული წიგნი იყო. ის ბიბლიას, როგორც წესი, ყოველ ღამე კითხულობდა.

მამას სჯეროდა, რომ იქაც, იმ მარადიულ სამყაროში, თან წაიღებდა ჩვენს სიყვარულს და იქაც, მარად განიცდიდა ამ სიახლოვის და სიყვარულის გრძნობას.

„ღმერთი სიყვარულია! “ – ეს მთავარი მცნება იოანესი პოლიკარპე კაკაბაძის სულის ნაწილად იქცა და ის მასთან ცხოვრობდა ამქვეყნად, როგორც ყველაზე დიდ ჭეშმარიტებასთან.

დარწმუნებული ვარ, მამაჩემმა იგრძნო ნელის უბედურება თავისი უკვდავი სულით და ეს ნელისაც გადმოეცა. ამიტომაც განიცდიდა ტანჯული ქალი ასეთი გზნებით, მისთვის უმძიმეს წუთებში, პოლიკარპე კაკაბაძის მონატრებას, როგორც ნავთსაყუდარს სულისათვის.

ამ ტანჯვას ვეღარ გაუძლო ნელიმ და შვილის სიკვდილიდან ერთი წლის შემდეგ თვითონაც დატოვა სიცოცხლე.

ნელი წავიდა ამსოფლიდან თავის ტანჯვასთან ერთად და თან წაიღო ღმერთთან ღრმა სიყვარული, რომელიც მის სულში იყო და რომელიც სიკვდილთან ერთად არ ქრება!

თვითონ დიმიტრი ბენაშვილი, უკვე ასაკში შესული, სიცოცხლის ბოლო წლებში სახლიდან აღარ გამოდიოდა, ყოველგვარი კონტაქტი გაწყვიტა გარე სამყაროსთან. და აი, ერთ დღეს, ოჯახის წევრებმა აღმოაჩინეს, რომ დიმიტრი შინ არ არის. ბევრი ძებნის შემდეგ იგი იპოვეს დიდუბის პანთეონში – დიმიტრი თავისი უსაყვარლესი მეგობრის, პოლიკარპე კაკაბაძის საფლავთან იდგა და ცრემლებს აფრქვევდა მის სამარეს.

ასეთია ჭეშმარიტი სიყვარული, რომელიც არასოდეს ბერდება, არ ჭკნება და ფერს არ იცვლის!

ასეთი იყო პოლიკარპე კაკაბაძისა და დიმიტრი ბენაშვილის მეგობრობის მოკლე ისტორია.

დასახვრეტ მწერალთა სია

„ყვარყვარე თუთაბერისა“ და „კახაბერის ხმლის“ ავტორის მიმართ ომის პერიოდში რეპრესია კიდევ უფრო გამკაცრდა.

1942-43 წლებში, მწერალთა კავშირში შედგა დასახვრეტ მწერალთა ოცკაციანი სია. ეს სია იწყებოდა პოლიკარპე კაკაბაძით. მასში შედიოდნენ ყველაზე გამოჩენილი და გავლენიანი ქართველი მწერლები, ნამდვილი მამულიშვილები: პოლიკარპე კაკაბაძე, პავლე ინგოროყვა, ლეო ქიაჩელი, შალვა დადიანი, ლევან გოთუა, ალექსანდრე აბაშელი, გერონტი ქიქოძე, ვიქტორ გაბესკირია და სხვები. სამწუხაროდ, მე ყველას გვარი არ ვიცი, თუმცა ვინ აწერდა ხელს ამ შავ სიას, ეს ვიცი. ესენი იყვნენ ხელისუფლების მიერ აღზევებული, სამთავრობო სტრუქტურებში „თავის კაცად“ მიღებული მწერლები, მათი ზრახვების აღმსრულებლები, დაჯილდოებული მაღალი თანამდებობებით, ორდენებით, ლაურეატის წოდებებით და სხვა. დასმენა და ჩასაფრება სამშობლოს ერთგული მოქალაქეებისა, მწერლებისა და ერის მოღვაწეებისა მათი საქმე იყო. ამაში იღებდნენ ისინი დაწინაურებას და კეთილი ცხოვრების გარანტიას. მე მათ აქ არ ჩამოვთვლი, რადგან არ მაქვს უფლება, ტკივილი მივაყენო მათ ოჯახებს. სამწუხაროდ, ასეთი იყო დრო, რომელშიაც მოუხდათ ცხოვრება და მოღვაწეობა ჩვენს მამებს.

მხოლოდ ერთმა, როცა შესთავაზეს, გაბედა და არ მოაწერა სიას ხელი, და რადგან ასეთი კაცობა გამოიჩინა, ღირსია მისი სახელი გაჟღერდეს. ეს კაცი იყო ალიო მირცხულავა, რომელიც მაშინ მაშაშვილის ფსევდონიმს ატარებდა. მან არათუ არ მოაწერა ხელი დასახვრეტთა სიას, უფრო მეტიც, წავიდა კონსტანტინე გამსახურდიასთან, რომელიც არ იყო დასახვრეტთა სიაში და უთხრა: შენს მეგობარს, პავლე ინგოროყვას, დახვრეტას უპირებენო, და უამბო სიის შესახებ.

კონსტანტინე, როგორღაც, შედარებით კარგად იყო ლავრენტი ბერიასთან (რა თქმა უნდა, თავის გადასარჩენად!). იგი სასწრაფოდ დაუკავშირდა ბერიას ტელეფონით, თუ სხვა გზით (არ ვიცი ზუსტად, მოსკოვში ჩავიდა თუ დაურეკა. იმ დროს მოსკო-

ვში მგზავრობა საშიში იყო და დროც ბევრი უნდოდა. ვფიქრობ, ის ვერსია უფრო სწორია, რომ ტელეფონით დაუკავშირდა). მოკლედ, შედგა საუბარი გამსახურდიასა და ბერიას შორის ამ სიის თაობაზე.

უკვე ორმოცდასამი წელი იდგა და მთელი დასავლეთი ჩაება ომში, გერმანიის პოზიციები შედარებით შესუსტდა. გამსახურდიამ შეძლო, დაერწმუნებინა ლავრენტი ბერია, რომ ამ პერიოდში ცნობილი მწერლების მასობრივი დახვრეტა შავი სიებით დასავლეთის თვალში საბჭოეთი მომგებიანად არ გამოჩნდებოდა. ბერიამაც დაურეკა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს: – „რა შავი სიები შეგიდგენიათო? (თითქოს ეს სიები მისი გამოგონილი არ იყო და მისი პირდაპირი ან არაპირდაპირი მითითებით არ კეთდებოდა ყოველივე ეს!) – რომელი კონტრრევოლუციონერია გერონტი ქიქოძეო?“ – გერონტი იმიტომ ახსენა და არა პოლიკარპე კაკაბაძე, ან პავლე ინგოროყვა, რომ გერონტი სტალინის ნაამხანაგარი იყო, ძველი პარტიული და უფრო თავისუფლად დაიცვა.

– დაანებეთ თავი მაგ სისულელეებს! – უთქვამს.

ასე გადარჩა მაშინ ოცი მწერალი, ოცი საუკეთესო მამულიშვილი დახვრეტას, მათ შორის – პოლიკარპე კაკაბაძე.

ამ, მწერალთა კავშირში შედგენილი დასახვრეტ მწერალთა სიის შესახებ დიდხანს იყო ლაპარაკი. არაერთხელ მომისმენია მამაჩემისაგან და მისი მეგობრებისაგან ამ სიაზე მსჯელობა.

მაგრამ დღეს ამ ფაქტის არსებობას, როგორც ჩანს, მალავენ, თუმცა ასეთი დასახვრეტ მწერალთა სიები, როგორც ამბობდნენ, მოსკოვშიაც შედგა იმ ხანებში, მაგრამ მწერალთა დახვრეტა მაშინ იქაც ვერ შეძლეს.

ის სია, მგონი, სადღაც გააქრეს. აი, რატომ ვფიქრობ ასე:

რევაზ კვერენჩხილაძემ როცა გამოაქვეყნა რიგი დოკუმენტებისა, მწერალთა კავშირში არსებული დასმენებისა და სხვადასხვა საიდუმლო მასალებისა, ეს ოცკაციანი დასახვრეტ მწერალთა სია იმ წიგნში არ არის შეტანილი. მე ვკითხე რეზოს ამის შესახებ და მითხრა: ასეთი დოკუმენტი მწერალთა კავშირში არ მოიპოვებაო. შეიძლება გააქრეს დოკუმენტი, ან მიჩქმალეს, ან რეზომ არ

ისურვა თავის წიგნში მის შესახებ მსჯელობა, რადგან იგი გარკვეულმა პირებმა შეზღუდეს, მთავარი დამნაშავეებისათვის ხელი რომ დაეფარებინათ.

ამ შავ სიასთან დაკავშირებით კიდევ მინდა რაღაც გავიხსენო:

ერთხელ, ჩვენი ოჯახის მეგობარმა და ჩემი შვილის ნათლიამ, თამაზ ჩხენკელმა მითხრა: მწერალთა კავშირში სია რომ შეადგინეს, იმ სიაში მოხვდა მიქელ პატარიძეცო. მიქელ პატარიძე ცნობილი მეცნიერის, რამაზ პატარიძის მამა იყო. ისინი თამაზ ჩხენკელის შორეული ნათესავები და თან მეგობრებიც იყვნენ.

თამაზმა მითხრა, საკვირველია, მიქელ პატარიძე ამ ცნობილ და ბუმბერაზ მწერლებთან ერთად რომ შეიტანეს დასახვრეტთა სიაში, ის ხომ არ იყო იმდენად გამოჩენილი და გავლენიანი მწერალიო. მერე თქვა, ის მენშევიკების დროინდელი სამხედრო პირი იყო, ძველი ოფიცერი და ალბათ ამის გამოო.

ეს საუბარი ჩვენ შორის შედგა თამაზ ჩხენკელის გარდაცვალებამდე ორიოდე წლით ადრე, დაახლოებით 2008-2009 წელს (თამაზი გარდაიცვალა 2010 წელს).

მამასაგან ვიცი, როცა ეს მძიმე წლები შეიცვალა შედარებით უფრო მსუბუქი რეპრესიებით, მრავალ ფაქტს აეხადა ფარდა. ზოგმა თავისი ნამოქმედარი თვითონვე გაამჟღავნა საერთაშორისო სიტუაციებისა და ხანაც ნიკიტა ხრუშჩოვის „დათბობის“ პერიოდის შედეგად. ზოგი რამ საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა. იმ წლებში მამაჩემისათვის უთქვამთ, „კგბ“-ში შენზე იმდენი მასალაა დაგროვებული, როგორც არავისზეო. მთელი ტომებია შენს დასმენებზე, ყოველი შენი სიტყვა მოაქვთო. მამაჩემს უთქვამს: კარგია, კარგად შეინახონო!

მე ეს მასალები არასოდეს მინახავს და მათზე არ მიმუშავია. არც ის ვიცი, ისინი გაანადგურეს, თუ არსებობს კიდევ. ვფიქრობ, მათ ეს მასალა მაინც ექნებათ სადღაც შენახული. დიდძალი მასალა, როგორც ამბობდნენ, რუსეთში გადამალეს.

მაგრამ აქ მე დავასახელებ სამი წამებული ადამიანის მონათხრობს იმის შესახებ, თუ როგორი ზეწოლა განიცადეს მათ გადასახლებაში, რომ პოლიკარპე კაკაბაძის წინააღმდეგ დამღუპველი ჩვენება მიეცათ. მე ეს ფაქტები მამაჩემისაგან ვიცი.

როგორც ვთქვით, არაერთხელ იყო მცდელობა პოლიკარპე კაკაბაძის დაჭერისა და განადგურებისა, მაგრამ ხელისუფლების მხრიდან ყველა ასეთი მცდელობა უეცრად იფუშებოდა, ძალას კარგავდა. მაგრამ, სამწუხაროდ, არა მხოლოდ ამ, ოცკაციან დასახვრეტ მწერალთა სიაში იყო პოლიკარპე კაკაბაძის სახელი შეტანილი. ჩვენ აქვე გავიხსენებთ რამდენიმე ასეთ ფაქტს, რომელიც ჩვენთვის არის ცნობილი.

მინდა გავიხსენო ის ადამიანები, რომლებმაც ხელი არ მოაწერეს პოლიკარპე კაკაბაძის დასაჭერად გამზადებულ ბრალდებას, როცა თვითონაც იყვნენ დაპატიმრებულები, მიუხედავად მათზე საშინელი ზეწოლისა. ესენი არიან: პეტრე სამსონაძე, ნიკო ბულეიშვილი, ლევან გოთუა.

ეს ადამიანები, როდესაც გადასახლებიდან დაბრუნდნენ, ჩამოიტანეს ამბავი, თუ როგორ აწამეს პატიმრობის დროს, რათა ხელი მოეწერათ, რომ პოლიკარპე კაკაბაძეს მათთან ჰქონდა მთავრობის საწინააღმდეგო საუბარი. მათ ეს არ გააკეთეს, რის გამოც კიდევ მეტი ტანჯვა-წამება გამოიარეს.

ლევან გოთუასათვის წამების დროს უთქვამთ, დაგვიდასტურე, რომ პოლიკარპე კაკაბაძე თქვენი ორგანიზაციის თანამგრძნობი იყო და მთავრობის საწინააღმდეგო საუბრები გქონდათ მასთანო. ლევანს უთქვამს: მე პოლიკარპე კაკაბაძეს ბოლო ხანებში ხმას არ ვცემდი, დავემდურე, რადგან როცა დაველაპარაკე, მითხრა, მე ამ მთავრობის მომხრე ვარ და მომწონს ეს ხელისუფლებაო, და ლანძღვა დაუწყია ლევანს, ეს რა კაცი ყოფილაო.

თურმე, საბჭოთა მთავრობას კანონში ჰქონია, თუ კაცს ხმას არ სცემდი, ნაჩხუბარი და დამდურებული იყავი, მასზე შენგან ჩვენებას ვერ აიღებდნენ. ლევანმა იცოდა ეს კანონი და ასე მოიშორა თავიდან კიდევ ერთი შემაძრწუნებელი ბრალდება, რომელსაც პოლიკარპე კაკაბაძე უნდა დაეღუპა.

პეტრე სამსონაძე რამდენჯერმე აწამეს თურმე, ხელი მოაწერე ბრალდებას, რომ პოლიკარპე კაკაბაძესთან გქონდა ანტისამთავრობო საუბრებიო. პეტრეს უთქვამს მამაჩემისათვის: ძალიან რომ მაწამებდნენ, ვთქვი, კარგი, მოვაწერ ხელს, მაგრამ რომ შეწყვიტეს ჩემი გვემა და წინ ხელის მოსაწერად ქაღალდი

დამიდეს, გადავთქვი, ხელს ვერ მოვაწერ, ეს ტყუილი ბრალდებაა. მერე ხელახლა დამიწყეს გვემა-წამება. ასე განმეორდა რამდენჯერმე. წამებას რომ ვეღარ ვუძლებდი, დავპირდებოდი და მერე მაინც არ ვაწერდი ხელს. ბოლოს დამანაბეს თავი.

პეტრე სამსონაძე ცნობილი მწერალი იყო, განთქმული თავისი პატიოსნებით და კეთილშობილებით, იყო გადასახლებაში.

ნიკო ბულეიშვილმა თქვა: რამდენჯერმე მაწამეს, ხელის ფრჩხილები დამაძრეს, მაგრამ ვერაფრით ვერ მაიძულეს, პოლიკარპე კაკაბაძის საწინააღმდეგო ბრალდებაზე ხელი მომეწერაო.

ნიკო ბულეიშვილი იყო ცნობილი იურისტი, ლევან გოთუას შეთქმულთა ჯგუფის წევრი, მამაჩემის ახლო მეგობარი, გადასახლებაში ათი წელი გაატარა.

უდიდესი უმრავლესობა ადამიანებისა ვერ დაბრუნდა გადასახლებიდან, ზოგი დახვრიტეს, ზოგი ჩაიხოცა, ზოგი წამებით მოკლეს. უმცირესი ერთეულები მამაჩემის სამეგობროდან და ნაცნობთაგან, რომლებიც რაღაცა ბედით თუ შემთხვევის ძალით გადარჩნენ, ადასტურებდნენ, რომ გადაიტანეს ტანჯვა-წამება იმის გამო, რომ პოლიკარპე კაკაბაძის საწინააღმდეგო ჩვენებას ხელი არ მოაწერეს. მათი ეს ქცევა გმირობის ტოლფასი იყო: რაღაცა გვაჩერებდა, – ამბობდნენ ისინი, – თორემ ამ წამებას ადამიანი ვერ გაუძლებდაო.

ცნობილია, რომ ადამიანები ხშირად ხელს აწერდნენ ისეთ ბრალდებას და იბრალებდნენ ისეთ დანაშაულს, რაც მათ არასოდეს ჩაუდენიათ.

ღმერთი იფარავდა პოლიკარპე კაკაბაძეს, ღმერთი აჩერებდა ამ წამებულ ადამიანებს, რათა პოლიკარპე კაკაბაძე შეენახათ იმ მისიის შესასრულებლად, რისთვისაც ღმერთმა იგი მოავლინა ამქვეყნად.

მამაჩემის ცხოვრების ბოლო წლები

როგორც იქნა, გვეღირსა საკუთარი ბინა. რა სიხარული იყო!

1956 წლის 20 მაისს შემოვედით საკუთარ ბინაში, იაკობ გოგებაშვილის ქუჩა N43-ში, ამდენი წლების უბინაობის შემდეგ.

20 მაისი იყო, დედაჩემის დაბადების დღე. ბინაში ფეხი რომ შემოვდგით, მამამ ღიმილით უთხრა დედას:

– მილა, შენთვის დაბადების დღის საჩუქარი არასოდეს მომირთმევია. აი, ახლა ეს ბინა შენი საჩუქარიაო!

ყველანი უსაზღვროდ ბედნიერები ვიყავით. დაიწყო ახალი ცხოვრება.

ჩვენ მივიღეთ ამდენი წლების შემდეგ ოთხოთახიანი ბინა, ლიტფონდის მიერ აშენებულ მწერალთა სახლში. ბინა ეზოდან მეორე სართულზე იყო, ქუჩიდან – პირველზე („ბელეტაჟი“, როგორც ეძახდნენ), საცხოვრებელი ოთახები – 63 კვ. მეტრი, საერთო ფართობი – 105 კვ. მეტრი.

ამ ბინაში იცხოვრა მამაჩემმა მთელი დარჩენილი სიცოცხლე, 1956 წლიდან 1972 წლის 15 ოქტომბრამდე. ასევე, დედაჩემმა, მალხაზმა და მზიამაც აქ დაასრულეს სიცოცხლე. მე და ნათელამ შევქმენით ოჯახები და 1970 წელს გადავედით საცხოვრებლად ჩვენს საკუთარ ბინებში, სიმონ ჩიქოვანის (ხილიანის) ქუჩაზე.

ჩვენი ამდენი ხნის, 14 წლის უბინაობა, როგორც ვთქვით, დაიწყო 1942 წელს. გერმანია რომ მოაწვა კავკასიას, თბილისიც საშიში გახდა და მამამ ქუთაისში გაგვხიზნა სიდედრთან, სონა ბებიასთან, თვითონ კი, უკიდურესი გაჭირვების გამო, იძულებული იყო, ბინა გაეყიდა, რადგან არსებობის ყველა სახსარი ოჯახს ამოეწურა.

ოთხი წვრილ-შვილი, ძმა – ჭიჭიკო, რომელიც იმ ხანებში ტუბერკულოზით ავად გახდა და იქით იყო დასახმარებელი, მოხუცი დედა, მოხუცი სიდედრი, რეპრესირებული ვაჟიშვილებისა და მეუღლის პატრონი, და – ნადია, უმუშევარი, უმწეო, ისიც სარჩენი, დახმარება არსაიდან.

ამ დროს რეპრესიები კიდევ უფრო გამკაცრდა, „ყვარყვარე თუთაბერის“ ავტორის მიმართ გაათკეცებული დევნა და თვალთ-

ვალი დაიწყო. „ყვარყვარეს“ ახლა ხომ „კახაბერის ხმალიც“ დაემატა. ამ ნაწარმოების ცეცხლივით ეშინოდა ხელისუფლებას და ყველანაირად ცდილობდა მის მიჩქმალვას, რადგან პიესის პერსონაჟებში საკუთარ თავს ხედავდა. ქვეყნის მოღალატე, რჯულნაცვალი, გათათრებული (ანუ გარუსებული) მმართველი ბახტანგ ხანი და სამშობლოს გამყიდველი, აღზევებული დიდებულები ხომ თვითონ იყვნენ. „კახაბერის ხმალი“ ახალი მხილება იყო „ყვარყვარეს“ შემდეგ მთელი იმ სატანური იმპერიისა და სისტემისა, რომლის მარწუხებშიც საქართველო აღმოჩნდა.

პოლიკარპე კაკაბაძის მიმართ რეპრესიები მას შემდეგ ხორციელდებოდა, რაც საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ამ რეპრესიათა შესახებ ჩვენ ვილაპარაკეთ არაერთხელ აქაც და სხვა პუბლიკაციებშიც, მაგრამ ეს არის თემა, რომელზეც მომავალშიაც არაერთხელ მოგვიწევს შეჩერება.

რეპრესიები პოლიკარპე კაკაბაძის მიმართ საშინელი ფორმით და სიმძაფრით უკვე ოცდაოთხი წლიდან დაიწყო და მწერლის სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა, ხოლო მისი დევნა სიკვდილის შემდეგაც არ შეწყვეტილა. მის წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიების ნაწილი იყო თუნდაც ის ფაქტი, რომ თითქმის ერთადერთი მწერალი, რომელიც სიცოცხლეშივე კლასიკოსად და გენიალურ მწერლად აღიარეს, მთაწმინდაზე არ დაკრძალეს.

აქვე მინდა ვთქვა და საზოგადოებას შევახსენო, რომ თვით გალაკტიონი, მრავალი ორდენებისა, მათ შორის, ორი ლენინის ორდენის მფლობელი, სიცოცხლეშივე აღიარებული პირველ პოეტად, მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ცნეს კლასიკოსად და სულ რამდენიმე წლის წინ გენიოსადაც აღიარეს.

მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ ამ ბოლო წლებში გენიალურ მწერლებად, გენიალურ მსახიობებად, მხატვრებად, რეჟისორებად, სპორტსმენებად არაერთი პირი იქნა აღიარებული. საქართველო გაივსო „გენიოსებად“ წოდებული ადამიანებით. ვფიქრობთ, ამდენი კაცის გენიოსად გამოცხადება ნებისმიერ ერს შეშურდებოდა.

მაგრამ ეს ისე, სხვათა შორის!

თუმცა ამბობენ, რაც ბრწყინავს, ყველაფერი ოქრო არ არისო.

* * *

როცა სტალინის ეპოქა დამთავრდა და მასობრივი ხვრეტა და დაპატიმრება შენელდა, ყოველდღიური შიში დაჭერისა მწერალთა შორისაც მოიხსნა. მთელმა ოჯახმა ამოვისუნთქეთ.

ჩვენს ცხოვრებაში დადგა ახალი ხანა: ახლა ბინაც გვქონდა და არც მოველოდით ყოველდღე მამაჩემის დაპატიმრებას, თუმცა მის მიმართ ზეწოლა და დევნა ყოველთვის იყო, მაგრამ ამას მიჩვეულები ვიყავით. მამაჩემი გამუდმებით თავს იცავდა საბჭოური წყობილების მესვეურთა შემოტევებისაგან. ეს იყო მუდმივი ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის, სიცრუესა და სიმართლეს შორის, რომელიც საბჭოურ ეპოქას თავიდან ბოლომდე გასდევდა. ათეისტური ქვეყანა ისევ ინარჩუნებდა უღმერთობის იდეოლოგიას, და ეს დაიწყო საბჭოეთის დაარსების პირველი დღიდან და გრძელდებოდა მთელი მისი არსებობის მანძილზე, მის დამხობამდე.

სიცრუე და უკუღმა თქმა იყო საერთო წესი ამ უღმერთო ქვეყნის წყობილებისა. „თუ ღმერთი არ არის, ყველაფერი დასაშვებია“, – ამბობს პავლე მოციქული, და ყველაფერი დასაშვები გახდა ამ უღმერთო ქვეყნისათვის. „სიცრუეში გიდგას ბინა, სიცრუე გიშლის ჩემი სახლის ხილვას“, – ამბობს იერემია წინასწარმეტყველი.

ეს სიცრუე და უკუღმა ჩვენება სიმართლისა, ეს ყვარყვარიზმის სინდრომი, საბჭოეთის მთელი არსებობის მანძილზე, იყო ბოროტების მთავარი წყარო.

ამიტომ უარყვეს ღმერთი, რომ სიცრუით და ძალმომრეობით დაეპყროთ ქვეყანა და შეენარჩუნებინათ ძალაუფლება.

ეს გრძელდებოდა მაშინაც, როცა სტალინის რეპრესიები შეიცვალა ახალი, შედარებით უფრო რბილი ფორმის რეპრესიებით, რადგან სხვაგვარად არ შეეძლო არსებობა სიცრუესა და უღმერთობაზე დამყარებულ საბჭოთა წყობილებას.

ასე რომ, მამაჩემი და ჩვენ, მისი ოჯახი, ისევ განვიცდიდით ამ დროის სუსხს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ცხოვრება სტალინის სიკვდილის შემდეგ საგრძნობლად გაუმჯობესდა, განსაკუთრებით 1956 წლიდან, როცა უკვე საკუთარი ჭერი გვეღირსა.

ჩვენ გვყავდა კარგი მეზობლები, რომლებთანაც ვმეგობრობდით და ეს ცხოვრებას გვიმსუბუქებდა.

პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე ქუთათელი, მამაჩემის უსაყვარლესი ადამიანი, ვიქტორ გაბესკირია ჩვენი ოჯახის უახლოესი მეგობრები იყვნენ; ბახტურიძეები, კალანდაძეები, ციბაძეები, ტიციან ტაბიძის მეუღლე ნინო და ქალიშვილი ნიტა, ჭეიშვილები და სხვები და სხვები ჩვენი კეთილი მეზობლები გახდნენ.

მამაჩემი და ალექსანდრე ქუთათელი ხშირად ერთად სეირნობდნენ საღამოობით, უყვარდათ გავლა მთაწმინდის მისადგომებისაკენ, ახლანდელ აღმაშენებლის ქუჩაზე, რომლის ნაწილს პოლიკარპე კაკაბაძის სახელი უწოდეს, თუმცა, აბრა წარწერით, რატომღაც, ხშირად ქრება. ამ ქუჩაზე, მთაწმინდის ძირში რომ გადის, პირდაპირ მთაწმინდის ტყის პირას, დგას მშვენიერი ეკლესია.

– გავისეირნოთ ეკლესიისაკენ, – ეტყოდნენ ერთმანეთს მამაჩემი და ალექსანდრე ქუთათელი. მათ ზოგჯერ შეუერთდებოდნენ ვიქტორ გაბესკირია, ბაკურ ბახტურიძე, ლავროსი კალანდაძე.

პავლე ინგოროყვა ხომ ჩვენი ოჯახის ყოველდღიური სტუმარი იყო. ჩამოვიდოდა საღამოობით, იყო მსჯელობა ლიტერატურაზე, საქართველოს ისტორიაზე, მის აწმყოსა და წარსულზე, მათ ყოველდღიურ ბრძოლებზე საქმის გასატანად: როგორ დაებეჭდათ და გამოექვეყნებინათ თავიანთი ნაწარმოებები, შრომები, ხელისუფლებას რომ გარკვეულ შიშის ზარს ჰგვრიდა.

საღამოს, ასეთ შეკრებებზე ხშირად მოდიოდა სარგის კაკაბაძე, მამას ნათესავი და მეგობარი – დიდი მეცნიერი, საქართველოს ისტორიის მკვლევარი, ხელისუფლების მიერ მრავალგზის რეპრესირებული. ის შეუპოვრად იბრძოდა საქართველოს წარსული და თანამედროვე ისტორიის საკითხების წარმოსაჩენად, ხშირად საბჭოურ, რუსიფიკატორულ პოლიტიკას რომ ეწინააღმდეგებოდა.

პავლე ინგოროყვა, ძია პავლე, – ასე ვეძახდი მე მას, თავისი დიდი პორტფელით აუცილებლად შემოივლიდა ან დილით, როცა საქმეებზე მიდიოდა, ან საღამოს. გახსნიდა თავის პორტფელს და ამოალაგებდა დოკუმენტებს, მასალებს, მოყვებოდა, როგორ გა-

დაარჩინა სამხრეთ საქართველოს, აჭარის ტერიტორიის ნაწილი თურქების მიტაცებისაგან. სულ ბრძოლებში იყო, გააფთრებით იცავდა საქართველოს ინტერესებს, და ეს ბრძოლები მის შრომებში აისახებოდა.

მე ვაღმერთებდი მას. მისი პატრიოტული სულისკვეთება, წარმოსახული მის ნაწერებში, მის უნიჭიერესად დაწერილ შრომებში, მე აღმაფრთოვანებდა. 1956 წელს, უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე როცა შევედი, პავლე ინგოროყვას „გიორგი მერჩულე“ ერთი წლის გამოცემული იყო.

ჩვენს უნივერსიტეტსა და მეცნიერებათა აკადემიაში, მათ ნაწერებში, რომელთა ხელშიც იყო მმართველობის სადავეები, ბატონი პავლეს წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა მიმდინარეობდა. ეს ხდებოდა ხელისუფლების დავალებით.

ჩვენთან, ფილოლოგიის ფაკულტეტზე, იგივე მდგომარეობა იყო. ძველი ქართული ლიტერატურის სემინარებზე ხდებოდა პავლე ინგოროყვას დამუშავება. მე ავდგებოდი და ვიცავდი მის პოზიციას, მის შრომებში გამოთქმულ თვალსაზრისს. სტუდენტები, თანაკურსელები შიშით მიყურებდნენ. მათ იცოდნენ, რომ ამის გამო ჩემ მიმართ, როგორც სამთავრობო პოზიციის მოწინააღმდეგის მიმართ, არ იყო კარგად განწყობილი სემინარის ხელმძღვანელი ლეო მენაბდე. მხოლოდ ერთი მეგობარი, დენიზა ზუმბაძე მედგა მხარში. ისიც ჩემსავით ხმალამოწვდილი იცავდა პავლე ინგოროყვას მოსაზრებებს.

როგორც გაირკვა, ლეო მენაბდეს კათედრაზე მიჰქონდა ეს ამბები და ერთ დღეს, ოთხშაბათს, როცა სემინარი გვქონდა, მან ჩვენს აუდიტორიაში შემოიყვანა ბატონი კორნელი კეკელიძე. ლეო მენაბდემ ნიშნის მოგებით გადმომხედა და თქვა: აბა, ახლა გამოთქვით თქვენი მოსაზრებები ჩვენს საკვლევ საკითხებზეო.

მთელი ჯგუფი გაისუსა. მე ავდექი და დიდ მეცნიერსა და ჩვენი დარგის აღიარებულ პატრიარქს მოვახსენე ჩემი მოსაზრება ძველი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ საკვლევ საკითხზე („სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებას“ რომ შეეხებოდა). აქ ბატონი კორნელისა და პავლე ინგოროყვას მოსაზრებები იყოფოდა. მე, რა თქმა უნდა, ბატონი პავლეს მხარეს ვიყავი. ბატონმა კორნე-

ლიმ კვლავ გაგვიმეორა თავისი დებულებები, როგორც უტყუარი ფაქტი.

მაგრამ მოხდა უცნაური და გაუთვალისწინებელი რამ:

რამდენიმე კვირის შემდეგ, ბატონი კორნელი, მოულოდნელად, კვლავ შემოვიდა ჩვენს ჯგუფში – ძველი ქართული ლიტერატურის სემინარზე, ახლა უკვე თავისი ინიციატივით, სემინარის ხელმძღვანელის მოწვევის გარეშე.

ჩანს, ეს ღვაწლმოსილი მეცნიერი, ჩვენი დარგის პატრიარქი, რომელთან ხმის ამოღებასაც ვერც ერთი პროფესორი იოლად ვერ გაბედავდა, დაინტერესდა ჩემი თამამი გამოსვლით, დაამახსოვრდა, რომ ჩვენს ჯგუფს ამ დროს სემინარი ჰქონდა და შემობრძანდა ჩვენთან თანმხლები პირების გარეშე.

სახელოვანი მეცნიერის ასეთი სტუმრობა მოულოდნელი იყო ჩვენი სემინარის ხელმძღვანელისათვის და, ალბათ, არასასიამოვნოც. იგი გაწითლდა, დაიბნა, შემდეგ ძალა მოიკრიბა და მოგვმართა სტუდენტებს, გამოგვეთქვა ჩვენი მოსაზრებები ძველი ქართული ლიტერატურის კვლევის მეორე სადავო საკითხზე, რომელიც აბუკურას თხზულებას შეეხებოდა.

მე ისევ ავდექი და დიდ მეცნიერს მოვახსენე ჩემი აზრი, რომელიც კვლავ ბატონი პავლე ინგოროყვას პოზიციას იცავდა. მაგრამ წარმოიდგინეთ ყველას გაკვირვება, როცა ბატონი კორნელი უკვე დაეთანხმა ინგოროყვას მოსაზრებას, რომელიც მის შრომებში ერთ-ერთ შორეულ ვარაუდად იყო ცნობილი.

ეს ორი დიდი მოღვაწე ორი სხვადასხვა პოლუსის წარმომადგენელი იყო მეცნიერებაში.

შემდგომში, ბატონმა კორნელიმ ჩემი სადიპლომო ნაშრომის ხელმძღვანელობაზე თანხმობა განაცხადა, რაც მნიშვნელოვან ფაქტად ითვლებოდა და მეტად საგულისხმო რეცენზიაც დაურთო ჩემს ნაშრომს, რომელშიც გამოხატული იყო მისი აღფრთოვანება ჩემი გამოკვლევით დავით აღმაშენებლის პოეზიის შესახებ. სამწუხაროდ, ეს სადიპლომო ნაშრომი, ამ რეცენზიასთან ერთად, სულ მალე სადღაც გაქრა.

სადიპლომო ნაშრომები ყოველთვის ინახებოდა ძველი ქართული ლიტერატურის კაბინეტში, როგორც მნიშვნელოვანი

დოკუმენტები და მათი დაკარგვა შემთხვევითი ფაქტი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ამ ნაშრომის შემოკლებული ვარიანტი გამოქვეყნდა 1962 წელს ჟურნალ „მნათობში“ (იხ. მანანა კაკაბაძე. დავით აღმაშენებლისა და დემეტრე მეფის ლირიკა, ჟურ. „მნათობი“, 1962, N4, გვ. 136-143), რომელმაც სახელი და საყოველთაო აღიარება მომიტანა.

ჩემი ამ გამოკვლევის შემდეგ ყველამ ირწმუნა, რომ დავით აღმაშენებელი დიდი პოეტია და მისი პოეზია აღიარებული გახდა. ჩემი დამსახურებაა, რომ „გალობანი სინანულისანი“ ყველაზე პოპულარული საგალობელია მთელ საქართველოში, მაგრამ მე ამის გამო განვიცადე დევნა სამთავრობო სტრუქტურებისაგან და მათ მიერ აღზევებული, მეცნიერებაში დამკვიდრებული ზოგიერთი პირისაგან.

* * *

ახლა ისევ დავუბრუნდეთ ჩვენს ოჯახურ ცხოვრებას მას შემდეგ, რაც დავსახლდით 1956 წლიდან გოგებაშვილის ქუჩაზე.

მამაჩემმა 1958 წელს ამ სახლში დაწერა კომედია „ლოპიანე“, ხოლო 1962 წელს დაასრულა ლოპიანეს ტიპი მეორე კომედიაში „ცხოვრების ჯარა“. აქ ლოპიანეს ცხოვრება გრძელდება მას შემდეგ, როდესაც პიესის გმირი, დიდი თანამდებობიდან მოხსნილი, ხელახლა იწყებს ბოგინს ახალი აღზევებისათვის.

თავდაპირველად კომედია „ლოპიანე“ გააზრებული იყო, როგორც პირველი მოქმედება კომედიისათვის „ცხოვრების ჯარა“, მაგრამ შემდეგ, მუშაობაში, იგი ჩამოყალიბდა ერთმოქმედებიან, დასრულებულ კომედიად. ეს პიესა 42 გვერდი იყო. მას ჰქონდა თავისი ფაბულა, თავისი ინტრიგა, კვანძის გახსნა და ფინალი. ამ ნაწარმოებში სრულად ჩამოყალიბდა ახალი მედროვის ტიპი. ეს იყო დასრულებული ნაწარმოები, მაგრამ თანამდებობიდან გადმოგდებული ლოპიანეს შემდგომი თავგადასავალი უკვე ახალ კომედიაში გაგრძელდა და მეტად საინტერესოდ წარმოსახა მეოცე საუკუნისათვის დამახასიათებელ მოვლენათა კოლიზიები. ნაწარმოებმა მიიღო ახალი განზოგადება და ფილოსოფიური ახსნა იმ სინამდვილისა, რომელსაც თანამედროვეობა სთავაზობდა მწერალს.

„ცხოვრების ჯარა“ დაიბეჭდა „მნათობში“ 1962 წელს (N1-2), შემდეგ – პოლიკარპე კაკაბაძის ორტომეულში „დრამატული პოეზია“ (ტომი 2, 1973 წელი).

რაც შეეხება „ლოპიანეს“, მისი დაბეჭდვა მამაჩემმა სიცოცხლეში ვერ მოახერხა, რადგან კრიტიკა არსებული სინამდვილისა მეტად აშკარა იყო. მხოლოდ 1996 წელს შევძელი მისი გამოქვეყნება ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ (N3) და იმავე წელს გამოვაქვეყნე გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ წერილი: „პოლიკარპე კაკაბაძის უცნობი პიესა „ლოპიანე“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1996, 5-12 ივლისი).

ჩვენს ბინაში, გოგებაშვილის ქუჩაზე, დაიწერა, აგრეთვე, ახალი ვარიანტი „ლისაბონის ტუსაღებისა“, რომელიც პოლიკარპე კაკაბაძემ 1924-25 წლებში შექმნა. 1925 წელს ეს ნაწარმოები ცალკე წიგნად გამოქვეყნდა და იმავე წელს დაიდგა კიდეც კოტე მარჯანიშვილის თეატრში. ამ დადგმის შესახებ საინტერესო მოგონებები აქვს თამარ ვახვახიშვილს, რომელიც სპექტაკლისათვის მუსიკას წერდა. ამ პიესის შექმნისა და დადგმის შესახებ გამოქვეყნებული მაქვს წერილი: „რევოლუციის ლიდერის სახე „ყვარყვარე თუთაბერისა“ და „ლისაბონის ტუსაღების“ მიხედვით“ (ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1994, N4, გვ. 5-37).

„ლისაბონის ტუსაღების“ ახალი, გადამუშავებული ვარიანტი გახლავთ დრამა „ქარიშხალი“, რომელიც შეიქმნა 1925-1958 წლებში.

ამ ბინაში დაიწერა აგრეთვე ტრაგედია „ბაგრატ მეშვიდე, ქეთევანი და კირიონი“ (1912-1968 წწ.), დასრულდა ჯერ კიდევ 1939 წელს დაწყებული „ვახტანგ გორგასალის“ პირველი ნაწილი, დრამატული პოემა „ვახტანგ პირველი გორგასალი“ (1966 წ.) და ტრაგედია „დემეტრე მეორე“ (1945-1971 წწ.).

მამაჩემის ფოტოსურათები

მამაჩემს ბევრი ფოტოსურათი არ დარჩენია, ამას არასოდეს აქცევდა ყურადღებას, არც ოჯახის სხვა წევრები არ ვზრუნავდით ფოტოსურათებზე.

მწერალთა კავშირში თუ სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სადაც მამაჩემს უხდებოდა ყოფნა, დროდადრო იღებდნენ ჯგუფურ ფოტოებს, მაგრამ პოლიკარპე კაკაბაძე მათში იშვიათად გვხვდება. თუ მას მიიწვევდნენ, მიუხმობდნენ: – მოდი ჩვენთან, ერთად ვიღებთ ფოტოსურათებსო, – იგი ყოველთვის მოკრძალებულად უკან დადგებოდა, ან სადმე გვერდზე, შეუმჩნეველ ადგილას, მაგრამ არასოდეს (თუ არა შემთხვევით!) – წინ, ან შუაში, არასოდეს გამოსაჩენად და თავის მოსაწონებლად (ზოგი მწერალივით!).

ამიტომ მისი ფოტო ცოტა შემორჩა ისტორიას.

მამაჩემის ტრადიცია ოჯახსაც გადაედო და არც მისი ოჯახის წევრების ბევრი ფოტოსურათი დარჩა ჩვენს საოჯახო არქივში.

ერთადერთი ფოტო მაქვს მამასთან გადაღებული, ჩვენი საოჯახო ფოტო – მამა, დედა, მზია, მალხაზი და მე – ათიოდე თვის (ნათელა ჯერ არ გვყავდა).

მეორედ მამასთან ფოტო გადავიღე 1971 წელს, ჩემს მეუღლესთან ერთად.

იმ ზაფხულს მთელი ოჯახი ვისვენებდით კოჯორში: მე, ჩემი მეუღლე, მზია, მალხაზი, ნათელა თავისი ქმარ-შვილით და მამა, – დედა იქ არ იყო.

მახსოვს, ეზოში ფოტოგრაფი შემოვიდა და ჩვენ ყველამ მამასთან ერთად გადავიღეთ სურათები, მაგრამ მე და ჩემი მეუღლე მეორე დღეს კოჯორიდან წამოვედით, ხოლო როცა ოჯახი ჩამოვიდა აგარაკიდან, აღმოჩნდა, რომ ფოტოგრაფისათვის ნათელას ოჯახის წევრებს გამოურთმევიათ მამასთან ერთად გადაღებული მხოლოდ თავიანთი საოჯახო ფოტოები, ჩვენი კი, ჩემი და ჩემი მეუღლის – რატომღაც არა. ასე რომ, მე მაქვს მამასთან გადაღებული მხოლოდ ერთადერთი სურათი, ისიც ჩვილ ბავშვობაში.

სად ისვენებდა პოლიკარპე კაკაბაძე ზაფხულში

მამასთან ერთად ჩვენ დავდიოდით აგარაკებზე: ქვიშხეთში, ზვარეში, სურამში, საგურამოში, ბორჯომში, ლიკანში, წყნეთში, თიანეთში, ქვეშეთში, მლეთაში, კისლოვოდსკში.

მამა ყოველთვის ოჯახთან ერთად დადიოდა აგარაკზე, მას არ უყვარდა სანატორიუმში დასვენება, რადგან ის ვერ იტანდა რეჟიმს. ყოველთვის კერძო ბინას ვქირაობდით, ჩვეულებრივ, ორ ოთახს და ყველანი ერთად ვისვენებდით, მთელი ოჯახი. ასეთი იყო მამაჩემის დასვენების წესი.

მამას ძალიან უყვარდა მთებში მოგზაურობა, სააგარაკოდაც,ზაფხულობით ყოველთვის მთიან კურორტებზე მივყავდით.

როგორც ვთქვი, მამაჩემის ბავშვობამ ბათუმში ჩაიარა. მალხაზ კაკაბაძის ოჯახი ზაფხულობით მიდიოდა მშობლიურ სოფელში, კუხში, სადაც მან კარგი ოდასახლი დადგა. იქ მუდმივად ცხოვრობდა ტასია ბებია. შემდეგ ეს სახლი გაიყიდა, რადგან ბოლშევიკებმა ყველა ქონება ჩამოართვეს და ოჯახს გაუჭირდა. დარჩა ეზო და სამზარეული სახლი, „კუხნა-სახლი“, როგორც მას უწოდებდნენ, ოროთახიანი ქვის შენობა თავისი აივნით. პოლიკარპე კაკაბაძე დაიბადა ამ სახლში, რომელიც მალხაზ ბაბუას წინაპრებისაგან მემკვიდრეობით ერგო. ბოლოს ისიც გაიყიდა, ხოლო რამდენიმე წლის წინ, ამ ეზო-გარემოს ახალმა მფლობელმა, მამაჩემის ახლო ნათესავმა, დაანგრია ეს ისტორიული შენობა და ახალი სახლი აიშენა იმ ძველი, წინაპრების დროინდელი სახლის გვერდით.

ასე განადგურდა ყველაფერი იმ ფუძე-გარემოში, სადაც „ყვარყვარე თუთაბერის“ ავტორი დაიბადა.

მხოლოდ იმ, მამაჩემის ყოფილი ეზოს გვერდით, ჯერ კიდევ 1986 წელს, ხელისუფლებამ, რაიონის ხელმძღვანელობის დიდი მონდომებით, ააშენა პოლიკარპე კაკაბაძის სახლ-მუზეუმი. ჩვენმა ოჯახმა ამ მუზეუმს საჩუქრად გადასცა მრავალი მემორიალური ხასიათის ექსპონატი, მამაჩემისა და ჩვენი ოჯახის ნაქონი ნივთები, ავეჯი, როიალი, დიდი ხნის ნაგროვები ჟურნალ-გაზეთები, მამაჩემის შემოქმედების შესახებ გამოქვეყნებული მასალებით,

წიგნები, ფოტოები, ხელნაწერები და სხვა. მუზეუმის ეზოში დაიდგა პოლიკარპე კაკაბაძის ბრინჯაოში ჩამოსხმული ბიუსტი, რომელიც აღმართულია მაღალ კვარცხლბეკზე და რომლის ავტორია ჩემი მეუღლე, მოქანდაკე სიმონ გირკელიძე.

პოლიკარპე კაკაბაძის ბრინჯაოს მეორე ბიუსტი, რომლის ავტორია ასევე სიმონ გირკელიძე, დგას თბილისში, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შენობის წინ.

პოლიკარპე კაკაბაძის ბრინჯაოს გორელიეფი, ისიც სიმონ გირკელიძის მიერ შექმნილი, ამშვენებს სახლს იაკობ გოგებაშვილის ქუჩაზე, სადაც ცხოვრობდა მწერალი 1956 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე.

ასეთივე გორელიეფი მაღალ სვეტზე იდგა ხონის გზაზე, სოფელ კუხის გადასახვევთან, რომელიც, დაკარგვის შიშით, როცა გახშირდა მსგავსი ძეგლების ქურდობა, ჩამოხსნა და შეინახა მწერლის მუზეუმის პირველმა დირექტორმა და მოამაგემ ავთანდილ ფაილოძემ (თვითონ მითხრა ამის შესახებ).

* * *

მალხაზ კაკაბაძის ქონებიდან არაფერი დარჩა, ყველაფერი განიავდა, გაიყიდა ბათუმის სახლიც, ოთხი ოთახისაგან რომ შედგებოდა და განადგურებული ოჯახი გადავიდა პატარა, ოროთახიან ბინაში. ამ დროს ოჯახის ვაჟიშვილები, მამაჩემი და ჭიჭიკო ბიძია, უკვე თბილისში იყვნენ გადასულები, ნადიაც თბილისში, სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა; ქალიშვილები ზინა და თამარა დათხოვილები იყვნენ, ლიდაც მალე გათხოვდა და ქმართან ერთად თბილისში გამოემგზავრა სასწავლებლად.

ზინას გარდა, ქალიშვილებმა ყველამ დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი: ნადიამ –სამხატვრო აკადემია, ლიდამ – ბიოლოგიის ფაკულტეტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ლიდა და თამარა ბათუმში მასწავლებლებად მუშაობდნენ. ლიდა ბიოლოგიის მასწავლებელი იყო სკოლაში, თამარა ქართული ენისა და ლიტერატურის საუკეთესო მასწავლებლად ითვლებოდა.

ზინა ჯერ ბათუმში ცხოვრობდა, შემდეგ ქუთაისში გადავიდა, რადგან მისი მეუღლე, მიშა ცეცხლაძე, იქ თამბაქოს ქარხნის დირექტორი იყო.

თამარას მეუღლე, ყაისარ ქერქაძე, კარგი ვაჟკაცი, რევოლუციონერი იყო ახალგაზრდობაში და შემდეგ, სიცოცხლის ბოლომდე, სამეურნეო დაწესებულებაში მუშაობდა ბათუმში.

ლიდამ და მისმა მეუღლემ, ღირსეულმა აჭარელმა კაცმა, რომელიც მამაჩემს განსაკუთრებით უყვარდა, ახმედ გრძელიძემ, თბილისში უნივერსიტეტი დაამთავრეს და ბათუმში დაბრუნდნენ. ახმედი მნიშვნელოვან თანამდებობაზე დანიშნეს, მინისტრის პორტფელს რომ უდრიდა და მაშინ, იმხანად, „ნარკომი“ რომ ერქვა. ახმედი გავლენიანი და ყველასაგან მოწონებული, პატივსაცემი ადამიანი იყო. იგი ოცდაჩვიდმეტში წაიყვანეს და გააქრეს.

ჭიჭიკო ბიძია თბილისში ცხოვრობდა ძმასთან, პოლიკარპესთან, ბარნოვის ქუჩაზე, N73-ში. შემდეგ, 1940 წელს, თუ მის ახლო ხანებში, საკუთარი ბინა შეიძინა ძმის მახლობლად, ბარნოვის N66-ში. იქ გადავიდნენ მასთან საცხოვრებლად, როგორც ვთქვი, მაიკო ბებია და ნადია მამიდა. ბათუმის უკანასკნელი, პატარა ბინა ძმებმა ნადიას დაუთმეს. ნადია აკადემიის დამთავრების შემდეგ ერთი წელი ხატვის მასწავლებლად სკოლაში მუშაობდა, შემდეგ გაყიდა ბათუმის ბინა და სამუდამოდ თბილისში გადმოვიდა. უნდოდა ამ ბინის ფულით ოთახი ეყიდა, მაგრამ ვერ შეარჩია. ამასობაში ფული შემოეხარჯა და დარჩა ძმებთან. ბოლოს, ბიძაჩემმა, უკვე 50-იანი წლების დასაწყისში, ნადიას უყიდა ერთოთახიანი პატარა ბინა ბელინსკის ქუჩაზე, რადგან სულ ცალკე ცხოვრებაზე ოცნებობდა.

* * *

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მამას ძალიან უყვარდა მთის აგარაკები და მთებში მოგზაურობა.

– ბათუმში რომ ვცხოვრობდი, – თქვა, – სულ ზღვაზე ვიყავი, ძალიან მიყვარდა დიდ ტალღებში შესვლა და ზღვასთან ჭიდილიო, ყველაზე მაღალ ტალღას დაველოდებოდი და იქ შევცურდებოდიო. მაგრამ ზღვის სიყვარულმა ერთ ზაფხულს, ახალგაზრდობაში, მალარია დამართა. ის ფიზიკურად ბავშვობიდან ძალიან ჯანმრთელი იყო და ამ ავადმყოფობასაც ადვილად მოერია, მაგრამ ღვიძლის სისუსტე დაუტოვა. მიუხედავად ამისა, ყოველთვის აქტიურ ფიზიკურ ცხოვრებას ეწეოდა, სპორტული პიროვნება გა-

ხლდათ, ძლიერი და შეუპოვარი. სიცოცხლის ბოლომდე სახლის კიბეზე არასოდეს ჩვეულებრივად არ ამოვიდოდა, აუცილებლად ამოირბენდა. გოგებაშვილის ქუჩაზე, ჩვენს ბინაში, ამოსასვლელი კიბეები კი ნახევარ სართულზე მეტი იყო, თორმეტიოდე კიბე. მამა, მძიმე ავადმყოფიც კი, ბოლო დღეებს რომ ითვლიდა, საწოლში ჩავარდნილი არასოდეს ყოფილა.

მალხაზ ბაბუას, სანამ საბჭოეთი დამყარდებოდა და გაღარიბდებოდა, ოჯახი სააგარაკოდ ზაფხულობით დაჰყავდა ხან წაღვერში, ხან ბახმაროში.

პოლიკარპე კაკაბაძე, როცა საკუთარი ოჯახი შექმნა, დადიოდა სააგარაკოდ, უმეტესწილად, მაღალმთიან ადგილებში, უყვარდა ხევსურეთში, მთიულეთ-გუდამაყარსა და ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში მოგზაურობა. ეს იყო ოც-ოცდაათიან წლებში, ჩემს დაბადებამდე. მამას ფეხით და ცხენებით მოვლილი ჰქონდა მთიულეთ-გუდამაყარი, ხევი, სტეფანწმინდა, სტეფანწმინდიდან ჩრდილო კავკასიაში გადასასვლელი გზა, ფშავ-ხევსურეთი; იყო ჩეჩნეთში, გროზნოში, ნამყოფი იყო ჩრდილო კავკასიაში, სადაც, ოდესღაც, გრიგოლ ორბელიანი შამილს ებრძოდა. ამ ადგილებში იგი ხშირად მოგზაურობდა დავით კაკაბაძესთან ერთად, რომელსაც, აგრეთვე, ძალიან უყვარდა ფეხით მოგზაურობა მთებში.

მამას ახალგაზრდობაში ოჯახი ხშირად დაჰყავდა სააგარაკოდ ყაზბეგში, სიონში.

მაგრამ მამაჩემი არასოდეს ყოფილა მოსკოვში. ეს იყო მისი პროტესტის გამოხატულება რუსი დამპყრობლების მიმართ.

ჩვენ კი, შვილებს, გვიშვებდა მოსკოვშიც, პეტერბურგშიც, არ გვზღუდავდა ამ მოგზაურობებში, როცა ჩვენი საქმე და ჩვენი ცხოვრება ამას მოითხოვდა.

* * *

მახსოვს, მამაჩემი ოჯახთან ერთად, 1940 წლიდან, სად დადიოდა სააგარაკოდ, რომელ წელს სად ვიყავით და სად გაატარა მამამ ზაფხული.

ეს სია ასეთია:

1940-1941 წლები – წყნეთი.

1942 წელი – სურამი.

1943 წელი – ხანი.

1944 წელი – ქუთაისი.

1945 წელი – ქვიშხეთი.

1946 წლის ზამთარი და გაზაფხული, როგორც აღვნიშნე, გავატარეთ საგურამოში, მაისში წამოვედით თბილისში და სულ მალე, ორ-სამ კვირაში, ისევ ქვიშხეთში გავემგზავრეთ, სადაც 1949 წლის სექტემბრამდე ვცხოვრობდით.

1950-1951 წლებში ზაფხულობით ვისვენებდით ზვარეში.

1952 წლის ზაფხული გავატარეთ ქვიშხეთში. ნათელა ტიფით გახდა ავად, ხაშურის საავადმყოფოში იწვა, დედა თავზე ადგა. მამა და მზია ქვიშხეთიდან ყოველ დღე ჩადიოდნენ ხაშურში. მამას ბორჯომიდან ჩაჰყავდა პროფესორი ნიკოლოზ ყიფშიძე, რომელიც ნათელას მკურნალობდა. იგი ბორჯომში ისვენებდა იმ ზაფხულს. მე, მალხაზი და ნადია მამიდა ვიყავით ქვიშხეთში, დროდადრო ჩვენც ჩავდიოდით ხაშურში ნათელას სანახავად. ნათელა დასუსტდა და ტიფის შემდეგ ისევ სჭირდებოდა აგარაკი, ამიტომ 1952 წლის შემოდგომაზე წავედით სურამში და იქ დავრჩით თითქმის ორი თვე. შემდეგ ჩამოვედით თბილისში, ისევ ბიძაჩემის ბინაში.

1953-1954 წლებში ისევ სურამში ვატარებდით ზაფხულს.

1955 წელი – ბორჯომი.

1956 წელი – ისევ ქვიშხეთი.

მას შემდეგ, რაც სანატორიუმის ტიპის დასასვენებელ სახლად გადაკეთდა დიმიტრი ყიფიანის სახლი, ჩვენ, 1952, 1956 და 1968 წელს, ქვიშხეთში ვქირაობდით კერძო ბინას ადგილობრივ გლეხებთან, მხოლოდ გამზადებული სადილი მოგვქონდა მწერალთა სახლიდან.

1957-1958 წლებში ფასანაურში ვისვენებდით.

1959 წელი – ისევ სურამი.

1960 წელი – კისლოვოდსკი.

1960 წლის შემოდგომაზე დედა და მამა წავიდნენ ქობულეთში და იქ იყვნენ ორი თვე, სექტემბერ-ოქტომბერში. ოქტომბერში მეც ჩავედი მათთან ათიოდე დღით.

1960 წლის შემოდგომაზე მამაჩემი ქობულეთშია.

1961 წელი – ლიკანი.

1962 წელი – თიანეთი.

1963 წელი – მამა მთელი ზაფხული თბილისშია ოჯახთან ერთად. მე 1962-1963 წლებში, ორ-ორი კვირით ბიჭვინთაში ვისვენებ მეგობრებთან ერთად.

1964 წელი – მთელი ოჯახი ქვიშხეთში ვისვენებთ.

1965-1966 წლებში მთელი ზაფხული თბილისში გავატარეთ. მამა მძიმედ ავად გახდა, პროსტატის ოპერაცია გაიკეთა და მთელ ოჯახი მასთან ვიყავით.

1967 წელი – მლეთა (მე და მამაჩემი).

1968 წელი – ქვიშხეთშია მთელი ოჯახი. ჭიჭიკო ბიძია ბორჯომში იყო და იქ გარდაიცვალა.

1969-1970 წლები – წყნეთი.

1971 წელი – კოჯორი.

1972 წელი – ოქროყანა. 1972 წლის ზაფხული ოქროყანაში გაატარა მამამ ოჯახთან ერთად.

1971-1972 წლებში მამა ზამთრობით იყო ფასანაურში, სასტუმროში, მარტო, დაახლოებით თითო თვე. განმარტოება მოუნდა წყნარი მუშაობისათვის. მე და ჩემმა მეუღლემ და მალხაზმა ჩავაკითხეთ მანქანით. ოჯახში ამ დროს სამი პატარა ბავშვი იყო და მამა ხმაურს გაერიდა. ნათელა გათხოვდა 1962 წელს და ჩვენს ოჯახში ათი წელი ცხოვრობდა ქმარ-შვილით. აქ დაზარდა მან სამი ბავშვი, მეოთხე, ნინო გაჩნდა 1978 წელს, როცა მამა აღარ იყო ამქვეყნად.

მე გავთხოვდი 1971 წელს, მაგრამ ჩემს შვილს მამა ვეღარ მოესწრო. პირველი ბავშვი 1973 წელს გამიჩნდა და ექიმების დაუდევრობით სამშობიაროშივე დაიღუპა. 1980 წელს გამიჩნდა მარიამი.

ქობულეთში

როგორც აღვნიშნე, ზაფხულობით მამას ზღვაზე საავარაკოდ არ დავყავდით – ზღვაზე ზაფხულში დიდი სიცხეა და მთაში ჯობია ბავშვებისათვისო, ზღვა გაზაფხულზე და შემოდგომაზეა კარგიო.

თუმცა, ჩვენ, შვილები, ხანდახან, მეგობრებთან ერთად რამდენიმე კვირით ზაფხულობითაც მივდიოდით ზღვაზე.

ჩემს მეხსიერებაში, მამა ბათუმში, მის მშობლიურ ქალაქში, სულ რამდენჯერმე იყო ჩასული. მას დიდი ტკივილი დარჩა, როცა

გაიყიდა მისი საგვარეულო ეზო-გარემო და სახლი კუხში, სულ ენატრებოდა იქაურობა, მაგრამ იქ ამ დიდი ტკივილის გამო არ ჩადიოდა. ასევე იყო ბათუმშიც – სახლი, სადაც მშობლებთან ერთად ბავშვობა გაატარა, აღარ იყო. ამიტომ ყველაფერი გაუცხოვდა მისთვის და ეძნელებოდა იქ ჩასვლა.

მხოლოდ 1964 წელს, ლიდა მამიდა რომ გარდაიცვალა, მამასთან ერთად მთელი ოჯახით ჩავედით ბათუმში. გავჩერდით სასტუმროში. ზამთარი იყო, თოვლ-ჭყაპი. დის სიკვდილით გამოწვეულ ტანჯვას თითქოს ეხმიანებოდა ცივი და ღრუბლიანი, მოღუშული ამინდი.

მამას ძალიან ეცოდებოდა ლიდა მამიდა, უყვარდა მისი მეუღლე, ახმედ გრძელიძე, რომელიც სტუდენტობისას მასთან, მის ოჯახში ცხოვრობდა. ეს იყო კეთილშობილი, ნიჭიერი, ენერგიული ახალგაზრდა კაცი, რომელიც მამაჩემის გავლენის ქვეშ იზრდებოდა და ყალიბდებოდა სულიერად და ინტელექტუალურად და რომელიც ბოროტმა დრომ იმსხვერპლა.

მამა ერთადერთხელ წავიდა ზღვაზე დასასვენებლად დედასთან ერთად. ეს იყო 1960 წლის შემოდგომა, სექტემბერ-ოქტომბერი. ისინი გაჩერდნენ ქობულეთში, ფიჭვნარის ბოლოში, მამიდაჩემის, ლიდას მეუღლის, ახმედ გრძელიძის შორეული ნათესავების, ადგილობრივი მკვიდრების, მესხიძეების აგარაკზე. სახლი ხის იყო, ოროთახიანი. თვითონ სახლის პატრონები მეზობლად ნათესავებთან გადავიდნენ საცხოვრებლად.

სახლი იდგა ზღვის პირას, ჭიშკარს გააღებდი და პირდაპირ ზღვის ნაპირზე აღმოჩნდებოდი, პლაჟზე, კენჭებზე.

მე ათიოდე დღით ჩავედი მშობლებთან ქობულეთში.

ნამდვილი ოქროსფერი შემოდგომა იდგა, დიდებული ამინდებით. მამას იქ მუშაობისათვის ძალიან კარგი პირობები ჰქონდა, თითქმის მთელი დღე და ღამე მუშაობდა, არსად არ იყო წასასვლელი საქმეებზე, არც დამსვენებლები იყვნენ გარშემო იმ პერიოდში.

ირგვლივ სიმყუდროვე იყო, ისმოდა მხოლოდ ზღვის სასიამოვნო ძახილი, რომელიც სულს ამშვიდებდა. წყნარი ზღვა იყო, ალერსიანი. მე და მამა ზღვის პირას ვსეირნობდით, როცა მუშაობით დაიღლებოდა და ისვენებდა. ხანდახან დედაც შემოგვიერთდებოდა, ოჯახური საქმეებისაგან რომ მოიცლიდა.

ეს იყო დაუვიწყარი, ბედნიერი დღეები, მაგრამ მე მალე დავტოვე ქობულეთი, რადგან უნივერსიტეტში მიმეჩქარებოდა. მატარებელზე მამამ გამაცილა.

ავტობუსით მივემგზავრებოდით ქობულეთის სადგურისაკენ. ფიჭვნარის ბოლოდან სადგურამდე გზა საკმაოდ გრძელი იყო. ფანჯრიდან ზღვა ჩანდა, წყნარი, დამავალი მზის სხივებით განათებული. მზე ჩადიოდა, ზღვაში წვებოდა და ზღვა ისეთი ლამაზი იყო, როგორიც მხოლოდ ქობულეთისა და ბათუმის, აჭარის სანაპიროზე იცის – გამჭვირვალე, ლურჯი და კამკამა. ზღვა თითქოს გეალერსებოდა, თავისკენ გიზიდავდა, გეძახდა, ხოლო ცა იყო ლურჯი და უცნაურად მშვენიერი. იგი უერთდებოდა ზღვას და მასთან ერთად სრულ ჰარმონიას ქმნიდა. ლურჯი ციდან წამოსული ოქროსფერი აბრეშუმები, დამავალი მზის სხივები, ზღვაში წვებოდა და ალივლივებდა წყალს.

მამა უყურებდა გარინდებული, სახეზე ღიმილი ოდნავ ეხატებოდა, წარბები აწეული, თვალები განათებული, თითქოს სადღაც, მარადისობაში იყო გადასული. ამ დროს ის ნამდვილი პოეტი იყო და ღვთაებრივ, სრულ ნეტარებას განიცდიდა. მისი სული მღეროდა.

ასეთი სახე ჰქონდა ხოლმე მამაჩემს, როცა ის აღფრთოვანებით წარმოთქვამდა რომელიმე დიდი პოეტის სტრიქონებს, წამღერებით, ნეტარებაში ჩაძირული, ან როცა ქმნიდა თავის მაღალ პოეზიას, შემოქმედებითი მუშაობის დროს.

ასეთი მზერა მხოლოდ მისგან მახსოვს, ასეთი შთაგონებული სახე მხოლოდ მას ჰქონდა.

დამავალი მზის სხივებით განათებული, მოლივლივე ზღვისა და ზეცის მზერით რომ ტკბებოდა და განიცდიდა სულიერ ნეტარებას, მამამ გალაკტიონის სტრიქონი გაიხსენა: „ჰაერი ლურჯი აბრეშუმია...“ – გალაკტიონის ლექსია, – თქვა მან, შემომხედა გრძნობით და დაუმატა: – რა სინატიფეა!..

ამ დროს ის ნამდვილი პოეტი იყო.

იმ დაუვიწყარი საღამოს განწყობილება სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში და არასოდეს წაიშლება.

ბედნიერება წამები გრძელდება და სამუდამოდ რჩება სულში.

მე ბედნიერი ვიყავი იმ საღამოს მამასთან ერთად.

ჩვენ ორივენი ბედნიერები ვიყავით...

ახალგაზრდობაში მამას ბობოქარი ზღვა უყვარდა, მის ტალღებთან ჭიდილი, სტიქიონთან თავდავიწყებული ბრძოლა, ზღვის ენერგიის შეგრძნება და მის ტალღებში სულიერი თავისუფლების ძიება. ეს ყოველდღიურობიდან გაქცევა იყო, უშიშარი ბრძოლის ფორმა, სიხარულისა და ნეტარების მომგვრელი. ეს იყო ნანატრი, ბობოქარი თავისუფლება.

მაგრამ მას უყვარდა აბრეშუმივით ნაზი ზღვაც, მოლივლივე, ალერსიანი, მეგობარივით, სატრფოსავით ტკბილმოუბარი, უყვარდა მზის ჩასვლა ზღვაში და ხელახლა დაბადება. ეს განწყობილება მან გამოხატა თავის დრამატულ პოეზიაში.

„კახაბერის ხმლის“ მიხედვით შექმნილი ლიბრეტოს – „ბახტრიონის“ სტრიქონებში აჟღერდა ზღვის თემატიკაც:

„სვიმონ ხანმა დაიძინა, ძილი ინებაო,
სიზმარი დაესიზმრება, ტკბილი იქნებაო.
ცაზე ვარსკვლავი ამოვა, ზღვაში ჩაწვებაო,
სვიმონ ხანი ვერცხლის ნავით დაედევნებაო.
ვერც დაიჭერს, არც გაუშვებს, არც მოეშვებაო,
თვალზე ცრემლი მოადგება, გაეღვიძებაო.
ასი ცოლი ფეხს დადგება, ასი დაჯდებაო,
ასი ლოგინს გადაუშლის, ერთი დაწვებაო“.

ზღვაში ჩაძირული მნათობის თემა გაიელვებს პოლიკარპე კაკაბაძის ამ ლექსში, რომელიც მშვენიერია, როგორც შორეული ოცნება, როგორც აუხდენელი სიზმარი.

ზღვაში ჩამავალი მნათობის ეს პოეტური გააზრება მწერლის პირადი განცდებიდან იღებს სათავეს.

ქობულეთში ყოფნისას, მე და მამა საღამოობით ხშირად ვიდექით ერთად ზღვის ნაპირას და ვუყურებდით გარინდებულები ბუნების ამ იშვიათ მოვლენას, მზის ჩასვლას ზღვაში, რომელსაც მშვენიერებით არაფერი შეედრება და უსაზღვროდ ბედნიერები ვიყავით.

ალბათ, ასეთი სილამაზის ხილვით დაიბადა ოდესღაც ბერძ-ნებში მითი სილამაზისა და სიყვარულის ქალღმერთის შესახებ.

ჩვენ თვალწინ ყოველდღე და ყოველ საღამოს, როცა მზე ჩა-დიოდა ზღვაში, იბადებოდა ღვთიური მშვენიერება, სილამაზის ქალღმერთი.

ასეთი იყო ზღვა შემოდგომის იმ დაუვიწყარ დღეებში, ქობუ-ლეთის სანაპიროზე რომ გავატარეთ მე და მამამ ერთად.

მთები, დაღესტანი, ხევსურეთი

ზღვა და მთები, მათი სიყვარული და მათკენ ლტოლვა პოეტური ბუნების ადამიანების შინაგანი მოთხოვნილებაა.

ბუნების ეს დიდი განცდა პოლიკარპე კაკაბაძემ თავის შემოქმედებაში გადაიტანა.

მამასთან ერთად ბევრჯერ ვყოფილვარ მთებში, თუმცა მისი ახალგაზრდობის დროინდელი მოგზაურობების მომსწრე მე არ ვიყავი. ეს მოგზაურობები ჩემს დაბადებამდე მოხდა.

მამა ხშირად იხსენებდა ფშავ-ხევსურეთისა და დაღესტნის მთებში მოგზაურობებს, რომლებიც ოციანი წლების ბოლოსა და ოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში ხდებოდა, დაახლოებით 1925-1935 წლებში. მამა ამ პერიოდში ახალ ნაწარმოებზე ფიქრობდა.

სამშობლოსათვის მებრძოლი, თავგანწირული გმირის თემა იყო მისი ინტერესის საგანი. ასეთ გმირად მას მიაჩნდა შამილი და ამ თემაზე ტრაგედიის შექმნას აპირებდა.

მამა ყოველთვის სიამოვნებით იხსენებდა ამ მოგზაურობას. მასთან ერთად ამ მოგზაურობაში იყო დავით კაკაბაძე და იმ დროს ახალგაზრდა მკვლევარი აკაკი გაწერელია, რომელმაც შემდგომში შამილის თემას მიუძღვნა გამოკვლევები, სადაც პოლიკარპე კაკაბაძის მოსაზრებებს დაეყრდნო, თუმცა ამ საუბრების შესახებ იგი თავის ნაწერებში არაფერს ამბობს.

შამილისა და გრიგოლ ორბელიანის ბრძოლები და მის ირგვლივ მასალები მამას კარგად ჰქონდა შესწავლილი და ამ მოგზაურობაშიც ბევრი რამ დააზუსტა.

მამამ ჩემთან საუბარში გამოთქვა აზრი, როცა მთელი მასალები შევისწავლე შამილის შესახებ, დავრწმუნდი, რომ შამილისათვის მთავარი იყო რელიგიური ბრძოლა და ამ ნიშნით ჩრდილო კავკასიისა და, სამომავლოდ, მთელი კავკასიის გაერთიანება და ამ ომში ჩაბმაო. ეს კი უკვე ჩემი ინტერესის საგანი აღარ იყო და ამ თემასაც ამიტომ თავი დავანებეო, თუმცა ძალიან მიტაცებდა ეს გმირიო.

მაგრამ შამილის, როგორც გმირის სახე ყოველთვის მიმზიდველი და მომხიბლავი დარჩა პოლიკარპე კაკაბაძისათვის. იგი, არაერთხელ, სიყვარულით, თანაგრძნობით და აღფრთოვანებით იხსენებდა მის სახელსა და საგმირო საქმეებს.

სამშობლოს რწმენისათვის თავგანწირული გმირის იდეალი მან პოვა ვახტანგ გორგასალში და ამ თემას მიუძღვნა მრავალი წლის მუშაობა. ამის გამო სასტიკად ებრძოდნენ, ხელნაწერებს უმოწმებდნენ, დაჭერითა და დახვრეტით ემუქრებოდნენ.

შამილი და გრიგოლ ორბელიანი

ორი გმირი – შამილი და გრიგოლ ორბელიანი – დაღესტნის მთებში იბრძოდა სამშობლოს დასაცავად. გრიგოლ ორბელიანი აგრძელებდა თავისი დიდი ბაბუის, ერეკლე მეფის პოლიტიკას. მას უნდა დაეცვა საქართველო ჩრდილოეთიდან წამოსული მომხდურებისაგან, რომლებიც მოდიოდნენ ისლამის დროშით და რომელთა საბოლოო მიზანი იყო საქართველოსა და მთელი კავკასიის ისლამიზაცია და მისი მიერთება დიდ, ისლამურ სამყაროსთან.

ისლამიზაციის ეს იდეები უკვე შემოჭრილი იყო ჩრდილო კავკასიაში და სწორუპოვარი გმირი შამილი თავგანწირვით იბრძოდა ამ იდეის განხორციელებისათვის.

ორი უდიდესი გმირი მედგრად ებრძოდა ერთმანეთს დაღესტნის მთებში: გრიგოლ ორბელიანი რუსის ჯარით, რადგან მას არ ჰყავდა ქართული ჯარი, შამილი – საკუთარი მეომრებით. საქართველოს სამეფო დაპყრობილი იყო, მაგრამ ერეკლეს შთამომავლები კვლავ აგრძელებდნენ ბრძოლას და თვლიდნენ, რომ ეს იყო ბრძოლა საქართველოს ინტერესებისათვის. რუსეთს თავისი მიზნები ჰქონდა – ყველას დაპყრობა და მთელი კავკასიის მიერთება თავის იმპერიასთან.

შამილი თავის სამშობლოს იცავდა და შეეწირა კიდეც ამ ბრძოლას.

შემდგომში, უკვე გადამდგარი გენერალი გრიგოლ ორბელიანი, რომლის ყველა წარმატება რუსის გენერალს მიაწერეს, შეხ-

ვდება დამარცხებულ, დატყვევებულ გმირს, შამილს. ისინი შეხვდებიან ერთმანეთს რუსეთის იმპერატორის კარზე.

ამ შეხვედრის შესახებ გრიგოლ ორბელიანი წერს: „კარგი, დარბაისელი კაცი ყოფილა შამილი...“

ყოფილი მტრები თბილად შეხვდნენ ერთმანეთს, გაისაუბრეს და ერთურთის მიმართ თანაგრძნობა გამოხატეს.

* * *

მრავალი წლის შემდეგ პოლიკარპე კაკაბაძე იყო დაღესტნის მთებში, შეჰყურებდა თვალუწვდენელ კლდეებს, ბუმბერაზ მთებს, კლდით დაქანებულ მთის მდინარეებს, აღიქვამდა ბუნების ამ ჯადოსნურ მშვენიერებას, მის დიდებულებას და ფიქრობდა ამ მხარის გმირულ წარსულზე, მის სწორუპოვარ გმირებზე, რომლებიც მკაცრმა დრომ და ისტორიის მსვლელობამ ულმობლად გაანადგურა.

მამაჩემი იხსენებდა: მოსახლეობა ჩეჩნეთ-დაღესტანში თბილად მხვდებოდა, სიყვარულით. ისინი ცოცხლად საუბრობდნენ გარდასულ დროსა და ომებზე. ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ იმ გმირთა შთამომავლები, რომლებსაც ახსოვდათ შამილის ბრძოლები და მონაწილეობდნენ ამ ომშიო.

– ერთ ღრმად მოხუცებულ კაცს შევხვდი, – თქვა მამამ, – რომელსაც პირადად ახსოვდა შამილიც და გრიგოლ ორბელიანიც. მან თქვა, როცა ორბელიანი აქ შემოვიდა, მე რვა წლის ვიყავი და ჩუმად უკნიდან კენჭი ვესროლეო.

რვა წლის ბიჭისაგან ეს გაბედულება გმირობის ტოლფასი იყო. გამარჯვებულ გენერალს დაპყრობილი ერის შვილმა ქვის სროლა გაუბედა! მოხუცი დაღესტნელი მთელი ცხოვრება ამაყობდა ამ თავისი, ბავშვობის დროინდელი გაბედული საქციელით.

პოლიკარპე კაკაბაძემ არ დაწერა ტრაგედია შამილზე, მაგრამ ის მშვენიერება და სილამაზე, რაც შთააგონა დიდ მწერალს იმ გმირთა ცხოვრებამ და ჩეჩნეთ-დაღესტნის ულამაზესმა ბუნებამ, სამუდამოდ დარჩა მის მეხსიერებაში და დროდადრო შთაგონებით ავსებდა მის სულს.

შამილის გმირული ბრძოლები არ გახდა პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედების საგანი. იგი ეძებდა ისტორიაში თავგანწირული გმირის სახეს, სამშობლოს იდეას რომ შეეწირა და ასეთი გმირი მან იპოვა საქართველოს წარსულში, მამულისა და ქრისტიანობისათვის თავდადებული გმირის, ვახტანგ გორგასალის სახით.

„ეძიებდეთ სიკვდილს ქრისტესათვის!“ – ვახტანგ გორგასალის ანდერძი გახდა მამაჩემის შემოქმედების მამოძრავებელი ძარღვი. პირველი დათარიღებული ხელნაწერები ამ თემაზე განეკუთვნება 1939 წელს, მაგრამ მუშაობა მას მანამდე დაწყებული ჰქონდა. მთელი ცხოვრება ის ესაუბრებოდა ამ წმინდანს და სწორუპოვარ გმირს, და ეს ჩანაწერები, „თქმები“, როგორც თვითონ უწოდებდა, რამდენიმე ათეული საქაღალდეა მის არქივში. მათი ნაწილი მე გამოვაქვეყნე. ეს არის საუბრები ღმერთთან, სამშობლოსა და რწმენისათვის თავდადებული გმირისა, როგორიც იყო მის შემეცნებაში ეს წმინდანი მეფე. ტრილოგიის დაწერას აპირებდა, მაგრამ მოასწრო მხოლოდ პირველი ნაწილის დასრულება და გამოქვეყნება, დანარჩენი მასალები საქაღალდეებში დარჩა.

ხევსურეთი, თომა ბალიაური

მამაჩემმა იმოგზაურა ხევსურეთში.

რამდენადაც ვიცი, ეს მოგზაურობა 1928-1930 წლებში უნდა მომხდარიყო, ან ცოტა ადრე. მაშინ ხევსურეთი მედგრად იბრძოდა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, რომ იქ არ შეეშვათ წითელი ჭირი. ამ ბრძოლებს ხელმძღვანელობდა თომა ბალიაური, მამას მეგობარი, განათლებული კაცი, პოეტი, ვაჟკაცი, პეტერბურგის უნივერსიტეტში ნასწავლი და ახლა დაბრუნებული საკუთარ მხარეში. იგი თავგანწირვით იცავდა მშობლიურ ხევსურეთს.

მამა სიყვარულით და პატივისცემით იხსენებდა ამ კაცს და სწორედ მასთან ჩავიდა სტუმრად ხევსურეთში. ბალიაურმა მოატარა მთელი ხევსურეთი, მისი ჭიუხები, მიუვალი კლდეები, სადაც გმირი ხალხი ცხოვრობდა და სადაც დიდხანს ვერ შევიდა რუსეთი, ვერც მეფის დროს და ვერც გასაბჭოების შემდეგ.

თომა ბალიაურს ჰყავდა თავისი რაზმი, შეფიცულები, რომლებიც მედგრად იცავდნენ მშობლიურ კუთხეს.

მამაჩემი იგონებდა: მე გავიცანი ეს ხალხი, ეს ვაჟკაცები და გავესაუბრე მათ. ყველა მათგანი თავგანწირვისათვის მზად იყო და მათი დამარცხება ამ გარემოში, რომელიც ბუნებრივ, აუღებელ ციხესიმაგრეს წარმოადგენდა, შეუძლებელი იყო, თუ არა ვერაგულად, მოტყუებით.

თომა ბალიაური, ხევსურეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური, ღალატით მოკლეს 1932 წელს. თომას მკვლელი მოკლა თომას ბიძაშვილმა ლადო ბალიაურმა, რომელიც პეტერბურგში სწავლობდა. იქიდან ჩამოვიდა და თომას მერე ხევსურეთის თავისუფლებისათვის ბრძოლას ხელმძღვანელობდა. ის გადაასახლეს ციმბირში და იქ მალე მოკლეს, სავარაუდოდ, 1937 წელს.

მამამ მიამბო: თომა ბალიაურს, თურმე, დაუმეგობრდა ერთი კაცი, გვარად ჩიქოვანი, რომელიც, სინამდვილეში, მიგზავნილი ყოფილა, ჩეკისტი. ამ ჩიქოვანს ცბიერებით ისე მოუხიბლავს გმირი ბალიაური, რომ მისი სრული ნდობა მოუპოვებია.

ჩიქოვანს, როგორც თბილისის მთავრობასთან დაახლოებულ პირს, დაურწმუნებია თომა ბალიაური, რომ ხევსურეთისათვის

სასიკეთოდ იმოქმედებდა მთავრობაში, დამოუკიდებლობასაც შეუნარჩუნებდა და თან მშვიდობიან ურთიერთობასაც დაამყარებდა ხელისუფლებასთან. და ვითომ ამ მიზნით, შემოუყვანია ხეობის შიგნით, საკმაოდ ღრმად, თავისი ხალხი, სინამდვილეში, დიდი რაოდენობით შეიარაღებული მეომრები.

ბალიაურს უთქვამს მამასთვის, ახლა კი მივხვდი, რომ ეს ამდენი იარაღში ჩამჯდარი ხალხი ჩემს მოსაკლავად და ხევსურეთის ასაღებად იყო შემოსულიო, მაგრამ არ შევიმჩნიე, გავიხმე მოღალატე ჩიქოვანი, ჩავიყვანე მდინარის პირას, კლდით მოფარებულ ადგილას, ვითომ მოსალაპარაკებლად და იქ მოვუღე ბოლო, და ამით გავათავე ომის ბედიო. ამოვედი ზევით, ჩემს ერთგულ მეგობრებთან და იმ ჩეკისტის შემოყვანილ ხალხს ვუთხარი, თქვენი მეთაური მკვდარია, ახლავე წადით აქედან, თორემ ყველას ამოგხოცავთო. უმეთაუროდ დარჩენილი ჯარი შეშინდა, დაიბნა და სასწრაფოდ გაიქცა, დატოვა ხევსურეთიო.

ასე გადაარჩინა მაშინ ერთი კაცის გმირობამ ხევსურეთი დაცემისაგან.

მამა მიამბობდა, თბილისში რომ ჩამოვედი, ხშირად მწერდა წერილებს თომა ბალიაური, ბოლოს მომწერა უიმედო, სევდიანი წერილი, სულით მარტოობას უჩიოდა. ძალიან ბევრი მტერია შემოსული და ვგრძნობ, დიდხანს ვეღარ გაუძლებს ხევსურეთი ამ მოძალებულ მტერსო. მეგობრები და ერთგული ადამიანები დამიხოცეს და თითქმის მარტო დავრჩიო...

წერილი თავდებოდა მიხეილ ლერმონტოვის სიტყვებით:

«Белеет парус одинокый
В тумане моря голубом!..
Что ищет он в стране далекой?
Что кинул он в краю родном?..»

ამ ამბის შემდეგ თომა ბალიაური მალე მოკლეს, ხოლო ხევსურეთი თანდათან ხელში ჩაიგდეს.

თომა ბალიაურის წერილებს დიდხანს ვინახავდიო, – ამბობდა მამა, – მაგრამ ოცდაჩვიდმეტი წლის დაჭერები რომ დაიწყო, დავწვი, რადგან თუ ნახავდნენ, აუცილებლად დამხვრეტდნენო...

ქვიშხეთი, ჩემი სიყვარული

ლაზარობა

რამდენი დრო გავატარეთ იქ, ქვიშხეთში – სამი ზამთარი და ხუთი ზაფხული, 1945-1949 წლებში.

მახსოვს, ერთი გაზაფხულის ბოლოს თუ ზაფხულს, ჯერ დამსვენებლები არ იყვნენ ჩამოსული, დიდი სიცხეები დაიჭირა, წვიმა არ მოდიოდა და ხალხი შეწუხებული იყო, მოსავალს რა ეშველებაო.

ერთ დღეს მოაწყვეს „ლაზარობა“. „ლაზარობის“ მონაწილეებმა ჩამოიარეს ლოცვით მთელი სოფელი, ქალებს მოჰქონდათ, დიდი მოწიწებით, ლაზარეს გამოსახულება. ეს იყო თავისებური ხატი, გორელიეფი, ჩასვენებული ჩარჩოიან სახატეში. გორელიეფი ძველი იყო. ეტყობოდა, ეს იყო პრიმიტიულად შესრულებული მამაკაცის, ბავშვისა თუ ყმაწვილის ფიგურა, თითქოს ძველი ცვილისაგან ნაკეთები, მუქი ფერის. მსვლელობას უამრავი ბავშვი და ქალი მიჰყვებოდა, მამაკაცები არ ჩანდნენ.

მლოცველები შედიოდნენ ეზოებში და გალობდნენ შემდეგ ტექსტს:

„ლაზარე, ლაზარე,
ლაზარ მოდგა კარებსაო,
ლაზარ ბატონო,
აბრიალებს თვალებსაო,
ლაზარ ბატონო,
აღარ გვინდა გორახიო,
ლაზარ ბატონო,
ღმერთო, მოგვეც ტალახიო,
ლაზარ ბატონო...“

ხალხი მლოცველებს წყალს ასხამდა, ბავშვები წუწაობდნენ, იყო მხიარული ჟრიამული, ვედრება და ლოცვა, შეძახილები:

„ლაზარე, ლაზარე,
აღარ გვინდა გორახიო,

ღმერთო, მოგვეც ტალახიო,
ლაზარე, ლაზარე...“

ლაზარობაში მონაწილეობდა ჩვენი დეიდა ანეტაც, ანეტა ყაზიშვილი, დიმიტრი ყიფიანის სახლის კეთილი და ერთგული დიასახლისი.

წარმოიდგინეთ, რომ მოსაღამოვებულზე, უცებ, ცა მოიღრუბლა და მართლაც წამოვიდა მხიარული და ძლიერი შხაპუნა წვიმა.

მამაჩემმა გაიღიმა და თქვა: „ხედავ, ანეტას ლოცვამ გაჭრაო!“

ყველანი აღფრთოვანებული ვიყავით ლაზარობის ამ სასწაულით.

მთაწმინდობა

ქვიშხეთიდან მახსოვს განსაკუთრებით მთაწმინდობა.

ეს დღესასწაული იმართებოდა მაისში, ვფიქრობ, წმინდა გიორგის კულტთან იყო დაკავშირებული. სალოცავი მდებარეობდა მაღალი მთის წვერზე, რომელიც სამხრეთიდან ეკვრის ქვიშხეთს. ამბობდნენ, მთის ძირიდან გზა სალოცავამდე ექვსი კილომეტრიაო.

ჩვენ ყოველ მთაწმინდობას მთელი ოჯახი მივდიოდით სალოცავად. ირგვლივ სოფლებიდან უამრავი ხალხი იყრიდა თავს: ლოცულობდნენ, ანთებდნენ დიდ სანთლებს, ზოგი ძალიან გრძელს, ხელით ნაკეთს, ალბათ, ღვთის საკვედრებლად ოჯახის წევრებისათვის თუ ავადმყოფებისათვის. იქვე, ეკლესიის შორიახლოს, კლავდნენ ცხვრებს, მართავდნენ პურმარილს, იყო ღვინის სმა და, არაიშვიათად, აქ-იქ ჩხუბი და მერე გაშველება.

და წარმოიდგინეთ, ყოველ მთაწმინდობას მოდიოდა წვიმა, ხან მაშინ, როცა იქ ავდიოდით და ნახევარი გზა მაინც გავლილი გვქონდა, ხანაც, როცა შინ ვბრუნდებოდით. ყველანი მოვდიოდით ამ წვიმაში, ხალისიანად, არც გვციოდა და არც რაიმე გვაწუხებდა და არც არასოდეს ავად არ ვხდებოდით, ამ რამდენიმე საათის განმავლობაში მთებში ხუთი-ექვსი კილომეტრის სიარულის შემდეგ.

დედაჩემი ამბობდა, მთაწმინდის მადლი გვფარავსო.

მამაჩემი სულ ჩვენთან იყო ამ მოგზაურობებში. ის იყო ყოველთვის მთებში გასეირნების ინიციატორი.

წმინდა გიორგი ხომ მისი მფარველი იყო.

წმინდა გიორგი მოგზაურთა მფარველიც არის.

ანა კალანდაძის სტუმრობა ქვიშხეთში

ქვიშხეთიდან ბევრი კარგი მახსოვს. მათ შორის განსაკუთრებულია ანა კალანდაძის სტუმრობა ჩვენთან. ეს იყო 1947 წლის აპრილში.

ანას სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისას, მის აღიარებაში მამაჩემს დიდი წვლილი მიუძღოდა. ანას ებრძოდნენ რეჟიმის მესვეურნი და მათი მომხრეები, ხოლო იცავდნენ ნამდვილი მწერლები, მამულიშვილები. მამაჩემი ანას მხარდამჭერი იყო და მის სათანადო აღიარებაში დიდი როლი შეასრულა. ამ საკითხებს მე მივუძღვენი წერილი (იხ. მანანა კაკაბაძე. ანა კალანდაძე, კრებ. ლექსმცოდნეობა, 1, თბ., 2008, გვ. 8-21).

ანა მეგობრობდა ჩემს დასთან, მზიასთან. იმ ხანებში ისინი განუყრელი მეგობრები იყვნენ, უერთმანეთოდ არ შეეძლოთ, ყოველდღე ერთად იყვნენ. და აი, ერთხელ, მზიამ ანა ჩამოიყვანა ჩვენთან, ქვიშხეთში სტუმრად.

მე უკვე ზეპირად ვიცოდი ანას ბევრი ლექსი და აღფრთოვანებით შევყურებდი მას, როგორც ხატს.

მამაჩემი მოწიწებით, უდიდესი სიყვარულით და პატივისცემით ესაუბრებოდა ანას ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე თუ ყოველდღიურ ბრძოლებზე და ურთიერთობებზე; ამხნევებდა, არ დამორჩილებოდა ზეწოლას და არ შეეცვალა თავისი შემოქმედებითი მრწამსი. ანა მორცხვი იყო, მოკრძალებული და საუბრობდა ცოტას და მორიდებით.

ანა ჩვენთან რამდენიმე დღეს დარჩა.

ამ სტუმრობაზე ქვიშხეთში ანამ დაწერა თავის წერილში მზიასადმი, რომელიც მე გამოვაქვეყნე ზემოთ მოხსენებულ კრებულში – ლექსმცოდნეობა, 1.

* * *

თოვლი თითქმის დამდნარი იყო და გარემო მწვანე ფოთლებით იმოსებოდა.

ჩვენ, მთელი ოჯახი, მამასთან და ანასთან ერთად ვსეირნობდით ქვიშხეთის შემოგარენში, ახლად ამწვანებულ ველ-მინდვრებზე, კორდებზე.

ერთხელ, ამ სეირნობისას, უცნაური რამ მოხდა.

მერცხალი უკვე მოფრენილი იყო და მზით გაჩახჩახებულ ლურჯ კამარაზე დანავარდობდა, ირგვლივ გაზაფხულის მათრობელი სურნელი იფრქვეოდა. ჩვენ, მე, მამა, მალხაზი, ნათო, მზია და ანა, ერთად მოვსეირნობდით ამ ჯადოსნურ გარემოში. უცებ მერცხალმა ჩვენ ირგვლივ კამარა შეკრა, შემოგვიფრინა ჭიკჭიკით და დამაჯდა მხარზე. აჭიკჭიკდა ძლიერ, მერე გაფრინდა, ისევ წრე დაარტყა ჩვენ ირგვლივ და ისევ დამაჯდა იმავე მხარზე და მძლავრად, პირდაპირ ყურთან შემომჭიკჭიკა, გაფრთხიალდა და ლაღად გაფრინდა ცის სივრცეში, ასე ჭიკჭიკით.

ეს ბედნიერი წუთები არასოდეს დამავიწყდება, როცა მამაჩემი, ღვაწლმოსილი, სახელოვანი მწერალი და ახალგაზრდა, იასავით მორცხვი ანა, ურთიერთშორის კრძალვით მოსაუბრე, როგორ მასეირნებდნენ ქვიშხეთის შემოგარენის ახლად გამწვანებულ ველ-მინდვრებზე, მთაწმინდის ტყის მისადგომებთან.

ეს იყო 1947 წლის გაზაფხული.

ჭიაკოკონობა და „ალილო“

ქვიშხეთში მახსოვს ასევე ჭიაკოკონობა. დიმიტრი ყიფიანის ფართო ეზოში, აღდგომის წინა დღეებში, სოფლელები მოზიდავდნენ ხოლმე ფიჩხს, შეშას, ხოლო საღამოს აანთებდნენ დიდ კოცონს. როცა ცეცხლი დანელდებოდა, მარჯვე ბიჭები გადაახტებოდნენ ცეცხლს, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ამ საქმეში. ვინც უფრო დიდ ცეცხლს გადაახტებოდა, ის ქებისა და პატივისცემის ღირსი იყო. ასე წვავდნენ კუდიანებს და ამით ებრძოდნენ ადამიანები ბოროტ ძალებს. ჩვენც, ბავშვები და ჩვენი მშობლები, აუცილებლად გამოვიდოდით ჭიაკოკონობაზე და სიამოვნებით ვუც-

ქერდით ამ სანახაობას. როცა ცეცხლი სულ დაიწევდა და ოდნავ ბჟუტავდა, ჩვენც, მე და ჩემი და-ძმა, ცეცხლის რაღაც ნაწილს გადავახტებოდით. მე განსაკუთრებით აქტიური ვიყავი ამ საქმეში. ეს სიხარული იყო, კუდიანების დაწვაში ჩვენც ვიღებდით მონაწილეობას. ეს იყო ნამდვილი სახალხო ზეიმი.

ასევე, აღდგომის წინა დღეებში ჩამოივლიდნენ ალილოზე, უმეტესად ახალგაზრდა ბიჭები, შედიოდნენ ეზოებში და მღეროდნენ:

„ალათასა, ბალათასა, ხელი ჩაჰკარ კალათასა,
დედი, ერთი კვერცხი მამე, ღმერთი მოგცემს ბარაქასა“.

ოჯახის დიასახლისი გამოუტანდა კვერცხს, ალილოს ხალხი დალოცავდა დიასახლისს, მადლობას გადაუხდიდა და წავიდოდა. შემდეგ ამ კვერცხებს წითლად ღებავდნენ.

დედაჩემიც ყოველთვის სიხარულით გამოუტანდა ხოლმე კვერცხებს მეალილოელებს. ეს იყო სასიამოვნო ურთიერთობა ადამიანებს შორის.

ზვარე

ორ ზაფხულს, 1950-1951 წლებში, ზვარეში ვიყავით სააგარაკოდ. ზვარე იმერეთია, მაგრამ ახლოა ქართლთან. ის მდებარეობს სურამის ქედის გადაღმა, დასავლეთისაკენ.

ზვარეს მშვენიერი მინერალური წყალი და ულამაზესი ბუნება სიამოვნებით ავსებდა გულს. იმ ხანებში სხვა დამსვენებელთა შორის იყო დღეს სახელოვანი კინორეჟისორის, ოთარ იოსელიანის ოჯახი, თვითონ ოთარი, იმჟამად მე-11 კლასის მოსწავლე და დედამისი; იყო მამაჩემის მეგობრის, იმ დროს გარდაცვლილი არტემ გაბუნიას ძმა, ლეო გაბუნია ოჯახით და მამაჩემის ახალგაზრდობის კეთილი ნაცნობი ვანო კუკავაძე ცოლ-შვილით.

1951 წლის ზაფხულში, ერთ დღეს, მამაჩემის ინიციატივით, მოვაწყვეთ გასეირნება, ლაშქრობა ერთ-ერთი მაღალი მთის მწვერვალზე, რომელიც ზვარედან აღმოსავლეთით მდებარეობს, სურამის ქედზე. ეს მწვერვალი არის წყალგამყოფი და საზღვარი აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოს შორის.

დილით ადრე გავემგზავრეთ მამაჩემი, კუკავაძეები, გაბუნიები, ოთარ იოსელიანი და ჩვენ, შემოგვიერთდა რამდენიმე სხვა დამსვენებელიც. მეგზურებად იქაური მკვიდრები მოგვყვებოდნენ. მამაჩემმა ვირი დაიქირავა, რომელსაც ბარგი ავკიდეთ, სანოვაგე და სხვა საჭირო ნივთები, რომლებიც მოგზაურობაში დაგვჭირდებოდა, თან, თუ რომელიმე ბავშვი დაიღლებოდა, რამდენიმე ხნით ვირზე შესვამდნენ. ვირს პატრონიც მოჰყვებოდა.

მწვერვალი საკმაოდ შორს იყო, მაგრამ ულამაზესი ბუნება და მხიარული განწყობილება არავითარ დაღლას არ გვაგრძნობინებდა.

როცა მთის მწვერვალზე ავედით, გავიხარეთ. ჩვენ თვალწინ გადაიშალა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო, თავისი მთებით, მდინარეებით, ველებით და სოფელ-ქალაქებით.

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: ჩვენ ერთდროულად ვუმზერდით საქართველოს ორ მხარეს.

ამ დროს ცაზე პატარა ღრუბელი გამოჩნდა და წვიმის წვეთები წამოვიდა. მამამ დაგვაყენა მწვერვალზე და გვითხრა: წვიმის წვეთი ამ მწვერვალის აღმოსავლეთ ფერდობს თუ დაეცემა, კასპიის ზღვაში მოხვდება და თუ დასავლეთ ფერდობს – შავ ზღვაშიო.

მამაჩემის ამ სიტყვებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მწვერვალი, სადაც ჩვენ ვიდექით, იყო წყალგამყოფი, ბუნებრივი საზღვარი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის!

ჩვენ ავედით ქართლისა და იმერეთის შუაგამყოფ ქედზე, მწვერვალზე, რომლის ერთი მხარე ქართლი იყო, მეორე – იმერეთი, მთის ერთი ფერდობი ქართლს ეკუთვნოდა, მეორე – იმერეთს. აქ იყო აღმოსავლეთი და დასავლეთი!

ყველანი აღფრთოვანებულები ვიყავით. ეს იყო დაუვიწყარი გასეირნება მთებში. მამაჩემი ამ დროს ბედნიერი იყო.

ასეთი იყო 1951 წლის ზაფხული ზვარეში.

ოცდაჩვიდმეტი წელი

მამაჩემს ახალგაზრდობის პერიოდში, 1930-1936 წლებში, მოხევე-მთიულეთში უყვარდა სააგარაკოდ წასვლა, ოჯახი ზაფხულობით ყაზბეგსა და სიონში დაჰყავდა. 1937 წლის ზაფხულს ოჯახი წაიყვანა სურამში, ჩუმათელეთში.

უკვე ივლისის შუა რიცხვები იდგა, მაშინ მე ორი კვირის ჩვილი ვიყავი. მე დავიბადე 1937 წლის 27 ივნისს. დედა და მამა იხსენებდნენ, მანანა ორი კვირისა იყო, ჩუმათელეთში რომ წავედითო.

მძიმე პერიოდი იდგა, რეპრესიები მძინვარებდა, საჭირო იყო ქალაქიდან სასწრაფოდ გაცლა, რადგან ყოველდღე ისმოდა: ეს დაიჭირეს, ის წაიყვანეს, ის დაამუშავეს... მწერალთა კავშირში ჯოჯოხეთი ტრიალებდა. საჭირო იყო გაქცევა თავის გადასარჩენად.

მამა არ დასწრებია იმ კრებას, 1937 წლის ივლისში რომ ჩატარდა მწერალთა კავშირში, როცა ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი სასტიკად დაამუშავეს და პაოლომ რომ 22 ივლისს თავი მოიკლა მწერალთა კავშირის შენობაში.

ამ დროს პოლიკარპე კაკაბაძე უკვე სურამში იყო გახიზნული ოჯახთან ერთად.

მხოლოდ, გამგზავრებამდე, წინა დღეებში, მამამ ნახა პაოლო მწერალთა კავშირში:

– რაღაც განსაკუთრებით თბილად შემხვდა, მომეხვია და მხარზე ხელი მომისვა მეგობრულად, გრძნობით, თითქოს მეთხოვებოდაო. მეც მაგრად მოვეხვიე, მინდოდა გამემხნევებინა, – იხსენებდა მამაჩემი.

მამას ცისფერყანწელთა შორის განსაკუთრებით უყვარდა პაოლო. მან თავის ჟურნალში „შვიდი მნათობი“, 1919 წელს რომ გამოვიდა, დაბეჭდა მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი, დედისადმი მიძღვნილი, თუმცა ამ ნაწარმოებზე მკვლევარები რატომღაც ნაკლებად ამახვილებენ ყურადღებას. პაოლო მამაჩემის ერთ-ერთი ტკივილი იყო.

* * *

მამას უყვარდა სურამი და სააგარაკოდ იქ რამდენჯერმე იყო ოჯახთან ერთად. სურამის მშვიდი გარემო, ზომიერი ჰავა და ნაზი ბუნება კარგ პირობებს უქმნიდა მუშაობისათვის.

მაგრამ მთებში მოგზაურობა, ფშავ-ხევსურეთი და მოხევე-მთიულეთი ხომ მისი განსაკუთრებული სიყვარული და საოცნებო მხარე იყო ახალგაზრდობიდან.

1957 და 1958 წლების ზაფხული ფასანაურში გავატარეთ მამასთან ერთად, ხშირად ვმოგზაურობდით მთებში, ავდიოდით ყაზბეგში, სიონში, ნაწილობრივ ფეხით, ნაწილობრივ ტრანსპორტით. ეს იყო სასიამოვნო გასეირნებები. რამდენიც არ უნდა გვევლო ფეხით, არ ვიღლებოდით. მთებში, თაკარა მზეში, ფეხით სიარულიც მეტად სასიამოვნო იყო.

1964 წლის ზაფხულს ქვეშეთში ვისვენებდით, მაგრამ მამა ხშირად თბილისში ჩამოდიოდა, რადგან ბევრი საქმე ჰქონდა.

მამას ყოველთვის მოსწონდა მლეთა, მისი გზა, მისი ხვეულები, მერცხლის ბუდესავით მთებში მიმჯდარი სოფელი. მლეთაში სიამოვნებით გავატარეთ 1967 წლის აგვისტო მხოლოდ მე და მამამ, დანარჩენი ოჯახის წევრების გარეშე. ეს იყო იმ ხეობაში ჩვენი უკანასკნელი გასეირნება. ამის შემდეგ მლეთაში ვეღარასოდეს წავედით და, ძირითადად, თბილისის ახლო-მახლო აგარაკებზე დავდიოდით.

თბილისში, გოგებაშვილის ქუჩაზე, ჩვენი ბინის აივნიდან ყაზბეგის მთა მოჩანდა. მახსოვს, მამამ გამახედა იქით და მითხრა: როდის წავიდეთ ჩვენ იქ, მე და შენ?.. მაგრამ ჩვენ იქ ვეღარასოდეს წავედით.

ეს იყო 1969 წელი.

მამას ავადმყოფობა

მამაჩემი ამბობდა, გადაწყვეტილი მქონდა, ცოლი არ შემერთო, საქართველოს უნდა შევეწიროო, მაგრამ დაქორწინდა მილა მიხაილოვზე და მათ გააჩინეს ოთხი შვილი – ერთი ვაჟი, ნანატრი შვილი მალხაზი და სამი ქალიშვილი – მე, მზია და ნათელა.

1965 წელს, როცა მამა მძიმედ გახდა ავად და მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, სამივე და თავზე დავტრიალებდით, სამივე ვუვლიდით. მაშინ თქვა მამამ: „რა კარგი ყოფილა ბევრი ქალიშვილი, ნეტავი ექვსი მყოლოდაო. ქალიშვილები რომ მიჩნდებოდა, გული მწყდებოდაო, ვაჟები მინდოდა. ნეტავ ექვსი ქალიშვილი გამეჩინაო“, – ამბობდა ღიმილით.

1965 წლის აპრილში დიდი სიხარული გვეწვია: კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გიგა ლორთქიფანიძემ დადგა „კახაბერის ხმალი“. მამას დიდი ხნის ოცნება ასრულდა. ის ძალიან ბედნიერი იყო, ჩვენც ბედნიერები ვიყავით, თითქოს ჩვენი სული ზეიმობდა.

მაგრამ ეს სიხარული დიდხანს არ დაგვცალდა, მაისში მამა მძიმედ ავად გახდა, დაემართა უცნაური და საშინელი ავადმყოფობა – ჰერპეს ზოსტერი. ეს არის ნერვის ანთება, გარკვეული ინფექციით გამოწვეული, რომელიც, ჩვეულებრივ, ადამიანებს ზურგისა და მკერდქვეშა ნერვზე ემართებათ, მამაჩემს კი შუბლის ნერვზე განუვითარდა. წონასწორობა მთლად დაკარგა, ისეთი თავბრუსხვევა ჰქონდა, რომ ლამის ლოგინიდან გადმოვარდნილიყო. ამ საშინელმა ავადმყოფობამ შარდის შეკავება გამოიწვია და სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა.

ყოფნა-არყოფნის ჟამი დაუდგა „ყვარყვარე თუთაბერის“ ავტორს. მის სულიერ ტანჯვას განსაკუთრებით ამძაფრებდა ფიქრი იმაზე, რომ დაუმთავრებელი რჩებოდა ნაწარმოებები. ეს აწუხებდა ყველაზე მეტად, თორემ სიკვდილის საშიშროებას მისი ძლიერი სული არ ეპუებოდა ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდან, იმ დროიდან, როცა „ყვარყვარე თუთაბერს“ წერდა. „ყვარყვარე და „კახაბერი“ სიკვდილის შიშზე გამარჯვება იყო.

„ყვარყვარეს“ ავტორი სიცოცხლის აზრს მხოლოდ შემოქმედებით მუშაობაში ხედავდა, სხვა სიცოცხლე მისთვის თითქოს არ არსებობდა. ყველაფერი წარმავალი იყო – მარადიული მისთვის მხოლოდ შემოქმედებითი ცხოვრება იყო. ეს იყო მისთვის ყველაზე დიდი სინამდვილე, რომლისათვისაც იგი ყველაფერს თმობდა – უსაყვარლეს ადამიანთა, ოჯახის წევრთა კეთილდღეობასა და სითბოს, მათ ყოველგვარ ადამიანურ ინტერესებს, ოღონდ აესრულებინა თავისი მისია, რისთვისაც იგი უფალმა მოავლინა ქვეყნად!

წინასწარმეტყველ ესაიასავით იყო.

ამ ტანჯვასა და შემოქმედებით წვაში გრძნობდა იგი თავის დანიშნულებას და ბოლომდე იბრძოდა თავისი მისიის შესასრულებლად.

ამიტომაც უნდა ეცოცხლა!

ბრძოლა იყო სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის, ამ ბრძოლიდან იგი გამარჯვებული გამოვიდა.

* * *

მამაჩემის საავადმყოფოში გადაყვანა გადაწყდა. საჭირო გახდა უსწრაფესი ოპერაცია, რომელიც პროფესორ ალექსანდრე გზირიშვილს უნდა ჩაეტარებინა. მაგრამ გადაყვანა ურთულესი იყო თავბრუსხვევის გამო.

და აი, სასწრაფო დახმარების მანქანას ნელი სვლით, ადამიანის ნაბიჯებზე უფრო ნელა, მიჰყავს მამაჩემი, მზია და ექიმი მამასთან არიან, ხოლო მე და ნათელა გურამ ბენაშვილს მივყავართ მანქანით, ისეთივე ნელი სვლით, როგორც სასწრაფო დახმარების მანქანა მოძრაობს. სამივენი ვტირით, ცრემლები მოგვდის... ასე მივაღწიეთ საავადმყოფოს.

მამაჩემი შეჰყავთ საოპერაციოში, და გურამი მოითხოვა. ჩუმი, ნელი ხმით ელაპარაკება, სიტყვები ჩვენამდე ვერ აღწევს, მხოლოდ გურამს ესმის – დაემშვიდობა და დაუბარა, არ მიატოვო ჩემი შვილებიო.

დარწმუნებული ვარ, გურამს ახლაც ახსოვს ის მძიმე დღე.

გურამს უყვარდა მამაჩემი და ეს გახსენება, ალბათ, მეტად ძვირფასია მისთვის.

ალექსანდრე გზირიშვილმა ურთულეს პირობებში ბრწყინვალედ ჩაატარა ოპერაცია. პოლიკარპე კაკაბაძე გადარჩა.

მამაჩემი ალექსანდრე გზირიშვილს თავის მხსნელად თვლიდა და მისი მეტად მადლიერი იყო. ამის შემდეგ მამამ კიდევ შვიდი წელი იცოცხლა და სიკვდილის წინ კიდევ ერთხელ ახსენა ამ დიდებული ადამიანისა და ბრწყინვალე დასტაქრის სახელი.

ალექსანდრე გზირიშვილი ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო და მის მრავალ ღვაწლთან ერთად, ალბათ, ესეც, პოლიკარპე კაკაბაძის გადარჩენა, მის სახელს მარადიულ ხსოვნას მიანიჭებს.

ასეთი იყო მამას უმძიმესი ავადმყოფობა, რომელსაც მან, ღვთის შეწევნით, გაუძლო. ამ ავადმყოფობის შემდეგ, ამ შვიდ წელიწადში, მამამ დაწერა კიდევ სამი უკვდავი ნაწარმოები: დრამატული პოემა „მეფე ვახტანგ პირველი გორგასალი“ – პირველი ნაწილი და ტრაგედიები: „ბაგრატ მეშვიდე, ქეთევანი და კირიონი“ და „დემეტრე მეორე“.

პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედებითი მუშაობისათვის მეტად ნაყოფიერი იყო ეს შვიდი წელი.

თავდასხმა პოლიკარპე კაკაბაძეზე მწერალთა კავშირში

სამოცდახუთ და სამოცდაექვს წლებში მამაჩემი სიკვდილს ძლივს გადაურჩა და სამოცდაშვიდში საშინელი თავდასხმა მოუწყვეს მწერალთა კავშირში.

გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ თანამშრომლებმა, გოგი ჩარკვიანმა და რეზო გაბრიაძემ ინტერვიუ ჩამოართვეს მამაჩემს და გალაკტიონზე ჰკითხეს აზრი. დადებითად უპასუხა, მხოლოდ გალაკტიონის ახლად გამოცემული თორმეტტომეული არ მოსწონდა, ბევრი მისთვის შეუფერებელი ლექსია დაბეჭდილიო, – თქვა ინტერვიუში.

გალაკტიონი ახალგაზრდობის დროიდან მამას მეგობარი იყო. როგორც უკვე ვთქვი, ის 1920 წელს, მთელი წელი ცხოვრობდა მამასთან ერთად ერთ ბინაში, ახლანდელ გალაკტიონის ქუჩაზე. ეს იყო მამას მიერ ნაქირავები ბინა. მამა მეგობრობდა, აგრეთვე, გალაკტიონის მეუღლესთან, ოლია ოკუჯავასთან, ძალიან მოსწონდა და უყვარდა ეს ადამიანები, პატივს სცემდა მათ ნიჭიერებას.

მამას გალაკტიონის პირველი პერიოდის ლირიკა გულით უყვარდა, ბევრი მისი ლექსი ზეპირად იცოდა და ხშირად, თავისთვის, წაიდუდუნებდა ხოლმე რომელიმე ლექსს.

თუ რა აზრისა იყო გალაკტიონი პოლიკარპე კაკაბაძეზე, ეს ჩანს იმ ჩანაწერებიდან, რომლებიც გალაკტიონის თორმეტტომეულში გამოქვეყნდა.

აი, რას წერს გალაკტიონი:

„ჩვენი პოლიკარპე დინჯი, გონიერი ადამიანია. ერთის შეხედვით, ბევრს ეგონება, რომ ის არაფერსაც არ აკეთებს და იმის გამო, რომ სულ დაფიქრებულია, სადაც არ უნდა შეხვდე, ერიდება ზედმეტ ლაპარაკს. ის არა სიტყვის, არამედ მოქმედების ადამიანია, ქმედება, საქმის კეთება ნამდვილად საფუძვლიანია. აი, მისი სტიქია. და ეს მოქმედება ხშირად იქცევა საბრძოლო მოქმედებად, რომელიც საფუძვლად ედება დიდ საქმეს. მე ვთქვი საბრძოლო მოქმედება, საიერიშო მოქმედება. მისი ასეთი მდგომარეობა ხშირად აღძრავს, ამშვენებს დიდ და რთულ მექანიზმს. იტყვი, რომ

მანქანა მუშაობს, ამუშავებულია მაგის ძალით. ამგვარი მუშაობა ხშირად გვაფიქრებინებს: ჩვენ ხაზს ვუსვამთ სიტყვას – მოქმედებას. მოქმედება, მოქმედება, მოქმედება. ამგვარად შეიქმნა ხუთმოქმედებიანი კომედია „ყვარყვარე თუთაბერი“. მოქმედების ადგილი თეატრია, სცენაა, მშვენიერი პიესაა. ყვარყვარე თუთაბერი ტიპია.

1950 წ.“

(გ. ტაბიძე, ტომი XII, თბ., გამომ. „საბჭოთა მწერალი“, 1975, გვ. 148-149).

ეს ჩანაწერი გალაკტიონს გაუკეთებია თავის დღიურში 1950 წელს, ხოლო უფრო ადრე, 1921 წლის 25 მარტს, გალაკტიონი თავის დღიურებში ასევე მოიხსენიებს პოლიკარპე კაკაბაძეს „ხელოვნების სასახლის“ მწერლებისათვის გადაცემასთან დაკავშირებით:

„ჩვენთვის (მწერლებისათვის, მ. კ.) მოუციათ დიდებული „ხელოვნების სასახლე“, მხოლოდ ძლიერ მაფიქრებს, რომ ამ სასახლის N არის 13.

მე დროებით აქ ვცხოვრობ.

მიმიღეს სიმპატიურად.

ვერ ვნახე პოლიო კაკაბაძე, მაგრამ სხვები აქ არიან.

რანაირი იქნება ჩემი მომავალი მუშაობა, ჯერჯერობით სრულიად არ ვიცი.

იქნება – კი.

სალამი ჩემს ბრწყინვალე მომავალს!“

(დასახ. ნაშრომი, გვ. 299).

პოლიკარპე კაკაბაძე ამ დროს ბათუმში იყო თავის ოჯახთან ერთად და სწორედ იმ დღეებში დაქორწინდა კიდეც თავის მშვენიერ სატრფოზე, მილა მიხაილოვზე. მათ ხელი მოაწერეს 1921 წლის 7 მარტს.

ხაზგასმით ვიმეორებ, გალაკტიონი ხსენებულ ჩანაწერს თავის დღიურში აკეთებს 1921 წლის 25 მარტს, სადაც მოიხსენიებს

პოლიკარპე კაკაბაძეს, როგორც პოლიო კაკაბაძეს. მართლაც, პოლიკარპე კაკაბაძე არ დასწრებია მაჩაბლის ქუჩაზე „ხელოვნების სასახლის“ მწერლებისათვის გადაცემას, რადგან იგი ამ დროს არ იყო თბილისში, იყო ბათუმში.

მამაჩემი ამბობდა, ერთად როცა ვცხოვრობდით მე და გალაკტიონი, იგი უფრო ნაკლებსაც სვამდა და უფრო მოვლილიც იყოო, ვინაიდან დიასახლისი გვიკეთებდა სადილ-ვახშამს, გვირეცხავდა, სახლს გვილაგებდა და მოწესრიგებულად ვცხოვრობდითო.

მამაჩემს, როგორც აღვნიშნე, განსაკუთრებით მოსწონდა ოლია ოკუჯავა, დიდად აფასებდა მის ნიჭიერებასა და პიროვნულ თვისებებს და ძნელად ეგუებოდა იმ გარემოებას, რომ ოლიას შემდეგ გალაკტიონს სხვა მეუღლე ჰყავდა, თუმცა კარგად იცნობდა იმ ქალბატონსაც და დადებითი აზრისა იყო მასზე.

– ოლია მეტად თავისებური ადამიანი იყო, ნიჭიერი, აზროვნებაც დამოუკიდებელი და ორიგინალური ჰქონდა, ჩაცმაც ორიგინალური იცოდაო, – ამბობდა მამაჩემი.

მამამ ჩემთან საუბარში გაიხსენა ერთი მეტად საგულისხმო დეტალი ოლიასთან დაკავშირებით. ერთხელ ოლიამ მითხრა: – „პოლიკარპე, გალაკტიონი გენიოსია!“

ასე რომ, გალაკტიონის გენიოსად აღიარება ეკუთვნის პირველად ოლია ოკუჯავას, თითქმის ერთი საუკუნის წინ. ეს მისი აღმოჩენა იყო, რომელიც თითქმის ერთი საუკუნის მერე, უკვე ჩვენს სინამდვილეში, გალაკტიონის გარდაცვალებიდან მრავალი წლის შემდეგ, სხვებმაც გაიმეორეს.

გენიოსებს სიცოცხლეში ტანჯვა მოელით, მათ მუდმივად დევნის შური და მტრობა უნიჭო თანამოკალმეთა მიერ.

იგივე ხვედრი ხვდა წილად პოლიკარპე კაკაბაძესაც.

1928 წლის შემდეგ, გალაკტიონის მკვლევართა აღიარებით, პოეტის შემოქმედება შეიცვალა, ნაწილობრივ კონიუნქტურას დაემორჩილა.

პოლიკარპე კაკაბაძე დათმობების წინააღმდეგი იყო ხელოვნებაში. ამ თავის მოსაზრებას მამა არასოდეს მალავდა. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში, როცა გალაკტიონის თორმეტტომეულზე ჩამოვარდა ლაპარაკი.

მამაჩემის მტრებმა, რომლებიც, სინამდვილეში, გალაკტიონის მტრებიც იყვნენ, ხელზე დაიხვიეს ეს ინტერვიუ და პოლიკარპე კაკაბაძე პოეტის მტრად გამოაცხადეს.

ეს ის ხალხი იყო, რომლებიც თვითონ უწყობდნენ ინტრიგას გალაკტიონს და სიცოცხლის ბოლო წლები გაუმწარეს. მწერალთა კავშირში რომ შევიდოდა, მის ზურგს უკან ქირქილებდნენ, აგინებდნენ, დამცინავ სიტყვებს, ლოთს ეძახდნენ. მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გაუბედა და თავის კაბინეტში გალანძღა, ლოთი ხარო. ამასაც აღარ დააჯერეს, მის წინააღმდეგ წერილი გამოაქვეყნეს გაზეთში – გალაკტიონი გააკრიტიკეს უნიჭოებმა. თვითონ მედროვეები, ხელისუფლების ლაქუცები, უნიჭოები, ვერ იტანდნენ ნიჭიერებას. ასე მიიყვანეს გალაკტიონი თვითმკვლელობამდე! მერე გამოაცხადეს, გალაკტიონს თავის მოკვლა ყოველთვის უნდოდაო, ახალგაზრდობიდან სულ ამაზე ოცნებობდაო.

არის კი ვინმე, ვისაც ერთხელ მაინც, ან თუნდაც არაერთხელ უთქვამს, ნეტავ, მოვმკვდარიყავიო! მაგრამ განა ადამიანი მართლაც ასე იკლავს თავს? და განა მაშინ მოიკლა გალაკტიონმა თავი, როცა საყვარელი მეუღლე გადაუსახლეს და დაუხვრიტეს? ან როცა ახალგაზრდობაში წერდა ლექსს – „სიკვდილის გზა არრა არის, ვარდისფერ გზის გარდა“?..

პირიქით, ის სულ იბრძოდა თავის გადასარჩენად. სწორედ ამის გამო, 1928 წლიდან, ნაწილობრივ, დაემორჩილა კონიუნქტურას, რომ როგორმე გაეძლო იმ სასტიკი ზეწოლისათვის, რომელსაც განიცდიდა ხელოვანი ტოტალიტარული რეჟიმის გამო.

ადამიანი იბრძვის სიცოცხლისათვის, რაც უნდა დიდ ტანჯვაში იყოს. ასეთია ადამიანის ბუნება – ნატრობს სიკვდილს და იბრძვის სიცოცხლისათვის!

სიცოცხლისათვის იბრძოდა გალაკტიონი დიდი სულიერი ტკივილების დროსაც, მაგრამ იგი შეურაცხყვეს, თავმოყვარეობა შეულახეს, დაამცირეს, დასცინეს. მის უნატიფეს პოეზიას, რომლითაც იგი სუნთქავდა, ირონია და ცივი ცინიზმი შეაგებეს, და მან თავი მოიკლა.

გალაკტიონის თვითმკვლელობა იყო პროტესტი იმ არსებული სინამდვილის წინააღმდეგ, რომელიც ირგვლივ სუფევდა და იმ

დამამცირებელი ინტრიგების წინააღმდეგ, რომლებიც თავს დაატეხეს სიცოცხლის ბოლო ხანებში.

გალაკტიონი გააკრიტიკეს გაზეთში. ასეთი რამ მხოლოდ რეპრესიის წლებში ხდებოდა და ახლა, ორმოცდაათიანი წლების ბოლოს, 1959 წელს, ეს სრულიად მოულოდნელი იყო. საზოგადოება თვლიდა და, რა თქმა უნდა, თვითონ გალაკტიონიც, რომ ეს ინტრიგა მის წინააღმდეგ მწერალთა სახლში დაიგეგმა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მეთაურობით, რომელიც იმ წლებში განსაკუთრებით აღზევდა. კომპარტიის პირველი მდივნის, ვასილ მჟავანაძის ისე არ ეშინოდათ იმ პერიოდში, როგორც ამ კაცის. ყველამ ჩათვალა, რომ გალაკტიონის გაკრიტიკება მის მიერ მოწყობილი საქმე იყო.

შემდეგ ამ ფაქტს ყოველნაირად ჩქმალავდნენ, სკანდალი არ უნდოდათ. გალაკტიონის ძმისშვილს, ნოდარ ტაბიძეს, დააწერინეს, გალაკტიონი სულ თვითმკვლელობას აპირებდაო... ახალგაზრდობიდანო...

მამაჩემმა მეტად მძიმედ განიცადა გალაკტიონის სიკვდილი.

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მამა ყოველთვის ძლიერად განიცდიდა ადამიანის სიკვდილს. უცნობი ადამიანის გარდაცვალებასაც კი რომ გაიგებდა, საშინლად შეშფოთდებოდა, ხოლო ნაცნობების და, მით უმეტეს, მეგობრებისა და მახლობლების სიკვდილს ხომ განსაკუთრებით ტრაგიკულად აღიქვამდა, მაგრამ გალაკტიონის სიკვდილი მაინც მეტად მძიმედ განიცადა. ის ისეთი ტანჯული და ტრაგიკული იყო იმ დღეებში და მერეც, დიდხანს, ამ ამბის გამო, როგორიც არასდროს. მეტად ღრმა იყო მისი ტკივილი...

მამა თვლიდა, რომ ეს იყო გალაკტიონის გმირული საქციელი. იგი ამბობდა, გალაკტიონი მოკვდა, როგორც ნამდვილი პოეტიო.

გალაკტიონმა ამ სიკვდილით გამოხატა დიდი პროტესტი, რომელიც მის სულში იყო ყველაფრის წინააღმდეგ, რაც მის ირგვლივ სუფევდა.

მეც საშინლად განვიცადე ეს ტრაგედია, მამაჩემის ტანჯვა ჩემზეც გადმოვიდა. დღე და ღამე მწერალთა სასახლეში ვიყავი, ღამის ორ საათზე ვბრუნდებოდი შინ. ისეთი გრძნობა მქონდა,

თითქოს რეპრესიის წლები დადგა, ახალი ოცდაჩვიდმეტი დაიწყო, რომელსაც გალაკტიონმა პროტესტის ასეთი ფორმით უპასუხა.

გალაკტიონი მწერალთა სასახლის დარბაზში რომ დაასვენეს, პირველი, იებით მოწნული გვირგვინი მის კუბოსთან მე მივიტანე.

ზღვა ხალხი მიაცილებდა საყვარელი პოეტის ნეშტს მთაწმინდისაკენ.

პროცესიას წინ მიუძღოდა სამი გოგონა, ბალიშებზე დასვენებული ორდენებით. მათ შორის მე ვიყავი ერთ-ერთი, რიგში მეორე, მესამე იზა ორჯონიკიძე იყო, ჩემს უკან მოდიოდა, ხოლო პირველი ქალიშვილის გვარი არ ვიცი. ის ჩვენზე უფროსი იყო, იქნებ, ახალგაზრდა მწერალიც კი. იგი უცებ გაჩნდა იმ გარემოში და წინ ჩაგვიყენეს. მე მაშინ მთელი დღეები და საღამოები არ ვშორდებოდი ტრაგიკულად დაღუპული, ნაწამები პოეტის კუბოს.

მამაჩემმა მაშინ, იმ საშინელ დღეებში, სიცოცხლის ნაწილი დატოვა...

მათ მოკლეს გალაკტიონი და ეს ამბავი მოინელეს, და ახლა მის სახელს ამოეფარნენ და იმავეს უპირებდნენ პოლიკარპე კაკაბაძეს. ისინი ვერ იტანდნენ მათ ცოცხლებს, ვერ იტანდნენ ცოცხალ გენიოსებს.

რამდენი ინტრიგა მოუწყვეს, რამდენჯერ სცადეს პოლიკარპე კაკაბაძის დაჭერა და დაპატიმრება, მაგრამ ყოველთვის გადარჩა. ხოლო როცა მძიმედ ავადმყოფი, უიმედო მდგომარეობაში ნახეს, იფიქრეს, ახლა მაინც გავთავისუფლდებით ან კაცისაგანო, მაგრამ ღვთის შეწევნით გადარჩა და ისევ აქტიური შემოქმედებითი მუშაობა განაგრძო. 1966 წელს, ნახევრად ლოგინს მიჯაჭვულმა, დაასრულა თავისი დრამატული პოემა „ვახტანგ პირველი გორგასალი“, ტრილოგიის პირველი ნაწილი, რომელზეც მრავალი წელი მუშაობდა და გამოაქვეყნა კიდეც.

ამას აღარ მოელოდნენ.

იმ პერიოდში განსაკუთრებით აღზევებული იყო მწერალთა კავშირის თავმჯდომარე. მან ხომ 1966 წელს შოთა რუსთაველის იუბილე ჩაატარა, მოიწვია უამრავი უცხოელი სტუმარი, მაგრამ არ მოიწვია რუსთაველის გამოჩენილი მკვლევარი ვიქტორ ნოზაძე, რომლის ნაშრომებს უკვე ეყრდნობოდა ყველა მეცნიერი,

ვინც „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებით იყო დაინტერესებული. იგი ამ დროს ყველაზე მნიშვნელოვანი და პოპულარული რუსთველოლოგი გახლდათ. 1967 წელს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მოუწყო მამაჩემს თავდასხმა და ინტრიგა.

სწორედ ამ კაცის თაოსნობით და დავალებით, მწერალთა კავშირში მოაწყვეს კრება და სასტიკად დაამუშავეს პოლიკარპე კაკაბაძე, ვითომ გალაკტიონის დასაცავად. თვითონ მამაჩემი არ მიიწვიეს კრებაზე, დაუმალეს, რას უპირებდნენ. ოცდაჩვიდმეტშიაც კი, როცა ხდებოდა მათ დასაპატიმრებლად კრებაზე მწერლების დამუშავება, ისინი მიწვეული იყვნენ და ესწრებოდნენ ამ კრებას.

ზოგიერთმა ლაქუცა მლიქვნელმა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარის დავალებით, კრებაზე პირდაპირ მოითხოვა: მწერალთა კავშირიდან გავრიცხოთ პოლიკარპე კაკაბაძეო! „ლიტერატურულ საქართველოშიაც“ კი გააკრიტიკეს და გალანძღეს „ყვარყვარე თუთაბერის“ ავტორი.

მაშინ გაზეთის რედაქტორი იყო რეზი თვარაძე, ირაკლი აბაშიძის სიძე და მისი მარჯვენა ხელი. როცა მამაჩემის პასუხი მივიტანე „ლიტერატურულ საქართველოში“, თვარაძემ გაბედა და არ დაბეჭდა.

ეს ყველაფერი ოცდაჩვიდმეტი წლის რეპრესიას ჰგავდა, განმეორდა ზუსტად იგივე მეთოდები. მაშინაც ასე ჩაატარეს მწერალთა კავშირში კრება იმ მწერლების დასამუშავებლად, რომელთა დაჭერა და დახვრეტა იყო გადაწყვეტილი. მაშინაც ასე მოითხოვეს, გავრიცხოთ მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციანი და პაოლო და სხვები მწერალთა კავშირიდანო და მაშინაც არ დაუბეჭდეს მათ პასუხები. როცა შენი განადგურება უნდოდათ, ჯერ პრესაში გაგლანძღავდნენ და მერე პასუხსაც არ დაგიბეჭდავდნენ. ასეთი იყო საბჭოური მეთოდი ადამიანის გასანადგურებლად და ასეთი იყო საბჭოური კრიტიკა. საბჭოთა კრიტიკოსი საშიში კაცი იყო (ჩემს ახალგაზრდობაშიც ასე იყო და მეც, პირადად, განვიცადე ასეთი თავდასხმა, მაგრამ ამაზე სხვა დროს).

პირდაპირ სტალინური რეპრესიების მეთოდით დაეძგერნენ მამაჩემს, მაგრამ სტალინის დრო უკვე წასული იყო და მას ვეღარ დააპატიმრებდნენ და ვეღარც დახვრეტდნენ.

მამაჩემმა ისევ გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზია“-ში დაბეჭდა პასუხი. მისი რედაქტორი იყო გიორგი ბედინეიშვილი, რომელმაც მას მხარი დაუჭირა.

პოლიკარპე კაკაბაძემ იშოვა სხვა მომხრეებიც (მათ შორის, საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი კულტურის დარგში დევი სტურუა) და შეაღწია ქვეყნის პირველ პირთან, ცეკას პირველ მდივანთან, ვასილ მჟავანაძესთან. ამ უკანასკნელმა, ცხადია, ყველაფერი იცოდა, მაგრამ მან იცოდა ისიც, რომ ახლა სტალინური რეპრესიის გამეორება, ისიც რესპუბლიკის ასეთ ცნობილ და სახელოვან მწერალზე, დიდ სკანდალს გამოიწვევდა და მიზანშეწონილი არ იყო. ამას ის ვერ გაბედავდა და არც დაუჭერდა მხარს. საბჭოთა კავშირი ამ პერიოდში მსგავს პოლიტიკას აღარ ადგა.

მალე მწერალთა კავშირის თავმჯდომარის პოსტზე დანიშნეს გრიგოლ აბაშიძე, ხოლო რეზი თვარაძეს დაატოვებინეს „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორის პოსტი.

ასე დამთავრდა მამაჩემის წინააღმდეგ 1967 წელს მოწყობილი ინტრიგა. მათი ანგარიშით, ამ თავდასხმებს ვეღარ გაუძლებდა ასაკში შესული, ნაავადმყოფარი ადამიანი, მაგრამ შეცდნენ. მამაჩემი მეტად ძლიერი პიროვნება იყო და ცხოვრების მანძილზე მრავალი თავდასხმისათვის გაუძლია და გმირულად გადაუტანია. ამასაც გაუძლო.

ამის შემდეგ მან კიდევ ხუთი წელი იცოცხლა.

* * *

ერთხელ ერთმა მწერალმა უთხრა მამაჩემს: პოლიკარპე, ჩვენ ყველანი ასე ვცხოვრობთ, როგორ შეიძლება, ყველაზე მართალი იყოო.

– თქვენ შეიძლება ასე ცხოვრობთ, მაგრამ მე – არაო!

ჭიჭიკო ბიძია

1968 წელი. ამ წელს მამაჩემმა დაკარგა ერთადერთი ძმა, მხოლოდ იგი იყო ოჯახში, ვინც მამაჩემს მუდამ მხარში ედგა.

ჭიჭიკო ბიძია – მაღალი, წარმოსადეგი, ახოვანი, ლამაზი, საუკეთესო ვაჟკაცი, თავმომწონე, მიმზიდველი და საინტერესო ადამიანი. ქალები მუდამ გარს ეხვივნენ, სულ ვიღაცას აცნობდნენ და ურიგებდნენ ნაცნობები, მეზობლები, ნათესავები, მეგობრები. ჰყავდა საცოლეები, ხან ერთი, ხან მეორე, მაგრამ მაინც ასე უცოლშვილოდ დარჩა ბოლომდე. ვაკის მრავალი საპატარძლო ნატრობდა მის ცოლობას, მაგრამ ამაოდ.

ბიძაჩემი ახალგაზრდობაში ხელგაშლილ ცხოვრებას ეწეოდა, უყვარდა მეგობრებში ქეიფი, დროსტარება, ფულის მშოვნელიც იყო, ყველა ნათესავის, მეზობლისა თუ ნაცნობის ხელის გამმართველი.

– ჭიჭიკო, ფული მასესხე, აუცილებლად გადაგიხდი, მიჭირს ძალიან, მჭირდება! – მსგავსი ტექსტებით მოდიოდნენ ნაცნობ-მეგობრები თუ მახლობლები კეთილ და შეძლებულ ადამიანთან, ხელი რომ გაემართა.

ჭიჭიკო ბიძია ვალს თავად არავის შეახსენებდა. იგი ნამდვილი ქრისტიანი იყო. ასე რომ, მისი ვალი ბევრს ემართა. იცოდა, ვერ გადაუხდიდნენ, მაგრამ მაინც ასესხებდა. იგი ბუნებით ქველმოქმედი იყო.

კეთილი და გულუხვი კაცი იყო ბიძაჩემი, ადამიანები ეცოდებოდა.

ჩვენ?

იყო გაჭირვების წლები, სტალინური რეპრესიების ახალი, მეორე პერიოდი, ორმოცდაათიანი წლების დასაწყისი, რომელიც მე კარგად მახსოვს. თითქმის სანახევროდ ბიძაჩემის ხარჯზე ვიყავით, რადგან მამაჩემს ამ დროს, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, განსაკუთრებით დევნიდნენ და ყოველდღე დაჭერას მოელოდა.

* * *

მახსოვს ჭიჭიკო ბიძია ახალგაზრდობაში, დიდებული შავი ქოჩრით. შემდეგ, ასაკში რომ შევიდა, ეს ქოჩორი დაკარგა, მაგრამ ლამაზი თავი ჰქონდა, ლამაზი შუბლი და სახის ნაკვთები. ოდნავ მაღალი ცხვირი, რომელიც ძალიან უხდებოდა მის სახეს, ხასიათს აძლევდა. მოთეთრო, სასიამოვნო სახის ფერი და ლამაზი მეტყველი თვალები, მონაცრისფრო და მომწვანო, ხავერდოვანი, თაფლისფერიც ერია. საუბარი სასიამოვნო, დინჯი, მომხიბვლელი, ზოგჯერ მღელვარე, ხმამაღალი. ახალგაზრდობაში ჩხუბიც კარგი იცოდა. სახელგანთქმული ვაჟკაცი იყო, ძლიერი, ფიცხი და მგზნებარე ხასიათის, ვაგლახად ვერავინ დაელაპარაკებოდა.

ერთხელ, ომის შემდგომ წლებში, ჭიჭიკო ბიძია სახლში გვიან ბრუნდებოდა, ღამის პირველი საათი იყო. ბიძაჩემმა კარგი ჩაცმა იცოდა, გემოვნებიანი და პეწიანი. ახლაც საუკეთესო ახალი პალტო ეცვა. აედევნენ ქურდები, ოთხი ბიჭი. ჰკითხეს, რომელი საათიაო და უცებ, ერთმა მათგანმა შუბლზე რევოლვერი დაადო, ორი აქეთ-იქიდან მკლავებში ეცა: პალტო გაიძრეო, – უთხრეს. მეოთხეც იქვე ტრიალებდა, დარაჯობდა.

– ხელი გამიშვით, რომ გავიხადოო, – უპასუხა. და უცებ, ხელი რომ შეუშვეს, პალტოს კალთები სწრაფად აიწია და ამ ბიჭებს თავზე წამოაფარა. ამასობაში შუბლი გვერდზე გასწია, რომ ტყვია არ მოხვედროდა და ეს ორივე ბიჭი ერთმანეთს მიანარცხა. რევოლვერის პატრონმა გაისროლა და ჭიჭიკო ბიძიას ტყვიამ საფეთქლის ახლოს შუბლი გაუკაწრა, სამივეს დაესია და სამივე გალახა, მეოთხე გაიქცა. სროლისა და ყვირილის ხმაზე მილიციონერიც გამოჩნდა, თურმე, ახლო ქუჩაზე მორიგეობდა. შეიყარა ხალხიც, ატყდა აყალ-მაყალი. დაიჭირეს ორი თუ სამი ბიჭი, მილიციაში წაიყვანეს. საავადმყოფოში ექიმებმა ბიძაჩემს შუბლი შეუხვიეს, მაგრამ ჭრილობა ღრმა არ აღმოჩნდა და მალე მოურჩა.

მეორე დღეს, დილაადრიან, ამ ბიჭების დედები მოვიდნენ ჭიჭიკო ბიძიასთან, მუხლებში ჩაუვარდნენ: ნუ დაგვღუპავ, შვილებს ციხეში ნუ ჩაგვიყრიო. ბიძაჩემმაც სულგრძელად გააშვებინა ბიჭები: მე ვერ ვცნობ, მგონი, ესენი არ იყვნენო.

ერთხანს დადიოდა შუბლშეხვეული და მთელი ვაკე მის გმირობაზე ლაპარაკობდა. ამ დროს ბიძაჩემი უკვე ორმოცდაოთხი წლის კაცი იყო, მაგრამ ბევრ ახალგაზრდას სჯობდა.

ჩვენ ეს ამბავი ქვიშხეთში გავიგეთ.

1924 წლის გამოსვლები

ამ დიდ, საბედისწერო თარიღს ჩვენი ოჯახის გარეშე არ ჩაუვლია.

ოცდაოთხი წლის პირველ თებერვალს გამოდის მამაჩემის მიერ დაარსებული ჟურნალი „მნათობი“, რომელიც იყო „შვიდი მნათობის“ აღდგენილი, ახალი ვარიანტი, ხოლო ამ წლის ოქტომბერში მამაჩემს უწყობენ დიდ დამუშავებას, დაპატიმრების მიზნით და აიძულებენ, „მნათობი“ დატოვოს.

მაგრამ არასოდეს შევხებივარ ბიძაჩემის, ჭიჭიკოს მონაწილეობას ამ დიდ, საბედისწერო მოძრაობაში. არადა, იგი მონაწილე იყო ოცდაოთხი წლის გამოსვლებისა და ამისათვის ორჯერ იქნა დაპატიმრებული და დასახვრეტთა სიაში შეტანილი, მაგრამ გადარჩა მახლობელთა და თანამგრძნობთა დახმარებით.

მახსოვს, როგორ შთამბეჭდავად ყვებოდა იგი ამ სევდიან, მძიმე ამბებს.

ერთი ეპიზოდი ასეთი იყო:

მატარებლით მოგზაურობდნენ დასავლეთ საქართველოდან თბილისისაკენ. ღამით მატარებელი გააჩერეს სადღაც, ზესტაფონის მიდამოებში. სათითაოდ გაჰყავდათ რონოდაში მსხდომი ვაჟკაცები და არც ერთი მათგანი უკან არ ბრუნდებოდა. მათ იქვე საველე სასამართლოს უწყობდნენ და ხვრეტდნენ. დილამდე გაგრძელდა ეს შემზარავი პროცედურა.

დილით, როგორც შემდეგ გაირკვა, რაღაც ბრძანება მიიღეს დახვრეტის შეჩერების შესახებ და ამრიგად, ამ რონოდაში მსხდომთა მცირედი ნაწილი ცოცხალი გადარჩა, მათ შორის, ბიძაჩემი.

ბიძაჩემი ასახელებდა იმ ადამიანთა სახელებს და გვარებს, რომლებიც გაჰყავდათ დასახვრეტად, მაგრამ მე ისინი არ მახ-

სოვს, სამწუხაროდ. რონოდაში სულ ახალგაზრდა ვაჟკაცები ისხდნენ, მონაწილეები და თანამგრძნობნი ოცდაოთხი წლის გამოსვლებისა. ისინი ყველანი ბიძაჩემის ნაცნობთა და მახლობელთა წრიდან იყვნენ.

მახსენდება ერთი ეპიზოდი ბიძაჩემის მონათხრობიდან, ერთადერთი სახელი, გაგი, რომელსაც ბიძაჩემი ასახელებდა. ამიტომ მინდა მოვიხსენიო იგი, როგორც იმ ტრაგიკული ისტორიის მონაწილე.

ბიძაჩემთან ერთად რონოდაში იჯდა ვინმე გაგი, თავისი თხუთმეტი-თექვსმეტი წლის ვაჟიშვილითურთ. მათთან ერთად იყო მათი ერთი უახლოესი ნათესავი თუ ოჯახის მეგობარი. გაგი რომ გამოიძახეს და მიჰყავდათ, შვილი ჩააბარა იმ მეგობარს, უთხრა, შენ გიტოვებ ჩემს შვილს და ოჯახს, უპატრონეო... მაგრამ მცირე ხანში ის მეგობარიც გაიყვანეს, რომლის სახელი მე აღარ მახსოვს, მხოლოდ ვაჟი გადარჩა. ყოველ შემთხვევაში, მაშინ არ დაუხვრეტიათ.

ასე, მთელი ოჯახებით ამოწყვიტეს ქართული საზოგადოების საუკეთესო ნაწილი, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ სამშობლო არ გაუყიდიათ.

ცნობილია, რომ ამ პერიოდში ჭიათურისა და ზესტაფონის მიდამოებში მატარებლებს აჩერებდნენ, ხალხს ამოწმებდნენ, გაჰყავდათ, ხვრეტდნენ ან აპატიმრებდნენ.

ისტორიკოსები ასახელებენ მატარებლის მგზავრთა ერთერთ ასეთ შემადგენლობას, რომელიც მთლიანად დახვრიტეს და დაწვეს ჭიათურის მიდამოებში, მაგრამ ბიძაჩემის ეპიზოდი, ვფიქრობ, ეს არ არის, რადგან მგზავრთა ნაწილი გადარჩა, მათ შორის ბიძაჩემი.

ჩვენს ოჯახში მეორე შემთხვევასაც ახსენებდნენ, როცა ჭიჭიკო ბიძია ოცდაოთხი წლის გამოსვლების გამო დააპატიმრეს და დასახვრეტთა რიგებში ჰყავდათ. იქ მის გათავისუფლებაში მონაწილეობა მიუღია ვინმე ვასიკო ცაგურიას, ბოლშევიკების იმჟამინდელი მთავრობის წევრს, რომელსაც ცოლად ჰყავდა კაკაბაძის ქალი, როგორც მახსოვს, კატო კაკაბაძე, ჩვენების ახლო ნათესავი. ეს ცაგურია კარგად იცნობდა მალხაზ კაკაბაძის ოჯახს და

მათი პატივისცემით დაეხმარა ბიძაჩემს და გამოაშვებინა კიდეც ციხიდან ცოცხალი.

ასეთი იყო ბიძაჩემის მონაწილეობის მოკლე ისტორია ოცდაოთხი წლის გამოსვლებში.

* * *

ჩვენ, მთელი ოჯახი, როგორც ადრეც ვთქვი, ჭიჭიკო ბიძიასთან ვცხოვრობდით მუდმივად, 1949 წლიდან 1956 წლამდე, შვიდი წელიწადი, ბინის მიღებამდე. მზია მასთან ცხოვრობდა 1942 წლიდან, ხანგამოშვებით, მას შემდეგ, რაც მამამ ომის დროს საკუთარი ბინა გაყიდა. მამაჩემიც, როცა თბილისში საქმეებზე ჩამოდიოდა ქვიშხეთიდან, საგურამოდან, ქუთაისიდან თუ სურამიდან, სადაც ოჯახთან ერთად იყო გადახვეწილი, ყოველთვის ბიძაჩემის ბინაში ცხოვრობდა და ეს მისი ნავთსაყუდარი იყო.

– ჭიჭიკო, რატომ ცოლს არ ირთავ? შვილები გეყოლებაო, – ეტყოდნენ მეზობლები და ნათესავები. – ესენია ჩემი შვილებიო! – ეუბნებოდა ბიძაჩემი ჩვენზე. მას ძალიან ვუყვარდით და ზრუნავდა ჩვენზე, როგორც ღვიძლი მამა.

ჭიჭიკო ბიძიას ჩემი ძმა მალხაზი ჩაწერილი ჰყავდა თავის ბინაში, როგორც კანონიერი მემკვიდრე და ბიძიას გარდაცვალების შემდეგ ეს ბინა მალხაზს დარჩა კიდეც.

– ორ ძმას ერთი ვაჟი გვყავსო, – ამბობდა ბიძაჩემი. მალხაზი მისთვის ყოველთვის განსაკუთრებული სიყვარული იყო, ორი ძმის ნალოლიავები კეთილი ბიჭი.

მაგრამ დადგა გაჭირვების მძიმე წლები და ბიძაჩემის ის ბინაც ჩალის ფასად გაიყიდა, რადგან ჩემს ძმას და ჩვენს ოჯახს არსებობის ყოველგვარი სახსარი ამოეწურათ.

ჩემმა კეთილმა ძმამ ამ ფულის ნაწილი თავისზე მეტად გაჭირვებულ მეგობრებსაც კი გაუზიარა. ის ასეთი იყო!

მალხაზი, როგორც ვთქვი, უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა, მაგრამ კაპიკებს იღებდა, როგორც ყველა სხვა პატიოსანი სწავლული და უდიდეს გაჭირვებაში იყო, განსაკუთრებით სიცოცხლის ბოლო ხანებში და თავისი გაჭირვებული დების და მათი ოჯახების ხარჯზე არსებობდა.

ჩვენ იმ წლებში გავყიდეთ, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა და არ შეიძლებოდა, სულის შესანარჩუნებლად. ჩემმა მეუღლემ თავისი სამხატვრო სახელოსნოც კი გაყიდა „მზიურის“ ტერიტორიაზე. ამ დროს კი მისი ბრწყინვალე ქანდაკებები ამშვენებდა თბილისის ცენტრს და ისინი განსაკუთრებულ ადგილს იკავებდნენ, და დღესაც იკავებენ, საქართველოს საქანდაკო ხელოვნების ყველაზე მნიშვნელოვან ქმნილებათა შორის.

* * *

ჩემი საყვარელი ბიძა – რამდენი სიკეთე და რამდენი მოფერება მახსოვს მისგან!

სამოციანი წლების დასაწყისში (1961-1962 წლებში) საბჭოთა კავშირში მოხდა მოულოდნელი სასწაული. მთავრობამ, რომელიც საკუთარ ხალხს სულ მტერივით ავიწროებდა და ზღუდავდა, ახლა პრაგმატული სიკეთე გამოიჩინა: საბჭოთა კავშირში გაჭირვებული ხალხისათვის კოოპერატიული სახლების მშენებლობა დაგეგმეს. ბინის ღირებულების ორმოც პროცენტს წინასწარ იხდიდი, დანარჩენ ვალს – ათი თუ თხუთმეტი წლის მანძილზე ნაწილ-ნაწილ. ეს გაჭირვებული ხალხისათვის პირდაპირ ხსნა იყო.

ამ დროს ნათელა უკვე დაქმარშვილებული იყო და თავისი ოჯახით ჩვენთან ცხოვრობდა. მზიაც სულ ცალკე ბინაზე ოცნებობდა. მამაჩემის შვილებში ის უფროსი იყო და ბევრი გაჭირვებაც გადაიტანა: ოჯახის მთელი სიმძიმე, უბინაობა, ომის წლები, მამაჩემის დევნა-შევიწროება სულ მის მხრებზე გადადიოდა. იგი ჩემზე თხუთმეტი წლით უფროსი იყო. ომი რომ დაიწყო, ცხრამეტი წლის იყო მზია, ულამაზესი გოგონა, მეორე კურსის სტუდენტი, უნივერსიტეტში ინგლისურ ენასა და ლიტერატურას სწავლობდა. ამ დროს ოჯახში იყვნენ პატარა ბავშვები, უმწეო დედა, რომელსაც უფროსი შვილის დახმარება სულ სჭირდებოდა. მზია ჩვენზე, უმცროს და-ძმებზე, მუდამ ზრუნავდა. როცა წამოვიზარდეთ, დაგვატარებდა თეატრებში, ოპერაში, მუზეუმებში, მამას სულ თავზე დასტრიალებდა, პირადი ცხოვრების მოწყობაზე ნაკლებად ზრუნავდა.

კოოპერატიული ბინის აშენების საკითხი რომ დადგა, მზია უკვე ოცდაათს გადაცილებული იყო და, ცხადია, ცალკე ოჯახზე ოცნებობდა.

მე ოცნებასაც ვერ გავბედავდი, მაგრამ სწორედ მზიას ინიციატივით და მონდომებით სამივე და შევედით ბინათმშენებლობის კოოპერატივში, თუმცა, სათანადო ფული არ გაგვაჩნდა.

რა გვექნა? როგორმე ფული უნდა შეგვეგროვებინა, და სწორედ ამ პერიოდში დაიდგა „კახაბერის ხმალიც“. ოჯახში რაღაცა ფული გაჩნდა, ნათელამ თავისი ნამზითვი ავეჯიც გაყიდა, ზოგი პროცენტიანი ვალი ავიღეთ და ამრიგად, კოოპერატივში შესატანი თანხის თითქმის ნახევარი მოგროვდა. მეორე ნახევარი?

ვინ გაგიმართავს ხელს, თუ არა სიკეთით და გულუხვობით სავსე ჭიჭიკო ბიძია, მხოლოდ მას შეუძლია გვიშველოს. ბინათმშენებლობაში შეტანილი თანხის ნახევარი სწორედ მისი ნაჩუქარი ფული იყო. ოცნებობდა, რომ ჩვენთან ერთად თვითონაც შემოვიდოდა ამ სანახევროდ მისი ფულით აშენებულ ერთ-ერთი ბინაში, მაგრამ ვერ მოესწრო. ესეც ბედი იყო. ჩემთან ცხოვრება უნდოდა, მაგრამ ესეც აუხდენელ ოცნებად დარჩა მისთვის.

* * *

იდგა 1968 წელი. იმ წელს ბიძაჩემს ფილტვებში სიმსივნე აღმოაჩნდა. მისი ავადმყოფობა ასე დაიწყო:

ჯერ კიდევ ორმოციანი წლების დასაწყისში, ომი ახალი დაწყებული რომ იყო, ჭიჭიკო ბიძია ძლიერ გაცივდა, არ ჩაწვა ლოგინში, დროზე არ იმკურნალა, გაციება ანთებაში გადაუვიდა და შემდეგ – ჭლექში.

ეს იყო მისი ცხოვრების ტრაგედია, რომელმაც სულ შეცვალა მისი ყოფა, მალე გაემგზავრა სამკურნალოდ აბასთუმანში, სადაც დაძლია ავადმყოფობა და სადაც გაატარა სამი წელი.

ომი რომ დამთავრდა, ჩამოვიდა თბილისში, კარგად იყო და აბასთუმანში აღარასოდეს წასულა, აღარ სჭირდებოდა, ჩვეულებრივ ცხოვრებას და მუშაობას დაუბრუნდა.

მაგრამ ახლა, 1968 წელს, ფილტვებში ძლიერი ტკივილი დაეწყო. ექიმები ეუბნებოდნენ, მარილების დაგროვება არისო,

ატყუებდნენ. სინამდვილეში სიმსივნე განვითარდა ძველი, ჩაკირული დაავადების კერებში.

საავადმყოფოში იწვა, ზაფხული იდგა, ივნისი.

მე სამსახურიდან მივლინებაში გამიშვეს მოსკოვსა და ლენინგრადში (ახლანდელი სანკტ-პეტერბურგი). დისერტაციაზე ვმუშაობდი, უცხოეთში რომანტიზმის შესახებ ბოლო დროს გამოცემული მასალები უნდა მომეძიებინა ჩემი დებულებების გასამყარებლად. ეწყინა, როცა ვუთხარი, მივლინებაში მივდივარ-მეთქი, გული დასწყდა. მაშინ არ ვფიქრობდი, თუ ასე მალე დატრიალდებოდა უბედურება.

როცა ჩამოვედი, ჭიჭიკო ბიძია უკვე ბორჯომში იყო წასული დასასვენებლად და სამკურნალოდ, ჩვენები – ქვიშხეთში.

ბორჯომში იმხანად ჩვენი საყვარელი ნათესავები ისვენებდნენ, ჩიტო და თამარა ხმალაძეები. ჭიჭიკო ბიძია შეხვედრია მათ და უთქვამს, სახლი რომ აშენდება, მანანასთან გადავალ საცხოვრებლადო.

ჩვენ ქვიშხეთში ვიყავით მთელი ოჯახი, როცა თვრამეტ აგვისტოს მოგვივიდა შემზარავი დეპეშა – ჭიჭიკომ სასწრაფო ოპერაცია გაიკეთა და მძიმედ არისო. წავედით მაშინვე მამაჩემი, მე, ნათელა და მალხაზი. მზია ამ დროს თბილისში იყო. ქვიშხეთში დარჩნენ დედაჩემი და პატარა, ხუთი წლის დათო.

უმძიმესი სურათი დაგვხვდა.

ჩემი საყვარელი ჭიჭიკო ბიძია საავადმყოფოში იწვა, მაგრამ მისი ცნობა აღარც შეიძლებოდა. ყოველთვის თავმომწონე, ამაყი, წარმოსადეგი, მარად ახალგაზრდული, მომხიბვლელი, მშვენიერ ქალთა დამატყვევებელი, სამ კაცს ერთად რომ გაუმკლავდებოდა და გამკლავებია კიდეც, ახლა იწვა 67 წლის კაცის ნაცვლად ღრმად მოხუცებული, მომაკვდავი ადამიანი, ოთხმოცდაათი წლის კაცს რომ ჰგავდა; აგონიაში იყო, ვეღარ გვცნობდა, ბოდავდა, ხან მიცვალებულთა, ხან ჩვენს სახელებს იმეორებდა: მანანა, მანანა! – მეძახდა, მაგრამ ვერ მცნობდა.

მე, ამ სურათის მნახველი, ცუდად გავხდი, ძლივს ჩავაღწიე ქვიშხეთში, ლოგინად ჩავვარდი, სიცხე ამივარდა, შოკში ვიყავი, აგვისტოს სიცხეებში მაკანკალებდა, გაყვითლებული, გალურჯებული ვიყინებოდი.

ცხრა დღე იტანჯა ბიძაჩემმა, მამაჩემი და ნათელა სულ თავზე ადგნენ, მზია და მალხაზი არ შორდებოდნენ. მე ცოტა რომ მოვჯობინდი და ისევ ბორჯომში ჩავედი, უკვე თითქმის გათიშული იყო.

ისევ მეძახდა ტანჯული ხმით: მანანა, მანანა! – მაგრამ ისევ ვერ მცნობდა.

მომვლელმა ქალმა, რომელიც თბილისში ჩამოჰყვა, როცა ჩამოასვენეს, იკითხა: – მანანა ვინ არის? რომელი არის? სულ მანანას ეძახდაო. მეუბნებოდაო: აგერ, იმ კუთხეში ზის მანანა, იქ მანანა არისო. – მე კი ამ დროს, სიცხიანი და აკანკალებული, საწოლში ვიწექი და ვიმდუღრებოდი, ტირილით ვიგუდებოდი.

შემდეგაც, თბილისში რომ ჩამოასვენეს, ყოველ ღამე ნემსებით მაბრუნებდა დედაჩემი, ისევ შოკში ვიყავი.

ძალიან მწარედ განვიცადე ბიძაჩემის სიკვდილი, მისი ტანჯული წასვლა ამსოფლიდან.

მამაჩემი ლანდად იყო გადაქცეული, გაყვითლებული, ტრაგიკული, წამებული სახით დაიარებოდა, აჩრდილს დაემსგავსა ორ კვირაში.

ძნელია ადამიანის დაკარგვა, მაგრამ განსაკუთრებით ძნელი იყო იმიტომაც, რომ ის მარტო იყო, მარტოსული ადამიანი. ის იყო ყველა ღირსებით შემკული კაცი, რომელსაც უნდა შეექმნა კარგი, სანაქებო ოჯახი, მაგრამ ის იყო მარტო და არ გრძნობდა თავს ბედნიერად, აღსასრულიც განსაკუთრებით მძიმე და სასტიკი ერგო. გულდაწყვეტილი წავიდა ამ სოფლიდან.

ბოლოს, წყენაც შეხვდა ერთი მახლობლისაგან და მძიმედ განიცადა, მაგრამ ღმერთმა ყველას მიუტევოს! ბიძაჩემი უყვარდათ ადამიანებს და ის იმსახურებდა ამას.

ღმერთს უყვარს კეთილი ადამიანები.

ბიძაჩემი სიკეთით სავსე ადამიანი იყო.

მამაჩემს გამოეცალა ერთადერთი ბოძი, ერთადერთი უსაყვარლესი ძმა, უერთგულესი მეგობარი.

ამ წუთისოფლიდან ასე მძიმედ მამაჩემს არავის წასვლა არ განუცდია.

ადამიანი ტანჯვისათვის არის გაჩენილიო, ამბობენ, მაგრამ მამაჩემს ძალიან ბევრი ტანჯვა შეხვდა. ჭიჭიკო ბიძიას სიკვდილი

მამაჩემისათვის მეტისმეტი ტანჯვა იყო. გაფითრებული, ტრაგიკული სახით მიჰყვებოდა იგი ძმის კუბოს და განიცდიდა უღონობას იმის გამო, რომ არაფრის შეცვლა არ შეეძლო. მხოლოდ, როცა მგალობელთა გუნდი, „შვიდკაცა“, საეკლესიო სიმღერებით გამოსათხოვარს უგალობდა, ოდნავ შვება იგრძნო, თითქოს ძმის სული ზეცას გაატანა, იმ ძმის, რომელთანაც მთელი ცხოვრება აკავშირებდა და რომელიც მხარში ედგა მუდამ. ახლა კი ის, მარტოხელა, უცოლშვილო, უშვილძირო მოგზაურობდა ამ სოფლიდან მარადიულ სამყოფელში, ღვთის სამსჯავროში.

ტანჯვით წავიდა ბიძაჩემი ამქვეყნიდან. იგი მხოლოდ სამოცდაშვიდი წლისა იყო. 1968 წლის 26 აგვისტოს გარდაიცვალა, პირველ სექტემბერს დავასაფლავეთ დედამისის გვერდით, ვაკის სასაფლაოზე. შემდეგში მამაჩემმა იქ ბრინჯაოს ძეგლი აუგო, მაგრამ 2012 წელს ეს ძეგლი სასაფლაოდან მოიპარეს, გააქრეს და ვერაფერი გავიგეთ მის შესახებ, ასლიც არ დაგვრჩა.

ძმის დაკარგვის შემდეგ მამაჩემი კიდევ უფრო ტრაგიკული გახდა და დიდხანს ვერ გაძლო.

ოთხი წლის მერე მამაც გამოეთხოვა სიცოცხლეს.

ნადია მამიდა

ის ნაზი ქალი იყო, მეტად ლამაზი, პოეზიით და მხატვრობით გატაცებული, ოჯახისაგან განებივრებული. ცხოვრების სიდუხჭირეს და სიძნელეებს სათანადოდ ვერ აღიქვამდა, ცხოვრება ბაღი ეგონა, სადაც მზეთუნახავებს ეთაყვანებოდნენ და აღმერთებდნენ კეთილი ადამიანები.

მაგრამ ცხოვრებამ სხვაგვარი რეალობა მიაგება და მან ამ რეალობას ვერ გაუძლო. მისი სიმშვენიერე და სინაზე დაჭკნა და მკაცრ სინამდვილეში დაიფერფლა.

მე მახსოვს, როგორი გრძნობით წარმოთქვამდა იგი გოეთესა და ბაირონის უბრწყინვალეს შედევრებს, უყვარდა გალაკტიონის ულამაზესი ლექსი „ატმის ყვავილები“.

ატმის ყვავილების მძიმე ბედს წააგავდა მთელი მისი ცხოვრება.

„ატმის ხე იდგა, ვით ნაზი ქალი,
ვით დედოფალი უცხო მხარეში“...

ის თვითონ იყო ამ ატმის ყვავილების მსგავსი და მისი სიცოცხლეც სწორედ ისევე განადგურდა, როგორც სასტიკი ქარისაგან ატმის ყვავილები.

ის ჩაიფერფლა ტანჯვით და უხმოდ, და არაფერი დარჩა მისგან, გარდა სევდიანი მოგონებისა. ის ნაზი იყო და კეთილი, მაგრამ ვერ შეეწყო დაუნდობელ რეალობას.

ნადია მამიდა გარდაიცვალა 1974 წელს, როცა მამაჩემი აღარ იყო ამქვეყნად.

სიკვდილის წინა დღეებში, როგორც თვითონ ამბობდა, მას სიზმარში მამაჩემი გამოეცხადა.

აღსასრული

1972 წელი, ყველაზე მძიმე წელი ჩვენს ცხოვრებაში!

მამა გარდაიცვალა!

მამა თავის ორტომეულს, „დრამატულ პოეზიას“ ბეჭდავდა, ძალიან ნერვიულობდა. პირველი ტომი უკვე გამოსული იყო 1971 წელს. ტირაჟი 30 ათასი იყო. 30 ათასის ჰონორარი გადაუხადეს, მაგრამ დაბეჭდეს მხოლოდ 10 ათასი. წიგნი თბილისშიც კი ძნელი საშოვნელი იყო, ხელისმომწერლებსაც არ ეყოთ, იმიტომ, რომ 30 ათასის ნაცვლად მისი მესამედი გამოსცეს. ამასთან, წიგნი გასავრცელებლად გაგზავნეს, ძირითადად, აზერბაიჯანულ და სომხურ რეგიონებში, ხოლო წიგნების ნაწილი ჩაკეტეს საწყობებში, რომ არ გავრცელებულიყო და მოსახლეობას არ წაეკითხა.

გეგმით, მეორე ტომიც მალევე უნდა დაბეჭდილიყო, მამაჩემი კვლავ იბრძოდა ტირაჟისათვის. არაფრით არ მისცეს 10 ათასზე მეტი, ძალიან ინერვიულა და წნევამ აუწია. გაუკეთეს წნევის დასაწევი ნემსი და დაუჩირქდა. ჩირქი ღრმად წავიდა კუნთებში. საჭირო იყო ოპერაცია. ქირურგი, პროფესორი ვასილ ბაბუხადია ეუბნებოდა: უცებ გაგიკეთებ ოპერაციას, ძალიან ადვილი ოპერაციაა და განთავისუფლდებიო. არ დაიჯერა. მოიტანეს ექიმბაშის წამლები (ნათელას დედამთილმა), დაადეს, – ეს ამოიყვანს ჩირქსო, მაგრამ უშედეგოდ.

მოიყვანეს ინფექციონისტი, ინფექციური საავადმყოფოს დირექტორი, პროფესორი გიორგი კვიტაშვილი. დაუწყო მკურნალობა, დაუნიშნა ძალიან დიდი დოზით ახალი, ამერიკიდან შემოტანილი მიცინები. ებრაელებში ვყიდულობდით, აფთიაქებში ჯერ არ იყო.

ვევედრებოდით მამას, დავუჩოქე, ოპერაცია გაიკეთე-მეთქი, მაგრამ არ დაიჯერა.

მაშინ მივხვდი, რომ ეს იყო ბედისწერა!

ამდენ მძიმე ავადმყოფობას გადაურჩა და ახლა იღუპებოდა.

მას ახალგაზრდობიდან ჰქონდა ღვიძლის სისუსტე, მალარიამ დაუტოვა. ოცდაჩვიდმეტ წელს, ყოველდღე დაჭერას რომ უპირებდნენ, ღვიძლის დაავადება საშინლად გაუმწვავდა, მძიმე ჰეპატი-

ტი დაემართა. ექიმები ეუბნებოდნენ, ორი თვე თუ გაძლებ ასეთი ღვიძლითო, მაგრამ მამამ მაშინ ეს სირთულეც დაძლია და გადარჩა. მაგრამ ახლა, როცა უამრავი ძლიერი მიცინით დატვირთა ორგანიზმი, გაუმწვავდა ჰეპატიტი და პროცესი ვეღარ შეაჩერეს.

იმ საბედისწერო 1972 წელს, როცა მამაჩემს ღვიძლის ჰეპატიტის გამწვავება დაეწყო, უკვე აღარ იყვნენ ცოცხლები მისი საუკეთესო ექიმები – პროფესორი ნიკოლოზ ყიფშიძე, რომელსაც ძალიან ენდობოდა მამა, კოტე მაჭარაშვილი, ჩვენი ოჯახის ექიმი, პროფესორი ალექსანდრე გზირიშვილი, რომელმაც 1965 წელს გადაარჩინა და მრავალი სხვა.

მამას ახალმა ექიმებმა სათანადოდ ვერ აუღეს ალღო მის ძირითად დაავადებას – ღვიძლის ჰეპატიტს.

ავადმყოფობა 1972 წლის გაზაფხულზე დაეწყო, სიცხეებს აძლევდა სეფსისის გამო და სვამდა ამ უმძიმეს მიცინს დიდი რაოდენობით და არ შველოდა.

ზაფხულში ოქროყანაში წავედით, ავად იყო, მაგრამ მაინც აქტიურად მუშაობდა, წერდა, კითხულობდა, იქიდან თბილისში ხშირად ჩამოდიოდა საქმეებზე, თავისი წიგნის გამოცემას დასდევდა ისევ.

შემოდგომაზე, სექტემბერში, სისუსტე მოერია.

ოქროყანიდან ჩამოსვლის შემდეგ, სექტემბერში, „ლეჩკომბინატში“ დავაწვინეთ. ორი კვირა იწვა – არავითარი შედეგი.

საავადმყოფოდან რომ გამოვიყვანეთ, მე და ჩემს მეუღლეს გვითხრა: ახლა წავიდეთ, გავისეირნოთო. ავედით ჩვენი მანქანით წყნეთში. ბუნება უყვარდა, ბუნებაში სეირნობა ესიამოვნა. ეს მისი უკანასკნელი გასეირნება იყო.

ბოლო კვირებში ძალიან გაფითრებული იყო, შინაგანი, ჩუმი სისხლდენა დაეწყო და არაფერი შველოდა. ბოლომდე ფეხზე დადიოდა, ჩავარდნილი არც ერთი დღე არ ყოფილა, მხოლოდ ბოლო კვირას იყო სულ სახლში, დასუსტდა, მუცელში წყალი ჩაუდგა. მოდიოდნენ სხვადასხვა პროფესორები, უნიშნავდნენ წამლებს, მაგრამ ამაოდ.

იცოდა, რომ მიდიოდა ამქვეყნიდან, რომ მისი დღეები დათვლილი იყო. ვიჯექი მის ახლოს, ხან მის ოთახში, ხან გვერდით ოთახში გაღებულ კართან, სულ ახლოს მის საწოლთან და ვუს-

მენდი მის საუბრებს ექიმებთან, ადამიანებთან. ვიცოდი, რომ ამ ხმას მალე ვეღარ გავიგონებდი. ვემშვიდობებოდით ერთმანეთს საუბრებით.

წინა დღეებში გაიხსენა თავისი გარდაცვლილი სატრფო, ახალგაზრდობაში რომ უყვარდა, დედაჩემამდე: ნატალი დამესიზმრაო. ისევ ისეთი გრძნობა მქონდა მის მიმართ, როგორიც ახალგაზრდობაშიო, ისეთივე აღფრთოვანებით ვიყავი განწყობილიო.

სიკვდილის წინ გარდაცვლილი სატრფო გამოეცხადა, როგორც ანგელოზი, რომ გასძღოლოდა სულეთის უცნობ ლაბირინთებში.

ბეატრიჩეს სულივით გამოეცხადა მას გარდაცვლილი სატრფოს აჩრდილი.

პოლიკარპე კაკაბაძის იდეალი იყო დანტესეული სიყვარული. მის ნაწერებში, მის ბოლოდროინდელ დრამებსა და ტრაგედიებში სუფევს ამგვარი სიყვარულის განწყობილება.

გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე ლიტერატურაზე ვსაუბრობდით, რომეო და ჯულიეტა გაიხსენა და თქვა: „ორი გენიოსი სული შეხვდა ერთმანეთს!“ – მნიშვნელოვნად შემომხედა, ჩაფიქრდა და ფიქრებში გააგრძელა აზრი...

იცოდა, მიდიოდა ამქვეყნიდან და ღვთაებრივ სიყვარულზე ფიქრობდა, უჭკნობზე, ტრაგიკულსა და მარადიულზე.

ასეთი ახსნა რომეოსა და ჯულიეტას სიყვარულისა არსად წამიკითხავს და არც გამიგონია. ეს იყო ღრმა და გენიალური ახსნა შექსპირის უკვდავი ტრაგედიისა.

სიცოცხლის ბოლო დღეებში იგი იყო მშვიდი, წყნარი, ტკივილების გამო არ კვნესოდა, არც ბედს ემდუროდა, მხოლოდ ფიქრობდა, სულ ფიქრობდა მარადისობაზე, სულის გარდასვლაზე იმიერ სამყაროში. მამას სიცოცხლე უყვარდა და ენანებოდა, რომ ეთხოვებოდა მას.

მაგრამ ყველაზე ძლიერად და უპირველესად, სიცოცხლეზე მეტად სამშობლო უყვარდა, უყვარდა სამშობლო, როგორც ღმერთი. მთელი მისი არსებობა იყო ამ სიყვარულში. მისთვის თმობდა და წირავდა ყველაფერს, თავის პირად და ოჯახის წევრების ბედნიერებასა და სიყვარულს, წირავდა ყველაზე უძვირფასესს, როგორც აბრაამი ერთადერთ, ნანატრ შვილს, ისაკს.

ეს იყო მისი გზა ღმერთისაკენ!

სამშობლოს ეს სიყვარული მას მიჰქონდა ღმერთთან მისაგებებლად.

* * *

როცა სისხლი აღებინა და ცხადი გახდა, რომ დათვლილი იყო მისი წუთები, მაშინ, მასთან უღონოდ დაჩოქილს და მტირალს, ხმამაღლა, ამაყად, საზეიმო ტონით და განსაკუთრებული შემართებით მითხრა: „მე სამშობლოსათვის ვიბრძოდი, საქართველოსათვის!..“

სიტყვას „სამშობლო“ იგი არ ხმარობდა უბრალოდ და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, სრულიად განსაკუთრებული ინტონაციით და მნიშვნელობით.

და ახლა, სიკვდილის წინ, წარმოთქვა ეს სიტყვა რაღაც საზეიმო ტონით, ხმამაღლა, თითქოს ისევ ბრძოლებში იყო. იქით მამხნევებდა, ჩემს ტანჯვას რომ გრძნობდა.

რას ებრძოდა იგი იმ წუთებში, აღსასრულის დასაწყისის წინ? სიცოცხლესთან განშორებას, თუ სამშობლოს ბედს? თუ იმ იდეას, რომ ვეღარასოდეს გააგრძელებდა თავგანწირულ ბრძოლას მისთვის, ერთადერთისათვის, ღვთიური სამშობლოსათვის? არ ვიცი, ალბათ, ყველაფერი ერთად იყო, განუყოფელი იყო... და ახლა, სიცოცხლესთან ერთად ტოვებდა მას, ერთადერთს, საოცნებოს, სამშობლოს, რომელსაც ეწირებოდა სულის დაუოკებელი ენერგიით და ცეცხლით, უფალმა რომ ჩადო მასში სიცოცხლესთან ერთად.

ამიტომ თქვა მან სიკვდილის წინ სიტყვა „სამშობლო“!

სანუკვარი და ღვთაებრივი სიტყვა!

იგი გმირი იყო, სამშობლოსათვის თავგანწირული გმირი!

* * *

მამაჩემს მუდამ უძლიერესად და უფაქიზესად უყვარდა ადამიანები, მახლობლები, ოჯახის წევრები, მტრებიც კი, და ახლაც, აღსასრულის წინ, არავის მიმართ საყვედური არ დასცდენია. ის ღმერთთან შესახვედრად ემზადებოდა, მაგრამ ენანებოდა დედამიწა,

სიცოცხლე და სამშობლო. მას ღმერთთან მიჰქონდა უკიდეგანო სიყვარული და დიდი ტკივილი, რომელიც, პირველ რიგში, ეკუთვნოდა მის ტანჯულ, დამონებულ სამშობლოს, საქართველოს. პოლიკარპე კაკაბაძე თავის დრამატულ ჩანაწერებში, მის საქაღალდეებში რომ დარჩა მრავლად, ყოველდღე ესაუბრებოდა ღმერთს წმინდა მეფის, ვახტანგ გორგასალის სახის გამოძერწვით. ამ ჩანაწერებში იგი, ავტორი, გაერთიანებული იყო თავისი პერსონაჟის ფიქრებთან, ვახტანგთან, რომლისთვისაც მთავარი იყო ღმერთი და სამშობლო და მათთვის თავის შეწირვა. და ასე, ფიქრებით, მწერალი ყოველდღე და ყოველღამე უახლოვდებოდა ღმერთს.

ხოლო ახლა, აღსასრულის ჟამს, იგი მიდიოდა მშვიდი და ტანჯული და თან მიჰქონდა სიყვარული, რომელიც მის სულში იყო.

მე დაუმთავრებელი ტრილოგიის, „ვახტანგ გორგასალის“ ჩანაწერების ნაწილი გამოვაქვეყნე, უდიდესი ნაწილი კი საქაღალდეებში დარჩა, ხოლო გამოუთქმელი ფიქრები ამ თემაზე ავტორმა თან წაიღო ღმერთთან.

ღმერთი და სამშობლო და მათთვის თავგანწირვა, ეს იყო ამ ნაწარმოების მთავარი თემა, რომელზეც ყოველდღე და ყოველღამე ფიქრობდა მამაჩემი და რაზეც წერდა მთელი ღამე, სანამ დილა გათეთრდებოდა...

სამწუხაროდ, მან ვერ მოასწრო ამ ჩაფიქრებული ტრილოგიის დასრულება, რაც დარდად გაჰყვა ამქვეყნიდან მიმავალს.

გამოქვეყნდა მხოლოდ პირველი ნაწილი, რაც ზემოთაც აღვნიშნეთ.

* * *

სიკვდილის წინ ჯორჯ ბაირონის უკანასკნელი სიტყვები იყო: „საწყალი საბერძნეთი! საწყალი ჩემი ხალხი!..“

დამონებული საბერძნეთის თავისუფლებისათვის ბრძოლას შეეწირა დიდი ბაირონი. იგი თავისუფლებისათვის თავგანწირული ღვთაებრივი გმირი იყო. ეს თავგანწირვა იყო მისი მაღალი სულის უკიდეგანო სიყვარულის გამოხატულება.

პოლიკარპე კაკაბაძის უძლიერესი სიყვარული და თავგანწირვა კი ეძღვნებოდა მის დამონებულ სამშობლოს, საქართველოს. ის ეწირებოდა ამ სიყვარულს.

ერთხელ გიგა ლორთქიფანიძემ მითხრა: მამაშენი გმირი იყოო... ყველა ადამიანს ნუ სთხოვ გმირობასო...

ვიცი, იგი იყო წმინდანი და გმირი!

ასეთ ადამიანებზე დგას ერის უკვდავება!

* * *

ჩემმა წმინდანმა მამამ ერთხელ მითხრა: ბოროტება ძალიან პატარაა ქვეყნად, სიკეთეა მთავარი და დიდი, ის არის მხოლოდ მარადიულიო.

მარადისობას სიკეთეში ხედავდა.

უყვარდა ადამიანი და ღმერთი იყო მისთვის სიყვარული. შეცდომებისათვის, სიცრუისა და სხვა სისუსტეებისათვის აკრიტიკებდა ადამიანებს, აშფოთებდა მათი სულმოკლეობა, ხატავდა მათ და ამხელდა თავის შემოქმედებაში, ამ მხრივ შეურიგებელი იყო. მაგრამ უყვარდა თავისი უარყოფითი გმირებიც, ისევე, როგორც უყვარდა ყველა ადამიანი, დამნაშავეც და უდანაშაულოც. ამიტომაც, მისი უარყოფითი გმირებიც არასოდეს იწვევენ სიძულვილსა და ზიზღს.

სიყვარული იყო პოლიკარპე კაკაბაძის მთავარი თვისება და ამ მარადიული სიყვარულით იყო იგი უფალთან.

* * *

იდგა 1972 წლის 14 ოქტომბერი – სვეტიცხოვლობა...

ეს იყო მძიმე დღე, საბედისწერო სვეტიცხოვლობა.

თოთხმეტ ოქტომბერს, თექვსმეტ საათზე, მამამ მეტად დიდი რაოდენობით სისხლი აღებინა. მოვიდა სასწრაფო, სისხლის გადასხმის ინსტიტუტში წაიყვანეს.

არ მინდოდა წაეყვანათ, მის გარემოში, მის საწოლზე მინდოდა დაელია სული, მაგრამ თვითონ წასვლა გადაწყვიტა, ბოლომდე იბრძოდა სიცოცხლისათვის. მას გმირული სული ჰქონდა და ვერ ეგუებოდა აზრს, რომ დაუმთავრებელი დარჩა ნაწერები. მის მშფოთვარე სულში ისევ გიზგიზებდა ცეცხლი, რომელიც უნდა გადმოღვრილიყო შემოქმედებაში და ბოლომდე დაფერფლილიყო. მას უნდოდა გაეცოცხლებინა ვახტანგ გორგასალი ტრილოგიაში, და რომ ვერ დაასრულა ეს ჩანაფიქრი, ეს იყო მისი ყველაზე

დიდი სულიერი ტკივილი, მისი პირადი ტრაგედია. მამა თვლიდა, რომ ეს თავისი მისია იყო, რომელიც უნდა განეხორციელებინა და მტკივნეულად განიცდიდა, რომ ვერ დაასრულა ეს ჩანაფიქრი, ვერ დაასრულა ტრაგედია ვახტანგზე.

სიკვდილის არ ეშინოდა, ამბობდა, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს აყვავებულ ბაღში გადავდივარო, მაგრამ აზრები მიმყვება, რომლებიც აქ უნდა დამეტოვებინაო. ეს იყო მისი სინანულისა და ტრაგიზმის მიზეზი.

მთელი ცხოვრება ინტრიგებით და დევნით უშლიდნენ ხელს, რომ არ დაეწერა ტრაგედიები წმინდანებზე, სამშობლოსა და ღმერთისათვის წამებულ მეფეებზე. მათ უარყვეს ღმერთი და უარყვეს ნამდვილი სამშობლო. ცრუ, ყალბი გაგება სამშობლოსი იყო კოსმოპოლიტური საბჭოთა კავშირი, სინამდვილეში – ხალხთა საპყრობილე, რუსეთის იმპერია. ამიტომ ებრძოდნენ გააფთრებით მამაჩემს, რომელიც თავის ნაწერებში აცოცხლებდა სამშობლოსა და ღმერთისათვის თავგანწირვის გრძნობას. ბევრად მეტი ჰქონდა განცდილი და გააზრებული, ვიდრე გამოხატა თავის შემოქმედებაში და ამას სიკვდილის წინ კიდევ უფრო მტკივნეულად განიცდიდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს სამოთხის ბაღი ელოდებოდა, მაგრამ ეს განუმეორებელი სიცოცხლე, მთელი თავისი ტანჯვით და საზრუნავებით, ენანებოდა; ენანებოდა ის შემოქმედებითი პროცესი, რომელსაც ვერასოდეს დაუბრუნდებოდა; ენანებოდა, ღამეებს რომ თეთრად ათენებდა თავის გმირებთან საუბარში, რომ ქმნიდა მათ სამყაროს, როგორც შემოქმედი ქვეყანას.

ის ვეღარასოდეს ისაუბრებდა მათთან. მას ენანებოდა სიცოცხლე, რომელიც ვეღარასოდეს დაბრუნდებოდა...

– თქვენი სიყვარული თან მიმაქვსო, – გვითხრა რამდენიმე დღით ადრე. – სადაც არ უნდა ვიყო, ეს სიყვარული ყოველთვის თან გამყვებაო.

თოთხმეტ ოქტომბერს საავადმყოფოში სისხლი კიდევ რამდენჯერმე აღებინა. მთელი დღე წუხდა, აგონიაში იყო, მაგრამ გრძნობა არც ერთი წუთით არ დაუკარგავს. მთელი ღამე მისი ხელი ხელში მეჭირა. ხელი არ მომაშოროო, – მითხრა.

მზია და ნათელაც იქვე იყვნენ, მოუშორებლად.

15 ოქტომბერი გათენდა, თბილი და მზიანი დილა. კვირა დღე იყო.

თითქოს ზეციდან მზე პირდაპირ ოთახში შემოდიოდა. იმ დილით მზის სხივებს თან უნდა წაეყვანა მამაჩემი.

12 საათზე მამას ვუთხარი: მამა, დღეს 15 ოქტომბერია, კვირაა.

მინდოდა სცოდნოდა, რომ დღეს მიდიოდა ამ ქვეყნიდან.

– რაა? – მკითხა.

– კვირაა, – ვუპასუხე მე. – „ვასკრესენიე“, – გავუმეორე რუსულად.

«Христос воскрес!», – მითხრა სწრაფად და ენერგიულად, მგზნებარე ხმით.

მამას ხომ ყველა დღეზე მეტად უყვარდა აღდგომა და განსაკუთრებული აღფრთოვანებით წარმოთქვამდა ხოლმე სიტყვებს: „ქრისტე აღსდგა!“ და ახლა, სიკვდილის წინ, ისევ ენერგიულად წარმოთქვა უძვირფასესი სიტყვები: „ქრისტე აღსდგა!“

25 წუთის მერე მამა გათავდა.

1972 წლის 15 ოქტომბერს, კვირა დილით, თორმეტ საათსა და ოცდახუთ წუთზე წავიდა ამქვეყნიდან პოლიკარპე კაკაბაძე. ოქროსფერი მზის სხივები ავსებდა და უცნაურად ანათებდა ოთახს, თითქოს ციდან მოდიოდა მზე და თავისი სხივებით მიჰყავდა ამქვეყნიდან ღვთიური, მაღალი სული.

წმინდანების, დავით და კონსტანტინეს წამების დღე იყო 15 ოქტომბერი. ეს წმინდანები განსაკუთრებით უყვარდა მამაჩემს, ხშირად ახსენებდა მათ და სწორედ მათი ხსენების დღეს მიაბარა თავისი უკვდავი სული უფალს.

მისი ბოლო სიტყვები იყო: „ქრისტე აღსდგა!“

მჯერა, რომ ის აღსდგა ქრისტეს ნათელში, როგორც წმინდანი.

* * *

გაგიკვირდებათ, მაგრამ ფაქტია, როცა მამა ჩასვენებული იყო სასახლეში, მისი სახე უცნაურ შუქს გამოსცემდა. მისი სახის სიფერმკრთალე და სითეთრე რაღაც უცნაურ შუქში გადადიოდა. მისი თმა, ულამაზესი, ვერცხლისფერი, ტალღისებრი ქოჩორი, თითქოს ისიც შუქს გამოსცემდა.

ვუყურებდი და ვხედავდი, რაღაცა ნათლით იყო მოსილი მისი სახე და მთლიანად თავი.

მაშინ, იმ დღეებში, იმ სატანჯველში, არავისთვის არაფერი მითქვამს, რამდენად გრძნობდნენ და ამჩნევდნენ ამას სხვები, არ ვიცი, მაგრამ არავის არაფრით გამოუხატავს ეს აზრი.

მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, სარგის კაკაბაძის ქალიშვილი ლია იყო ჩვენთან სტუმრად და მაშინ ვთქვი ამის შესახებ, და წარმოიდგინეთ, ლიამ მითხრა: მეც შევნიშნე, რაღაცნაირ ნათელს აშუქებდაო.

მამა ცხოვრობდა როგორც წმინდანი, ეწამა, როგორც წმინდანი, სისხლი დაანთხია ყველა ჩვენგანის ცოდვების გამოსასყიდად და იგი წავიდა ამქვეყნიდან, როგორც ნამდვილი წამებული, როგორც წმინდანი.

* * *

მამა არ დაკრძალეს მთაწმინდაზე.

საზოგადოება აღშფოთებული იყო.

მთაწმინდა კომუნისტების დროს სამთავრობო სასაფლაოდ გადააქციეს, იქ დამარხეს ხელისუფლების წარმომადგენლები, ბობოლა კომუნისტები, ლენინის ორდენოსანი, ლენინური და სტალინური პრემიების ლაურეატი რამდენიმე მწერალი და ხელოვნების მუშაკი, ისინი, ვისაც თავიანთ ხალხად თვლიდნენ.

დღეს, როცა ამ ადამიანების შესახებ წერენ პრესაში, ან რადიოსა თუ ტელევიზიაში ლაპარაკობენ, ამბობენ ასე: „ამდენი და ამდენი „სახელმწიფო ორდენის“ მფლობელი და „სახელმწიფო პრემიის“ ლაურეატი!“

სირცხვილად და უხერხულად ითვლება, რომ ისინი საბჭოთა ბელადების პრემიებითა და ორდენებით იყვნენ დაჯილდოებულები, რადგან ყველამ იცოდა, და დღესაც იცის, სინამდვილეში, ეს პრემიები და ორდენები რასაც ნიშნავდა, რისთვის გაიცემოდა.

ერთ ან ორ ორდენსა და პრემიას ხომ არ ჯერდებოდნენ, ზოგს, განსაკუთრებით მარჯვეებსა და მოხერხებულებს, ოთხი, ხუთი, ექვსი პრემია და ორდენი ჰქონდა მიღებული განსაკუთრებული „ერთგულებისათვის“. სამაგიეროდ, დაიმსახურეს მთაწმინდის მიწა.

დრო რომ შეიცვალა, ნაწილი იმ ფუნქციონერი კომუნისტებისა თვითონვე ჩუმად მოთხარეს და სადღაც გააქრეს ღამის წყვდიადში.

საკვირველია, კომუნისტები ფიცავდნენ, ღმერთი არ არისო, ნამდვილად ვიცითო და დამარხვა წმინდანის მიერ დაარსებულ ლავრაში, მორწმუნეთა და წმინდანთა სიახლოვეს უნდოდათ. ამისთვის წინასწარ იბრძოდნენ გააფთრებით.

ახლაც მთაწმინდაზე დაკრძალვა მთავრობის განკარგულებით ხდება, ეს წესი არ შეცვლილა, მათ გარეშე სასაფლაოც არავის ეღირსება.

ვინ უნდა განისვენოს ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის გვერდით, ეს ხელისუფლების გადასაწყვეტია.

არავინ იცის რუსთაველისა და სერვანტესის საფლავი, მაგრამ განა ამით მათი შემოქმედების მნიშვნელობა მცირდება?

– „ყვარყვარეს“ ავტორი რატომ უნდა დავმარხოთ მთაწმინდაზე, ცოცხალს რომ ვიტანდით, განა ეს არ კმარაო?!

– ის ჩვენ დაგვცინოდა, ყვარყვარეები, ქოსატყუილები და სამშობლოს გამყიდველი ბახტანგ ხანები გვიწოდა და ჩვენ ის მაინც ვერ მოვკალით, და ახლა კიდევ მთაწმინდაზე დავმარხოთო?! – კბილებს აღჭრიალებდნენ გაჩეკისტებული მწერლები და მაღალჩინოსნები, ისინი, ეშმაკს რომ სული მიჰყიდეს!

– ჩვენ დავიპყარით ქვეყანა, მთაწმინდის სასაფლაოც ჩვენი რეზიდენციაა! – ბრდღვინავდნენ მამაჩემის მტრები, პატარა სულის ადამიანები.

– სადაც მამაჩემია დაკრძალული, მთაწმინდაც იქ არისო, – თქვა მზიამ, ჩემმა დამ.

უფალმა ბრძანა: „არა მარტო პურითა ცხონდების კაცი“...

მას ვერ უშველის მთაწმინდაზე დამარხვა, ვინც ღირსი არ არის, ამით ხალხი უფრო ღიზიანდება.

ღმერთი არ უნდა განარისხო უსამართლობით.

ცოდვების გამოსყიდვა კი მხოლოდ მონანიებით ხდება.

მონანიება, სინანული, ტოლფასი ჩადენილი დანაშაულისა – ერთადერთი გზაა სულის გადასარჩენად.

პოლიკარპე კაკაბაძის რეპრესიის ნაწილი იყო მისი დაკრძალვაც. ამის შემდეგ კიდევ უფრო გააძლიერეს მამაჩემის წინააღმდეგ ბრძოლა: არ ბეჭდავდნენ, არ დგამდნენ.

ისევ გრძელდება პოლიკარპე კაკაბაძის სახელის იგნორირება, მიჩქმალვა.

ხალხისათვის არასასურველ მმართველებს, ცრუ გმირებს, ხალხის მოსატყუებლად ცრუ დაპირებებით მოვაჭრეებს, ყვარყვარეს ეძახიან დღესაც.

ყვარყვარიზმი ისევ ზეობს!

და ასე იქნება ყოველთვის, რადგან ყვარყვარიზმი ადამიანის ზოგადი თვისებაა, რომელიც ყველა დროსა და ყველა ხალხში დროდადრო მეტ-ნაკლები ძალით იფეთქებს, განსაკუთრებით რთულ ეპოქებში.

და ადამიანებსაც მაშინ უფრო მეტად დასჭირდებათ ამ უკვდავი სახის გახსენება, როგორც სულის საზრდო უსამართლობასთან დასაპირისპირებლად, ცრუ გმირებისაგან თავის დასახსნელად.

ყვარყვარეს მარადიული წრებრუნვა ეპოქებში დაუსრულებელია, როგორც ცოდვა-მადლის ჭიდილი ამქვეყნად.

ეპილოგი

„1. მდინარეთა ზედა ბაბილოვნისათა მუნ დავსხედით და ვტიროდით, რაჟამს მოვიჴსენეთ ჩუენ სიონი.

2. ძეწნთა ზედა შორის მისსა მუნ დავჰკიდენით საგალობელნი ჩუენნი,

3. რამეთუ მუნ მკითხვიდეს ჩუენ წარმტყუენველნი ჩუენნი სიტყუათა მათ ქებათასა, და წარმყუანებელნი ჩუენნი გალობასა: გუგალობდით ჩუენ გალობათა მათგან სიონისათა!

4. ვითარმე ვგალობდეთ გალობასა უფლისასა ქუეყანასა უცხოსა?

5. რამეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალჱმ, დაივიწყენ მარჯვენეცა ჩემი“ (ფს. 136, 1-5).

ფსალმუნის ამ ტექსტში უცხოობაში გადასახლებული ტანჯული ქვეყნის შვილთა გოდებაა გამოხატული. დამონებულ ერს დამპყრობლები უბრძანებენ არა მარტო მორჩილებას, არამედ მხიარული ჰანგებით სამადლობელ მღერას და მშობლიური მხარის დამწიოკებელთა ქებასა და დიდებას!

რა ხდებოდა ჩვენში, უღმერთო საბჭოეთში?!

ას თერთმეტი მილიონი რეპრესირებული საბჭოთა პერიოდში! – თვით რუსეთის პრესამ გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოაქვეყნა ეს ფაქტი (იხ. გაზ. «Аргументы и факты»).

მხიარულ ხმაზე სიმღერას, სამადლობელი ჰანგების აჟღერებას უბრძანებდა დამპყრობელი რუსეთი დაპყრობილ ერებს, მშობელთა, ნათესავთა, მეგობართა, მამულიშვილთა მათ მიერ განადგურების სანაცვლოდ.

დუმილი დანაშაულად ითვლებოდა.

დაშინებული ხალხისაგან მოითხოვდნენ არა მარტო მორჩილებას, არამედ მხიარულ გალობასა და სტვენას, დამპყრობთა ქებას.

და ვინც არ ასრულებდა ამ ბრძანებას, შერისხულთა შორის იყო. მას მოელოდა შიმშილი, გვემა, საპატიმრო, წამება და სიკვდილი.

ადამიანი სუსტია, მისი ძალები შეზღუდულია და მრავალმა მოიხარა ქედი დამპყრობლის მძიმე უღელქვეშ და ამღერდა მათ ბრძანებაზე.

პოლიკარპე კაკაბაძეს თავი გადადებული ჰქონდა. მან შეძლო არა მარტო დუმილი, არამედ მკაცრი მხილება დამპყრობთა პოლიტიკისა, გენიალური, უკვდავი ტიპებისა და სახეების შექმნით. ამისათვის მთელი ცხოვრება იყო დევნილი და ტანჯული.

ის იყო თავგანწირული გმირი და წმინდა გიორგის მონათესავე მაღალი სული.

„პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთაჲ“, – ბრძანებს ფსალმუნი (ფს. 115, 6).

პოლიკარპე კაკაბაძე იყო გენიალური პოეტი და იგი მოკვდა, როგორც წმინდანი და როგორც გმირი!

მამა და თეატრი

თეატრი მისთვის უკვდავება იყო.

სრულიად განსაკუთრებული იყო მამაჩემის დამოკიდებულება თეატრის დარბაზისადმი.

მახსოვს, თეატრში რომ შევიდოდა, სახე გაუნათდებოდა, შედგებოდა, გადახედავდა დარბაზს. მთელი დარბაზი თითქოს პასუხობდა მის სიყვარულს. ის აფრქვევდა სითბოს, სიყვარულს, ენით უთქმელ განწყობილებას. და თითქოს ტაძარში შევიდაო, მის სახეს რაღაც განსაკუთრებული შუქი ადგებოდა. ამ დროს წარბები ყოველთვის მაღლა ჰქონდა აწეული, თავიც ოდნავ აღმართული და მის ფერმკრთალ სახეს რაღაც სულ სხვა, უცნაური სინათლე ეფინებოდა. საიდან მოდიოდა ეს სინათლე? იგი მისი განწყობილებიდან იფრქვეოდა და ეფინებოდა მთელ გარემოს. ის თავს გრძნობდა აქ, როგორც ტაძარში ლოცვის დროს.

ეს იყო მდუმარე ლოცვა, ლოცვა სიტყვების გარეშე.

თეატრი მისთვის უკვდავება იყო.

მამამ იცოდა თეატრში ყოველი წერტილი, როგორც მარჯანიშვილის, ასევე რუსთაველის თეატრში და ოპერაშიც.

თეატრში რომ შევიდოდა, შეჩერდებოდა დარბაზის სწორედ იმ წერტილში, საიდანაც მას ყველაზე მეტად მოსწონდა სცენაზე გათამაშებული წარმოდგენის ხილვა.

მახსოვს, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში ყოველთვის მეორე, მარჯვნივ მდებარე გვერდით ლოჟას აიღებდა, იქიდან მოსწონდა სპექტაკლის ნახვა. თუმცა, ამავე დროს, მთელ დარბაზშიც აუცილებლად გაივლიდა და სადღაც, მეოთხე, მეხუთე რიგების სიახლოვეს, შუა ადგილს შედგებოდა მცირე ხნით.

იგი ყოველთვის ბედნიერი იყო იმ წუთებში, როცა თეატრის დარბაზს ესტუმრებოდა. ეს მისთვის არ იყო ჩვეულებრივი დარბაზი, იქ მისი სიყვარული, მისი სათაყვანო ადგილი იყო.

იქ, თეატრში, მისი პოეტური სულის ლტოლვა თავის გარემოში დაივანებდა.

როგორც ანგელოზები ზეცაში არიან ყველაზე ბედნიერები, ასევე სრული ბედნიერება მისთვის თეატრი იყო.

იქ იყო მისი სინამდვილე და უკვდავება.

თეატრი მისი სიცოცხლე იყო.

ამისათვის ათენებდა ის ღამეებს და საუბრობდა თავის გმირებთან – წმინდანებთან და უბრალო, ცოდვილ ადამიანებთან, რომელთაც იგი ისეთივე სიყვარულით ხატავდა, როგორც გმირებს და წმინდანებს. იგი მოუწოდებდა მათ სულის განწმენდისაკენ. მას უყვარდა ისინი და ამიტომ მთელი გულით უჩვენებდა გზებს შეცდომებისა და შეცოდებებისაგან თავის დასახსნელად, ღვთის სიყვარულში დასაბრუნებლად.

იგი ცოცხლობდა თეატრით.

თეატრი მისთვის უკვდავება იყო.

პოლიკარპე კაკაბაძის პიესების დადგმები

ვინ გამოირჩეოდა განსაკუთრებით მამაჩემის როლების შემსრულებელთაგან? ამაზე ბევრი დაიწერა იმ უამრავ რეცენზიაში, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე მის დადგმებს ეძღვნებოდა, და მაინც, ჩამოვთვლი ზოგიერთ მათგანს.

სრულიად განსაკუთრებული იყო გიორგი შავგულიძე ხარიტონის როლში პიესიდან „კოლმეურნის ქორწინება“. ეს სპექტაკლი იყო კოტე მარჯანიშვილის თეატრის ერთ-ერთი უდიდესი გამარჯვება.

– წავიდეთ მარჯანიშვილის თეატრში, დღეს „კოლმეურნის ქორწინებაა“, შავგულიძის ხარიტონი ვნახოთ, – მსგავსი ხალისიანი დიალოგები ხშირად გაისმოდა იმ პერიოდის თეატრის მოყვარულთა შორის, როცა ეს სპექტაკლი იდგმებოდა. პიესა დაიწერა 1938 წელს, იმავე წელს დაიდგა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე და შემდეგ მოედო საქართველოს ყველა თეატრს ათეული წლების მანძილზე.

იყვნენ ადამიანები თბილისში, რომლებიც „კოლმეურნის ქორწინების“ თითქმის ყოველ სპექტაკლს ესწრებოდნენ, რათა დამტკბარიყვნენ გიორგი შავგულიძის უბადლო შესრულებით.

მაყურებელთა ჰომერული სიცილი თან სდევდა მთელ სპექტაკლს, სადაც სცენაზე თამაშდებოდა საბჭოური წყობის უნიჭო

წარმონაქმნის, კოლექტივის სარკასტული დაცინვა უძლიერესი იუმორით, მისი ნამდვილი არსის დაუზოგავი ჩვენებით, და ეს ხდებოდა საბჭოთა კავშირში. გიორგი შავგულიძე იყო ნიღაბჩამოხსნილი, საბჭოთა ფუნქციონერის მეტად სასაცილო როლში.

ხარიტონის როლი, ეს იყო გიორგი შავგულიძის უპირველესი როლი, რომლის ყოველ წარმოდგენას სულმოუთქმელად ელოდა მაყურებელი. ეს იყო მისი როლი და მისი უდიდესი წარმატება.

* * *

მე არ მოვსწრებივარ მარჯანიშვილისეულ „ყვარყვარე თუთაბერის“ დადგმას, არც ყვარყვარეს პირველ, ფანტასტიკურად უნიჭიერეს შემსრულებელს, უშანგი ჩხეიძეს, მაგრამ რაც მინახავს იმ დადგმათაგან, გიორგი შავგულიძე იყო უბრწყინვალესი და განუმეორებელი ხარიტონის როლში. ეს იყო საშემსრულებლო ხელოვნების სრულყოფილება.

გიორგი შავგულიძე ოცნებობდა ყვარყვარეს როლის შესრულებაზეც, მაგრამ არ დასცალდა. იგი საბედისწერო შემთხვევამ იმსხვერპლა.

მახსოვს, მარჯანიშვილის მთელი თეატრი ოცნებობდა, რომ გიორგი შავგულიძე განასახიერებდა ყვარყვარეს. ამით ისინი თავისი თეატრისათვის ახალ გამარჯვებას მოელოდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, თეატრს ხელი შეუშალეს. საქმე ის იყო, რომ ხელისუფლებას სულ ეშინოდა „ყვარყვარე თუთაბერის“ დადგმების, რადგან ეს მუდამ იქნებოდა ამ ხელისუფლების, ისევ და ისევ, ხელახალი მხილება. ამიტომ ყოველნაირად ხელს უშლიდნენ „ყვარყვარეს“ ყოველ ახალ დადგმას სცენაზე, განსაკუთრებით ასეთი ძლიერი დასისა და ასეთი ნიჭიერი მსახიობების შესრულებით.

ასე დარჩა განუხორციელებელი ყვარყვარეს საოცნებო როლი ამ დიდებული მსახიობისათვის.

გიორგი შავგულიძეს ყვარყვარეს როლი არ ათამაშეს.

უშანგი ჩხეიძე

მამაჩემს ძალიან მოსწონდა და უყვარდა უშანგი ჩხეიძე, ისინი მეგობრობდნენ. მამა ავადმყოფობაშიაც დროდადრო სტუმრობდა უშანგის. ყვარყვარეს შემსრულებელთაგან ის უშანგის არავის ადრიდა.

მამას გადმოცემიდან ვიცი, კოტე მარჯანიშვილი თვლიდა, რომ უშანგი ჩხეიძის მთავარი როლი იყო ყვარყვარე: – Это его коронная роль! – ეს მისი მთავარი როლია! – უთქვამს არაერთხელ კოტეს მამაჩემისათვის. – უშანგის მიაჩნია, რომ ჰამლეტია მისი მთავარი როლი, სინამდვილეში მისი მთავარი როლი არის ყვარ-ყვარე!

მამას თქმით, ჰამლეტს კიდევ უფრო კარგად თამაშობდა ლადო მესხიშვილი.

– ლადო გაზრდილი იყო იმპერატორის კარზე. იგი პირადად იცნობდა პრინცებს, ჰქონდა მათთან მეგობრული ურთიერთობა და ამ მხრივაც იგი სცენაზე განასახიერებდა ნამდვილ პრინცს, მთელი უშუალობით. იგი სინამდვილეშიც მათი ცხოვრების მონაწილე იყო და კარგად იცნობდა მათ ცხოვრებას და ქცევასო, – ამბობდა მამა.

უშანგი ჩხეიძე ტრაგიკული როლების შემსრულებლად ითვლებოდა. იგი უკვე სახელგანთქმული იყო, როგორც ჰამლეტის შემსრულებელი. ყვარყვარე იყო მისი პირველი კომიკური როლი. როცა კოტე მარჯანიშვილმა, სანდრო ჟორჟოლიანის პარალელურად, უშანგის დააკისრა ამ როლის შესრულება, იგი უარზე იყო, კომედიას როგორ ვითამაშებო, მე ტრაგიკოსი ვარო. მაგრამ მარჯანიშვილმა არაფრით გასაქანი არ მისცა, უთხრა, დროებით, ჟორჟოლიანის პარალელურად, ვცადოთო. მამას თურმე ეუბნებოდა კოტე: მაგას წარმოდგენა არა აქვს, რა კარგად თამაშობსო, ესაა სწორედ მაგისი როლიო.

პიესა მომზადდა ძალიან სწრაფად, სულ ორ-სამ კვირაში. კოტეს ეშინოდა, რომ მთავრობას რეპეტიციებიდან არ მოეხსნა პიესა, როგორც ანტისაბჭოური ნაწარმოები, ამიტომ ჩქარობდა.

„ქუთაის-ბათომის სახელმწიფო თეატრში“ კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით დაიდგა „ყვარყვარე თუთაბერი“. პირველი პრემიერა გაიმართა ბათუმში 1929 წლის 31 იანვარს, მეორე პრემიერა – ქუთაისში, 27 მარტს, მესამე პრემიერა – თბილისში, 21 აპრილს, საოპერის თეატრის სცენაზე. წარმატება თავბრუდამხვევი იყო, უშანგი ჩხეიძე ოპერიდან ხელში აყვანილი გამოიყვანეს რუსთაველის პროსპექტზე. „ყვარყვარეს“ ამ პირველი დადგმის შესახებ ბევრს წერდნენ თეატრმცოდნეები და ჩვენც არაერთხელ შევხებივართ ჩვენს ადრე გამოქვეყნებულ ნაწერებში.

უშანგი იყო მამაჩემისათვის და საზოგადოებისათვის განუმეორებელი ყვარყვარე, თუმცა მრავალმა დიდმა მსახიობმა შემდგომში ამ როლით გაითქვა სახელი. მათ შორის, ვინც მე მინახავს, უბრწყინვალესი იყო რამაზ ჩხიკვაძე.

„ყვარყვარეს“ გამარჯვების შემდეგ უშანგი ჩხეიძე ოცნებობდა „ბახტრიონის“, „კახაბერის ხმლის“ ადრეული, პირველი ვარიანტის დადგმაზე. მას გაუკეთებია კიდეც საგულისხმო ჩანახატები „ბახტრიონის“ პერსონაჟებისა. როგორც ეს ჩანახატები ადასტურებენ, უშანგი ჩხეიძეს მხატვრობის ნიჭიც ჰქონია.

ქალაქ ზესტაფონის ახლომდებარე ერთ-ერთ სოფელში, საიდანაც წარმოშობით იყო უშანგი ჩხეიძე, არის მისი სახელობის სახლ-მუზეუმი. მე იქ ვნახე უშანგის მიერ შესრულებული ჩანახატები „ბახტრიონის“ პერსონაჟებისა, ისე, როგორც მას წარმოედგინა ეს მოქმედი პირები.

მუზეუმის თანამშრომლებს ეგონათ, რომ ეს ჩანახატები ვაჟაფშაველას „ბახტრიონის“ თემაზე იყო შექმნილი, რადგან მათ არ იცოდნენ პოლიკარპე კაკაბაძის ამავე სახელწოდების პიესის არსებობა და უშანგის დამოკიდებულება ამ ქმნილებისადმი.

ამ ჩანახატებიდანაც ჩანს, რამდენი უფიქრია და უოცნებია უშანგის ამ ნაწარმოების დადგმაზე, მის სცენიურ განხორციელებაზე. სამწუხაროდ, ეს ოცნებაც მისთვის აუსრულებელი დარჩა. იგი ვეღარასოდეს დაუბრუნდა ვერც თეატრსა და ვერც სცენას.

მძიმე დრომ მეტად სასტიკი დაღი დაასვა მის სულიერ სამყაროს და სამუდამოდ მოსწყვიტა იგი ქართულ თეატრს.

* * *

„კახაბერის ხმლის“ პირველი სახელწოდება იყო „ბახტრიონი“. ამ პიესაზე მუშაობა პოლიკარპე კაკაბაძემ 1929 წელს დაიწყო, „ყვარყვარე თუთაბერის“ შექმნის უმალ. პირველი ვარიანტი პიესისა 1933 წელს უკვე მზად ჰქონდა. მის დადგმაზე ოცნებობდა კოტე მარჯანიშვილიც და სანდრო ახმეტელიც, მაგრამ მათ ხელი შეუშალეს.

როცა 1936 წელს დააპატიმრეს სანდრო ახმეტელი, მას ერთ-ერთ ბრალად წაუყენეს, შენ პოლიკარპე კაკაბაძის ანტისაბჭოური ნაწარმოების, „ბახტრიონის“ დადგმა გინდოდაო.

1934 წელს პოლიკარპე კაკაბაძემ დაწერა „ბახტრიონის“ ლიბრეტო, რომლის მიხედვით კომპოზიტორმა გრიგოლ კილაძემ შექმნა ოპერა. ეს ოპერა იმავე წელს დაიდგა, მაგრამ ეს სპექტაკლი გენერალური რეპეტიციიდან მოხსნეს. ნაწარმოებზე მუშაობა პოლიკარპე კაკაბაძემ ისევ განაგრძო.

1936 წელს, როცა მასობრივი რეპრესიები უკვე დაწყებულია, ოქტომბერში, პოლიკარპე კაკაბაძის ჯერ დაუდგმელი და დაუბეჭდავი პიესის განხილვა მოაწყვეს მწერალთა კავშირში. ამ განხილვის ოქმი შენახულია მწერლის არქივში. გამიზნული იყო „ბახტრიონის“ („კახაბერის ხმლის“) ანტიხალხურ, ანტისაბჭოურ ნაწარმოებად, ხოლო მისი ავტორის ანტისაზოგადოებრივ, „მავნე“ მწერლად, „ხალხის მტრად“ გამოცხადება და მისი ლიკვიდაცია. ამ დროს „ბახტრიონს“ უკვე დიდი სახელი ჰქონდა საზოგადოებაში.

„ყვარყვარე თუთაბერს“ ვეღარ დაამარცხებდნენ, ის უკვე აღიარებული იყო და უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა, პიესა წარმატებით იდგმებოდა თვით რეპრესიების პერიოდშიც კი. ამიტომ იერიში მიიტანეს „ბახტრიონზე“.

პოლიკარპე კაკაბაძემ განხილვაზე მოწინააღმდეგეთა ყველა არგუმენტი გააბათილა, ყველა პროვოკაცია ამხილა და დაამარცხა თავისი რკინისებური ლოგიკითა და ნაწარმოების შეუდარებელი მხატვრული ანალიზით. ის და მისი მომხრე, სიმართლისათვის თავგანწირული უმწიკვლო მწერლები უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ, ვიდრე მოწინააღმდეგეები, სინდისზე რომ ხელი აეღოთ და ხელისუფლების ბოროტ ნებას აჰყოლოდნენ.

„ბახტრიონი“ ორმოციანი წლების შუა ხანებში უკვე ცნობილია „კახაბერის ხმლის“ სახელწოდებით და მის წინააღმდეგ ბრძოლა არ წყდება. 1945 წელს, როგორც იქნა, განხორციელდა პიესის დადგმა მარჯანიშვილის თეატრში, მაგრამ სპექტაკლი გენერალური რეპეტიციიდან მოხსნეს, პოლიკარპე კაკაბაძე კვლავ სასტიკად დაამუშავეს, როგორც „ნაციონალისტური“ და საბჭოური იდეოლოგიის საწინააღმდეგო ნაწარმოების ავტორი, მაგრამ მან კვლავ შეძლო მოწინააღმდეგეთა მოგერიება და ამჯერადაც გადაურჩა დაჭერას.

„კახაბერის ხმალი“ მხოლოდ 1954 წელს დაიბეჭდა, სტალინის სიკვდილის შემდეგ, სახელწოდებით „დავით მერვე“.

პოლიკარპე კაკაბაძის ფილოსოფიურ კომედიაში – „კახაბერის ხმალი“, ცენტრში დგას სამშობლოსათვის თავგანწირული იდეალური გმირის სიმბოლო, როგორც უმაღლესი მორალი, საზოგადოების ზნედაცემულობის პერიოდშიაც რომ წარმართავს ერის სულიერ ძალებს. ორმოში ჩავარდნილი გმირი კახაბერი განასახიერებს იმედსა და რწმენას, ზნეობრივ საყრდენს ერისათვის. ნაწარმოების ფინალში კახაბერი გამოჩნდება სცენის სიღრმეში, ცხენზე ამხედრებული და აქ უკვე ნათლად იკვეთება – იგი წმინდა გიორგის მონათესავე მხატვრული სახეა.

„კახაბერის ხმლის“ დადგმა 1965 წელს

როგორც იქნა დაიდგა „კახაბერის ხმალი“, 1965 წელს, აპრილის თვეში. ეს იყო მოვლენა მარჯანიშვილის თეატრში, ეს იყო მამაჩემის დიდი ხნის ოცნება და დიდი ბრძოლის შედეგი.

სპექტაკლი დადგა უნიჭიერესმა რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ. ამ დადგმის შემდეგ მამაჩემმა შვილივით შეიყვარა გიგა.

1957 წელს ქუთაისში დაიდგა „დავით მერვე“ (იგივე „კახაბერის ხმალი“), რეჟისორი იყო თენგიზ მაღალაშვილი, მაგრამ მან ვერ დაძლია ეს ურთულესი, ფილოსოფიური კომედია, დატვირთული აფორიზმებით და გენიალური ქვეტექსტებით. პიესა სიტყვიერი მასალის სიმდიდრით და სიღრმით, მკვლევართა აღიარებით, თვით „ყვარყვარესაც“ კი აღემატებოდა. მაღალაშვილის

დადგმამ სათანადო შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, იდგმებოდა ეს სპექტაკლი ერთი-ორი სეზონი, მაგრამ მალე მოიხსნა. ძნელია გენიალური ნაწარმოების პირველი განხორციელება სცენაზე.

განა „ჰამლეტის“, „ფაუსტის“ და „მეფე ლირის“ ყოველი დადგმა აღწევს სათანადო ეფექტს? გენიალური ნაწარმოების პირველად დადგმა სცენაზე მეტად რთული საქმეა და აქ წარმატებას მხოლოდ დიდი რეჟისორები აღწევენ.

ასეთი იყო კოტე მარჯანიშვილი და ასეთი იყო გიგა ლორთქიფანიძე, რომელმაც პირველმა შეძლო „კახაბერის ხმლის“ სათანადოდ ხორცშესხმა სცენაზე.

სპექტაკლმა გაიმარჯვა, ოვაციებში იძირებოდა სცენიდან წამოსული გენიალური სიტყვები, ღრმა ფილოსოფიური აზრით დატვირთული. ისმოდა მწვავე კრიტიკა ადამიანური სისუსტეებისა, როცა კაცი სამშობლოს გამყიდველობით ცდილობს მოიხვეჭოს დიდება და ძალა-უფლება. ნაჩვენები იყო ამაოება ამ დიდებისა და მისი პირუთვნელი, ღრმა, ფილოსოფიური განსჯა.

სცენაზე თამაშდებოდა უნატიფესი მონოლოგებით და დიალოგებით მარადიული საკაცობრიო ტკივილები, ადამიანის სულის დაცემა და აღდგენა, სინანული და ღმერთისაკენ მობრუნება, სამშობლოსათვის თავგანწირვის უკვდავი იდეის გაცოცხლება.

ნაწარმოების ფინალში ცხენზე ამხედრებული გმირის აჩრდილის გამოჩენა მოასწავებს იმედს და წმინდა გიორგის მარადიულ იდეას ენათესავება.

* * *

„კახაბერის ხმლის“ დადგმა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე იყო მოვლენა, რომელიც უპირისპირდებოდა სიცრუით და უღმერთობით შექმნილ ტოტალიტარული სახელმწიფოს იდეოლოგიურ მანქანას.

მათ ეშინოდათ მართალი სიტყვის და მთელი სიმკაცრით იბრძოდნენ მის წინააღმდეგ.

ხელისუფლებას გვერდში ამოუდგა გაყიდული სულის ადამიანები.

* * *

შეშფოთდნენ და გაღიზიანდნენ ძველი თაობის, მთავრობასთან შეხმატკბილებული და, სამწუხაროდ, გარკვეული რეპუტაციის მქონე ელემენტები. დაიწყო ინტრიგები, შურიანობა.

შური ღუპავს კაცობრიობას, შური ებრძვის სიკეთესა და ნიჭიერებას.

ჩაუსაფრდნენ გიგა ლორთქიფანიძეს, გადაეკიდნენ და აიძულეს თეატრიდან წასულიყო. წავიდა გიგა მარჯანიშვილის თეატრიდან ოცდახუთ ახალგაზრდა, ნიჭიერ მსახიობთან ერთად და ქალაქ რუსთავში დააარსა ახალი თეატრი. ეს თეატრი დღეს გიგა ლორთქიფანიძის სახელს ატარებს. 1968 წელს აქ მან ხელმეორედ დადგა „კახაბერის ხმალი“, ხოლო მესამედ – რამდენიმე წლის შემდეგ, როცა მამაჩემი აღარ იყო ამქვეყნად, ეს უკვდავი ნაწარმოები კვლავ დადგა მუსკომედიის თეატრში ახალი ინტერპრეტაციით, როცა თვითონ იყო ამ თეატრის დირექტორი.

გიგას ოცნება იყო „ყვარყვარე თუთაბერის“ დადგმა, დაიწყო კიდეც მუშაობა რუსთავის თეატრში პიესაზე, მაგრამ შეაჩერებინეს, ფაქტობრივად, აუკრძალეს, მაგრამ ეს ამბავი არ უნდა გახმაურებულიყო, ყველაფერი ჩუმად ხდებოდა.

გიგას არ დაადგმევინეს „ყვარყვარე“, რადგან ეს იქნებოდა ახალი ბომბი ხელისუფლებისათვის, ხოლო გიგასათვის – ახალი გამარჯვება.

მას არ მისცეს ამ გამარჯვების უფლება.

მათ არ უნდოდათ ახალი ატომური ბომბი.

გიგას არ დაადგმევინეს „ყვარყვარე“, დაბოლოს, ის გადავიდა სხვა სამუშაოებზე, პროზაული ნაწარმოებების ინსცენირებებზე, ფილმების შექმნაზე.

ის ვეღარასოდეს დაუბრუნდა „ყვარყვარეს“, თუმცა სურვილი ბოლომდე დარჩა.

„ყვარყვარეს“ დადგმა იყო გიგა ლორთქიფანიძის აუხდენელი ოცნება.

„ყვარყვარეს“ დადგმა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე

რობერტ სტურუას „ყვარყვარე თუთაბერი“

როგორც ზემოთაც ვთქვი, „ყვარყვარეს“ უამრავი დადგმა მინახავს, მაგრამ არ მინახავს კოტე მარჯანიშვილის დადგმა. მის შესახებ მხოლოდ გადმოცემით ვიცი.

მამაჩემი ამბობდა, ყოველ სცენაზე, ყოველი ხის ძირას, ყოველ ქალაქსა და სოფელში თამაშდება „ყვარყვარე თუთაბერის“ სცენებიო.

ეს ნაწარმოები შეიყვარა ხალხმა, ის მივიდა ხალხის გულებთან და მათ ყოველი განსაცდელის ჟამს აგონდებათ „ყვარყვარე“ და უნდათ მისგან იპოვონ შვება და იმედი. ადამიანები სიამოვნებით განასახიერებენ მის პერსონაჟებს, რათა მოიპოვონ სულის სიმშვიდე, განთავისუფლდნენ სიცრუის ბატონობისაგან, ბრძოლით მოიპოვონ ღირსება და სამართალი და კვლავ დაუბრუნდნენ ღმერთს.

„ყვარყვარეს“ უამრავ დადგმათაგან, რომელიც მე მინახავს, მრავალი იყო ღირშესანიშნავი, სულის შემძვრელი, წარმატებებით სავსე, მაგრამ რობერტ სტურუას მიერ დადგმული „ყვარყვარე“ ყველაზე დიდებული იყო, იგი აღემატებოდა ყველა სხვა დადგმას.

„მე, როგორც რეჟისორი, ამ პიესის დადგმით დავიბადე“, – წერს რობერტ სტურუა (იხ. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1994, N4, გვ. 58).

ამ დადგმით რობიკო სტურუამ მონახა სრულიად ახალი გზა და ეს გზა შეიქნა მისთვის მთელი მისი შემოქმედების წარმმართველი.

„ყვარყვარეს“ ამ დადგმით დაიბადა რობერტ სტურუა, როგორც ახალი თვალსაზრისისა და სისტემის დამფუძნებელი რეჟისორი ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში. შემდგომში მას მრავალმა მიბაძა.

რობერტ სტურუას დადგმული „ყვარყვარე თუთაბერი“ თავისებური, ზოგთათვის – სადავო, მაგრამ ყველასათვის მიმზიდველი და სიხარულის მიმნიჭებელი სპექტაკლი იყო.

რამაზ ჩხიკვაძისათვის, ამ უნიჭიერესი მსახიობისათვის, ყვარყვარეს როლი იყო დიდი წარმატების და დიდი სახელის მომტანი.

მე არ მინახავს უფრო საინტერესო და უფრო მომხიბვლელი ყვარყვარე, ვიდრე რამაზ ჩხიკვაძე იყო და უფრო მნიშვნელოვანი „ყვარყვარეს“ დადგმა, ვიდრე რობიკოს „ყვარყვარე“ იყო.

„ყვარყვარეს“ დადგმით დაიბადა დიდი რეჟისორი, რობერტ სტურუა, რომელმაც გავლენა მოახდინა მთელ ქართულ თეატრალურ ცხოვრებაზე.

პოლიკარპე კაკაბაძის სახელობის თეატრი არ არის საქართველოში!

ვისი სახელობის თეატრი არ არის ჩვენში, მაგრამ პირველი დრამატურგის სახელობის თეატრი არ არის!

ეს არის საუკუნის სირცხვილი, მთელი თეატრალური საზოგადოების სირცხვილი!

წარმოიდგინეთ, რომ არ იყოს შექსპირის თეატრი ინგლისში, ან მოლიერის თეატრი საფრანგეთში. დღესაც არ არის პოლიკარპე კაკაბაძის სახელობის თეატრი მის სამშობლოში. ეს არის სამარცხვინო ფაქტი!

ამ ფაქტიდანაც კარგად ჩანს, როგორ ებრძოდნენ და დღესაც ებრძვიან ამ ერთადერთ, საკაცობრიო მნიშვნელობის დრამატურგს თავის სამშობლოში.

წავიდა საბჭოთა ხელისუფლება, როგორც წყალი, სამარცხვინო ცოდვებით დატვირთული და გალანძღული.

წყობილება შეიცვალა, მაგრამ დრო? საზოგადოებრივი ცხოვრება? რამდენად შეიცვალა იგი სხვადასხვა სფეროში, ამას ისტორია განსჯის. დღეს კი, ურთიერთშორის მუდმივ პაექრობასა და ბრძოლებში ძალაუფლების მოპოვებისათვის, იხარჯება ერის ენერგია, კნინდება ერის სულიერი ძალები.

სად არის სწრაფვა ერის ზნეობრივი ამაღლებისათვის, ან როდის დადგება ასეთი დრო?

როდის გაიგებს და მოიცლის ერი სიკეთის, სიყვარულისა და ჭეშმარიტი სულიერი ღირებულებების სათაყვანებლად?

ერს სჭირდება მაღალი იდეალები და ამ იდეალების დამკვიდრებისათვის შეწირული მაღალი სულის ადამიანების მიერ შექმნილი ხელოვნება და ლიტერატურა სულის საზრდოდ, მარადიული სიცოცხლის დასამკვიდრებლად, სამშობლოსათვის თავგანწირვის იდეის ასაღორძინებლად!

ერს სჭირდება მათთვის წამებული, გენიალური სულების მიერ შექმნილი ხელოვნების თაყვანისცემა და აღიარება, გზამკვლევად ერის სულიერი გაძლიერებისათვის, მარადიული სიყვარულის, სამშობლოსა და ღმერთის გზით სვლისათვის, რაც უნდა ვიწრო იყოს ეს გზა და ძნელი...

„შედით ვიწრო კარიბჭით, ვინაიდან ფართოა კარიბჭე და განიერია გზა, რომელსაც დაღუპვისაკენ მიჰყავს... ვიწროა კარიბჭე და ვიწროა გზა, რომელსაც სიცოცხლისკენ მიჰყავს და მცირედნი ჰპოვებენ მას“ (მათე, 7, 13-14).

ღმერთი, რწმენა და სიყვარული, სამშობლოსათვის თავგანწირვის იდეა, აჟღერებული ხელოვნებაში, ეს არის ის ძნელი და ვიწრო გზა, გზა ხსნისა ერისათვის, რომელზედაც ბრძანებს უფალი.

ეს არის ერის მარადიული იდეა, მისი სიცოცხლის გზა.

ამ მარადიულ იდეას შეეწირნენ მაღალი სულის შემოქმედნი. სანაცვლოდ, ამქვეყნიურ ცხოვრებაში მათ მიიღეს წამება და ტანჯვა. ასეთი იყო საქართველოში, მეოცე საუკუნეში, „ყვარყვარე თუთაბერისა“ და „კახაბერის ხმლის“ ავტორი, პოლიკარპე კაკაბაძე.

საქართველოში არ არის პოლიკარპე კაკაბაძის სახელობის თეატრი!

ეს სამარცხვინო ფაქტია!

მცირე ჩანაწერი
მამაჩემის პიესების დადგმათა შესახებ

ვის უყვარდა მამაჩემი, ვინ გაახარა თავისი დადგმით და ვინ ებრძოდა, ვინ მეგობრობდა, ვინ იყო მისი ერთგული და ამის გამო ხელისუფლებისაგან წყრომას ვინ იმსახურებდა?

კოტე მარჯანიშვილმა, რომელსაც მე არ მოვსწრებივარ, როგორც აღვნიშნე, განახორციელა „ყვარყვარე თუთაბერის“ პირველი დადგმა. ეს იყო დიდი სიხარული მამაჩემისათვის და ქართული თეატრის დიდი გამარჯვება.

თავბრუდამხვევი იყო სპექტაკლის წარმატება, ოვაციებში იძირებოდა მძლავრთა მრისხანება.

„ყვარყვარე თუთაბერი“ არ იყო პირველი ნაწარმოები პოლიკარპე კაკაბაძისა, რომლითაც კოტე მარჯანიშვილი აღფრთოვანდა და თავის თეატრში დადგა.

1925 წლის შემოდგომაზე პოლიკარპე კაკაბაძე მივიდა კოტე მარჯანიშვილთან და მიუტანა „ლისაბონის ტუსაღები“, რომელიც ჯერ, როგორც თვითონ თვლიდა, კიდევ უნდა დაემუშავებინა.

პოლიკარპე კაკაბაძე ამ დროს უკვე ორი ჟურნალის დამაარსებელი იყო („შვიდი მნათობისა“, 1919 წ. და „მნათობის“, 1924 წ.), გამოქვეყნებული ჰქონდა ოთხი დრამა: „სამი ასული“ (1918 წ.), „სისხლი სინათლემდე“ (1918-1919 წწ.), „ძველი დაფები“ (1924 წ.), „ჯვარედინ გზაზე“ (დადგა ალ. წუწუნავამ ბაქოში ქართულ და რუსულ ენებზე, 1918 წ.).

კოტე მარჯანიშვილი კი, ამ პერიოდში, ჯერ კიდევ მოსკოვში მოღვაწეობდა. იგი ჩამოდის საქართველოში და აარსებს თეატრს მხოლოდ 1922 წელს, ხოლო მანამდე, როგორც ჩანს, კოტე პოლიკარპე კაკაბაძეს არ იცნობდა.

1925 წელს, როცა მასთან მივიდა პოლიკარპე კაკაბაძე, მარჯანიშვილი იმდენად აღფრთოვანდა ამ ახალგაზრდა დრამატურგის ჯერ კიდევ დაუმთავრებელი პიესით და ისე ძალიან მოუნდა მისი სასწრაფოდ დადგმა, რომ მწერალს საკუთარი კაბინეტი შესთავაზა პიესაზე სამუშაოდ, ვინაიდან გაიგო, რომ ამ ახალგაზრდა გენიოსს არ გააჩნდა სათანადო სამუშაო პირობები.

პოლიკარპე კაკაბაძის დრამა „ქარიშხლის“ (1925-1958 წწ.) პირველი ვარიანტი, „ლისაბონის ტუსაღები“ დაიწერა 1925 წელს და დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში იმავე წლის 23 ნოემბერს „მიწისძვრის“ სახელწოდებით. დადგმაზე მუშაობა დაიწყო კოტე მარჯანიშვილმა, რომელსაც ძალიან მოეწონა პიესა, ხოლო დაასრულა დოდო ანთაძემ, რადგან მარჯანიშვილი მძიმედ ავად გახდა. მუსიკის ავტორი იყო თამარ ვახვახიშვილი.

პიესა მეორედ დაიდგა 1994 წლის 1 ივნისს ისევ მარჯანიშვილის თეატრში „პორტოპოლოს ტუსაღების“ სახელწოდებით. დამდგმელი რეჟისორი გახლდათ ქალბატონი მედეა კუჭუხიძე. ამ დადგმის შესახებ ჩვენ ვრცელი წერილი გამოვაქვეყნეთ ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ (იხ. მანანა კაკაბაძე. „რევოლუციის ლიდერის სახე „ყვარყვარე თუთაბერისა“ და „ლისაბონის ტუსაღების“ მიხედვით“. 1994. N4, გვ. 5-37).

„ლისაბონის ტუსაღების“ დაწერისა და პირველი დადგმის შესახებ საგულისხმო ცნობებს გვთავაზობს თამარ ვახვახიშვილი თავის მოგონებათა წიგნში – „თერთმეტი წელი კოტე მარჯანიშვილთან“ (გამ. „ხელოვნება“. თბ., 1976 წ.).

აი, რას წერს იგი:

„1925 წლის 5 ოქტომბერი.

დღეს მარჯანიშვილთან შევედი კაბინეტში, მის მაგიდას კი ვიღაც უცნობი უზის და წერს. ისე მოკალათებულა, თითქოს შინ იყოს. ალმაცერად გადმომხედა და მოიღუშა, არც კი მომსალმებია. შემოვიდა მარჯანიშვილი, ფეხაკრეფით მომიახლოვდა და ჩუმად მითხრა: „გავიდეთ, ხელს ნუ შევუშლით“.

ეს ახალი ტალანტია, რომელიც ჩვენს ჰორიზონტზე გამოჩნდა – პოლიკარპე კაკაბაძე. იგი დოდო ანთაძემ მოიყვანა და მოატანინა ახალი პიესა ლისაბონის XVIII საუკუნის მიწისძვრაზე.

ავტორი თვითონ ჰგავს ნამიწისძვრალს, თვითონ კუთხეც კი არა აქვს, რომ პიესის წერა დაამთავროს. „სამაგიეროდ, ჩემი კაბინეტი აქვს, – თქვა მარჯანიშვილმა. – ეს ოთახი მის განკარგულებაშია. მეც მის განკარგულებაში ვარ“ (თამარ ვახვახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 77).

„მარჯანიშვილს კაკაბაძე აღმოჩენად მიაჩნია: „იგი ჭკვიანიცაა და ნიჭიერიც, თანაც ძალზე თავისებურია“. – ალბათ, მა-

რთლაც ასეა! – წერს თამარ ვახვახიშვილი (იქვე, გვ. 80). ხოლო სქოლიოში თამარ ვახვახიშვილი შენიშნავს: „კ. მარჯანიშვილი არ შემცდარა. პ. კაკაბაძე მეორე პიესის, „ყვარყვარე თუთაბერის“ შემდეგ, სულ მალე გახდა უპირველესი დრამატურგი საქართველოში“ (იქვე).

ამრიგად, პოლიკარპე კაკაბაძე იჯდა კოტე მარჯანიშვილის კაბინეტში და იქ აგრძელებდა პიესაზე მუშაობას.

– ზედმეტად მაჩქარებდაო, – ამბობდა მამაჩემი ჩვენთან საუბრისას, – სულ აღფრთოვანებული იყო კოტე და არ დამაცალა, დამემთავრებინა პიესაო.

მიუხედავად ახალგაზრდობისა, პოლიკარპე კაკაბაძეს საკმაო გამოცდილება ჰქონდა ამ დროს პიესაზე მუშაობისა. იგი ხომ უკვე ოთხი დრამის ავტორი იყო, მათ შორის, ისეთი დახვეწილი, უნატიფესი ლირიკული დრამისა, როგორიც არის „სამი ასული“.

პოლიკარპე კაკაბაძე თვლიდა, რომ კიდევ უნდა დაემუშავებინა „ლისაბონის ტუსაღები“, კოტეს კი უკვე ძალიან მოსწონდა იგი ისეთი, როგორიც იყო.

– პირდაპირ ხელიდან გამომგლიჯა, – ამბობდა მამაჩემი, ცოტა გულდაწყვეტით.

კოტემ როლები გაანაწილა, მაგრამ ავად გახდა და პიესა დასადგმელად გადასცა თავის ახალგაზრდა ასისტენტს, დოდო ანთაძეს. მუსიკას სპექტაკლისათვის თამარ ვახვახიშვილი წერდა. სპექტაკლი „მიწისძვრის“ სახელწოდებით გაიმართა 23 ნოემბერს, 1925 წელს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1925 წლის 5 ოქტომბრით თარიღდება თამარ ვახვახიშვილის მოგონებათა წიგნში პირველი ჩანაწერი პოლიკარპე კაკაბაძისა და მისი პიესის, „ლისაბონის ტუსაღების“ შესახებ, ხოლო 10 ოქტომბრის ჩანაწერის მიხედვით, ე. ი. ხუთი დღის შემდეგ, ქალბატონ თამარს უკვე დაუმთავრებია მუსიკა ამ სპექტაკლისათვის: „დღეს ჩავაბარე „მიწისძვრის“ მთელი მუსიკა“, – წერს იგი (იქვე).

23 ნოემბერს უკვე პრემიერაა, – „მიწისძვრის“ პრემიერა 23 ნოემბერსაა“ (იქვე, გვ. 82).

პოლიკარპე კაკაბაძის სახელის პირველ მოხსენიებამდე, ე. ი. 5 ოქტომბრის ჩანაწერამდე, თამარ ვახვახიშვილის დღიურებში

ვხვდებით 2 ოქტომბრის ჩანაწერს, რომელიც შეეხება კოტე მარ-ჯანიშვილის მუშაობას სხვადასხვა სპექტაკლების რეპეტიციებ-ზე (იქვე, გვ. 75), მაგრამ აქ ჯერ კიდევ არ არის ნახსენები ახალგა-ზრდა უცნობი ავტორი, რომელიც კოტეს კაბინეტში წერს თავის პიესას, იმიტომ, რომ ასეთი ფაქტი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ არის მომხდარი.

სამაგიეროდ, ქალბატონი თამარის 7 ოქტომბრის ჩანაწერში ვკითხულობთ: „მარჯანიშვილი სამ დღეს არ მოსულა „მზეთა-მზის“ რეპეტიციაზე, გადაყოლილია დოდოსა და კაკაბაძის „მი-წისძვრას“ (იქვე, გვ. 77).

ე. ი. 2 ოქტომბერს პოლიკარპე კაკაბაძე ჯერ კიდევ არ მუ-შაობს მარჯანიშვილის კაბინეტში, ხოლო 7 ოქტომბერს უკვე მისი პიესის რეპეტიციები მიმდინარეობს; 10 ოქტომბერს, ე. ი. ხუთი დღის შემდეგ, როცა ქალბატონმა თამარმა ნახა, თუ როგორ მუშაობდა კოტეს კაბინეტში პოლიკარპე კაკაბაძე: „დოდო ანთაძე დამოუკიდებლად ატარებს რეპეტიციებს“ (იქვე, გვ. 80), ე. ი. პიესა უკვე მზად არის.

კოტეს კაბინეტში პოლიკარპე კაკაბაძე თავის პიესაზე – „ლი-საბონის ტუსაღები“, როგორც ირკვევა, მუშაობდა დაახლოებით ერთი კვირა, ან ხუთი დღე. შემდეგ რეპეტიციები დაიწყო და 10 ოქტომბრიდან 23 ნოემბრამდე, დაახლოებით თვე-ნახევარში, თუ უფრო მალე, გაიმართა კიდეც პრემიერა „მიწისძვრის“ სახელწო-დებით.

კოტე მარჯანიშვილი ვერ დაესწრო პრემიერას, იგი საკმაოდ მძიმედ ავად გახდა (იმ პერიოდში კოტეს ბრმა ნაწლავის შეტევა დაეწყო და ორჯერ გაიკეთა ოპერაცია).

კოტეს ავადმყოფობის გამო „მიწისძვრის“ დადგმის დასრუ-ლება მოუხდა ახალგაზრდა, დამწყებ რეჟისორს, დოდო ანთაძეს, რომელმაც სათანადოდ ვერ გაართვა თავი ამ დიდ საქმეს, რო-გორც მამაჩემი ამბობდა.

როგორც ვთქვი ზემოთ, მამა მრავალი წლის შემდეგ, 1958 წელს ისევ უბრუნდება ამ ნაწარმოებს და მას ხელახლა ამუშა-ვებს, ხოლო ქალაქის სახელწოდებას, ლისაბონს, ცვლის გამო-გონილი სახელით – პორტოპოლოთი.

ასე რომ, მითი იმის შესახებ, რომ კოტე მარჯანიშვილის კაბინეტში პოლიკარპე კაკაბაძე წერდა „ყვარყვარე თუთაბერს“, სრული გაუგებრობაა, რის დამკვიდრებასაც ცდილობდა თეატრის ზოგიერთი მოღვაწე, რათა ამით კოტე მარჯანიშვილის, როგორც რეჟისორის, როლი უფრო გაეზარდათ და როგორმე პოლიკარპე კაკაბაძის გენიალური ნაწარმოების შექმნაში თანამოზიარედ ვინმე გაეხადათ, მაგრამ ეს მხოლოდ სიცრუეა.

„ლისაბონის ტუსაღები“ იყო ის ნაწარმოები, რომელზე მუშაობის დროსაც, 1925 წელს, პოლიკარპე კაკაბაძე იჯდა მარჯანიშვილის კაბინეტში და ასრულებდა ამ პიესაზე მუშაობას. ამას ადასტურებს ჩემ გარდა თვით თამარ ვახვახიშვილი, რომელიც მომსწრე იყო ამ ამბებისა და „ლისაბონის ტუსაღების“ სცენური ხორცშესხმის მონაწილეც გახლდათ, როგორც მუსიკის ავტორი. ამ ქალბატონმა დატოვა კიდეც სათანადო ჩანაწერები ამ ფაქტის შესახებ, რომელიც დაბეჭდილია და გამოქვეყნებული.

„ყვარყვარე თუთაბერს“ პოლიკარპე კაკაბაძე წერდა ქუთაისში, 1928 წელს, სადაც იგი იმ დროს დროებით, სტუმრად, ცხოვრობდა ცოლ-შვილთან ერთად თავისი მეუღლის მშობლიურ ბინაში, იმ მყუდრო ოჯახში, სადაც მას ჰქონდა სათანადო პირობები მუშაობისათვის. მას თავზე დასტრიალებდნენ მეუღლე, სიდედრი და მთელი მათი ოჯახი და უქმნიდნენ თბილ და შესაფერ გარემოს.

ჩვენ ამის შესახებ გამოვაქვეყნეთ კიდეც წერილი გაზეთში „მწვანეყვავილა“ (ქუთაისი, 1999 წ., N1), ამიტომ აქ აღარ გავიმეორებ იმ ფაქტებს, თუ სად დაიწერა და რა პირობებში შეიქმნა „ყვარყვარე თუთაბერი“.

ყვარყვარე ზოგად სახელად იქცა.

„საქართველოში ყვარყვარე დიდი ხანია ზოგად სახელად იქცა, ისევე, როგორც საფრანგეთში ტარტიუფი... ტარტიუფი ქართულად ყვარყვარეა“, – წერს ცნობილი თეატრმცოდნე ბორის პაიუროვსკი (იხ. Б. Паюровский. «Тартюф по-грузински – Кваркваре». გაზ. «Известия», N13, 16.01.1991).

თამაზ ჭილაძის აზრით, „ყვარყვარიზმი მარადიული საშიშროებაა... ყველა ადამიანის სულის კუნჭულში ზის პაწაწინა ყვარყვარე და მოთმინებით ელოდება ცხოვრების სცენაზე გამო-

სვლას... ყვარყვარიზმი მარადიული საშიშროებაა“ (თ. ჭილაძე. რჩეული თხზულებანი. ტ. 1. თბ., გამ. „მერანი“, 2006, გვ. 94).

რობერტ სტურუას აზრით კი, „ამ გენიოს კაცს არ მიეცა საშუალება გამოევლინა თავისი თავი... მარტო ქართული პრობლემები არ არის მის პიესებში. საკაცობრიო პრობლემები ეროვნულამდე დაყავდა... მე, როგორც რეჟისორი, ამ პიესით დავიბადე“ (იხ. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1994, N4, გვ. 58).

ასევე, ცნობილი დრამატურგი აკაკი გეწაძე გვთავაზობს მეტად საგულისხმო მოსაზრებას, რომელიც მთელი ქართული საზოგადოების აზრად შეიძლება ვიგულისხმოთ:

„ლიტერატურაში ყველაზე ძნელია ტიპის შექმნა. მოგეხსენებათ, ყოველ ადამიანში მეტნაკლებად ზის დონ კიხოტი, ჰამლეტი, ფალსტაფი, დონ ჟუანი, კვაჭი, ჯაყო, ყვარყვარე... უკვდავია ის მწერალი, რომელიც აღმოაჩენს ამას და დაგვანახებს საყოველთაო ტიპს, ყველა დროისა და ყოველი ერისათვის თვალსაჩინოს. დიახ, მსოფლიო ლიტერატურაში შექმნილ ტიპებს გვერდით უდგას ყვარყვარეც... და თუ ჯერჯერობით მას მსოფლიო ვერ ხედავს, ვერ იცნობს, ამის მიზეზი მხოლოდ ერთია, გარკვეულმა გარემოებამ ხელი შეუშალა ამ დიდ ასპარეზზე ყვარყვარეს გასვლას, მაგრამ მწამს, იგი ასე არ დარჩება, ხვალ თუ ზეგ ყვარყვარე გზას შორს გაიკვლევს და მასთან ერთად მისი შემქმნელიც“ (აკაკი გეწაძე. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“. 1994. N4, გვ. 48).

როგორც აღვნიშნეთ, 1994 წელს „ქარიშხალი“ (იგივე „ლისაბონის ტუსაღები“) მარჯანიშვილის თეატრში დადგა ქალბატონმა მედეა კუჭუხიძემ, სახელწოდებით – „პორტოპოლოს ტუსაღები“ და მიუძღვნა კიდეც თავის დადგმას საგულისხმო წერილი, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“. იგი წერს: „ნაწარმოები მრავალი ასპექტით ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს ეხმიანება – ძალადობრივი ქმედება, ... უპირველეს ყოვლისა, ანგრევს და სპობს თავად პიროვნებას (ლიდერს). ის დეგენერაციას განიცდის. დაუსჯელობიდან წარმოშობილი თავისუფლების ილუზიაც ზოგადსაკაცობრიო პრობლემაა...“ (ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“. 1994. N4, გვ. 55).

პოლიკარპე კაკაბაძის დადგმათა შესახებ მრავალი დაიწერა. ეს თემა მეც გავაჟღერე სხვადასხვა წერილებში, რომლებიც მი-

ვუძღვენი მამაჩემის შემოქმედებას. მაგრამ მოხდა ისე, რომ „ლისაბონის ტუსაღების“ პირველი დადგმის საკითხს არც მე და არც სხვა ავტორიც დღემდე დაწვრილებით არ შევხებივართ. სწორედ ამ საკითხის შესახებ თამარ ვახვახიშვილი გვაწვდის მეტად საგულისხმო ცნობებს, რომლებიც აქ მოვიხმე.

და ვფიქრობ, ის გაუგებრობით შექმნილი მითიც, მარჯანიშვილის კაბინეტში პოლიკარპე კაკაბაძის მუშაობის შესახებ „ყვარყვარე თუთაბერზე“, საჭიროებდა სწორ განმარტებას. ამ საკითხს ნათელს ჰფენს ქალბატონი თამარ ვახვახიშვილის მოგონებები, საიდანაც სრულიად ნათელია, რომ პოლიკარპე კაკაბაძე მარჯანიშვილის კაბინეტში მუშაობდა დაახლოებით ერთი კვირის მანძილზე 1925 წელს, როცა იგი წერდა პიესა „მიწისძვრას“, იმავე „ლისაბონის ტუსაღებს“, რომელიც დაიდგა კიდეც 1925 წელს „მიწისძვრის“ სახელწოდებით, ხოლო ამ დრამის საბოლოო ვარიანტი – „პორტოპოლოს ტუსაღები“, გადამუშავებული 1958 წელს, დაიდგა 1994 წელს კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში.

„ყვარყვარე თუთაბერის“ შექმნას რომ არაფერი აქვს საერთო კოტე მარჯანიშვილის კაბინეტში პოლიკარპე კაკაბაძის ერთკვირიან მუშაობასთან, მე ეს საკითხი სრულიად და ძლიერ კარგად ვიცოდი თვითონ მამაჩემისაგან, მაგრამ უცნაური და აფსურდული, გაუგებარი ჭორი ზოგჯერ გვაიძულებს საკუთარი თვალით ნახული და საკუთარი ცხოვრებით განცდილი ფაქტი დავიმოწმოთ გარეშე ფაქტორებით, სხვა, სანდო წყაროებით, როგორც უტყუარი ჭეშმარიტება.

ჭეშმარიტებასაც ზოგჯერ თავის მართლება სჭირდება!

მამაჩემის ოჯახის წევრები:

მამაჩემი – პოლიკარპე კაკაბაძე, დაიბადა 1893 წლის 25 თებერვალს, ძველი სტილით, ახალი სტილით – 7 მარტს, გარდაიცვალა 1972 წლის 15 ოქტომბერს.

დედაჩემი – ლუდმილა (მილა) ნიკოლოზის ასული მიხაილიდი (მიხაილოვი, საბუთების მიხედვით), დაიბადა 1903 წლის 20 მაისს (ახალი სტილით), გარდაიცვალა 1986 წლის 18 აგვისტოს.

პოლიკარპე კაკაბაძის შვილები:

მზია კაკაბაძე – დაიბადა 1922 წლის 12 იანვარს, გარდაიცვალა 1995 წლის 30 მარტს.

მალხაზ კაკაბაძე – დაიბადა 1934 წლის 5 აპრილს, გარდაიცვალა 1998 წლის 30 იანვარს.

მანანა კაკაბაძე – დაიბადა 1937 წლის 27 ივნისს.

ნათელა კაკაბაძე – დაიბადა 1939 წლის 6 ნოემბერს.

როცა ამ სიას ვადგენ, დედ-მამის შვილთაგან ორნი, მე და ნათელა ვართ ცოცხლები.

ჩვენი ოჯახის ცხოვრება მამასთან ერთად და მამის შემდეგ

როგორ ცხოვრობდა მამას ოჯახი მამასთან ერთად და მამის შემდეგ?

ნათელა, მამაჩემის ყველაზე უმცროსი შვილი, დაოჯახდა ყველაზე პირველად ოთხ და-ძმას შორის. იგი გათხოვდა 1962 წელს გიორგი კაციტაძეზე. 1963 წელს მათ შეეძინათ ვაჟიშვილი დათო, მამაჩემის პირველი შვილიშვილი. ნათელა, ჩვენი ნათო, გათხოვდა თუ არა, აღმოჩნდა, რომ ქმრის ოჯახი საკმაოდ ვიწროდ ცხოვრობდა და დედამ მაშინვე ჩვენთან გადმოიყვანა საცხოვრებლად ქმრითურთ.

ნათელას 1969 წელს მეორე შვილი შეეძინა, დინარა, ხოლო 1970-ში – მესამე, მაიკო, და ცხოვრობდა ნათო მამის ოჯახში ათი წელი ქმარშვილიანად. თუმცა, უკვე 1970-ში დამთავრდა ჩემი და ნათოს ბინები ხილიანის ქუჩაზე, მაგრამ ნათოს ქმარმა, გოგიმ, იქ, თავის ახალ ბინაში, კაპიტალური რემონტი წამოიწყო და გადავიდნენ მამას გარდაცვალებამდე სულ რამდენიმე თვით ადრე.

მე მაშინ, 1970 წელს, გადავედი ჩემს ახალ ბინაში და 1971 წლის დასაწყისში კიდეც გავთხოვდი. ორ მარტს მოვაწერე ხელი ქორწინებაზე სიკო (სიმონ) გირკელიძესთან. ამ დროს სიკოს უკვე ჰქონდა თავისი ბინა გრიბოედოვის ქუჩაზე (კიბეებთან, ათარბეგოვზე (ახლანდელი ძმები ზუბალაშვილების ქუჩა) რომ ადის), თავისი მხატვრობით შეგროვილი ფულით ნაყიდი პატარა, კერძო სახლი, პაწაწინა საკუთარი ეზოთი და შესანიშნავი ხედით ფუნიკულიორზე. სამი პატარა ოთახი იყო, ერთში მდგმური, მოხუცი, 76 წლის რუსის კეთილი ქალი ცხოვრობდა. იქ აპირებდა სიკო კარგი სახლის და სამხატვრო სახელოსნოს აშენებას. მამაჩემს ადგილი და ხედი მოეწონა და უთხრა, არ გაყიდო ეს ადგილი, მე მოგეხმარები აშენებაშიო, მაგრამ სიკოს დედამ სხვანაირად გადაწყვიტა: შვილს უთხრა, რაღად გინდა ეს სახლი, თქვენ ხომ გაქვთ ახალი ბინა ხილიანის ქუჩაზე, ეს ქოხი შენს ძმას დაუთმეო.

სიკოს მშობლებმა თბილისში ბინა ადრევე, ომის შემდგომ წლებში დაკარგეს და გადავიდნენ საცხოვრებლად სოფელ კვირი-

კეთში, საგვარეულო მამულში. ვაჟიშვილები, სიკო და რუსლანი, სკოლა რომ დაამთავრეს, უმაღლესში სასწავლებლად თბილისში ჩამოვიდნენ და აქ დასახლდნენ. რუსლანი, სიკოს ძმა, ჩასიძებული იყო ცოლთან და სიდედრთან. ის კარგი გეოლოგი იყო.

სიკომ ძმა ბინის მისაღებად ადრევე ჩაწერა რიგში და უკვე აძლევდნენ კიდეც ოროთახიან ბინას გეოლოგების ახლად დამთავრებულ სახლში, მაგრამ მან უარი თქვა, არ მომწონს, შორს არისო, ჯობს, კოოპერატიულ მშენებლობაში შევალ, ბარემ კარგ ბინას ავიშენებ ქალაქის ცენტრშიო.

დედამ და ძმამ სიკოს შესთავაზეს, გავყიდოთ შენი სახლი და ფული გავიყოთო. ასეც მოიქცნენ. მე ხელი არ შემიშლია, დავეთანხმე მათ წინადადებას, რადგან ოჯახში თანხმობა და სიყვარული ჩემთვის ყველაზე ძვირფასი იყო. – რასაც გთხოვენ, მიეცი, – ვუთხარი ჩემს მეუღლეს.

სიკოს ძმამ, რუსლანმა, იმ ფულით მართლაც აიშენა კარგი სამოთახიანი ბინა ბახტრიონის ქუჩაზე, სადაც მისი მემკვიდრეები ახლაც ცხოვრობენ.

მალხაზმა, ნათელა რომ გათხოვდა, იმავე თვეებში, 1962 წელს, შეირთო ცოლად ციური ებანოიძე, მაგრამ ისინი მალევე დაშორდნენ ერთმანეთს, ერთ წელიწადში, შეუფერებლები იყვნენ და ერთმანეთს ვერ შეეწყვნენ. ამ ამბის შემდეგ მალხაზი აღარ დაქორწინებულა. როგორც ვთქვი, იგი ისტორიკოსი იყო, მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შუა საუკუნეების ისტორიის კათედრაზე, სიცოცხლის ბოლომდე კითხულობდა ლექციებს და ატარებდა სემინარებს. იგი უყვარდათ სტუდენტებს და თანამშრომლებს, როგორც საუკეთესო ლექტორი და ამავე დროს, როგორც უმწიკვლო და სპეტაკი ადამიანი.

1966 წელს მზია გათხოვდა სანდრო ქათამაძეზე, მაგრამ ვერც ის შეეთვისა მეუღლეს და ისინიც მალევე დაშორდნენ ერთმანეთს, დაახლოებით ორ წელიწადში. შვილი არ დარჩენია არც მზიას, არც მალხაზს.

მზია მუშაობდა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში ინგლისური ენის მეთოდისტად. იგი იქ კითხულობდა ლექციებს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე ინგლი-

სურ ენასა და ლიტერატურაში, იყო ბრწყინვალე ლექტორი და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც მეთოდისტი და როგორც ენისა და ლიტერატურის საუკეთესო მცოდნე.

ნათელამ მამაჩემის შემდეგ, 1978 წელს, კიდევ გააჩინა მეოთხე შვილი, ნინო, ოჯახის ახალი სიხარული.

ამრიგად, მამაჩემს დარჩა ხუთი შვილიშვილი, ოთხი ნათელასაგან, ერთი ჩემგან. მამა მხოლოდ სამი შვილიშვილის დაბადებას მოესწრო, ნინო და მარიამი მამას გარდაცვალების შემდეგ დაიბადნენ.

ასეთია მამაჩემის შვილებისა და შვილიშვილების მოკლე ოჯახური ბიოგრაფია.

მე და ნათელა ერთ სახლში ვცხოვრობთ სიმონ ჩიქოვანის ქუჩაზე.

ნათელას მეოთხე შვილი რომ გაუჩნდა, ნინო, ერთი წლისა და შვიდი თვის შემდეგ მეც მეყოლა მარიამი.

ჩემი მარიამი ხუთი თვის რომ იყო, ნათელამ ჩამოიყვანა ჩემთან თავისი ორი წლის ნინო და იმის შემდეგ ცამეტ წლამდე ნინო ჩემთან იზრდებოდა, ერთად ვზრდიდით ორივეს. ნათელა სამსახურში რომ მიდიოდა დილით, ცხრა საათზე, ჩამოიყვანდა ნინოს ჩემთან და ექვს-შვიდ საათამდე, ზოგჯერ უფრო გვიანობამდეც, ბავშვი ჩემს ოჯახში იყო. დედაჩემი, მარიამი რომ გამიჩნდა, ორი წელიწადი ჩემთან გადმოვიდა საცხოვრებლად. იგი უკვე სამოცდაჩვიდმეტი წლის იყო და ბევრი აღარ შეეძლო, ბავშვს ხელში ვერ იყვანდა, მაგრამ წვენებს რომ დაუწურავდა ბავშვებს, ან ჩადგმულ სადილს რომ მიხედავდა, სანამ მე მათ ვასეირნებდი, ესეც დიდი შეღავათი იყო ჩემთვის.

ორი წლის შემდეგ დედაჩემი გადავიდა თავის სახლში, გოგებაშვილის ქუჩაზე და მე, სამსახურში რომ წავიდოდი, ორივე ბავშვს ჩემს მეუღლეს, სიკოს ვუტოვებდი მოსავლელად. ისიც ასეირნებდა ბავშვებს ეზოში, ხან ზოოპარკში, რომელიც ჩვენს ეზოს ესაზღვრება. შველები და ირმები ჩვენს ბავშვებს რომ დაინახავდნენ, მორბოდნენ მათკენ, როგორც კარგ მეგობრებთან, რადგან მარიკოს და ნინოს მათთან მიჰქონდათ თავის ხელით დაკრეფილი მწვანე ბალახი და ტკბილად, ალერსით ესაუბრებოდნენ ცხოველებს.

ნათელა სამსახურიდან ორი-სამი საათით ბიბლიოთეკაში გაივლიდა ხოლმე, სამეცნიერო თემაზე მუშაობდა, საკანდიდატო დისერტაციაც წარმატებით დაიცვა მედიცინაში. იგი საუკეთესო პედიატრი იყო.

ჩემი უბედურება მამაჩემის შემდეგ

მამაჩემის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ მე დამიდგა განსაკუთრებული განსაცდელის ჟამი.

ახალ ფეხმძიმობაზე დავეცი და სისხლის დენები დამეწყო. ლოგინს მიჯაჭვული, გაუნძრევლად ვიწექი რამდენიმე თვე, რომ შემენარჩუნებინა ბავშვი, ჩემი პირველი შვილი, მამაჩემის გარდასვლიდან სულ რამდენიმე თვეში რომ ჩაისახა.

ვიწექი ჯერ სახლში ორი თვე, შემდეგ მეორე სამშობიაროში (კამოს ქუჩაზე (ახლანდელი დიმიტრი უზნაძის ქუჩა) კიდევ ორი თვე, ახლა უკვე სულ გაუნძრევლად.

სულ ოთხი თვე ვიწექი. ამ პერიოდში, სიზმრებში, მამაჩემი თითქმის ყოველ ღამე მოდიოდა ჩემთან. ბოლო ორი თვე, როცა მე სამშობიარო სახლში ვიწექი და განსაკუთრებით მძიმედ ვიყავი, არ იყო არც ერთი ღამე, რომ მამა ჩემთან არ მოსულიყო სიზმარში. ჩვენ ვსაუბრობდით მთელი ღამის განმავლობაში და ეს იყო დიდი ნუგეში ჩემთვის. ვსაუბრობდით ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, იმქვეყნიურ და ამქვეყნიურ ცხოვრებაზე, მაგრამ როცა ვიღვიძებდი, ყველაფერი მავიწყდებოდა, ყველაფერი ქრებოდა.

ერთხელ, უკვე ცხადში, იმ დღეებში, მამას სულს ვთხოვე: – მამა, ძალიან მენატრება შენი ხმის გაგონება, სიზმარში რომ ვსაუბრობთ, შენი ხმა არ მესმის, ხმა გამაგონე, მამა! – შეევედრე, და წარმოიდგინეთ, იმ ღამეს, მამას სული რომ მოვიდა ჩემთან, მასთან საუბრისას მთელი ღამე ძილში მესმოდა ძალიან გარკვევით, ძალიან კარგად მამას ხმა, მისი სალუქი ხმა. მე ძალიან ბედნიერი ვიყავი იმ წუთებში.

ძლიერი სისხლის დენა როცა მეწყებოდა, რომელსაც უნდა დაეღუპეთ მეც და ჩემი ამქვეყნად ჯერ დაუბადებელი შვილიც, წინა ღამით მამა მეცხადებოდა ხოლმე, საშინლად შეწუხებული და ტანჯული სახით.

ბავშვი მაინც ნაადრევად დაიბადა. 1973 წლის 23 ივლისს შემეძინა ჩემი პირველი შვილი, გოგონა, რომელიც ორ დღეში იქვე, სამშობიაროში დაიღუპა.

ბავშვი დაიბადა მცირე წონის, ერთი კილოგრამი და 350 გრამი, მაგრამ საღი ბავშვი იყო, გული ძლიერი ჰქონდა, თვალებიც კარგი, წესით, უნდა გადარჩენილიყო, სრულ იმედს მაძლევდნენ ექიმები.

იმ სამშობიაროში, სადაც მე ვიწექი, მცირე წონის ბავშვების ინკუბატორში რემონტი იყო. თურმე, შეიძლებოდა სხვაგან გადაყვანა, სხვა სამშობიაროს ინკუბატორში, მაგრამ ეს არ გააკეთეს. მე დამიმალეს, რომ არსებობდა ასეთი შესაძლებლობა და რომ ეს გადაარჩენდა ჩემს ბავშვს. მე ამ ინკუბატორების შესახებ არაფერი ვიცოდი, მერე გავიგე, ძალიან გვიან და ზოგი დეტალი სულ ახლახან. მე დამიმალეს სიმართლე, ჩემი ბავშვის ბედი ჩემ გარეშე და მამამისის გარეშე გადაწყვიტეს.

ძნელი სათქმელია, მაგრამ ასე მოხდა.

მხოლოდ ეს ვიცი, მამაჩემი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ის ბავშვიც ცოცხალი იქნებოდა.

ამ ტრაგედიის შემდეგ, მშობიარობიდან მეცამეტე დღეს, ნერვიულობის და განცდების ნიადაგზე, ფილტვის ინფარქტი მივიღე. ძალიან მძიმედ ვიყავი, არც ეგონათ, თუ გადავრჩებოდი. ჩემს განაჩენს ექიმების თვალებში ვკითხულობდი, თითქმის არც მიმალავდნენ. სამ კვირას ბალიშიდან თავს ვერ ვიღებდი, ხელებიც კი სულ გალურჯებული მქონდა, ტკივილები – საშინელი. მაგრამ ყველაზე მძიმე იყო ის განცდა, რომ ტირილი მახრჩობდა ბავშვის დაღუპვის გამო და ვერ ვტიროდი, სუნთქვა მთლად შეკრული მქონდა, ამიტომ ვიყავი გალურჯებული. სამი კვირის შემდეგ, ბალიშიდან თავი რომ წამოვწიე და სარკეში ჩავიხედე, მაშინ მივხვდი, რატომ ჰქონდათ ექიმებს ასეთი შეშინებული და უიმედო სახეები. მთლად ლურჯი მქონდა სახე, თვალები – ჩაცვენილი, ჩემი ცნობა შეუძლებელი იყო, მაგრამ ღვთის ნებით გადავრჩი. ღმერთმა ასე ინება!

ამ ამბიდან ძალიან მალე, 1975 წელს, დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია ნიკოლოზ ბარათაშვილზე და ევროპულ რომანტიზ-

მზე. ეს იყო სევდით და სიყვარულით დაწერილი ნაშრომი, მართალი, ახლებური ანალიზი ურთულესი, საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემებისა. ამ ნაშრომმა მე მომიტანა სახელი და სამეცნიერო საზოგადოებისაგან დაფასება. მე უცებ ვიქეცი მნიშვნელოვან ავტორად. 1983 წელს კი დავიცავი სადოქტორო დისერტაცია, ისიც წარმატებით, ბრწყინვალედ.

ჩემი საკანდიდატო დისერტაცია, ისევე როგორც შემდგომ სადოქტორო, საბჭოურ იდეოლოგიას და იქ გამეფებულ თვალსაზრისს სრულიად უპირისპირდებოდა. მაგრამ დისერტაციები დავიცავი წარმატებით და მოსკოვშიც კი, „ვაკში“ (რუს. Вак – Высшая аттестационная комиссия), იძულებული იყვნენ, ეღიარებინათ ჩემი საკანდიდატო დისერტაცია, როგორც ბრწყინვალე ნაშრომი, თუმცა განსახილველად ყველაზე მკაცრ რეცენზენტებს გადასცეს იგი, როგორც საბჭოთა იდეოლოგიისათვის შემაშფოთებელი გამოკვლევა.

დისერტაციამ განსაკუთრებული ქება დაიმსახურა თურმე „ვაკის“ უმკაცრესი რეცენზენტის, ილია ფირცხალავას მიერ, რომელსაც განუცხადებია, ასეთი ძლიერი დისერტაცია მე ხელთ არ მჭერიაო. ეს ის პროფესორი გახლდათ, რომელიც მთელ კომისიას აზანზარებდა და, ჩვენი ცნობით, ზოგი მეტად გავლენიანი ქართველი საბჭოთა პროფესორი უარყოფითი რეცენზიითაც გამოისტუმრა.

მაგრამ ჩემი ამ ნაშრომის, და არა მარტო ამ ნაშრომის, არამედ მთელი ჩემი კვლევების გამო მე ყოველთვის განსაკუთრებული თვალთვალის ქვეშ ვიყავი, რადგან ჩემი კვლევები, რომელთაც მოჰქონდათ სიახლე, ეყრდნობოდა ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ისეთ ანალიზს, რომელიც არ იყო სასურველი საბჭოური, მატერიალისტური, ანტიქრისტიანული იდეოლოგიისათვის.

* * *

მეორე შვილი მარიამი შემეძინა შვიდი წლის შემდეგ, იგი ახლა ცნობილი მხატვარია და გერმანიაში მოღვაწეობს.

მარიამმა გერმანელ ლიტერატორთან ერთად თარგმნა „ყვარყვარე თუთაბერი“, მხატვრულად თვითონვე ბრწყინვალედ გააფორმა, თოთხმეტი ილუსტრაცია შექმნა, წიგნს დაურთო და გამოსცა, წიგნის დიზაინიც მთლიანად თვითონ გააკეთა. ამ გამოცემას დიდი მოწონება ხვდა წილად 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე.

* * *

ბავშვის დაღუპვის შემდეგ, განსაკუთრებით პირველ წლებში, მამა ხშირად მეცხადებოდა სიზმარში ბავშვთან ერთად. ამ სიზმრებში ბავშვი უკვე წამოზრდილი იყო, რამდენიმე წლის, ფეხით დადიოდა, მამაჩემთან ხელჩაკიდებული. ჩემი ბავშვი ხომ გოგონა იყო და მამაც მუდამ გოგონასთან ერთად მეცხადებოდა.

ერთხელ, ამ ამბიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ნათელამ მითხრა, მამა გამომეცხადა სიზმარში, თან პატარა გოგონა ახლდაო, ნეტავი ეს რა სიზმარიაო. მე ვუპასუხე, ის ჩემი შვილია და მამასთან ერთად გვეცხადება-მეთქი.

მამამ იმქვეყნად თან წაიღო ჩვენი სიყვარული და დარდი და დარწმუნებული ვარ, იქაც განიცდის ჩვენს სატანჯველს, ჩვენს მწარე ცხოვრებას.

დამატება

ჩემი მოგონების ეს ნაწილი შეეხება, ძირითადად, ჩემს ლიტერატურულ და სამეცნიერო საქმიანობას და მასთან დაკავშირებულ ბრძოლებსა და თავგადასავლებს, და ამავე დროს, ჩემს ცხოვრებაში მამაჩემის მონაწილეობის ფაქტებს.

* * *

მე პროფესორი ვარ. ჩემი დამსახურების გამო შემიტანეს მე საქართველოს ენციკლოპედიაში და არა მამაჩემის შვილობით, მამას გამო მე მხოლოდ მებრძოდნენ. მამაზე მე ოცდაათზე მეტი გამოკვლევა და წერილი გამოვაქვეყნე. ეს მრავალს აღელვებდათ, ეშინოდათ „ყვარყვარე თუთაბერის“ ავტორის სახელის გახსენება.

მე ვარ მნიშვნელოვანი გამოკვლევების ავტორი. მარტო ის რად ღირს, რომ მე, პირველმა, დავით აღმაშენებლის საგალობლის ლიტერატურული ანალიზი გავაკეთე და მას მივუჩინე კუთვნილი ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში (იხ. გაზ. „კალმასობა“, 2006, N6). ეს ჩემი დამსახურებაა, რომ დავით აღმაშენებლის საგალობელს დღეს მთელი საქართველო მღერის. მანამდე იგი არავის მიაჩნდა მნიშვნელოვან პოეტად და მის საგალობელს არავინ თვლიდა ხსენების ღირსადაც კი. ამ გამოკვლევით მე შევძელი ის, რაც ვერ შეძლო პავლე ინგოროყვამ და თვით კორნელი კეკელიძემ. ორივე ეს დიდი მეცნიერი აღფრთოვანებული იყო ჩემი გამოკვლევით და ასეთივე აღფრთოვანებული წერილი გამოგზავნა ჟენევიდან გრიგოლ რობაქიძემ. ეს წერილი რამდენჯერმე გამოქვეყნდა, ის საქვეყნოდ ცნობილია.

ჩემ შემდეგ და ჩემი ლიტერატურული კვლევების საფუძველზე, დაიწყო ძველი ქართული სასულიერო პოეზიის ახლებური ანალიზი და მისი კავშირების ძიება მთელი შემდგომი ქართული ლიტერატურის განვითარების პროცესზე. ქართული რომანტიზმის წარმოშობის ძირები ძველ ქართულ სასულიერო პოეზიაში მე დავადგინე და ამ გზით დაიწყო ჩემ შემდეგ ქართული ლიტერატურის ახლებური კვლევა.

და ეს ყველაფერი საბჭოთა ეპოქაში, ქრისტიანობასთან ბრძოლის უმკაცრეს პერიოდში!

ჩემი პირველი პუბლიკაციები და მათთან ბრძოლა

დავით აღმაშენებელი, ჯორჯ ბაირონი, ნიკოლოზ ბარათაშვილი

მე მიყვარდა ჯორჯ ბაირონი, მიყვარდა დავით აღმაშენებელი, მიყვარდა ნიკოლოზ ბარათაშვილი... და ამისათვის განვიცადე დევნა.

მიყვარდა ბაირონი და ვწერდი მასზე ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის პერიოდიდან. შემდეგ, როცა უნივერსიტეტი დავამთავრე, 1962 წელს, დავწერე გამოკვლევა – „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკა და ევროპული რომანტიზმის გმირი“, სადაც „მერანისა“ და „მანფრედის“ შეპირისპირებითი ანალიზი წარმოვსახე, რომელიც შემდეგ ჩემი საკანდიდატო დისერტაციის ნაწილად იქცა. ეს ნაშრომი გამოქვეყნებულია.

მიყვარდა ბაირონი, ბარათაშვილი, დავით აღმაშენებელი და ეს სიყვარული არ მაპატიეს.

რატომ გიყვარს? ამის გამო შური და მტრობა იბადება ადამიანის მიმართ.

მათ, ვინც მებრძოდა უსამართლოდ, თვითონ სიყვარული ვერ განიცადეს სრულად, ყოვლისმომცველად. ამიტომ დაიბადა მათში შური და სურვილი, წარგტაცონ, წაგართვან, მიითვისონ შენი გრძნობის გამონაჟური, შენს ნაწერებში რომ ამეტყველდა.

სიყვარული ადამიანის მიმართ და უმაღლესი იდეის, ღვთაების მიმართ, რომელიც უკვდავ მწერალთა ქმნილებებში გამოვლინდა, თუ შეიგრძენი მთელი გულით და ახლებურად აამეტყველე შენს ნაწერებში, ხან იწვევს აღფრთოვანებას შენთვის მონათესავე სულებში, ხან კი – აღშფოთებას, შურს, ეჭვს და სურვილს, გაგაქრონ და თვითონაც მიითვისონ შენი თვალით დანახული და შენი გრძნობით ამეტყველებული სიახლე, ჭეშმარიტება – დანახული შენი თვალით, განცდილი – შენი გრძნობით და გადმოცემული – შენი ენით.

შენ აღშფოთების საგნად იქცევი.

„ჩემი საყვარელი წიგნი“

სკოლას რომ ვამთავრებდი, გამოსაშვებ გამოცდაზე მოვიდა თავისუფალი თემა: „ჩემი საყვარელი წიგნი“.

სკოლაში ყველა ბავშვი სასწავლო პროგრამით, მათთვის ნაცნობი და შესწავლილი წიგნის მიმოხილვას, ანდა სკოლაშივე დამუშავებულ რაიმე თავისუფალ, პროპაგანდისტულ თემას წერდა, ვთქვათ – „საბჭოთა ადამიანის მორალი“ და მსგავსი რამ. მე კი დავწერე: „ჩემი საყვარელი წიგნი“ – „ჯორჯ ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა“ – გავაანალიზე ბაირონის ნაწარმოები და დავასაბუთე, ეს ქმნილება რატომ მიყვარს.

იმხანად, მე უკვე გატაცებული ვიყავი ბაირონით და „ჩაილდ ჰაროლდიდან“ ადგილები ზეპირადაც ვიცოდი, კარგი მეხსიერება მქონდა, პოემებს ვიმახსოვრებდი ზეპირად.

ჩემი ქართულის მასწავლებლისათვის და სკოლის დირექტორისათვის შოკის მომგვრელი იყო ჩემი ასეთი სითამამე.

ისინი შეშინდნენ.

– კი, მაგრამ, ეს შეიძლება? რას იტყვიან განათლების სამინისტროში? სად სკოლის პროგრამა და სად ბაირონი?

– ამისათვის ჩვენ რას გვიზამენ? – ამბობდნენ ისინი შიშით.

– რამე არ დაგვწამონ!

ეს ხომ იდეოლოგიური სიახლე იყო, რასაც, ვინ იცის, როგორ შეხედავდნენ ზემოთ, სიახლე და განსხვავებული აზრი დაუშვებელი იყო და მკაცრად კონტროლდებოდა.

ოქროს მედლის კანდიდატი ვიყავი, ყველა საგანში – ძლიერი.

მათემატიკაში, ოლიმპიადაში გავიმარჯვე სწორედ გამოსაშვები გამოცდების წინა დღეებში და ჩემი მათემატიკის მასწავლებელი აღფრთოვანებული იყო ამ ფაქტით.

მაგრამ ჩემი მასწავლებლების შიშის მიუხედავად, განათლების სამინისტროში ჩემმა თემამ ნამდვილი ფურორი გამოიწვია. ისინი აღფრთოვანდნენ, მათ პრაქტიკაში ასეთი რამ არასოდეს მომხდარა.

ბაირონი საბჭოთა სკოლაში? ეს ხომ შოკის მომგვრელი სითამამე იყო! მაგრამ მათში თავისუფლების სიყვარულმა სძლია შიშს.

მახსოვს, მაშინ განათლების მინისტრად აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე იყო და მერეც, დიდხანს, მამაჩემს როცა შეხვდებოდა, ყოველთვის შეახსენებდა ხოლმე: – შენმა ქალიშვილმა, მანანამ, ეს როგორი თემა დაგვიწერა სკოლაშიო.

მრავალი წლის შემდეგ, როცა მამაჩემი აღარ იყო ამქვეყნად, გიორგი ჯიბლაძე ჩემი სადოქტორო დისერტაციის ოპონენტიც იყო და თავის რეცენზიაში წერდა, ამ ნაშრომის თითო თავში ეკუთვნის მანანა კაკაბაძეს დოქტორის ხარისხი, იმდენი სიახლეა და ისეთი მნიშვნელოვანი საკითხებია აქ გადაწყვეტილიო. მან ეს კატეგორიულად, თამამად განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური იდეოლოგიის დამცველები, მოკალათებული მეცნიერების სამყაროში, ძალაუფლება რომ ეჭირათ ხელში, სასტიკად მებრძოდნენ, თუმცა, ვერაფრით ვერ დამამარცხეს, რადგან სიმართლე ჩემკენ იყო. მე თავს ვწირავდი ამ სიმართლეს და ამას ხედავდა ღმერთი. იგი მიცავდა და დროდადრო მომივლენდა ხოლმე ადამიანებს, რომლებიც ბედავდნენ ჩემს გვერდით დგომას.

* * *

ასეთი ტრადიცია იყო ჩვენში:

სკოლის დამთავრებისას პირველი გამოცდა ყოველთვის ქართული წერა იყო. ეს იყო მთავარი გამოცდა. ამ დროს, მოწაფეთა მშობლები, ოჯახის წევრები და გულშემატკივრები მოდიოდნენ სკოლასთან და ელოდებოდნენ გულის ფანცქალით, რას იზამდა მათი ბავშვი, როგორ ჩააბარებდა ამ ყველაზე მნიშვნელოვან გამოცდას.

ამიტომ სკოლასთან ამ დროს დიდძალი ხალხი იყრიდა თავს, იყო ვნებათა ღელვა და ჩოჩქოლი.

მაგრამ სკოლის წინ შეკრებილ მშობელთა და გულშემატკივართა შორის მე არავინ მელოდა, რადგან ოჯახის წევრებისათვის არ მითქვამს, ქართულ წერაში გამოცდა მაქვს და მოდით ჩემს სკოლასთან-მეთქი. დავწერე თემა, ჩავაბარე გამოცდა, გამოვედი გარეთ და წამოვედი მარტო.

გამოცდიდან შინ რომ დავბრუნდი, ჩვენებმა მკითხეს: „რა დაწერე, მანანა?“ – ვუპასუხე: – მოვიდა თემა – „ჩემი საყვარელი

წიგნი“ და მე დავწერე „ჯორჯ ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა“.

ჩემს მშობლებს გაეღიმათ, გაკვირვებით შემომხედა დედაჩემმა, რადგან იცოდა, რომ სკოლის პროგრამაში არ იყო ბაირონი. მამაჩემს კი განსაკუთრებული გაკვირვება არ გამოუხატავს. მან იცოდა, რომ ვკითხულობდი ბაირონს, შექსპირს, ჰომეროსს და სხვა გენიოსთა ნაწარმოებებს და მისთვის, ალბათ, ეს ამბავი განსაცვიფრებელი არ უნდა ყოფილიყო. ჩანდა, ესიამოვნა კიდეც, რომ კარგი არჩევანი გავაკეთე. მასაც ხომ უყვარდა ბაირონი!

მაგრამ ამ დროს ჩვენთან სტუმრად იყო პავლე ინგოროყვა, მამაჩემის მეგობარი და ამავე დროს, ჩვენი მეზობელიც. ბატონი პავლე, დიდი მეცნიერი და დიდი მოღვაწე, იმდენად აღფრთოვანდა და გაოცდა ჩემი ამბით, რომ გადაწყვიტა ენახა ჩემი ნაწერი.

– უნდა ვნახო, რა დაწერა ამ ბავშვმა! – თქვა მან მტკიცედ და მღელვარე ხმით. ის უცნაურად ცნობისმოყვარე ადამიანი იყო და მგრძნობიარე სიახლის მიმართ.

ნეტავ, რა დაწერა, ან როგორ დაწერა ასეთი რამ? ან რატომ დაწერა?

მე უცებ მისთვის აღმოჩენა გავხდი, გამოცანა, რომელიც უნდა ამოეხსნა.

ვინ იყო ეს პატარა გოგო, ასეთი არაბავშვური, გაბედული ლიტერატურული გემოვნებით?

მეორე დილითვე, ცხრა საათზე, პავლემ გამოუარა მამაჩემს და ისინი, პავლეს ინიციატივით, წავიდნენ ჩემს სკოლაში, ჩემი თანხლებით, რა თქმა უნდა. მათ ხომ გზაც არ იცოდნენ. მანამდე მამაჩემი ჩემს სკოლაში არასოდეს ყოფილა, არც იცოდა, სად იყო ჩემი სკოლა, ან როდის რომელ კლასში ვიყავი, თუმცა იცოდა, რომ კარგად ვსწავლობდი. მამა ყოველთვის თვალს ადევნებდა ჩემს განათლებას. ბავშვობიდან, მცირე ასაკიდან, თვითონ მირჩევდა წიგნებს, მდარე ხარისხის ლიტერატურას სახლში არ აჭაჭანებდა, ბავშვებს გემოვნება გაუფუჭდებათო. ჩვენს ოჯახში, განსაკუთრებით მე და მამა, ხშირად ვსაუბრობდით ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე. ჩვენ ამ ინტერესებით ვსუნთქავდით, ეს იყო ჩვენი ცხოვრება.

თუმცა, მამამ იცოდა, რომ იმ წელიწადს სკოლას ვამთავრებდი, მაგრამ სკოლაში დედაჩემი თუ მოვიდოდა, ისიც მეოთხედში ერთხელ და ახლა, მამაჩემის სკოლაში მისვლა პირველი შემთხვევა იყო.

პავლე ჩემი ნაწერით აღფრთოვანდა და შინ რომ დაბრუნდნენ, სულ სიცილით იმეორებდა ადგილებს ჩემი თამამი ნაწერიდან. ან როგორ დაიმახსოვრა?!

– პოლიკარპე, ნახე, რა დაწერა ამ ბავშვმა? – ამბობდა ის სიცილით.

– მაჩუქე ეს ბავშვი, პოლიკარპე, მე უნდა გავზარდო! – ეუბნებოდა პავლე მამაჩემს.

მე მაინც პავლეს მოწაფედ გავიზარდე უნივერსიტეტში, რისთვისაც ზოგიერთი საბჭოთა ლექტორისაგან უსიამოვნებაც შემხვდა.

1956 წელს დავამთავრე 55-ე საშუალო სკოლა ოქროს მედლით და შევედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

დავით აღმაშენებლის პოეზიის აღმოჩენა

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩემი პირველი პუბლიკაცია იყო 1962 წელს ჟურნალ „მნათობში“ დაბეჭდილი „დავით აღმაშენებლისა და დემეტრე მეფის ლირიკა“, რომელშიც პირველად გაანალიზდა ლიტერატურულად დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, წარმოჩინდა მისი მხატვრული ღირსებანი და განისაზღვრა ამ ქმნილების ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ჩემი წერილის გამოქვეყნების შემდეგ საზოგადოებამ შეიყვარა დავით აღმაშენებლის პოეზია და ეს უდიდესი მეფე და წმინდანი პოპულარული გახდა, როგორც მწერალი. იგი დღესაც პოპულარულია, მას მიეძღვნა მრავალი გამოკვლევა და ლიტერატურული წერილი. ჩვენი გამოკვლევის გამოქვეყნებამდე დავით აღმაშენებელს არავინ თვლიდა მნიშვნელოვან მწერლად, ის ჩრდილში იყო. უფრო მეტიც, საზოგადოებისათვის არ არსებობდა პოე-

ტი დავით აღმაშენებელი, თუმცა იგი იყო სათაყვანებელი მეფე და პოპულარული, როგორც ქართველთა შორის უდიდესი მოღვაწე.

* * *

ყოველივე კი ასე დაიწყო:

მესამე კურსზე როცა ვიყავი, ძველი ქართული ლიტერატურის სპეცკურსში ავირჩიე თემად – „ძველი ქართული სასულიერო პოეზია“.

სპეცკურსის ხელმძღვანელი ტრიფონ რუხაძე იყო. მასალების თვალიერებისას წავაწყდი დავით აღმაშენებლის ტექსტს – „გალობანი სინანულისანი“.

მანამდე არ ვიცოდი, დავით აღმაშენებელს საგალობელი თუ ჰქონდა დაწერილი, რადგან არც ლექციებზე და არც სემინარებზე არასოდეს არავის უხსენებია ეს ფაქტი, არც ალექსანდრე ბარამიძეს, არც ტრიფონ რუხაძეს და არც ლეო მენაბდეს.

დავით აღმაშენებლის საგალობელში ისტორიულ ფაქტებზე არავითარი ცნობები არ იყო. ამიტომ ეს ნაწარმოები მათი კვლევის საგანი არ გამხდარა.

მხოლოდ თედო ჟორდანია დაინტერესდა – სულ ცოდვებზეა ლაპარაკი, რაღაც ახალგაზრდული ცოდვა ჰქონია მეფესო, და გაფაციცებით ეძებდნენ მეცნიერები ამ ცოდვას, რომელმაც, მათი აზრით, მწერალს დააწერინა „გალობანი სინანულისანი“.

„ცოდვათა სიჭაბუკისა და უმეცრებისა ჩემისათა ნუ მოიხსენებ, წყალობითა შენითა მომიხსენე მე სიტკბოებისა შენისათვის, უფალო“ (ფს. 24,7), – წერს დავით წინასწარმეტყველი.

უდიდეს წმინდანებს, დავით წინასწარმეტყველს და, ასევე, დავით აღმაშენებელს სინანულის საგალობელს აწერინებს არა ცოდვა, არამედ სიკეთე და სიყვარული, არა დანაშაული, არამედ უდიდესი ღვთიური მადლი, ამიტომ არიან ისინი წმინდანები.

ჩვენი მკვლევარები ძველი ქართული სასულიერო პოეზიის ნიმუშებში ეძებდნენ ისტორიულ ფაქტს და არა პოეზიას. ამიტომ მათი საუბარი ამა თუ იმ პოეტურ ქმნილებაზე იყო მშრალი.

ჩვენში სასულიერო პოეზია არ განიხილებოდა როგორც ლიტერატურა, არამედ მხოლოდ როგორც ისტორიული დოკუმენტების შემცველი ტექსტები. დავით აღმაშენებლის საგალობელში

არ ეძებდნენ პოეზიას. ეს იყო შეცდომა და ამიტომ ვერ იგრძნეს და ვერ გაიგეს იგი, ერთი სიტყვითაც კი ვერ შეჩერდნენ მის ნამდვილ ღირსებებზე, ვერავინ, თვით პავლე ინგოროყვაც კი.

დავით აღმაშენებლის საგალობელი ჩემთვის იყო აღმოჩენა, რომელზეც არაფერი ვიცოდი მანამდე...

პავლე ინგოროყვამ თავის „გიორგი მერჩულეში“ შეიტანა ძველი ქართული სასულიერო პოეზიის საუკეთესო ნიმუშები. ხელნაწერებში ეს ტექსტები გაბმით, პროზაული ფორმით იყო დაწერილი. პავლე ინგოროყვამ ეს ტექსტები დაყო მუხლებად, სალექსო სტროფებად და ეს იყო დიდი სიახლე და მეტად მნიშვნელოვანი საქმე. ამ ტექსტებს შორის იყო დაბეჭდილი დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, ასევე დატეხილი სალექსო სტრიქონებად, მაგრამ არც ერთი სიტყვა არ იყო ნათქვამი მის მხატვრულ ღირებულებებზე, მის მნიშვნელობაზე, როგორც ლიტერატურულ ქმნილებაზე.

მე გამაოცა დავით აღმაშენებლის საგალობელმა, მსგავსი არაფერი წამიკითხავს იმ სასულიერო პოეზიის ნიმუშებში, შუა საუკუნეებში რომ იქმნებოდა. ის ყველასაგან განსხვავდებოდა თავისი დონით, პოეზიის სიმაღლით და მშვენიერებით. გაბრუებული დავდიოდი, ასეთი არაფერი წამიკითხავს.

დავიწყე მასალების თვალიერება, სამეცნიერო ლიტერატურას გადავხედე. დავით აღმაშენებლის საგალობელი იქა-აქ მოხსენიებული იყო მხოლოდ როგორც უმნიშვნელო, მეათეხარისხოვანი ნაწარმოები, რომლის მხატვრულ ღირსებებზე საერთოდ არაფერი იყო ნათქვამი. ერთადერთი, რითაც დაინტერესდნენ სამეცნიერო წრეები, იყო ის, რომ დავითი თავს ცოდვილად იხსენიებს, მაგრამ ვერ აზუსტებდნენ, რა ცოდვაზე ლაპარაკობდა პოეტი. სამწუხაროდ, ამ ქმნილებაში სხვა მნიშვნელოვანი და საგულისხმო ვერ დაინახეს მკვლევარებმა.

მეცნიერებმა ვერ გააანალიზეს, რომ დიდ მორწმუნეთა და წმინდანთა ლოცვებში ლაპარაკია მთელ საკაცობრიო ცოდვებზე. ისინი ცოდვილი კაცობრიობის ნაწილად თვლიან საკუთარ თავს და ამიტომ არიან წარმოდგენილი დიდ ცოდვილებად თავიანთ ლოცვებში და პოეზიაში.

ასევეა დავით აღმაშენებელიც, რომელიც ამბობს, რომ იგი ცოდვილთა შორის ყველაზე მძიმე ცოდვილია, რომ იგია ცოდვილთა შორის უცოდვილესი: „რომელთაჲ პირველი, საშუალი და დასასრული მე ვარ, ვითარცა უფსკრული, შესაკრებელი ბილწებისა ღუართაჲ“.

მეფე-პოეტი აქ არაჩვეულებრივი ექსპრესიით და სიღრმით წარმოსახავს საკუთარ განწყობილებებს.

ამ საგალობლით დავით აღმაშენებელი, დიდი წმინდანი, ამავე დროს, საკაცობრიო პოეტია.

სამწუხაროდ, ადრეულმა მკვლევარებმა ეს ვერ დაინახეს, რადგან ისინი ქრისტიანულ რელიგიაში პოეზიას ვერ გრძნობდნენ და ვერ ხედავდნენ, რწმენით შთაგონებულ პოეზიას ვერ სწვდებოდნენ, ვერ უღრმავდებოდნენ. მათთვის მეცნიერება ცალკე იყო და სარწმუნოებით შთაგონებული პოეზია – ცალკე.

ეს იყო შეცდომა, არასწორი ხედვა.

ქართველ მკვლევართა ეს გამოკვლევები, ეს პრიმიტიული მოსაზრებები, ეს მცდარი გზა, მე არაფერში გამომადგებოდა გზამკვლევად დიდი და იქამდე დაუფასებელი, დაუნახავი პოეტის ქმნილების ანალიზისას.

საერთოდ, სასულიერო პოეზიის მხატვრული ანალიზი თითქმის არ ხდებოდა, მხოლოდ მისი ისტორიული ღირებულება იყო საინტერესო მკვლევართათვის.

ამის მიზეზი იყო ის გამეფებული, თითქმის ათეისტური მიდგომა ძველი ქართული ძეგლებისადმი, რომელიც კრძალავდა მათ ძირითად ფუნქციაზე მსჯელობას, ღმერთისადმი თაყვანისცემის პოეტურ გამოხატულებას. ეძებდნენ ისტორიას პოეზიაში, მაგრამ პოეზიას – არა. პოეზიაში პოეზიის ძიება მათთვის არამეცნიერულად ჟღერდა.

საკუთარი თავის ამარა დავრჩი. ის, რაც მე დავინახე და კითხვები, რომლებიც ჩემ წინ დაისვა ამ დიდი ქმნილების მიმართ, მე თვითონ უნდა გადამეჭრა.

და მე მივმართე ბიბლიას. ახალი აღთქმა, ფსალმუნნი, ეკლესიასტე გახდა ჩემი ძირითადი საყრდენი ამ დიდი პოეტის სულისკვეთების და განწყობილებათა გასახსნელად.

ჩემმა კვლევამ გაამართლა, ჩემი გზა სწორი გამოდგა. ამიტომ, როცა გამოვაქვეყნე ნაშრომი, მან საერთო მოწონება და აღფრთოვანება გამოიწვია როგორც მეცნიერთა, ასევე მწერალთა წრეებში, და ფართო საზოგადოებაშიც კი.

უცებ ყველამ დაინახა, რომ დავით აღმაშენებელი დიდი პოეტია, სათაყვანებელი პოეტია. იგი ადამიანთა გულებთან მივიდა. დავით აღმაშენებელი საუკუნეთა სიღრმეებიდან პასუხობდა კაცობრიობის მარადიულ კითხვებს, მარადიულ წუხილს და სინანულის ტრაგედიას. იგი უცებ გახდა პოპულარული პოეტი. ეს იყო საზოგადოების აღმოჩენა, რომელიც გრძელდება დღემდე.

დღეს ყველას უყვარს დავით აღმაშენებლის პოეზია, მაგრამ ცოტამ თუ იცის იმ პატარა გოგონას ამბავი, რომლის გულწრფელმა სიყვარულმა, ოდესღაც, აღმოაჩინა და საზოგადოებას დაანახვა მანამდე უცნობი, დიდი პოეტი – დავით აღმაშენებელი.

ოცდაერთი წლის ვიყავი, როცა აღმოვაჩინე დავით აღმაშენებლის საგალობელი, ხოლო როცა ნაშრომი დავასრულე და გამოვაქვეყნე – ოცდასამის.

ხშირად მეკითხებიან, ასე პატარამ როგორ დაინახე და გადაჭერი ამოდენა საკითხიო.

სიყვარული ქმნის შემოქმედებას და ისევ სიყვარული აძლევს სულს ღვთაებრივი წვდომის ენერგიას.

დიდი სიყვარული ახალგაზრდობაში მოდის. მაშინ იბადება სულში ღვთისა და ადამიანისადმი განსაკუთრებული სიყვარულის გრძნობა. ამიტომაც, დიდი საეკლესიო მოღვაწეები, ზოგჯერ უფლისწულებიც, სწორედ ახალგაზრდა ასაკში მიდიოდნენ ღვთის სამსახურის გზით.

დიდი პოეტები ახალგაზრდობის ასაკში ქმნიან შედევრებს, მაშინ ხდება ნიჭის გამოღვიძება ადამიანის სულში.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა 16 წლის ასაკში დაწერა „შემოღამება მთაწმინდაზედ“ (ამ ლექსის პირველი ვარიანტი), ხოლო 22 წლის ასაკში – „ბედი ქართლისა“; გრიგოლ ორბელიანმა 23 წლისამ დაწერა „სადღეგრძელო“, ბაირონმა – 22-23 წლის ასაკში „ჩაილდ ჰაროლდის“ პირველი სიმღერა, რომელმაც იგი გამოქვეყნებიდან ერთ დღეში მსოფლიოს უდიდეს პოეტად აქცია. დაბო-

ლოს, 35 წლის ასაკში შექმნა პოლიკარპე კაკაბაძემ „ყვარყვარე თუთაბერი“, ხოლო დანტემ – „ღვთაებრივი კომედია“.

სიყვარული ქმნის პოეზიას.

სიყვარული გვაძლევს პოეზიის წვდომას.

სიყვარული ღმერთია.

და კიდევ – „ცოდვათა სიმრავლეს სიყვარული ფარავს“ (I პეტრე, 5,8).

„ღმერთი სიყვარულია, სიყვარულში დარჩენილი ღმერთში რჩება, ხოლო ღმერთი – მასში“ (I იოანე, 4,16).

გრიგოლ რობაქიძის გამოხმაურება

ჩემი წერილის – „დავით აღმაშენებლისა და დემეტრე მეფის ლირიკა“ – „მნათობში“ გამოქვეყნების უმალ (1962, N4), ჟენევიდან მოვიდა გრიგოლ რობაქიძის აღფრთოვანებული გამოხმაურება. იგი ღებულობდა ამ ჟურნალს ჟენევაში და წერილებს უგზავნიდა თავის დას, ლიდას, თბილისში, ხოლო ლიდა შემდეგ ამ წერილებს აცნობდა ქართულ საზოგადოებას. ამგვარად, გრიგოლ რობაქიძე მონაწილეობას იღებდა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი თავის მოსაზრებებს ქართული ლიტერატურისა და კულტურის შესახებ ამ გზით გამოხატავდა.

გრიგოლ რობაქიძე წერდა: „ძვირფასო ლიდა! მივიღე აპრილის ნომერი „მნათობისა“, წავიკითხე წერილი ვინმე მანანა კაკაბაძისა: „დავით აღმაშენებლისა და დემეტრე მეფის ლირიკა“. ძალიან კარგია, ნამდვილი ჩახედვაა საგანში. გადაეცი მას ეს ჩემი აზრი“.

გრიგოლ რობაქიძის ეს წერილი რამდენჯერმე გამოქვეყნდა (ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, 1988; გაზ. „თბილისი“, 1988; გაზ. „კალმასობა“, 2006; წიგნში: გრ. რობაქიძე. პირადი მიმოწერა. თბ., გამომცემლობა „არტანუჯი“, 2012, გვ. 101).

გრიგოლ რობაქიძემ კალისტრატე სალიასადმი მიწერილ წერილშიც გამოხატა თავისი მაღალი აზრი ჩვენი ამ გამოკვლევის შესახებ. იგი წერდა:

„ძალიან მომეწონა წერილი მანანა კაკაბაძისა „დავით აღმაშენებლისა და დემეტრე მეფის ლირიკა“ („მნათობი“, N4, 1962).

მივწერე ჩემ დას: მონახე ავტორი და გადაეცი-მეთქი ჩემი აზრი მის წერილზე.

აი, რას მწერს (ლიდა, მ. კ.): „მანანა კაკაბაძე მოვნახე. ყოფილა პოლიკარპე კაკაბაძის ქალიშვილი. ძალიან ახალგაზრდა გოგონაა. გითვლის უღრმეს მადლობას შეფასებისათვის“ (გრ. რობაქიძე. პირადი მიმოწერა. დასახ. გამოც., გვ. 256).

მეხივით გავარდა ქართულ საზოგადოებაში გრ. რობაქიძის ეს მოსაზრება, მთელი სამეცნიერო საზოგადოება და მწერალთა კავშირი ალაპარაკდა, თუმცა, მანამდეც დიდი მოწონება და აღფრთოვანება დაიმსახურა ჩემმა გამოკვლევამ. მაგრამ ახლა, გრ. რობაქიძის წერილის შემდეგ, აღფრთოვანება გაათკეცდა.

საქმე ის იყო, რომ რეპრესირებული გრიგოლ რობაქიძე, რომელსაც ოფიციალური პრესა და ხელისუფლება ხალხის მტრად აცხადებდა, საოცრად დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ქართულ საზოგადოებაში. ყოველი მისი წერილი, ჟენევიდან ჩამოსული და იქ გამოთქმული შეხედულებანი ამა თუ იმ საკითხზე ან მწერალზე, დიდ მითქმა-მოთქმას იწვევდა. გრიგოლ რობაქიძე, დევნილი ხელისუფლებისაგან, საზოგადოებისათვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი და სათაყვანებელი ფიგურა იყო.

მაგრამ გრიგოლ რობაქიძის წერილის შემდეგ ჩემ მიმართ რეპრესია კიდევ უფრო გამკაცრდა.

იმ წელიწადს, მე რომ დავამთავრე უნივერსიტეტი, ძველი ქართული ლიტერატურის განხრით ასპირანტურაში მიღება შეწყვიტეს, მე რომ არ შევსულიყავი.

კორნელი კეკელიძესთან, რომელიც ჩემი სადიპლომო ნაშრომის ხელმძღვანელი იყო, მხოლოდ ორჯერ ვიყავი საკონსულტაციოდ, სადიპლომო ნაშრომს რომ ვწერდი. მკითხა, რას აკეთებო. მეც მოვუყევი ჩემი თემის შესახებ მორიდებულად. მითხრა, მხოლოდ ერთი ავტორი აიღე თემად, საკმარისიაო. მე ორი ავტორი – დავით აღმაშენებელი და დემეტრე პირველი გავაანალიზე. აგრეთვე მირჩია, ფილოსოფიისა და თეოსოფიის საკითხებში ნუ შეიჭრები, რადგან იქ დიდი სირთულეებიაო. მისი რჩევა გულზე მომხვდა, ვინაიდან მეც იმავე აზრის ვიყავი. მე ვიცოდი, რომ შუა საუკუნეების თეოსოფიისა და ფილოსოფიის სპეციფიკური საკი-

თხების ანალიზისას, ჩვენს საბჭოურ, მატერიალისტურ და ათეისტურ თვალსაზრისზე დამყარებულ გამოკვლევებს ამ საკითხებზე, რომლებსაც იმხანად ჩვენი სამეცნიერო წრეები გვთავაზობდნენ, ვერ დავეყრდნობოდი, არ გამომადგებოდა. მე სხვა მიზნები მქონდა.

სხვა იყო ჩემი ინტერესი დავით აღმაშენებლის პოეზიის მიმართ, – მისი მხატვრული მხარე, პოეზიის სიღრმე და ღმერთისადმი ლტოლვა უნდა გამომეხატა, და ეს, შეძლებისამებრ, გავაკეთე.

მე აღარ მომცეს საშუალება უნივერსიტეტში გამეგრძელებინა მუშაობა ამ საკითხებზე და ჩემი თემა სხვას, მათ კაცს, მათთვის სასურველ ადამიანს მისცეს, რომელმაც ამ თემაზე დაიცვა დისერტაცია კარგა ხნის შემდეგ. იგი მისდევდა ჩემს ძირითად ხაზს, კვლევის მეთოდსა და საკითხისადმი მიდგომას.

შემდეგ, რამდენიმე დისერტაცია კიდევ დაიწერა ამ თემაზე და ყველა მათგანი ეყრდნობოდა ჩემს გამოკვლევას, თუმცა იშვიათად ახსენებდნენ ჩემს სახელს. მე შერისხული ვიყავი.

ამის შემდეგ დაიწყო სასულიერო პოეზიის ახლებური კვლევა, თანდათან იგი დაუკავშირეს საღვთისმეტყველო ლიტერატურას, ბიბლიასა და ახალ აღთქმას. და არა მხოლოდ ძველი ქართული ლიტერატურის ანალიზისას დაინერგა ეს მეთოდი, არამედ, ზოგადად, თანამედროვე ლიტერატურული პროცესების განხილვის დროსაც კი. დღეს უკვე ფართოდ გამოიყენება ბიბლიური ტექსტების მოშველიება ამა თუ იმ ლიტერატურული საკითხის ანალიზის წარმოსაჩენად.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს მეთოდი პირველად ჩვენ გამოვიყენეთ დავით აღმაშენებლისა და დემეტრე მეფის პოეზიათა ანალიზის დროს.

* * *

ჩვენი წერილის გამოქვეყნებისა და გრ. რობაქიძის გამოხმაურების შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, ჩემ მიმართ რეპრესიები გამკაცრდა. ჩემი დევნის კულმინაცია იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ნიკიტა ხრუშჩოვის ინციდენტი.

1962 წლის შემოდგომაზე ხრუშჩოვი ესტუმრა საქართველოს და აქ, ცეკას პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში მან სასტიკად დაამუშავა ჟურნალი „მნათობი“ ჩემი წერილის დაბეჭდვისათვის.

ჩემი წერილის დაბეჭდვამ „მეფეების პოეზიაზე“ ხრუშჩოვის რისხვა გამოიწვია. ვინც დაესწრო ამ შეკრებას, გამოიტანეს ამბავი, – სულ მუშტები ურტყა მაგიდას საბჭოთა კავშირის პირველმა პირმაო, – ეს რა გაგიბედიათო, საბჭოთა იდეოლოგიის საწინააღმდეგო სტატია დაგიბეჭდიათო.

ამის შემდეგ გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა წერილი, სადაც კვლავ გაკრიტიკებული იყო „მნათობი“, რომელმაც მეფეების პოეზიაზე საბჭოთა იდეოლოგიისათვის მიუღებელი წერილი გამოაქვეყნა. ჩემი წერილის სათაური მითითებული იყო, ჩემი გვარი – არა.

„მნათობის“ რედაქციამ დახურული წერილით სასტიკი საყვედური მიიღო ჩემი სტატიის დაბეჭდვისათვის მოსკოვიდან. მათ ეს ამბავი მაშინ არ მითხრეს. ჟურნალის მაშინდელმა რედაქტორმა გრიგოლ აბაშიძემ ეს ამბავი გამიმხილა მხოლოდ წლების შემდეგ, როცა ის უკვე მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო.

– რატომ მე არ მითხარით? პასუხს დავწერდი! – მღელვარე ტონით ვუთხარი მე.

– ჩვენ, რაც საჭირო იყო, ის მივწერეთ, – მიპასუხა ბატონმა გრიგოლ აბაშიძემ.

მე არავინ მაჩვენა არც ეს საიდუმლო წერილი და არც რედაქციის პასუხი.

იმ საიდუმლო ორგანიზაციაში, სადაც ასეთი წერილები იქმნებოდა, თავისი ენა ჰქონდათ და ეს ენა მხოლოდ თვითონ იცოდნენ, სხვებს არ რევდნენ, არ ჩაახედებდნენ ამ საქმეში.

ჩვენ მათთვის სხვები ვიყავით.

* * *

ყოველივე ამის გამო მეტად გართულდა ჩემთვის ბეჭდვა და სამსახურის შოვნა.

მხოლოდ 1965 წელს, მამაჩემის დახმარებით, მოვახერხე შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინ-

სტიტუტში მოწყობა. როგორც იქნა, მიმიღეს სამსახურში, ახალი ქართული ლიტერატურის განყოფილებაში, ძველ ქართულს მომაშორეს. მე დავიწყე მუშაობა ნიკოლოზ ბარათაშვილზე და ქართული რომანტიზმის საკითხებზე, რაც ჩემი საყვარელი თემა იყო ყოველთვის. მე დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკა და ევროპული რომანტიზმის გმირი“, რომელშიც ქართული რომანტიზმი და ბარათაშვილის პოეზია ევროპული რომანტიზმის საკითხებს დავუკავშირე, ძირითადად, ბაირონიზმს. როგორც აღვნიშნე, საკანდიდატო დისერტაცია დავიცავი 1975 წელს, ხოლო სადოქტორო დისერტაცია – 1983 წელს თემაზე: „ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები“, სადაც დავასაბუთე, როგორ გამომდინარეობს ქართული რომანტიზმი ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან და ქართული სასულიერო პოეზიიდან.

ორივე დისერტაცია დიდი წარმატებით დავიცავი, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ათეისტური იდეოლოგიისა და საბჭოური კვლევის საწინააღმდეგო ტენდენციებს აშკარად გამოხატავდა ჩემი შრომები.

სასტიკად შემებრძოლნენ, მაგრამ ვერ დამამარცხეს, ორივე დისერტაციას დიდი მხარდაჭერა გამოუჩნდა ცნობილ მეცნიერთა მხრიდან.

ჩემი წიგნი – „ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები“ (1983 წ.) იყო ჩემი სადოქტორო დისერტაცია.

ჩემს ნაშრომში ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები განიხილება ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, ძველ ქართულ სასულიერო პოეზიაში, „ვეფხისტყაოსანში“, აღორძინებისა და გარდამავალი პერიოდის ლიტერატურაში და დასაბუთებულია, რომ ქართული რომანტიზმი მომდინარეობს ეროვნული ძირებიდან და ევროპული რომანტიზმიდან და არა რუსული პოეზიიდან, რომელშიც რომანტიზმი მკვიდრდება უფრო გვიან, ვიდრე ჩვენთან, საქართველოში.

პირველი ქართველი რომანტიკოსი ალექსანდრე ჭავჭავაძე 1804-1805 წლებში, მთიულეთის აჯანყების პერიოდში, რომლის მონაწილეც თვითონ არის, როცა ქმნის თავისი ლექსების

ცნობილ ციკლს და ამით ქართულ ლიტერატურაში ამკვიდრებს რომანტიზმს, ალექსანდრ პუშკინი მხოლოდ ხუთი წლის ბავშვია.

თვითონ რუსი მკვლევარების აზრით, რუსეთში რომანტიზმი იწყებს სუნთქვას მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს, ისიც თარგმანებში, ხოლო პუშკინის ცნობილი ლექსი „ხანჯალს“, რომლითაც იგი დაიბადა, როგორც რომანტიკოსი, მხოლოდ 1821 წელს იწერება.

ჩემი საკანდიდატო დისერტაციაც – „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკა და ევროპული რომანტიზმის გმირი“, რომელშიც წარმოსახული იყო „მერანისა“ და ბაირონის „მანფრედის“ შეპირისპირებითი ანალიზი, არ იყო სასურველი ნაშრომი საბჭოთა იდეოლოგიის მესვეურთათვის. მაგრამ ორივე დისერტაცია ბრწყინვალედ დავიცავი, მიუხედავად იმისა, რომ მებრძოდნენ უკადრისი მეთოდებით.

სამწუხაროდ, ზოგი ამ მკვლევართაგან ნიჭიერი იყო, მაგრამ იდეოლოგიის მარწუხებიდან გამოსვლას ვერავინ ბედავდა. ძალიან ძლიერი იყო ამ მხრივ წნეხი...

ჩემს წერილს დავით აღმაშენებლის საგალობელზე აღფრთოვანებით შეხვდნენ მწერალთა კავშირშიც. მათ დაინახეს დიდი პოეტი, დავით აღმაშენებელი, რომელიც მანამდე უცნობი იყო მათთვის.

ამ გამოკვლევის შედეგად მათ განიცადეს დავით აღმაშენებლის პოეზია, მათ შეუყვარდათ დავით აღმაშენებელი, დაინახეს მასში დიდი პოეტი, რომელიც მივიდა ყველა ადამიანის გულთან.

მათ შეიგრძნეს მანამდე მათთვის უცნობი პოეზია სინანულისა, სევდისა და ღვთიური სიყვარულისა, რომელიც მიუტევებს უმძიმეს ცოდვებს სინანულის გზით, – ამ ცოდვის ტოლფასი, დიდი სინანულით.

მათ შეუყვარდათ დავით აღმაშენებელი, რომელიც უცებ გახდა ყველას ახლობელი, ყველას ჭირის გამზიარებელი და ნუგეშინისმცემელი.

ისინი აღაფრთოვანა ჩემმა გამოკვლევამ და დავით აღმაშენებლის პოეზიამ სულში სინათლისა და იმედის სხივი ჩაუყენა.

* * *

ის ცნობილი მწერლები და მოღვაწეები, მამაჩემთან და ჩემთან რომ გამოხატეს აღფრთოვანება ჩემი წერილით, იყვნენ: პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე ქუთათელი, აკაკი გაწერელია, ლევან გოთუა, ირაკლი აბაშიძე, დიმიტრი ბენაშვილი, ვიქტორ გაბესკირია, ბაკურ ბახტურიძე და სხვები. აღფრთოვანება გამოთქვეს, აგრეთვე, ცნობილმა მეცნიერებმა: კორნელი კეკელიძემ, ალექსანდრე ბარამიძემ, შალვა ამირანაშვილმა, გაიოზ იმედაშვილმა, სარგის კაკაბაძემ, იოსებ მეგრელიძემ და სხვებმა.

ფაქტობრივად, მთელმა მწერალთა და სამეცნიერო საზოგადოებამ ამ გამოკვლევით ახლებურად დაინახა დავით აღმაშენებელი, განიცადა იგი, როგორც დიდი პოეტი და დაიწყეს მასზე წერა.

დავით აღმაშენებელი იქცა საყვარელ პოეტად მთელი საქართველოსათვის.

და, რაც მთავარია, ჩემი გამოკვლევა დავით აღმაშენებელზე მოეწონა მამაჩემს, პოლიკარპე კაკაბაძე. იგი აღფრთოვანდა, როცა წაიკითხა ჩემი წერილი და დედაჩემს უთხრა: – ვიცოდი, მანანა რომ ნიჭიერი იყო, მაგრამ არ მეგონა, არ ვიცოდი, ასეთი ნიჭი თუ ჰქონდაო.

დედამ გადმომცა მამას სიტყვები. მამაჩემის შეფასება ჩემთვის ყველაზე დიდი გამარჯვება იყო, რადგან იგი უმკაცრესი და პირუთვნელი შემფასებელი გახლდათ ლიტერატურისა და მისი მოწონება ყველაზე მნიშვნელოვანი და ფასეული იყო ჩემთვის.

ამით მე დავძლიე ყველაზე დიდი სიძნელე.

* * *

დავით აღმაშენებლის საგალობელზე მუშაობა მე დავიწყე, როგორც ვთქვი, ჯერ კიდევ 1959 წელს, როცა მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი, ხოლო როცა იგი გამოქვეყნდა 1962 წელს, მე ამ დროს, 1961 წლიდან, უკვე ვმუშაობდი მეორე თემაზე. ეს იყო ბაირონის „მანფრედისა“ და ბარათაშვილის „მერანის“ შეპირისპირებითი ანალიზი, რომელიც მივიტანე „მნათობში“ დასაბეჭდად.

ბაირონის „მანფრედთან“ „მერანის“ დაკავშირების საკითხი პირველად მე წამოვჭერი ქართულ ლიტერატურათმცოდნეობა-

ში. ამ თემამ გაამართლა და შემდეგ სხვა მკვლევარებმაც დაიწყეს ამაზე ფიქრი და წერა, თუმცა ჩემი სახელის ხსენებას ერიდებოდნენ, არადა, ყველა ძირითადი და მნიშვნელოვანი დებულება ჩემი ნაშრომიდან იყო აღებული. სამწუხაროდ, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. მაგრამ ეს ისე, სხვათა შორის...

„მნათობის“ რედაქცია დიდხანს ვეღარ ბედავდა ჩემი ამ მეორე წერილის დაბეჭდვას, რადგან მწვავე საყვედური მიიღეს დავით აღმაშენებლის პოეზიაზე ჩემი წერილის გამოქვეყნების გამო. მე რეპრესირებული ვიყავი, და მხოლოდ 1965 წელს გამოქვეყნდა ჩემი მეორე წერილი ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ევროპული რომანტიზმის შესახებ (იხ. მანანა კაკაბაძე. „რომანტიზმის გმირის საკითხი და ნიკოლოზ ბარათაშვილი“. ჟურნ. „მნათობი“, 1965, N9, გვ. 106-109), ისიც იმის შემდეგ, როცა ნიკიტა ხრუშჩოვი უკვე გადაყენებული იყო თანამდებობიდან.

მაგრამ შეშინებულმა რედაქციამ ისე მიჭრა და მოჭრა, ისე შეარბილა ჩემი ძირითადი დებულებები ბედისწერისა და სიკვდილ-სიცოცხლის ტრაგედიის საკითხებზე, რომ წერილმა დაკარგა თავისი სიმძაფრე.

და მხოლოდ 1968 წელს დაიბეჭდა ეს წერილი სრული სახით ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეო კრებულში, რომელიც გამოსცა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა.

მამაჩემმა კი ჩემი ეს წერილი სრული სახით წაიკითხა უკვე 1962 წელს, მაშინვე, როცა მე ის მივიტანე დასაბეჭდად „მნათობში“ და იმდენად მოეწონა, რომ მითხრა, შენი ეს წერილი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე „გალობანი სინანულისანის“ შენი გამოკვლევაო. იგივე აზრი გამოთქვა ევროპული და მსოფლიო ლიტერატურის შესანიშნავმა მცოდნემ, მკაცრმა და პირუთვნელმა შემფასებელმა, ბატონმა ალექსანდრე ქუთათელმა, რომელსაც მამამ წააკითხა ჩემი ეს წერილი.

ძნელი იყო ამ ორი ღვაწლმოსილი ადამიანისა და მწერლის შექება დაგემსახურებინა. ისინი ცნობილი იყვნენ თავისი უმკაცრესი მოთხოვნებით მწერლობის მიმართ. მათ ხომ მხოლოდ კლასიკოსები მოსწონდათ.

და ვინ ვიყავი მე? ერთი პატარა, გულწრფელი გოგო, სიყვარულით აღვსილი დიდი ვნებებისა და მაღალი აზრის გენიოსთა შემოქმედებისადმი.

როგორც ადრე ვთქვი, გამოკვლევა „გალობანი სინანულისანის“ შესახებ იყო ჩემი პირველი ნაწერი, რომელიც გავბედე და ვაჩვენე მამას და რომელიც მამაჩემს მეტად მოეწონა, იმაზე მეტად და ძლიერად, ვიდრე მე ამას წარმოვიდგენდი. ეს იყო ჩემი ყველაზე დიდი გამარჯვება.

ახლა კი, როცა მამაჩემს ჩემი მეორე წერილი – „რომანტიზმის გმირის საკითხი და ბარათაშვილის პოეზია“ ისევ ძალიან მოეწონა და უფრო მნიშვნელოვან გამოკვლევადაც კი ჩათვალა, ვიდრე ჩემი წერილი დავით აღმაშენებლის პოეზიაზე, მე მეორე დიდი სიხარული და გამარჯვება განვიცადე.

მამაჩემის აზრი ჩემთვის ყველაზე ძვირფასი იყო.

* * *

ასეთია მოკლე ისტორია ჩემი პირველი პუბლიკაციებისა და მათდამი საზოგადოებისა და მამაჩემის დამოკიდებულების შესახებ.

მძიმე ბრძოლები და ვნებათაღელვანი ჩვენს მძიმე დროში სასტიკ ტვირთად აწვა ქართულ საზოგადოებასა და ქართველ ერს.

საქართველო, როგორც კაცობრიობის ნაწილი, განიცდიდა ყველა იმ სიძნელეს, რაც სუფევდა მთელ ცივილიზებულ სამყაროში და კერძოდ, საბჭოურ ქვეყანაში, გასული საუკუნის უღმერთობის, სიმკაცრისა და ადამიანთა დევნის სასტიკ ეპოქაში.

ჩემი მეუღლე სიმონ (სიკო) გირკელიძე

როცა მამაჩემს ჩემი მომავალი მეუღლე, სიკო გირკელიძე წარვუდგინე გასაცნობად, მოეწონა. ეს იშვიათი შემთხვევა იყო. ჩემი ნაცნობი ახალგაზრდა ვაჟები, მეგობრები თუ თაყვანისმცემლები, ჩემთან სტუმრად რომ მოდიოდნენ და დიდი მორიდებით შემოაღებდნენ ჩვენი სახლის კარს, ვერასოდეს ბედავდნენ მამაჩემთან თამამად საუბარს. ისინი ყოველთვის შეზღუდულად გრძნობდნენ თავს ამ დიდი ადამიანის გვერდით. ისინი თითქოს უცხონი რჩებოდნენ მამაჩემისათვის.

სიკო გირკელიძე გამონაკლისი იყო. იგი პირველი ნახვისთანავე მოეწონა მამაჩემს. მათ ისაუბრეს, ჩემდა გასაკვირად, კარგა ხანს, შეიძლება ითქვას, დიდხანს – ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე. ეს უცნაური ახალგაზრდა კაცი როცა წავიდა ჩვენი სახლიდან, მამაჩემმა მკითხა: ამ ყმაწვილმა საბჭოთა სკოლა დაამთავრაო?

შემდეგ ამ სიტყვებზე მე და სიკო ხშირად ვიცინოდით.

ამ ყმაწვილ კაცს, ჩემთან გაცნობამდე, ბუკინისტებში შეძენილი ჰქონდა „ყვარყვარე თუთაბერის“ პირველი, 1936 წლის გამოცემა, და ეს ახალგაზრდა კაცი გამოდგა ჩემი ბედი. იგი მამაჩემს ძალიან შეუყვარდა.

ამ მეტად თავისებურმა, უცნაურმა კაცმა, საბჭოთა სკოლაც დაამთავრა, შემდეგ უნივერსიტეტი, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი, შემდეგ სამხატვრო აკადემია, დადგა თბილისის ცენტრში ქანდაკებები, მაგრამ ვერასოდეს იქცა საბჭოთა ხელისუფლებისათვის სასურველ პიროვნებად, მოკეთედ და მეგობრად. იგი ყოველთვის უცხო იყო მათთვის.

ის ისეთი ტანჯული იყო, ისეთი მარტოსული და ისეთი უმწეო ავადმყოფობაში, ისეთი შეცვლილი. ის აღარ იყო ამქვეყნად, იყო მხოლოდ ტანჯვისათვის, სული მისი აქ აღარ იყო...

– ბიჭებო, მოვდივარ, ბიჭებო, მაცადეთ ორი დღე... – ეს მისი სიტყვები იყო. საყვარელ მეგობრებს, იმქვეყნად წასულებს, ესაუბრებოდა. ისინი უფრო მახლობლები იყვნენ მისთვის იმ წუთებში, ვიდრე ჩვენ, ცოცხლები, მე და მისი შვილი, რომელიც მას უყვარდა ყველაზე მეტად ამქვეყნად.

ის იტანჯებოდა, კვდებოდა, მშორდებოდა და მე ვერ ვშველოდი, თუმცა სულ მასთან ვიყავი.

ვიყავი მასთან და ვიყავი შორს. ის სიკვდილში მიდიოდა, მე სიცოცხლეში ვრჩებოდი, სევდით მოცულ, ტანჯულ სიცოცხლეში.

ჩემი მღელვარე, ენერგიით და სიცოცხლით სავსე მეუღლე, ოდნავადაც აღარ ჰგავდა თავის თავს ავადმყოფობაში.

ის გარდაიცვალა 2020 წლის პირველ ნოემბერს, ოთხმოცდაერთი წლის ასაკში. ჩვენ თითქმის ორმოცდაათი წელი ვიცხოვრეთ ერთად.

ძალიან ვიტანჯები... ღმერთო, შემინდე და შემეწიე ჩემს ტანჯვაში!

ბევრს ვფიქრობ, მაგრამ არ ვამბობ, მხოლოდ დუმილით ვპასუხობ ჩემს საკუთარ მწუხარებას.

ვერასოდეს ვერავინ ვერ გაიგებს ჩემი გულის ნადებს, ჩემს სევდასა და წუხილს, დარდს წარსულის გამო და უიმედო, ნაღველით სავსე აწმყოზე ჩემს ფიქრებს.

მხოლოდ დუმილი, მხოლოდ გაუგებრობა, მხოლოდ უიმედობა და სურვილი ერთადერთი – ღვთაებრივი იოჰან ვოლფგანგ გოეთეს სევდიანი სიტყვებით გამოხატული: „ცოტა დაიცადე კიდევ, შენაც დაისვენებ მალე“...

„სიჩუმე გამეფდა მთებზე,
მწვერვალნი მოიცვა ღამემ,
დუმან ჩიტუნები ტყეში,
სულ მთლად გაირინდა არე.
ცოტა დაიცადე კიდევ,
შენაც დაისვენებ მალე“.

გოეთეს ამ ცნობილი ლექსის ჩემეული თარგმანი მივუძღვენი ჩემი მეუღლის, სიკო გირკელიძის ხსოვნას.

ეს ლექსი ეპასუხება ჩემს განწყობილებებსა და ტკივილებს, ფიქრებს ყოფნასა და არყოფნას შორის, როცა უახლოესი ადამიანები გეგულება იქ, ჩვენთვის შეუცნობელ არსებობაში, სადაც მივდივართ ყველანი, მაგრამ ტკივილი ამ არცოდნის გამო არ ნელდება, და მწუხარებაც, ჩვენი ცხოვრების ნაწილი, სამუდამოდ ისევ რჩება ჩვენთან ერთად და ალბათ, წაგვყვება მარადისობაში.

ნუთუ, ღმერთო, ოდესმე სული ჩემი ჰპოვებს ნუგეშს მარადიულ ცხოვრებაში, რომელიც სევდიანად მესახება აწმყოში?..

შემინდე ყოველი, მიშველე, უფალო, მე მარტოსულს, მტირალს, უღონოს, უიმედოს, ტანჯულს, წამებულს, ჩრდილად ქცეულს...

„ნუთუ დავიწყება არის იქ?“ – მანფრედის შეკითხვა ჩემი ცხოვრების ნაწილი იყო მაშინაც, ახალგაზრდობაში, როცა მასზე ვწერდი, ტკივილებით და განცდებით სავსე, და ახლაც, მანფრედის შეკითხვა და ტანჯვა ჩემი სულის ნაწილია ისევ.

„არის დავიწყება იქ, სიკვდილში, ჩვენთა ტანჯვათა და მწუხარებათა?“ – თუ შევძლებთ განვაგრძოთ სულის განვითარება სხვა, ახალ, აქ, დედამიწაზე გაუგებარ ურთიერთობებში? ნუთუ არსებობს იმედი?

არის იქ სიყვარული, რომელიც ნუგეშს მიგვაგებს აქ განცდილ ტკივილთა საპასუხოდ?

მსურს, ღმერთო, შენი სიყვარული საზღაურად ჩემთა ტანჯვათა, ჩემთა ცრემლთა და ჩემთა წუხილთა, რომელიც ასე ბევრი მივიღე აქ, დედამიწაზე.

შემიწყალე, უფალო, გევედრები და მანუგეშე ტანჯული შენს სამეუფოში, შენს სიყვარულში დამავანე, უფალო, გემუდარები!

დაბოლოს, ჩემი საყვარელი, ორმოცდამეერთე ფსალმუნის სიტყვები მინდა გავიხსენო, როგორც ნუგეში, როგორც იმედი და როგორც სულის სამუდამო სიმშვიდე მარადისობაში, ღმერთთან:

„როგორც ირემი ანკარა წყლის ნაკადისკენ ძლიერი სურვილით მიექანება,

ასეთ სურვილით მოილტვის შენკენ სული ჩემი, უფალო ღმერთო! “ (ფს. 41).

აქვე მინდა მოვიხმო ამავე ფსალმუნის ძველი ქართული ტექსტი, მიღებული საეკლესიო ლოცვებში, როგორც საფუძველი და პირველწყარო ჩემ მიერ ახალ ქართულზე გადმოცემული ამ ტექსტისა:

„ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა,
ეგრე სურინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო!“

ღმერთი სიყვარულია!

საძიებლები

პირთა საძიებელი

ა

აბაშელი ალექსანდრე 137
აბაშიძე გრიგოლ 185, 250
აბაშიძე ირაკლი 184, 253
აბაშიძე ჰაიდარ 75
აბრაამი (ბიბლ.) 8, 9, 10, 199
აზიკო, იხ. კაკაბაძე მალხაზ, პოლიკარპე კაკაბაძის ვაჟი
ალექსანდრე III, რუსეთის იმპერატორი 56
ამირანაშვილი შალვა 253
ამირანი (მით.) 88, 94
ანთაძე დოდო 90, 223, 224, 225
ანთაძე ლეო 98, 99, 112
აპოლონი (მით.) 60, 95
აღნიაშვილი ნიკო 73
ახმეტელი სანდრო 215

ბ

ბაბუხადია ვასილ 197
ბაირონი ჯორჯ გორდონ 26-29, 97, 107, 196, 201, 238, 239, 241, 246, 252, 253
ბალიაური თომა 165
ბალიაური ლადო 165, 166
ბარათაშვილი ნიკოლოზ 29-32, 54, 98, 100, 206, 234, 238, 246, 251-255
ბარამიძე ალექსანდრე 52, 243, 253
ბახტაძე ვალერიან (ვალია) 79, 124
ბახტურიძე ბაკურ 145, 253

ბახტურიძეები 145
ბედინეიშვილი გიორგი 185
ბენაშვილი გურამ 126, 129, 134, 176
ბენაშვილი დიმიტრი 118, 125-128, 130, 131, 133, 134, 136, 253
ბენაშვილი ნელი 126-129, 132, 134, 135
ბერბიჭაშვილი გიგლა 104
ბერია ლავრენტი 43, 116, 137, 138
ბილხანოვა ალექსანდრა 48
ბობოხიძე კალე 109
ბრაუნი ედი 92, 93
ბულეიშვილი მანანა 119
ბულეიშვილი ნიკო 140, 141

გ

გაბესკირია ვიქტორ 125, 137, 145, 253
გაბრიაძე რევაზ 178
გაბუნია არტემ 171
გაბუნია ლეო 171
გამრეკლიძე დალი 92, 93
გამსახურდია ზვიად 100
გამსახურდია თამარ 100
გამსახურდია კონსტანტინე 137, 138
გაწერელია აკაკი 161, 253
გეგეჭკორი მერაბ 99
გეწაძე აკაკი 227
გზირიშვილი ალექსანდრე 176, 177, 198
წმ. გიორგი 18, 59, 60, 62, 168, 169, 209, 216, 217
გირკელიძე მარიამ 156, 232, 235, 236
გირკელიძე რუსლან 230, 231
გირკელიძე სიმონ (სიკო) 5, 93, 150, 152, 230, 231, 232, 256, 257
გოგეშვილი ვალიკო 22
გოეთე იოჰან ვოლფგანგ 27, 196, 257

გოთუა ლევან 119, 137, 140, 141, 253
გრძელიძე ახმედ 71, 153, 157
გურაბანიძე ნოდარ 110, 111
გურამიშვილი ოლღა 103

დ

დადიანი შალვა 137
დავით IV, აღმაშენებელი, საქართველოს მეფე 147, 148, 237, 238, 242-246, 248, 249, 252-255
წმ. დავით და კონსტანტინე 204
დავით წინასწარმეტყველი 243
დანტე ალიგიერი 26, 27, 32, 247
დემეტრე I, საქართველოს მეფე 248, 249

ე

ებანოიძე ციური 231
ერეკლე II, ქართლ-კახეთის მეფე 162
ერისთავი რაფიელ 108
ესაია წინასწარმეტყველი 27, 176

ვ

ვაჟა-ფშაველა 110, 111, 214
ვარო, მილა მიხაილიდის დეიდა 89
ვასაძე აკაკი 23
ვაჩნაძე ნატო 34
ვახვახიშვილი თამარ 149, 223, 224, 225, 226, 228
ვახტანგ გორგასალი 31, 87, 88, 162, 164, 201, 202

ზ

ზუმბაძე დენიზა 146

თ

თამარ მეფე 38
თამარი, ალექსი (უფროსი) კაკაბაძის ბიცოლა 63
თვარაძე რეზი 184, 185
თოხუმოვა მარიამ 58, 73, 74

ი

იაშვილი პაოლო 173, 184
იერემია წინასწარმეტყველი 27, 144
იესო ქრისტე 9, 27, 34
ივლიტა, საგურამოელი ქალი 104
იმედაშვილი გაიოზ 253
ინგოროყვა პავლე 137, 138, 145, 146, 147, 237, 241, 242, 244, 253
იოანე მახარებელი 9, 27, 135, 247
იოსები, მილა მიხაილიდის ბიძა 89, 90
იოსელიანი ოთარ 171, 172
ისააკი (ბიბლ.) 8, 199

კ

კაენი (ბიბლ.) 123, 124
კაკაბაძე ალექსი, პოლიკარპე კაკაბაძის ბაბუა 62, 63, 65
კაკაბაძე ბაბილინა 71, 72, 75
კაკაბაძე გოგია 63
კაკაბაძე დავით 60, 91, 154, 161
კაკაბაძე დიმიტრი 56, 71
კაკაბაძე ზინა 71, 152
კაკაბაძე ზურაბ 60
კაკაბაძე თამარ 72, 114, 152, 153
კაკაბაძე ივლიტა 65
კაკაბაძე კატო 189

კაკაბაძე კორნელი 121-125
კაკაბაძე ლევან, მალხაზ კაკაბაძის ბაბუა 62, 63, 64
კაკაბაძე ლევან, პოლიკარპე კაკაბაძის ბიძა 65
კაკაბაძე ლია 205
კაკაბაძე ლიდა 22, 71, 114, 152, 153, 157
კაკაბაძე მალხაზ, პოლიკარპე კაკაბაძის ვაჟი 52, 53, 87, 88, 91, 94-99, 104, 110, 111, 112, 129, 142, 150, 155, 156, 170, 175, 190, 193, 194, 229, 231
კაკაბაძე მალხაზ, პოლიკარპე კაკაბაძის მამა 17, 20, 55, 56, 58, 60, 62, 64-69, 71, 72, 75, 151, 152, 154, 189
კაკაბაძე მანანა 5, 7, 12, 22, 23, 28, 36, 38, 41, 59, 64, 70, 71, 82, 85-89, 90-98, 100, 102, 103, 104, 106, 107, 110, 113, 117, 119, 126, 128, 132, 137, 138, 139, 142, 145-148, 150, 155-159, 160, 161, 164, 169, 170, 171, 173-176, 183, 186, 188, 192, 193, 194, 196, 198, 201, 204, 212, 214, 219, 220, 222, 228, 229, 230-239, 240, 241, 242, 244, 245, 247, 248, 249, 250, 251, 253-257
კაკაბაძე მარიამ (მარუსია) 71
კაკაბაძე მელანო 65
კაკაბაძე მზია 78, 88, 92, 116, 142, 150, 155, 169, 170, 175, 176, 190-194, 203, 206, 229, 231
კაკაბაძე ნადია 22, 69, 71, 84, 116, 142, 152, 153, 155, 196
კაკაბაძე ნათელა 88, 91, 94, 95, 110, 112, 142, 150, 155, 156, 170, 175, 176, 191, 192, 193, 194, 197, 203, 229, 230, 231, 232, 233, 236
კაკაბაძე ნოდარ 60
კაკაბაძე პოლიკარპე 5, 7-10, 11-19, 20-29, 31-36, 39, 41, 50, 52-59, 60, 61, 63, 64, 66-69, 70, 71, 73-79, 80, 81, 83-88, 90-93, 101-106, 108, 110, 111, 113-119, 120, 121, 123-127, 130, 131, 133-139, 140-145, 148, 149, 150-159, 160-166, 168, 169, 170-179, 180-186, 188, 190, 191, 193-199, 200-207, 209, 210, 211, 213-216, 218, 219, 220-229, 230, 232, 233, 234, 236, 237, 240, 241, 242, 247, 248, 250, 253-256

კაკაბაძე სარგის 59, 60, 76, 145, 205, 253
კაკაბაძე სარდიონ 65
კაკაბაძე სერგო 13, 16, 38
კაკაბაძე ჭიჭიკო (ალექსი) 10, 19, 20, 71, 82-85, 92, 114, 116, 142, 152, 153, 155, 156, 186-189, 190-195
კალანდაძე ანა 169, 170
კალანდაძე ლავროსი 145
კალანდაძეები 145
კანდელაკი მექი 89
კანდელაკი ოთარ 89, 90
კაციტაძე გიორგი 230
კაციტაძე დათო 193, 230
კაციტაძე დინარა 230
კაციტაძე მაიკო 230
კაციტაძე ნინო 232
კახიანი მიხეილ 79
კეკელიძე კორნელი 146, 147, 237, 248, 253
კეშელავა ბონდო 112, 115
კეშელავა ნათია 112, 113
კეშელავა ნუცა 112
კეშელავა ხათუნა 112, 113
კვერენჩხილაძე რევაზ 138
კილაძე გრიგოლ 215
კოსტავა თამარ 62, 63
კუკავაძე ვანო 171
კუპრაძე ვიქტორ 37, 53
კუჭუხიძე მედეა 34, 223, 227

ლ

ლაღაძე-ხმალაძისა ლიზა 69, 70
ლენინი ვლადიმირ 19, 38
ლერმონტოვი მიხეილ 96, 97, 98, 166

ლორთქიფანიძე გიგა 175, 202, 216, 217, 218
ლორთქიფანიძე კონსტანტინე 109
ლორთქიფანიძე მარიკა 112
ლორთქიფანიძე ციცინო 36

მ

მარო, სერგო კაკაბაძის ძმის ცოლი 13
მარჯანიშვილი კოტე 90, 91, 213, 214, 215, 217, 219, 222-226, 228
მაღალაშვილი თენგიზ 216
მაღლაკელიძე, ჰაიდარ აბაშიძის სიძე 75
მაჭარაშვილი კოტე 41, 198
მეგრელიძე იოსებ 253
მენაბდე ლეო 146, 243
მესხიძეები 157
მესხიშვილი ლადო 213
მირცხულავა ალიო 137
მიქაძე მარუსია 22
მიქაძე ნატალი 21, 22, 25, 199
მიხაილიდი ალექსანდრე (საშა) 36
მიხაილიდი ვალენტინ (ვალია) 37, 114
მიხაილიდი ივანე 36, 37
მიხაილიდი ლუდმილა (მილა) 13, 14, 16-19, 20, 21, 35-39, 40, 41, 42, 68, 78, 82, 83, 86, 87, 88, 91, 94, 100, 110, 112-115, 131, 132, 142, 150, 155, 157, 168, 171, 173, 175, 179, 191, 193, 194, 199, 229, 230, 232, 241, 242, 253
მიხაილიდი მანია 37
მიხაილიდი მიხეილ (მიშა) 37, 40, 42-49, 50, 51, 53, 54
მიხაილიდი ნესტორ 36, 37
მიხაილიდი ნიკოლოზ (კოლია) 41, 36, 37, 40, 49, 88
მიხაილიდი სერგი (სერიოჟა) 37, 40, 41, 42, 114

მიხაილიდი ფილიპე 36
მიხაილოვა როზა 43, 51, 52
მკურნალი კონსტანტინე (კოწია) 75
მჟავანაძე ვასილ 182, 185

ნ

ნათაძე ალექსანდრე 73
ნაკაშიძე ნინო 109
ნაპოლეონ ბონაპარტე 96, 97, 98
ნებიერიძეები 86
„ნინა ილინიჩნა“, დიმიტრი ყიფიანის რძალი 113
ნინა, მილა მიხაილიდის დეიდა 89
ნანული, ვალენტინ (ვალია) მიხაილიდის ასული 114
ნუნუ, ალექსანდრე (სერიოჟა) მიხაილიდის ქალიშვილი 114
ნოზაძე ვიქტორ 75, 183
ნუცუბიძე შალვა 52

ო

ოვრამენკო ოლია 112-114
ოთარი, საგურამოელი ვაჟი 104
ოკუჯავა ოლია 78, 178, 180
ორბელიანი გრიგოლ 154, 161, 162, 163, 246
ორჯონიკიძე იზა 183

პ

პავლე მოციქული 144
პაიუროვსკი ბორის 31, 226
პაიჭაძე ბორის 37
პატარიძე მიქელ 139
პატარიძე რამაზ 139

პეტრე მოციქული 247
პო ედგარ 26, 28, 29
პუშკინი ალექსანდრ 97, 98, 112, 252

ჟ

ჟორდანია გივი 111
ჟორდანია თედო 243
ჟორჟოლიანი სანდრო 213

რ

რობაქიძე გრიგოლ 76, 237, 247, 248, 249
რობაქიძე ლიდა 247, 248
რუხაძე ტრიფონ 243

ს

სალია კალისტრატე 247
სალომე (სონა), პოლიკარპე კაკაბაძის სიდედრი 19, 20, 36, 37, 38, 51, 86, 88, 89, 142
სამსონაძე პეტრე 140, 141
სერვანტესი 206
სოფიო, ნესტორ მიხაილიდის მეუღლე 36
სტალინი იოსებ 37, 38, 43, 47, 51, 116-119, 138, 144, 184, 216
სტურუა დევი 185
სტურუა რობერტ 219, 220, 227
სუხიაშვილი ეთერ 119

ტ

ტაბიძე გალაკტიონ 18, 78, 143, 158, 178, 179, 180-184, 196
ტაბიძე ნინო 145
ტაბიძე ნიტა 145
ტაბიძე ნოდარ 182

ტაბიძე ტიციან 145, 173, 184
ტატა, დიმიტრი ბენაშვილის შვილიშვილი 134

ფ

ფაილოძე ავთანდილ 152
ფირცხალავა ილია 235

ქ

ქადეიშვილი ანეტა 22, 23
ქათამაძე სანდრო 231
ქართველიშვილი ლავრენტი 79
ქერქაძე ლიანა 114
ქერქაძე ყაისარ 153
ქიაჩელი ლეო 137
ქიქოძე გერონტი 137, 138
ქუთათელი ალექსანდრე 121, 122, 123, 145, 253, 254

ღ

ღოღობერიძე ავთანდილ (ბასა) 37

ყ

ყაზიშვილი ანეტა 103, 113, 114, 168
ყიფიანი დიმიტრი 99, 101, 103, 109, 113, 128, 129, 155, 168, 170
ყიფშიძე ნიკოლოზ 155, 198

შ

შავგულიძე გიორგი 211, 212
შამილი 154, 161-164
შენგელია ლენა 48
შექსპირი იულიამ 27, 61, 98, 99, 100, 199, 220
შოთა რუსთაველი 31, 61, 183, 206

ჩ

ჩარკვიანი გოგი 178
ჩარკვიანი კანდიდ 116
ჩიქოვანი, ჩეკას აგენტი ხევსურეთში 165, 166
ჩოფიკაშვილი ვერა 126, 131, 132, 133
ჩხეიძე უშანგი 212, 213, 214
ჩხენკელი თამაზ 139
ჩხიკვაძე რამაზ 214, 220

ც

ცაგურია ვასიკო 189
ცეცხლაძე მიშა 152
ციბაძეები 145
ციცერონი 75

წ

წერეთელი აკაკი 108
წერეთელი ალექსანდრე 52, 53, 76
წერეთელი გიორგი 65, 66
წერეთელი მიხაკო 76
წერეთელი ნელი 24, 25, 27

ჭ

ჭავჭავაძე ალექსანდრე 251
ჭავჭავაძე ილია 103-109, 206
ჭეიშვილები 145
ჭეიშვილი მარიამ (მაიკო) 38, 55, 56, 69, 84, 116, 153
ჭილაძე თამაზ 226

ხ

ხატულია, ლიდა კაკაბაძის ქალიშვილი 114
ხმალაძე თამარა 70, 193

ხმალაძე შოთა 70
ხმალაძე ჩიტო 70, 193
ხომენტოვსკი, გენერალი 77
ხრუშჩოვი ნიკიტა 139, 249, 250, 254

ჯ
ჯავახიშვილი ივანე 60
ჯავახიშვილი მიხეილ 184
ჯალაღონია ანასტასია (ტასო) 57, 62-65, 151
ჯალაღონიები 63, 64
ჯაფარიძე მედეა 34
ჯიბლაძე გიორგი 240
ჯინორია ირა 89
ჯინორია ნათელა 89

ჰ
ჰაინე ჰაინრიხ 96, 97
ჰიტლერი ადოლფ 38, 47
ჰომეროსი 128, 132, 241

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ა
აბასთუმანი 92, 192
ამერიკა 197
აფხაზეთი 59, 61
აჭარა 51, 61, 75, 146, 158

ბ

ბათუმი 17, 19, 20, 55, 57, 58, 65-67, 69, 73-75, 79, 151-153, 156-158, 179, 180, 214
ბაქო 222
ბაღდადი 91
ბახმარო 154
ბიჭვინთა 156
ბორჯომი 100, 113, 114, 151, 155, 156, 193, 194

გ

გერმანია 36, 38, 76, 85, 138, 142, 235
გროზნო 154
გუდამაყარი 154
გურია 61

დ

დაღესტანი 161, 162, 163
დიდუბის პანთეონი 136

ე

ეივონი 61

ვ

ვაკის სასაფლაო 195
ვლადივოსტოკი 113

ზ

ზეკარი 91
ზესტაფონი 188, 189, 214
ზვარე 151, 155, 171, 172

თ

თბილისი 17-19, 24, 34, 35, 40, 42, 46, 50, 61, 69, 74-80, 82, 83, 85, 86, 92, 99, 100, 102, 103, 108-111, 115-117, 142, 152, 153, 155, 156, 165, 166, 174, 180, 188, 190-194, 197, 198, 211, 214, 230, 231, 242, 247, 256
თიანეთი 151, 155
თურქეთი 51, 65

ი

იალბუზი 87, 88
ილორი 59, 60, 62
იმერეთი 37, 56, 59, 61, 64, 66, 171, 172,
ინგლისი 220

კ

კავკასია 142, 154, 161, 162
კასპიის ზღვა 172
კეჟმა 44
კვირიკეთი 230-231
კისლოვოდსკი 151, 155
კოჯორი 150, 156
კრასნოიარსკის მხარე 44
კუხი 55, 57, 58, 61, 93, 151, 152, 157

ლ

ლენინგრადი, იხ. სანკტ-პეტერბურგი
ლეჩხუმი 61
ლიკანი 151, 155
ლისაბონი 223, 225
ლონდონი 55, 66

მ

მარსელი 55, 66
მესხეთი 61
მთაწმინდა 78, 145
მთაწმინდის პანთეონი 77, 143, 183, 205, 206
მთიულეთ-გუდამაყარი, იხ. მთიულეთი; გუდამაყარი
მთიულეთი 154, 173, 174, 251
მლეთა 151, 156, 174
მოსკოვი 50, 137, 138, 154, 193, 222, 235, 250
მოხევე-მთიულეთი, იხ. ხევი; მთიულეთი.
მრგვალი ბაღი 110, 111
მყინვარწვერი 106, 107, 174

ო

ოლიმპოს მთა 88
ომსკი 37, 41
ოქროყანა 156, 198

პ

პარიზი 55, 66, 67
სანკტ-პეტერბურგი 154, 165, 193

ჟ

ჟენევა 237, 247, 248

რ

რიზე 55, 66
რიონი 50, 89
რუსეთი 19, 31, 37, 46, 47, 56, 97, 103, 139, 162, 163, 165, 203, 208, 252

ს

საბერძნეთი 28, 36, 201
საბჭოთა კავშირი 49, 50, 120, 130, 133, 185, 191, 203, 212, 249, 250
საგურამო 94, 103, 104, 151, 155, 190
საირმე 91
სამეგრელო 61, 62, 64
სამტრედია 57, 58
საფრანგეთი 220, 226
საქართველო 18, 19, 29, 30, 36, 37, 49, 50, 51, 53, 54, 56, 61, 62, 65, 75, 79, 106, 108, 109, 120, 121, 138, 143, 145, 146, 148, 162, 164, 171, 172, 175, 185, 188, 191, 200, 201, 211, 220, 221, 222, 224, 226, 237, 250, 251, 253, 255
საღორია 37
სვანეთი 61
სიონი 154, 173, 174
სტამბოლი 55, 62, 66, 67
სტეფანწმინდა 154
სტრადფორდი 61
სურამი 36, 86, 87, 151, 154, 155, 173, 174, 190
სურამის ქედი 171
სურამის ციხე 87

ტ

ტარტუ 36
ტრაპიზონი 55, 62

ფ

ფასანაური 155, 156, 174
ფშავ-ხევსურეთი, იხ. ფშავი; ხევსურეთი
ფშავი 154, 161, 174

ქ

ქართლი 171, 172
ქვეშეთი 151, 174
ქვიტირი 55
ქვიშხეთი 40, 93, 94, 98, 99, 101, 102, 103, 108, 109, 110, 112-115, 118, 128, 131, 151, 155, 156, 167, 168, 169, 170, 188, 190, 193
ქობულეთი 155-159, 160
ქუთაისი 17, 19, 24, 37, 42, 45, 46, 48, 50, 51, 53, 55, 57, 75, 88, 89, 90, 91, 93, 94, 110, 142, 152, 155, 190, 214, 216, 226
ყაზბეგი 154, 173, 174
ყაზბეგის მთა, იხ. მყინვარწვერი

შ

შავი ზღვა 62, 172
შვეიცარია 38

ჩ

ჩეჩნეთ-დაღესტანი, იხ. ჩეჩნეთი; დაღესტანი
ჩეჩნეთი 154, 163
ჩუმათელეთი 173
ჩუნეში 64

ც

ციმბირი 37, 42-45, 47-50, 165
ცხენისწყალი 59, 61

წ

წაღვერი 154
წიწამური 108
წყნეთი 86, 151, 154, 156, 198

ხ

ხანი 91, 92, 93, 155
ხანისწყალი 91
ხაშური 100, 113, 114, 155
ხევი 154, 173, 174
ხევსურეთი 154, 161, 165, 166, 174
ხონი 13, 55, 61, 152

პოლიკარპე კაკაბაძე

მალხაზ კაკაბაძე (შუაში), მარჯვნივ - მარიამ (მაია) ჭეიშვილი-კაკაბაძისა, მარცხნივ - პასიკო ჭეიშვილი. დაახლ. 1888-89 წწ.

პოლიკარპე კაკაბაძე. მე-3 კლასის მოსწავლე. 1906 წ.

სხედან მარჯვნიდან: პოლიკარპე კაკაბაძე, კორნელი კაკაბაძე, დგას - ვასილ ჩხენკელი. 1918 წ.

ლუდმილა (მილა) მიხაილიდი - პირველ რიგში
მარჯვნიდან პირველი. აბასთუმანი, 1924 წ.

მარჯვნიდან: ვანო კუკავაძე, დავით კაკაბაძე,
პოლიკარპე კაკაბაძე, ვასო ტუქსიშვილი.
ფშავი, სოფ. შარახევი, 1932 წ.

პოლიკარპე კაკაბაძე. თბილისი, 1935 წ.



ნესტორ ფილიპეს ძე მიხაილიდი (1853-1920).
მარჯვნიდან პირველი

მარჯვნიდან: მზია კაკაბაძე, მალხაზ კაკაბაძე,
პოლიკარპე კაკაბაძე, მილა მიხაილიდი, მანანა კაკაბაძე.
სურამი

მანანა კაკაბაძე. თებერვალი, 1957 წ.

ალექსანდრე (ჭიჭიკო) კაკაბაძე (მარჯვნიდან მეორე).
თბილისი 1940 წ.

მარჯვნიდან - პოლიკარპე კაკაბაძე, პავლე ინგოროყვა,
ალექსანდრე ქუთათელი. 25 ოქტომბერი, 1959 წ.

მანანა კაკაბაძე და მარიამ გირკელიძე



სიმონ (სიკო) გირკელიძე და მარიან გირკელიძე.
წყნეთი, 1981 წ.

პოლიკარპე კაკაბაძე. მოქანდაკე სიმონ გირკელიძე

სარჩევი

წინათქმა 3
შესავალი 7
მამაჩემი და დედაჩემი 13
მათი შეხვედრა 13
მამას სხვა სასიყვარულო გატაცებანი 21
სხვა გატაცებანი 26
ჯორჯ ბაირონი, ედგარ პო, დანტე 26
დედაჩემი და მისი ოჯახი 36
წინაპრები 55
სამშობლოს სიყვარული აქცევს ადამიანს გმირად 57
მშობლები 65
ბათუმი 66
პოლიკარპე კაკაბაძის დედ-მამის შვილები 71
გიმნაზიის წლები 73
თბილისი 75
პირველი პუბლიკაციები 78
„შვიდი მნათობი“ და „მნათობი“ 78
პოლიკარპე კაკაბაძის დრამატული თხზულებანი 81
თბილისი, ჩვენი სახლი 82
ისევ ჩემი ბავშვობის მოგონებები 85
ქუთაისი 88
ქუთაისის თეატრი 90
სოფელი ხანი 91
ქვიშხეთი, საგურამო, ისევ ქვიშხეთი 94
საგურამო – ილიას სახლი 103
ისევ ქვიშხეთი 109
სიყვარული და სევდა 112
მამაჩემის მეგობრები 121
კორნელი კაკაბაძე 121
კაენის აქტი 123

დიმიტრი ბენაშვილი და მისი ოჯახი 125
დეიდა ვერა 132
დასახვრეტ მწერალთა სია 137
მამაჩემის ცხოვრების ბოლო წლები 142
მამაჩემის ფოტოსურათები..... 150
სად ისვენებდა პოლიკარპე კაკაბაძე ზაფხულში..... 151
ქობულეთში..... 156
მთები, დაღესტანი, ხევსურეთი 161
შამილი და გრიგოლ ორბელიანი 162
ხევსურეთი, თომა ბალიაური 165
ქვიშხეთი, ჩემი სიყვარული..... 167
ლაზარობა..... 167
მთაწმინდობა..... 168
ანა კალანდაძის სტუმრობა ქვიშხეთში..... 169
ჭიაკოკონობა და „ალილო“ 170
ზვარე 171
ოცდაჩვიდმეტი წელი 173
მამას ავადმყოფობა 175
თავდასხმა პოლიკარპე კაკაბაძეზე
მწერალთა კავშირში..... 178
ჭიჭიკო ბიძია 186
1924 წლის გამოსვლები..... 188
ნადია მამიდა 196
აღსასრული 197
ეპილოგი..... 208
მამა და თეატრი 210
პოლიკარპე კაკაბაძის პიესების დადგმები 211
უშანგი ჩხეიძე..... 213
„კახაბერის ხმლის“ დადგმა 1965 წელს 216
„ყვარყვარეს“ დადგმა შოთა რუსთაველის სახელობის
თეატრის სცენაზე..... 219
რობერტ სტურუას „ყვარყვარე თუთაბერი“..... 219

მცირე ჩანაწერი მამაჩემის პიესების დადგმათა შესახებ 222
მამაჩემის ოჯახის წევრები 229
ჩვენი ოჯახის ცხოვრება მამასთან ერთად
და მამის შემდეგ 230
ჩემი უბედურება მამაჩემის შემდეგ 233
დამატება 237
ჩემი პირველი პუბლიკაციები და მათთან ბრძოლა 238
დავით აღმაშენებელი, ჯორჯ ბაირონი,
ნიკოლოზ ბარათაშვილი..... 238
„ჩემი საყვარელი წიგნი“ 239
დავით აღმაშენებლის პოეზიის აღმოჩენა..... 242
გრიგოლ რობაქიძის გამოხმაურება..... 247
ჩემი მეუღლე სიმონ (სიკო) გირკელიძე 256
საძიებლები 259
პირთა საძიებელი 259
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი 270

ISBN 978-9941-9867-5-8
9 789941 986758